ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№2 2017 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) HAS BEEN REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Institute of Techinform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
E-mail: loidk@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2(45), 2017

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი;
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი,ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ძაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; მარიამ მღებრიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ემერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენგაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე); ელენე ხარაბაძე; ემერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარკავა.

შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2017წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 5 ლარი

The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED 2(45), 2017

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration, Professor;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European Univercity's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGEBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University)MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Head of the Georgian Competition Agency); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

მეცნიერება

როზეტა ასათიანი - საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობის წანამძღვრები, საგანი, მიზნები და ამოცანები 7

ნიკა შენგელია - ინკლუზიურად ორიენტირებული ეკონომიკის ლაბირინთები 19

შალვა მალაშხია - მინერალური ნედლეულის რესურსული კრიზისი თანამედროვე სამთო-მოპოვებითი მრეწველობაში და მისი გადაწყვეტის ზოგიერთი მიმართულებები 32

თეიმურაზ გოგნაძე - მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მონაცემთა ბაზის სრულყოფა და ინვენტარიზაციის შედეგების უსაფრთხოების უზრუნველყოფა 36

შალვა ჯულაყიძე, თინათინ მეძმარიაშვილი - ელექტრონული შესყიდვების ეფექტურობა 46

ლაშა მგელაძე – სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის გზები 50

ია ფირანიშვილი-გიგიბერია - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში 58

ქეთევან სიჯინავა - ელექტრონული მმართველობის გავლენა ელექტრონული კომერციის განვითარებაზე 65

გურგენ კალაშიანი - საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი არამატერიალური აქტივების აღიარების საკითხები 69

ლევან კალანდაძე - მიწის ნაკვეთის შეფასების მეთოდების ანალიზი 74

ლანა სულაკაძე - საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების საჭიროება . . 78

თამარ ლაგვილავა - ქართული საქმიანი კულტურა ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში 83

მართვის ახალგაზრდული სკოლა

ლეილა გიორგობიანი - პროფესიული განათლების „ბარიერები“ საქართველოში 86

შალვა ფოფხაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) როლი მეწარმეობაში 88

ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები

ომარ შუდრა -კირილე შჩოლკინი – ზნეობრივი საქციელის მსხვერპლი 90

საბჭოთა ისტორიის ლაბირინთებში (აკრძალული ისტორია)

ომარ შუდრა - 1953 წლის ზაფხული 92

ახალი წიგნები 97

SCIENCE

Rozeta Asatiani - Prerequisites, Subject, Goals and Objectives of the Origin of Public Sector Economics 7

Nika Shengelia - Labyrinths of inclusive-oriented economics 19

Shalva Malashkhia - Resorsce crisis of mineral raw materials in the modern mining and finising industri and some directions of its studion 32

Teimuraz Gognadze - Perfection of the Material-Technical Resources Database and Safety Provision for Inventarization Results 36

Shalva Julakidze, Tinatin Medzmariashvili - Efficiency of Electronic Procurement 46

Lasha Mgeladze - Ways for Enhancement of State Procurements 50

Piranishvili-Gigiberia I. - THE ROLE OF THE INTRODUCTION OF WORK-BASED EDUCATION MODEL FOR THE ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA 58

Ketevan Sichinava - The impact of e-government on development of e-commerce 65

Gurgen Kalashyan - The Issues of Recognizing of Intangible Assets Acquired in Business Combinations 69

Levan Kalandadze - Analysis of Land Plot Assessment Methods 74

Lana Sulakadze - The Need of Investments in Georgian electricity sector 78

Tamar Lagvilava - Georgian Business Culture with Respect to EU Countries 83

THE YOUTH SCHOOL OF MANAGEMENT 86

OUR FAMOUS COUNTRYMEN 90

IN THE LABYRINTHS OF SOVIET HISTORY 92

NEW BOOKS 97

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობის წანამძღვრები, საბანი, მიზნები და ამოცანები

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს სრული პროფესორი, თსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, გამომცემლობა „სიახლის“ პრეზიდენტი.
ტელ.: 599530487
ელ. ფოსტა: marinassati@gmail.com

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ეკონომიკური თეორიის შედარებით ახალი დარგია, ამასთან, იგი სასწავლო დისციპლინაცაა, რომელიც წარმატებით ისწავლება დასავლეთის უნივერსიტეტებში. საუნივერსიტეტო სწავლებაში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის საგნის შემოღება დროის მოთხოვნაცაა და ობიექტური აუცილებლობა. იგი მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამოძახილიცაა და ეროვნული დაკვეთაც, ვინაიდან შეისწავლის იმას, თუ „ველური“ კაპიტალიზმი როდის უნდა გარდაიქმნას სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკად, კაპიტალიზმის ცივილიზებულ ფორმად და ეკონომიკურ სისტემას არ უნდა ჰქონდეს ანტიცოსიალური ფორმა, არ ხასიათდებოდეს საზოგადოებრივი მორალის დეფორმაციით, რაც დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის და რომლის ნიშნებიც გამოიკვეთა საქართველოშიც.

ძირითადი ცნებები

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. „კეინზიანური რევოლუცია“. გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. პოსტინდუსტრიული საზოგადოება. საკუთრების პლურალიზმი. არაკომერციული ორგანიზაციები. „მესამე სექტორი“. სამოქალაქო საზოგადოება.

ინდუსტრიულმა ეპოქამ დასაბამი მისცა ხანგრძლივ ისტორიულ ციკლს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობა და აქედან გამომდინარე, კერძო ინტერესების პრიორიტეტი საზოგადოებრივთან შედარებით. ამ პერიოდში ყურადღების ცენტრში იდგა ცალკეული ფირმა და მისი მოგების მაქსიმიზაციის პრობლემა. ეს იყო მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინდივიდუალისტური კონცეფციის ბატონობის ეპოქა. მისი იდეოლოგია ადამიანს განიხილავდა, როგორც ეკონომიკურ ფენომენს, როგორც წარმოების საშუალებას და არა როგორც საზოგადოებრივი წარმოების მიზანს. საზოგადოებრივ ინტერესებზე კერძო ინტერესების პრიორიტეტის პერიოდი აღინიშნა ექსპლუატაციური ურთიერთობების გაძლიერებით და სხვა ანტისოციალური მოვლენებით, მათ შორის, საზოგადოებრივი მორალის დეფორმაციით. ამ პერიოდში ზედმეტი იყო საუბარი ეკო ნომიკის სოციალურ ორიენტაციასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის არსებობა-ფუნქციონირებაზე. ეს ეპოქა მოიცავს XVIII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდანდან XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისამდე განვლილ პერიოდს.

დასავლური ცივილიზაციის ინდუსტრიულ ეპოქაში გაბატონებულმა სმითისეულმა კონცეფციამ, რომელიც სახელმწიფოს განიხილავდა როგორც „დამის დარაჯს“, ხოლო სახელმწიფოს საქმიანობას – არამწარმოებლურ შრომად, ადგილი კეინზიანურ მაკროეკონომიკურ რეგულირებას დაუთმო. ეს მოვლენა საზოგადოებრივი პროგრესის დაწყების მომასწავებელი იყო. იგი, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვნად დააჩქარა „კეინზიანურმა რევოლუციამ“ და, შეიძლება ითქვას, მისი განმაპირობებელი ფაქტორიც კი გახდა.*

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში დაწყებული ეს უპრეცენდენტო მოვლენა, რომელიც უკავშირდება თითქმის 160 წლის მანძილზე – XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან (კლასიკური ეკონომიკური თეორიისა და ინგლისური კლასიკური სკოლის აღმოცენებიდან)** „კეინზიანურ რევო-

* ეს საკითხი სხვადასხვა კუთხით განხილული გვაქვს წიგნში: ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005, გვ.: 363, 420, 422, 558-560.

** კონკრეტულად იგი უკავშირდება ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) მამამთავრის ადამ სმითის ფუნდამენტური ნაშრომის – „ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების შესახებ“ (1776) გამოსვლას. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ ნაშრომს უკავშირდება ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობა, ხოლო მანამდე არსებულმა ეკონომიკურმა მიმდინარეობებმა – მერკანტილიზმმა და ფიზიოკრატიზმმა – მხოლოდ შექმნეს წანამძღვრები ეკონომიკური მეცნიერების აღმოცენებისათვის.

ულციამდე“ – თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიაზე დაფუძნებულ, მთვლემარე მდგომარეობაში მყოფ „ველური“ კაპიტალიზმის გარდაქმნას სოციალურ ორიენტაციაზე მორგებულ, მაკროეკონომიკური რეგულირებით განმტკიცებულ ეკონომიკურ სისტემად, აღინიშნა როგორც შემობრუნების ეტაპი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. სახელმწიფო „ღამის დარაჯიდან“ ევოლუციური გზით მაკროეკონომიკურ რეგულატორად გარდაიქმნა, ხოლო ამ ცვლილების საფუძველზე საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ბაზარს განმსაზღვრელი როლი დაეკისრა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.[1]

სწორედ ახალ თვისებრიობაში გადაზრდილ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ძირითად მახასიათებლად, ბაზრის პრინციპების რეალიზაციასთან ერთად, სოციალური ორიენტაცია იქნა აღიარებული, რამაც, თავის მხრივ, დაადასტურა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის შესახებ კეინზიანური თეორიის სისწორე. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბაზრის „შეცდომების“ გამოსწორება, რაც ჰუმანიზაციის მსოფლიო პროცესის საფუძველი გახდა.

ეკონომიკაში გაბატონებულმა მიკროეკონომიკურმა მიდგომამ ცენტრალური ადგილი მაკროეკონომიკურ თეორიასა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას დაუთმო. ჯონ მეინარდ კეინზის (1883–1946) თეორიის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია მის, შეიძლება ითქვას, „საუკუნის ნაშრომში“ – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936), ცალკეული ფირმის აყვავების პირობები შეიძლება არ ემთხვეოდეს მთელი ეკონომიკის განვითარების პირობებს, მათ შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების გადაჭრა კი შესაძლებელია არა ცალკეული ფირმების მოგების მაქსიმიზაციით, არამედ, მაკროეკონომიკური პროპორციების აღდგენითა და კვლავწარმოების საერთო პირობების სრულყოფით, რაშიც გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს აკისრია.[2] კეინზიანურ თეორიას, შემდეგ კი „კეინზიანურ რევოლუციას“, მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა დაუჭირა მხარი. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფდით მსოფლიოში აღიარებულ ისეთ მეცნიერებს, როგორებიცაა: უ. ბევერიჯი, ს. ჰარისი, ა. ჰანსენი, რ. ჰაროდი, ჯ. რობინსონი, პ. კრუგმანი და ა.შ. ეკონომიკაში სახელმწიფო როლის გააქტიურებას და ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობამ, საფუძველში მის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა ობიექტური წანამძღვრები, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური მეცნიერების, ამ შედარებით ახალი დარგის, განვითარებას. ამ პროცესს ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ეკონომიკური მიმდინარეობებისა და თეორიების განვითარებამ,* ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ წარმოებაში მიმდინარე პროგრესულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, მათ შორის, ტექნოლოგიების სფეროში დაწყებულმა ბუმმა.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ეკონომიკური მეცნიერების დედაბოძის – ეკონომიკური თეორიის ახალი განშტოებაა. მაკროეკონომი-კურმა თეორიამ საფუძველი ჩაუყარა მის გენეზისს, ამასთან, საზოგადოებრივი სექტო რის ეკონომიკა, არ შემოიფარგლება მხოლოდ მაკროეკონომიკური პრობლემებით, მის საკვლევ არეალში თავს იყრის მიკრო-, მეზო- და მეგაეკონომიკური პრობლემებიც, რაც კიდევ უფრო ზრდის მის როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაში.

ეკონომიკისათვის სიცოცხლისუნარიანობის მინიჭებაში უდიდესი როლი XX საუკუნის 50-იან წლების მეორე ნახევარში დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ შეასრულა, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა საზოგადოებრივი წარმოების პროგრესულ სტრუქტურულ გარდაქმნებს, გამოიწვია მომსახურების მწარმოებელი დარგების დაჩქარებული განვითარება და მოამზადა პირობები ინდუსტრიული საზოგადოების პოსტიუნდუსტრიულში გადაზრდისათვის.[3]

მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ახალ ისტორიაში რევოლუციურ მახასიათებლად წარმოჩნდა მომსახურების სექტორის წილის უპირატესი ზრდა დანარჩენ ორ სექტორთან შედარებით. ეს მნიშვნელოვანი თეორიული პარადიგმები რეალურად აისახა ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში.

ეკონომიკის სექტორებს შორის, მომსახურების სექტორის წილის უპირატესი ზრდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახდა. მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ეს გადასვლა მოასწავებდა არა მიდწეულიდან უკან დახევას, არამედ, პირიქით, უფრო მაღალი სოციალური წესრიგის გამარჯვებას.

60-იანი წლებიდან ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, რაც ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებ-

---

* ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომი კური თეო რიების მნიშვნელოვანი პოსტულატების გათვალის წინებას სა ხელ მწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში.

1. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009, გვ.: 40–42; 205–241; 215–218; ასათიანი რ. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღ დგენის აუცილებლობა უნივერსიტეტებში (საკითხის დასმის წესით). თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013, გვ. 7–8.

2. Кеинс Дж. Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., «Прогресс», 1978, с. 55.

3. ასათიანი რ. ეკონომიკის „სერვიზაცია“ – საზოგადოების პოსტ ინდუსტრიული განვითარების მნიშ-ვნელოვანი მახასიათებელი. „სა ქარ თველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“. ეკონომიკის სექცია. I ტომი. 1993, № 2.

ლობის დასაწყისიც იყო.[4]

ამ ობიექტურმა წანამძღვრებმა საფუძველი ჩაუყარეს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობასა და განვითარებას. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად, კაპიტალიზმის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის, ჩამოყალიბებამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობაში. იგი ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად იქნა აღიარებული.

1953 წელს, პირველად მსოფლიო ისტორიაში, გაეროს მიერ 1948 წელს პროექტის სახით მიღებულ საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა,* რომელიც საფუძვლად დაედო მოცემული ქვეყნის ეკონომიკის და ნარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური კავშირების შესწავლას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსოფლიო ეკონომიკის ციფრების ენით ამეტყველებას. ამასთან, დასაბამი მიეცა მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციას, მისი განსაკუთრებული როლის წარმოჩენასა და ახალი ტექნოლოგიების შექმნას.[5] რეალური სექტორი (აგრარული და ინდუსტრიული სექტორები) მიზეზ-შედეგობრივ კავშირურთიერთობაში აღმოჩნდა მომსახურების სექტორთან. ამ პროგრესულმა მოვლენამ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ვექტორი შეცვალა. უკვე 60-იანი წლებიდან კაპიტალიზმის გავითარებაში დაიწყო ახალი ეპოქა – ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდის შეუქცევადი პროცესი.[6] ამ მოვლენამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობაში. ამ გადასვლით ყურადღება გამახვილდა ახალი საზოგადოების, ახალი სოციუმის ფორმირებაზე. დაიწყო ტრადიციული სოციალური სტრუქტურების არსებითი მოდიფიკაცია, საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასაც. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეკონომიკურად დაწინაურებულმა ქვეყნებმა მიიღეს განვითარებული ქვეყნის სტატუსი.**

ამ პერიოდიდან მოყოლებული, კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შედეგად, კერძო კაპიტალისტური საკუთრების ბატონობაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ახალ თვისებრიობაში გადაზრდამ ტრაექტორია შეუცვალა მსოფლიო განვითარებას. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა და ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარანტადაა აღიარებული. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ზნეობრივი ფასეულობების წინა პლანზე წამოწევას, რომელმაც ჩამოიტოვა მანამდე ფესვებგადგმული, შეიძლება ითქვას, სოციალური ინსტიქტით განპირობებული მოთხოვნილებები და მათზე მაღლა დადგა.

ასეთია ის ობიექტური წანამძღვრები, რომლებმაც შექმნეს პირობები საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობისათვის. ეკონომიკური მეცნიერების არც ერთი დარგისთვის არ არის ნიშანდობლივი ისეთი ძლიერი ინტეგრირებული საწყისი, როგორიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკისთვისაა.

პასუხი საბაზრო ეკონომიკის ტრიადაზე – რა? როგორ? ვისთვის? არ შემოიფარგლება მხოლოდ კერძო საქონლისა და მომსახურების კვლავწარმოებით. ამ ფუნდამენტური პრობლემების გადასაწყვეტად საკმარისი არ არის მხოლოდ მოთხოვნით გამოხატული ინდივიდუალური მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინება, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაც. საბაზრო სისტემის ზოგად თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით, ბაზრის პრიზმაში გავლითა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო არეგუ-

4. Экономическая цивилизация и постиндустриализм. “Экономи¬ческая теория на пороге XXI века.” М., “Юрист”, 2000, с. 49-57.

5. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამ-ომცემლობა “, 1993, გვ. 44-49.

6. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Перевод с английс¬ского. М., «Academia», 1999.

* ეროვნულ ანგარიშთა სისტემა შეიქმნა ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატის რაგნარ ფრიშის (1895–1973) უშუალო ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ანალიზში მათემატიკური მეთოდების გამოყენებაში შეტანილი წვლილისთვის ნორვეგიელი მეცნიერის პატივსაცემად 1978 წელს დაარსდა ფრიშის მედალი.

** სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (გაეროს განვითარების ფონდი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის – UNCTAD, მსოფლიო ბანკის...) თუ ცალკეული მკვლევართა მიერ ერთმანეთისგან განსხვავებული კრიტერიუმების საფუძველზე შემოთავაზებული კლასიფიკაციების მიხედვით, ამ ქვეყნების რაოდენობა განსხვავებულია. მაგალითად, გაეროს განვითარების ფონდის კლასიფიკაცია მოიცავს მსოფლიოს 194 ქვეყანას, მათ შორის, განვითარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 30 ქვეყანა, აქედან, უფრო განვითარებული (more developed countries) – 24 ქვეყანა, რომელთა წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების თითქმის 2/3, ნაკლებად განვითარებულია (less developed countries) 137 ქვეყანა, რომელთა წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის 81%. ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი აღმოსავლეთ ევროპისა და СНГ–ს ქვეყნები, მაგრამ არსებობს 22 ქვეყანა, რომელიც ნებისმიერ კლასიფიკაციაში ხვდება, როგორც განვიარებული ქვეყანა. ეს ქვეყნებია: აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, კანადა, ესპანეთი, შვედეთი, იტალია, ნორვეგია, ლუქსემბურგი, ავსტრია, შვეიცარია, ბელგია, დანია, ფინეთი, ისლანდია, ირლანდია, ნიდერლანდი, პორტუგალია, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

ᲔᲚᲘᲠᲔᲑᲡ თავის საქმიანობას ეკონომიკაში.

მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანური მოდელი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურებაში, XX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებამდე გამოიყენებოდა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში (აშშ-ში სწორედ ამ პერიოდში გაატარეს სიღარიბესთან ბრძოლის ფართომასშტაბური ღონისძიებები),* თუმცა, ჯ. მ. კეინზის მითითებების უგულებელყოფამ (რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკის აღმავლობის პერიოდში „მოთხოვნის თეორიის“ „მიწოდების თეორიით“ შეცვლასა და ნეოკლასიკური პოსტულატების წინა პლანზე წამოწევას) და დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტმა ჩარევამ უარყოფითი შედეგები გამოიწვია, რაც გამოიხატა ინფლაციის გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის გაზრდაში, გადასახადების გადიდებასა და ა.შ., რასაც მოჰყვა ეკონომიკური ზრდის შენელება და 1974–1975 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.[7] მართალია, კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა შეხედულებების რენესანსმა ხელშემწყობი პირობები შექმნა „სახელმწიფო მინიმუმის“ კლასიკური თეორიის აღორძინებისათვის, მაგრამ, სახელმწიფოს არ დაუკარგავს თავისი როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად ახალი ეკონომიკური თეორია – „ნეოკლასიკური სინთეზი“** დაედო.

საბაზრო ეკონომიკის განვითარება დროის მოთხოვნად შეფასდა. ჩამოყალიბდა ღია, ჰუმანური საზოგადოება, რომელიც დემოკრატიული ფასეულობების განვითარების საწინდარია.

მსოფლიოში სოციალურობის ტენდენციის გაძლიერებამ კანონზომიერი ხასიათი მიიღო. სოციალურმა ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკა პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი გახადა და დააჩქარა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ჩამოყალიბება-განვითარება, რომლის სიდიდეს ძირითადად განსაზღვრავს ეკონომიკის ნაციონალიზაციის დონე, სახელმწიფო ფინანსების ოდენობა, „მესამე სექტორის“ მასშტაბები და ხელისუფლების პოლიტიკური ნება.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის შეუზღუდავი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით, სახელმწიფო სექტორში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზებსა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემას. იგი იკვლევს საზოგადოებრივ სექტორში არსებული რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პრობლემებს, მისი ორგანიზაციების ეკონომიკურ ქცევასა და გავლენას ეკონომიკის სექტორებისა (აგრარული, ინდუსტრიული და მომსახურების სექტორების) და შინამეურნეობების ეკონომიკურ საქმიანობაზე. ამ რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, განსაკუთრებით, მისი სოციალური ორიენტირებულობის ხარისხი. ამიტომ შეზღუდული რესურსების, პირველ რიგში, სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენება, გადანაწილება და მიზანდასახული ხარჯვა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, კვლევის საგანი და მისი პრეროგატივაა.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკას საპატიო ადგილი უჭირავს ეკონომიკურ მეცნიერებებსა და სასწავლო დისციპლინებს შორის. ამასთან, იგი ვითარდება სწრაფად. საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკაში სოციალური ორიენტირებულობის გაძლიერების ტენდენციამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საზოგადოების განვითარებისთვის ეს მეტად საჭირო დარგი.

რა საკითხებზე ცდილობს პასუხის გაცემას საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა როგორც მეცნიერება?

ამ საკითხებს შორის ყველაზე არსებითია:

1. რა როლს ასრულებს მეცნიერების ეს დარგი ეკო ნომიკის სოციალური ორიენტირებულობის გაძლიერებისათვის?

2. რა როლს ასრულებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა სოციალუ-რად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკად ფორმირებაში?

3. რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევაზე, კერძო ფირმებსა და შინამეურნეობებზე?

4. რა გზით უნდა შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი – მაღალი გადასახადების შემოღებით თუ სახელმწიფო ხარჯების შემცირებით?

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ყურადღების ცენტრშია, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს ზემოქმედება საბაზრო ეკონომიკის სხვა სუბიექტებზე.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს როგორც პოზიტიური, ისე ნორმატიული ასპექტების გათვალისწინებით, ანუ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, ერთი მხრივ, შეისწავლის სახელმწიფოს ფაქტობრივ ეკონომიკურ საქმიანობას და მას ზე სამეურნეო სუბიექტების რეაგირებას (მათ ქცევას), მეორე მხრივ, ფაქტებზე დაყრდნობით, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში

* აშშ-ის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ლინდონ ბ. ჯონსონმა 60-იან წლებში გამოაცხადა „ომი სიღარიბესთან“ და დაიწყო სახელმწიფო პროგრამების განხორციელება.

** „ნეოკლასიკური სინთეზის“ მთავარი წარმომადგენელია „ეკონომიქსის“ პირველი ავტორი პოლ სამუელსონი.

7. Асатиани Р. Все ли отношения в рыночной экономике рыночны? “Российский экономический журнал,” 1993, №1.

მათი ასახვის მიზანშეწონილობას.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, ქვეყნის ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით დასმული მრავალი პრობლემის გადაჭრისათვის იძლევა სამომავლო რეკომენდაციებს.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე დაყრდნობით, ითვალისწინებს: 1. ეკონომიკურ თავისუფლებას (ეკონომიკური სუბიექტების შესაძლებლობას და უფლებას, აირჩიონ ეკონომიკური საქმიანობის სფერო); 2. სრულ დასაქმებას (უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე შენარჩუნებას); 3. ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას (მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფას); 4. ფასების სტაბილურობას (ინფლაციის ზრდის დაუშვებლობასა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას); 5. ეფექტიან დაბეგვრას (გადასახადების იმ დონეზე დაწესებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას); 6. სოციალურ სტაბილურობას (მოსახლეობის სოციალურ დაცვას, სოციალური პროგრესის უზრუნველყოფისათვის პირობების შექმნას); გარდა ამისა, სოციალურ სტაბილურობაში შედის გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ცალკე პუნქტად წარმოდგენილი სხვა სოციალური, კომუნალური და პერსონალური მომსახურება, რომელშიც, თავის მხრივ, შედის: სანიტარული გადამუშავება (ქუჩებისა და გზების დაგვა, მორწყვა, ავტოსტრადებისა და აეროპორტების გაწმენდა თოვლისა და ყინულისაგან და სხვ.), რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა, პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობა, სხვა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობა, (ომის ვეტერანთა საქმიანობა, ახალგაზრდობის ასოციაცია, სტუდენტური ასოციაცია, კინომოყვარულთა ასოციაცია, მებადეობის მოყვარულთა ასოციაცია, მუსიკისა და მხატვრობის მოყვარულთა ასოციაცია და სხვ.), დასვენებისა და გართობის, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციის სფეროში საქმიანობა; 7. ეკონომიკურ უსაფრთხოებას (ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებას); 8. სასურსათო უსაფრთხოებას (სასურსათო წონასწორობის შენარჩუნებას, მოსახლეობის დაცვას ჯანმრთელობისათვის მავნე სურსათისაგან); 9. მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით რაციონალურ ბუნებათსარგებლობასა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას (ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ჯანსაღ ბუნებათსარგებლობას); 10. ეფექტიანი სახელმწიფო დაზღვევის (სავალდებულო სოციალური დაზღვევის) განვითარებას, ასევე, კერძო დაზღვევის ხელშეწყობას.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაცია უკავშირდება სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მართვასა და არასაბაზრო სექტორის განვითარებას.

ბაზრის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროშია მოქცეული ეკონომიკის არასაბაზრო სექტორი, რაც უშუალოდ უკავშირდება დასავლეთში საკმაოდ აპრობირებულ საზოგადოებრივი დოვლათის (Public goods) წარმოებას, საზოგადოების დაცვას უარყოფითი გარე ეფექტებისგან, სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგებში ბუნებრივი მონოპოლიების შენარჩუნებასა და მართვას, შემოსავლების გადანაწილებას გარკვეული დოზით, მაკროეკონომიკურ რეგულირებას საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო მექანიზმებით და ა.შ. ამათ გარეშე ზედმეტია საუბარი სოციალურ რეფორმებზე. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის სახელმწიფოს, როგორც საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სუბიექტის, ეკონომიკურ ქცევას საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში. საზოგადოებრივ დოვლათზე მოთხოვნა-მიწოდება ხორციელდება სახელმწიფო რეგულირებითა და უშუალო კონტროლით.

სახელმწიფოსადმი ერთ-ერთი მკაცრი მოთხოვნაა ალოკაციის ფუნქციის შესრულება, რაც უკავშირდება არა სასაქონლო დოვლათისა და მომსახურების ანუ საზოგადოებრივი დოვლათის (გზები, საზოგადოებრივი განათება, წესრიგის დაცვა და ა.შ.) წარმოებას, რომელიც შეუძლებელია საბაზრო ფასით მიეწოდოს მოსახლეობას. ეს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. მისი ინდივიდუალიზაცია ყიდვით არ შეიძლება და ექვემდებარება კოლექტიურ მოხმარებას. სახელმწიფო თავის თავზე იღებს საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას, მისი დაფინანსება კი უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტით ხორციელდება.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ამოცანებიდან გამომდინარე, გარდა ალოკაციის ფუნქციისა, სახელმწიფო ასრულებს რეგულირებისა და გადანაწილების ფუნქციებს.

რეგულირების ფუნქციით სახელმწიფო არეგულირებს ეკონომიკურ საქმიანობას, ანუ მისი ფუნქციაა, გამოასწოროს მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევა, რაც გამოიხატება ეკონომიკური ზრდის დაცემაში, უმუშევრობის, ინფლაციის ზრდაში, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტსა და ა.შ.

გადანაწილების ფუნქციით სახელმწიფო, ეკონომიკურ აგენტთა მკვეთრად დიფერენცირებული შემოსავლების გადანაწილებით, უზრუნველყოფს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირებას. ჭეშმარიტი სოციალური რეფორმები იწყება მაშინ, როდესაც სახელმწიფო შეიმუშავებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებლობას (მათ შორის, ანტიმონოპოლიურსაც) მოქნილი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, კონკურენციის დაცვით, ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნით, მცირე ბიზნესის წახალისებითა და, საერთოდ, მოსახლეობის საქმიანი აქტიურობის გაზრდით მოახდენს

საბაზრო უწონასწორობის* მინიმიზაციას, ისეთ მიმართულებას მისცემს ბაზარს, რომელიც განაპირობებს პიროვნების შესაძლებლობათა რეალიზაციას. ეს პრობლემებიც, რომელთა გადაჭრასაც სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკისაკენ მივყავართ, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის არეალშია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ეს უკანასკნელი საკითხთა ფართო წრეს მოიცავს, ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და მისი მატერიალური საფუძველია. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და პარამეტრების შემუშავებას, რაც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის პრეროგატივაა.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის ხარჯებს უჭირავს. მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ჯგუფების მხარდამჭერი სოციალური პროგრამების დაფინანსებასთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილი გამოიყოფა სოციალურ-კულტურული დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამებისათვის. სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით სახელმწიფო სოციალურად ორიენტირებული, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნებს იძენს. მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებით მცირდება ლობიზმის ნეგატიური შედეგების მასშტაბები, სახელმწიფო აპარატის კონსერვატიულ-ბიუროკრატიული ხასიათი, ჩქარდება ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, ძლიერდება კერძო სტრუქტურების სოციალური პასუხისმგებლობა, ვითარდება საზოგადოების თვითშეგნება. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და ჰუმანიზაციის პროცესების გაძლიერებით წარმოშობილი ახალი პრობლემები ამდიდრებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შინაარსს.

გადასახადები, როგორც სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისათვის გაწეული მომსახურების საფასური, ეკონომიკის სტიმულირებისა და რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყარო, წინა პლანზე აყენებს დაბეგვრის თეორიის საკითხებს გადასახადებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ურთიერთქმედების ჭრილში და სახელმწიფოს როლს ოპტიმალური დაბეგვრის ფუნქციონირებაში. ამ კუთხითაც გადასახადების მრავალწახნაგოვანი ფენომენიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის საგანია.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გლობალური პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური განაწილების საკითხს. ამასთან დაკავშირებით, მეტად აქტუალური ხდება საბიუჯეტო ფედერალიზმის საკითხების კვლევა, რომელიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შესწავლის ერთ-ერთი სფეროა. მთლიანობაში, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებას, როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ანუ მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმძღვანელოში და ზრდის ინტერესს საკვლევი პრობლემის მიმართ.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის მნიშვნელოვანი სფეროა აგრეთვე შემოსავლების გადანაწილების პრობლემებიც, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ სიღარიბისა და მინიმალური სოციალური გარანტიების, ინფლაციისა და მოსახლეობის შემოსავლების გაუფასურების, ქველმოქმედებისა და მეცენატობის, განათლების განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაფინანსების და სახელმწიფოს მიერ მეცნიერების სტიმულირების აუცილებლობის საკითხებს.

ინსტიტუციურ რეფორმებთან (განსაკუთრებით განსახელმწიფოებრიობასთან), ახალი მსოფლიო წესრიგისა (ეკონომიკური წესრიგის პრიორიტეტის გათვალისწინებით) და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე, კიდევ უფრო აფართოებს საკვლევ არეალს, ხოლო გლობალიზაციის ეპოქალური მრავალწახნაგოვანი პროცესის ახსნა, მისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე, კერძოდ კი, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ამდიდრებს და უაღრესად საინტერესოს ხდის საკვლევ პრობლემას.

თანამედროვე პირობებში ნაკლებად მოიძებნება საკითხი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რომელიც რაიმე კუთხით გავლენას არ ახდენდეს საზოგადოების სოციალურ ორიენტირებულობაზე. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარების შემდგომი საფეხური – სოციალური საბაზრო ეკონომიკა ცივილიზაციის ახალი ფორმაა, რომლის „ყლორტები“ უკვე გამოიკვეთა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში. ეს უაღრესად საინტერესო პრობლემა ნაშრომის ლაიტმოტივი და განხილვის თემაა.

დაბოლოს, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები კიდევ უფრო აფართოებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის არეალს. ამასთან დაკავშირებით, სახელმძღვანელოში გაშუქებულია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის როლი და ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადსაკაცობრიო ამოცანების განხორციელების თავისებურებები საქართველოს საბაზრო სისტემაზე გარდამავალ ეკონომიკაში.

* 2014 წლის საქსტატის მონაცემებით, საქართველოში საბაზრო უწონასწორობის ნათელი მაგალითია თვითუზრუნველყოფის დონე (ადგილობრივი სასურსათო წარმოების თანაფარდობა სასურსათო მოხმარებასთან) რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიხედვით: ხორბალი 8%, ფრინველის ხორცი 25%, ხორცი 41%, ბოსტნეული 70% და ა.შ.

ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულთა სტატუსის განსაზღვრა. ვინ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულად, მხოლოდ სახელმწიფო მოხელეები თუ ყველა დაქირავებული სახელმწიფო სექტორში, ანუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულები, ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების მიმღები პირები?

სხვადასხვა ქვეყანაში ამ პრობლემის მიმართ რამდენადმე განსხვავებული მიდგომაა, მაგალითად:

აშშ-ში საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულთა რიცხვს მიეკუთვნება ნებისმიერი პირი, რომლის შრომაც ანაზღაურდება ხელისუფლების ფედერალური, შტატებისა თუ ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტებიდან;

გერმანიაში საზოგადოებრივი სექტორის მუშაკებს მიეკუთვნება არა მხოლოდ მმართველობის ორგანოებში დასაქმებულები, არამედ ყველა დაქირავებით დასაქმებულები სახელმწიფო სექტორში (მათ რიცხვში, უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულები, სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკები, მასწავლებლები, სახელმწიფო საწარმოთა მუშაკები და ა.შ.);

იაპონიაში საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება არა მხოლოდ ადმინისტრაციული აპარატის მუშაკები, ჩინოვნიკები, არამედ სახელმწიფო საწარმოების მომუშავენი (რკინიგზის, ტელევიზიის, პოლიციისა და სახანძრო სამსახურის მუშაკები, თავდაცვისა და სამხედრო სფეროში, აგრეთვე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის სკოლების თანამშრომლები და ა.შ.);

ფინეთში საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულები დაყოფილია ორ ჯგუფად: პირველი, სახელმწიფოს ადმინისტრაციაში, სამინისტროებში, სააგენტოებსა და ა.შ. მომუშავენი და მეორე, სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში (ფოსტა, რკინიგზა, ტელეკომუნიკაციების სისტემა და ა.შ.) დასაქმებულები;

გაერთიანებულ სამეფოში არსებობს მკვეთრი დაყოფა: სამოქალაქო (სახელმწიფო) სფეროში დასაქმებულებს მიეკუთვნება სამინისტროების (დეპარტამენტების) და ცენტრალური უწყებების მუშაკები, რომლებიც ხელფასს იღებენ პარლამენტიდან. სამოქალაქო მოსამსახურეებს არ მიეკუთვნებიან მოსამართლეები, სამხედრო მოსამსახურენი, პოლიციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკები, მასწავლებლები და ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში დასაქმებულები. თუმცა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გაერთიანებულია საზოგადოებრივი სექტორის მუშაკთა კატეგორიაში.

საზოგადოებრივი სექტორი როგორც არაკომერციული (არასაბაზრო) სექტორის ნაწილი (არაკომერციულ სექტორში შედის აგრეთვე შინამეურნეობები), ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციფიკური სფეროა, სადაც არ მოქმედებს ბაზრის კანონები (ან მოქმედებს შეზღუდულად) და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის არის ურთიერთობის არასაბაზრო წესი, ამასთან, მოგების მიღება არ წარმოადგენს წამყვან ეკონომიკურ საქმიანობასა და წარმოების მიზანს. საზოგადოებრივ სექტორში წამყვან როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი ინსტიტუციური ერთეულებით, ხოლო მიზანია საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება. საზოგადოებრივ სექტორში, გარდა სახელმწიფო სექტორისა, შედის „მესამე სექტორი“ – არასახელმწიფო, არაკომერციული სექტორი.

საბაზრო ეკონომიკის, როგორც კაპიტალიზმის განვითა რებული ფორმის, სტრუქტურის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა №1 სქემა.

№1 სქემა

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურა



კერძო, კომერციული სექტორი მოიცავს კერძო მწარმოებელ ფირმებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, ხოლო მისი დაფინანსების წყაროა კერძო სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების გაყიდ ვით მიღებული შემოსავალი.

შერეულ სექტორში შედის საერთო ინტერესების საფუძველზე შექმნილი სხვადასხვა მიზნის მატარებელი საბაზრო სისტემის ნებისმიერი სტრუქტურა.

შინამეურნეობა თვითუზრუნველყოფაზე მყოფი გამო ცალკევებული ინსტიტუციური ერთეულია. 1981 წლის გაეროს კომისიის გადაწყვეტილებით, შინამეურნეობა შეიძლება იყოს წარმოდგენილი

8 Зенков М. Ю. Зарубежный опыт управления: государственная служ¬ба. Новосибирск, 2014.

ერთი პირით ან ადამიანთა ჯგუფის სახით. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებაში მთავარ როლს სახელმწიფო ბიუჯეტი ასრულებს, ხოლო სახელმწიფო სექტორი საზოგადოებრივი სექტორის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ამიტომ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა არსებითად სახელმწიფო ფინანსების ხარჯზე ფუნქციონირებს. გამონაკლისია მხოლოდ „მესამე სექტორი“, რომელიც სრულიად განსხვავებულ დაფინანსებაზე მყოფი სტრუქტურაა.

№2 სქემა

სახელმწიფო სექტორის სტრუქტურა



სახელმწიფო მმართველობის სექტორში (საბიუჯეტო სექტორში) შედის: უწყებები, სააგენტოები, მმართველობის სეგმენტი და ადგილობრივი თვითმმარ თველობის ორგანოები, აგრეთვე საბიუჯეტო დაფინანსებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის დაწესებულებები და ა.შ.

ურბანიზაციის ზრდა გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების დონესა და ხარისხზე, ცვლილებას იწვევს დასაქმების სტრუქტურაში, რაც, თავის მხრივ, აფართოებს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სფეროს, ზრდის მოთხოვნას საზოგადოებრივ დოვლათზე. იზრდება მოთხოვნა განათლებაზე, ჯანდაცვაზე, კულტურაზე (თეატრები, მუზეუმები), სოციალურ დაცვაზე, ფართოვდება გარე ეფექტების რეგულირების სფერო. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, წარმოიქმნება მოთხოვნის ახალი სახეობები (ელექტრონული ვაჭრობა, გლობალური კავშირი და ა.შ.) და ბუნებრივია, ფართოვდება არა მხოლოდ მაკრო-, არამედ მიკრო-, მეზო- და მეგაეკონომიკური რეგულირების სფერო, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის გაფართოებას.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციებია: 1. ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება და ანტიციკლური რეგულირება;

2. გარე ეფექტების რეგულირება;

3. საზოგადოებრივ დოვლათზე მოთხოვნის დაკმაყოფილება;

4. საბაზრო კონკურენციის ნეგატიური შედეგების (უარყოფითი გარე ეფექტების) ლიკვიდაცია;

5. ეკონომიკის ეფექტიანობის, სტაბილურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა და მასტიმულირებელი ფუნქციის შესრულება.

სახელმწიფო შემოსავლების გადანაწილებას ასახავს №3 სქემა.

№3 სქემა

სახელმწიფო შემოსავლების გადანაწილების ფორმები



საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შემოსავლების გადანაწილების თავისებური ფორმაა, რომელიც მოიცავს სამხედრო დაკვეთებს, სამოქალაქო სამშენებლო პროგრამებს, სახელმწიფო საწარმოების კაპიტალდაბანდებების დაფინანსებას. სახელმწიფო შესყიდვა საქონლისა და მომსახურების გასაღების სტაბილურ ბაზარს ქმნის, რაც მეწარმეთათვის მოგების მიღების გარანტიას იძლევა, ამასთან, ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის გადაჭრასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

შემოსავლების გადანაწილების მნიშვნელოვან არხებს წარმოადგენს სახელმწიფო კრედიტები და სუბსიდიები. ისინი გაიცემა სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, აგრეთვე, სპეციალური ფონდებიდან. სახელმწიფო კრედიტები და სუბსიდიები გაიცემა როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებზე, ასევე, მიეცემათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

შემოსავლების საგადასახადო გადანაწილება არის შემოსავლების რეგულირების არაპირდაპირი მეთოდი. იგი ითვალისწინებს გარკვეულ პირთა ნაწილობრივ ან მთლიან განთავისუფლებას გადასახადების გადახდისაგან და საგადასახადო განაკვეთის ამაღლებას სხვა პირებისთვის. საგადასახადო შეღავათები გამოიყენება მცირე ბიზნესის განვითარებისათვის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის და ა.შ.

სახელმწიფო თავის თავზე იღებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა მომსახურების გაწევა უმუშევრებისათვის, ასევე, ინვალიდებისა და მათი ოჯახებისათვის, მოსახლეობის იმ ფენისათვის, რომლებიც სოციალურად დაუცველნი არიან.

თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი მიმართულებაა ეკონომიკურ-სამართლებრივი ბაზის შექმნა. სახელმწიფო შეიმუშავებს საკანონმდებლო და ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენს ეკონომიკისა და მისი ცალკეული სუბიექტების ფუნქციონირების მარეგულირებელ მექანიზმს. ამ ფუნქციით სახელმწიფო განსაზღვრავს ეკონომიკაში ქცევის წესებს. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია გააკონტროლოს საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი ღონისძიებების შესრულება.

განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკონომიკის პროგრამირებასა და ინდიკატურ (საორიენტაციო) დაგეგმვას. ეკონომიკის პროგრამირების პრაქტიკა არსებობს მრავალ ქვეყანაში. ეს პროცესი დაიწყო II მსოფლიო ომის შემდეგ ნორვეგიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდში, იაპონიაში, მოგვიანებით კი – შვედეთში, დიდ ბრიტანეთში, ფინეთსა და სხვა ანალოგიური განვითარების დონის ქვეყნებში.

ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება და განაწილება. სახელმწიფოს შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის დაკმაყოფილება საზოგადოებრივი დოვლათის იმ რაოდენობით, რის საშუალებასაც იძლევა საბიუჯეტო რესურსები მოცემულ პერიოდში.

სახელმწიფო ეხმარება მცირე ბიზნესს საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკით, მომსახურებას, კონსულტაციებს უწევს საგანმანათლებლო სფეროს.

საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ტენდენცია მონოპოლიზაციისაკენ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავებასა და შესაბამის რეგულირებას. ეს აუცილებელია კონკურენციული გარემოს შექმნისათვის. ანტიმონოპოლიური რეგულირება ხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მეშვეობითა და მიმართულია მონოპოლიური გაერთიანებების შექმნის წინააღმდეგ.

სახელმწიფო ახორციელებს გარე ეფექტების რეგულირებას. სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით დადებითი გარე ეფექტების წახალისებასა და ხელშეწყობას, ხოლო უარყოფითი გარე ეფექტების – ლიკვიდაციას.

ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ეფექტიანი ეკონომიკა მოითხოვს მის შესაბამის ინფრასტრუქტურას – ორგანიზაციების კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს შეუფერხებელ კვლავწარმოებას. როგორც ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა (მმართველობის სახელმწიფო აპარატი), ისე სოციალური ინფრასტრუქტურა (სასწავლო, სამედიცინო, კულტურის დაწესებულებები) და საინფორმაციო ინფრასტრუქტურა (ინფორმაციული არხებისა და საცავების) იმ სფეროების ერთობლიობაა, სადაც ბაზარი შეზღუდულად მონაწილეობს და ამ ფუნქციებს სახელმწიფოს გადასცემს.

სახელმწიფო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური, ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სფეროებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის სტაბილიზაციის თვალსაზრისით.

სახელმწიფო ახორციელებს ფუნდამენტური მეცნიერების წახალისებას, ატარებს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პოლიტიკას.

უდიდესია სახელმწიფოს როლი საგარეოეკონომიკური საქმიანობის რეგულირებაში, ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

რაციონალური ბუნებათსარგებლობის, ხალხთმოსახლეობისა და ურბანიზაციის ზრდის თანამედროვე პრობლემები უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებს სახელმწიფოს.

სახელმწიფოს სექტორის, როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების ღერძის, ძირითად მიმართულებებს სქემატურად ასახავს №4 სქემა.

№4 სქემა

მაკროეკონომიკური რეგულირების ძირითადი მიმართულებები

ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა	მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია
საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება	ფისკალური პოლიტიკის გატარება
გარე ეფექტების (ექსტერნალიების) რეგულირება	ფულად–საკრედიტო პოლიტიკის გატარება
ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება	საგარეო–ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება
ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება	ფუნდამენტური მეცნიერების ხელშეწყობა
შემოსავლების გადანაწილება	სამეცნიერო–ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარება
სოციალური პოლიტიკის გატარება	ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
ინოვაციური პოლიტიკის გატარება	რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
მცირე ბიზნესის ხელშეწყობა	სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

„მესამე სექტორი“, როგორც არასახელმწიფო, არაკომერციული სექტორი და საზოგადოებრივი სექტორის შემადგენელი ნაწილი, ფართო სპექტრის ორგანიზაციების, კავშირების, გაერთიანებების, ფონდებისა და ა.შ. ერთობლიობაა, საქმიანობს სპეციფიკურ რეჟიმში და კომერციული სტრუქტურებისგან განსხვავებულ მიზნებს ისახავს. „მესამე სექტორის“ მიზანი სოციალური, საქველმოქმედო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ა.შ. სფეროებში არსებული პრობლემების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მიღებაა, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების, კონფლიქტების გადაჭრის, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისა და ა.შ. ხელშეწყობა და მიღწევაა.

„მესამე სექტორი“ ყალიბდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც მიმდინარეობს ღრმა სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ასე შემდეგ ცვლილებები. იგი, როგორც ინსტიტუციური ერთეული*, თავისებური რეაქციაა სახელმწიფოსა და ბაზრის ნაკლოვანებებზე, ხოლო როგორც შუამავალი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ხელს უწყობს სოციალური დაძაბულობისა და კონფლიქტების შემცირებას.

„მესამე სექტორი“ ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

– „მესამე სექტორის“ საშუალებით საზოგადოება გამოხატავს (და ზოგჯერ ახორციელებს კიდეც) თავის სამართლიან მოთხოვნებს;

– ხელს უწყობს საზოგადოებაში მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას, პლურალიზმის განვითარებას;

– მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში;

– წარმოადგენს რა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციას, არა მხოლოდ ავრცელებს სხვადასხვა ინფორმაციას, არამედ სხვადასხვა საკითხისადმი ქმნის კიდეც ალტერნატიულ მიდგომებს განათლების, სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაცვის, საარსებო მინიმუმისა და ა.შ. პრობლემებთან დაკავშირებით;

– საზოგადოებრივი ღირებულებების დაცვისას, ზოგჯერ გამოდის როგორც სახელმწიფოს პარტნიორი, ზოგჯერ კი არის სახელმწიფოს ქმედებათა ალტერნატივის როლში;

– ხელს უწყობს საზოგადოების ინტეგრაციას, სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული დაძაბულობის განმუხტვას;

– მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების მობილიზებაში, საპროტესტო კამპანიების

* ინსტიტუციური ერთეული – სამეურნეო ერთეული, რომელიც ფლობს აქტივებს და თავისი სახელით ღებულობს ვალდებულებებს. გამოყოფენ კორპორაციებს, კვაზიკორპორაციებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, შინამეურნეობებს.

ორგანიზებაში;

– მოქალაქეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ გამოხატონ თავიანთი აზრი საზოგადოებრივ პრობლემებზე. მისი ორგანიზაციების საშუალებით მოქალაქეები აიძულებენ სახელმწიფოს პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობები;

– გარკვეული თვალსაზრისით, ასრულებს მაკონტროლებელ ფუნქციებს;

– დგას დემოკრატიული წესების დაცვის სადარაჯოზე;

– აქტიურად გამოდის როგორც ცალკეული პიროვნებების, ისე მოქალაქეთა ჯგუფების უფლებების დასაცავად;

– გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე: ახორციელებს სახელმწიფო და საერთაშორისო ვალდებულებების მონიტორინგს, მოითხოვს ამ ვალდებულებების შესრულებასა და ა.შ.

– საზოგადოებას უწევს იმ სოციალურ, საგანმანათლებლო, იურიდიულ, საინფორმაციო და ა.შ. ხასიათის მომსახურებას, რასაც, როგორც წესი, არ უზრუნველყოფს არც სახელმწიფო და არც ბიზნესი;

– აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ეთნიკურ და რასობრივ ნიადაგზე წარმოქნილი კონფლიქტების პრევენციასა და დაძაბულობის მოხსნაში. სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში „მესამე სექტორის“ მონაწილეობა ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და ურთიერთთანამშრომლობის მიღწევას.

ეკონომიკის „მესამე სექტორისა“ და საზოგადოებრივი სექტორის შემადგენელი ნაწილია სამოქალაქო საზოგადოება. იგი ნებაყოფილობით საწყისებზე შექმნილი, არასახელმწიფო დამოუკიდებელი, არაკომერციული, ადამიანის უფლებების დამცველი ასოციაციების ერთობლიობაა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს და თავისუფალია ხელისუფლებისა და ბიზნესის ზეწოლისაგან. იგი ხელისუფლების თანაბარუფლებიანი პარტნიორია სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში. სამოქალაქო საზოგადოება მაღალი სოციალური, მორალური, საზოგადოებრივი და კულტურული სტატუსის მქონე ფენომენია. იგი განვითარებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ ურთიერთობებზე დაფუძნებული, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, მაგრამ მასთან ურთიერთზემოქმედებაში მყოფი რთული სტრუქტურაა. სამოქალაქო საზოგადოება გამორიცხავს კომერციულ საქმიანობასა და ამ გზით სარგებლობის მიღებას. იგი დაფუძნებულია სოციალურ სოლიდარობაზე და უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოსთან ერთად სამეურნეო, სამართლებრივი, ეთნიკური, რელიგიური საკითხების განხილვაში, ხოლო არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეებს შორის სადავო საკითხების გადაჭრაში, რაც დამოუკიდებელი სასამართლოს პრეროგატივაა.

სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციებია:

1. სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების დაცვის საფუძველზე, გაკონტროლების გზით, პოლიტიკური ძალაუფლების შეკავება აბსოლუტური ბატონობისგან;

2. საზოგადოებრივი ურთიერთობების სტაბილიზაცია;

3. სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია და ბალანსის დაცვა;

4. კონსტიტუციური პრინციპების ცხოვრებაში დანერგვისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება;

5. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა;

6. პროექტის ჩარჩოებში გარემოს დაცვა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსებას ახორციელებს მრავალი სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ნაციონალური თუ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდები, კონკურსის საფუძველზე გამოცხადებული ისეთი პროექტების ჩარჩოებში, რომლებიც ეხება კონკრეტულ ქვეყანაში, ზემოთ განხილული სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციებისა და ამოცანების გარდა, განათლების სისტემის განვითარებას,* ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრასა და უკიდურესი სიღარიბის დაძლევას.** საქველმოქმედო ფონდები გამოყოფილი გრანტებით გარკვეულწილად მონაწილეობენ არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის მართვაში, ახორციელებენ მონიტორინგს, კურირებენ პროექტების რეალიზაციასა და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოება, თავისი არასახელმწიფო, არაკომერციული ორგანიზაციებითა და ასოციაციებით, წარმოადგენს „მესამე სექტორს“, რომელიც აერთიანებს არასამთავრო და საქველმოქმედო ორგანიზაციებს და, სახელმწიფო სექტროთან ერთად, წარმოადგენს საზოგადოებრივ სექტორს.

დაბოლოს, სოლიდარობა და მაღალი პასუხისმგებლობა ის ფასეულობებია, რომლებიც თან ახლავს არაკომერციული ორგანიზაციების – „მესამე სექტორის“ საქმიანობას.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის რთულ სისტემაში შემავალი ქვეყნის სოციალურ ორიენტირებულობის ამაღლებისკენ „მიპყრობილი“ საზოგადოებრივი სექტორი ყურად ღებას იპყრობს თავისი ორიგინალობით, სტრუქტურით, მიზნებითა და ამოცანებით. ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ჩამოყალიბდა მეცნიერების სრულიად ცალკე დარგად, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ასპექტით განხილვას, საკვანძო საკითხების გაშუქებას როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ დონეზე. ეს დროის მოთხოვნა და საზოგადოებრივი დაკვეთაა.

---

* მაგალითად, როკფელერის ფონდი აფინანსებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს მთელ მსოფლიოში. მსოფლიოში უმ სხვილესი საქველმოქმედო ფონდი „ბილა და მე ლინდი გრეი სი“ აფინანსებს ჯანდაცვის სფეროსა და სიღარიბეს თან ბრძოლის პრო ექტებს.

გამოყენებული და საორიენტაციო ლიტერატურა:

აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართ ველოში. „შრომები“. XI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013;

ასათიანი რ. კეთილდღეობის ეკონომიკის თანამედროვე მოდელები. „ეკონომისტი“, 2017, №1;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, გენეზისი. „ეკონომისტი“, 2016, №3;

ასათიანი რ. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2015;

ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;

ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწავლების აუცილე-ბლობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. „სოციალური ეკონომიკა“, 2014, №1;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და მისი განვითარების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქ ტიკული კონფერენციის მასალები. 28-29 ივნისი, 2013. თბილისი, 2013;

ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და მისი პრინცი პების რეალიზაციის არსებული მდგომარეობა საქართვე ლოში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2013, №12;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და სოციალური რე-ფორმები. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკო ნომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2008;

ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005;

ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4;

როუზენი ვ. საჯარო ფინანსები. თარგმანი ინგლისურიდან, თბილისი, 2007;

ჭითანავა ნ, თაკალანძე ლ. სოციალური ეკონომიკა. I ნაწილი. თბილისი, „ინოვაცია“, 2008;

Asatiani R. Study of Public Sector Economics as Necessary Condition of Social Orientation. “Bulletin of the Georgian Academy of Sciences”. Vol. 169, number 2, March-April, 2004;

Atkinson A. B., Stiglitz J. E. Lectures on public economics. 1980;

Coase R. The Problem of Social Cost. “Journal of Law and Economics”. Vol. 3, 1996;

Stiglitz J. E. Economics of the public sector. Second Edition. New York-London, “W.W. Nor-tonn & Company”, 1999;

Musgrave R. The Theory of Public Finance. New York, McGrow Hill, 1959;

Асатиани Р. Все ли отношения в рыночной экономике рыночны? “Российский экономический журнал”, 1993, № 7;

Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Перевод с английс¬ского. М., «Aca-demia», 1999.

Кеинс Дж. Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., “Прогресс”, 1978;

Занабворов В. С. Теория государственных финансов. М., ИД ГУ ВШЭ, 2006;

Зенков М. Ю. Зарубежный опыт управления: государственная служ¬ба. Новосибирск, 2014.

Ринквист М. Об общественном секторе: что он дает и что берет. Стокгольм, 1995;

Стиглиц Дж. Ю. Экономика государственного сектора. Пере¬вод с английского. М., «издательство московского универ¬си¬¬тета», “ИНФРА-М”, 1997;

Юрьева Т.В. Социальная экономика. Учебник. М., “Дрофа”, 2001;

Якобсон П. Экономика общественного сектора. Под ред. Жильцова Е. Н. Лафея Ж. Д. М., «Аспект пресс», 2000.

Prerequisites, Subject, Goals and Objectives of the Origin of Public Sector Economics

Rozeta Asatiani
Doctor of economic science, Professor

Public sector economics is a comparatively new branch of economic theory and at the same time it is also an academic discipline which is successfully taught at European universities. The in-troduction of the public sector economics into the university education is dictates of time and also objective necessity. Besides this, it is a response to the events developing in the world and national order because it studies topical issues of socially oriented market economy. This paper is devoted to such interesting theme.

ინკლუზიურად ორიენტირებული ეკონომიკის ლაბირინთები

ნიკა შენგელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს წევრი
ტელ: 579 481001
E-mail: nikash@mail.ru

სტატიაში დასმულია მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობით საქართველოს ეკონომიკური ზრდის საკითხი.

სტატიაში განხილულია მისი რამდენიმე შემადგენელი,კერძოდ:

1. *ინკლუზიურ ზრდაზე ორიენტირებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“;*
2. *საბანკო სექტორი საქართველოში;*
3. *საბანკო და არასაბანკო ბიზნესელიტა;*
4. *საბანკო სექტორის არაპროფილური საქმიანობა,როგორც ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი;*
5. *ვალუტის კურსის მდგომარეობა;*
6. *დასკვნები და რეკომენდაციები.*

თითოეული საკითხის შიგნით განხილულია საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და მოცემულია მის გაუმჯობესების წინადადებები. განსაკუთრებით კრიტიკულად არის გადმოცემული კომერციული ბანკების სპეკულაციური საქმიანობა, ეროვნული ბანკისა და საერთოდ, ქვეყნის მთავრობის უმოქმედობა ამ სფეროში.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური ზრდა, სპეკულაცია, საფინანსო სექტორი, დომინირებული მდგომარეობა, არაპროფილური საქმიანობა.

1. ინკლუზიურ ზრდაზე ორიენტირებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა გულისხმობს დოვლათის შექმნასა და განაწილებაში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას. ინკლუზიური ზრდის მიზანი პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობაა. ასეთი ზრდა სასურველია იმით, რომ საერთო ეკონომიკის ზრდის ფონზე მოხდება უთანასწორობის შედარებითი გათანაბრება და დაძლეული იქნება არასასურველი სიღარიბე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების "სტრატეგია 2020"-ში სწორედ, რომ "ინკლუზიური ზრდის" პარადიგმაა აქტუალური.[1]

ცხადზე ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდა უდავოდ აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, მაგრამ იმისათვის, რომ ზრდა იყოს მდგრადი მან უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის მ.შ ღარიბთა ფენის ფართო ჩართულობა ზრდის პროცესში. ინკლუზიური ზრდა გულისხმობს ღარიბთა პირობების გაუმჯობესებას არა აქტივების გადანაწილების პოლიტიკით, არამედ მათი ჩართულობით ეკონომიკურ აქტივობაში.

ბოლო ათწლეულში ჩვენ გვაქვს მცირედი, მაგრამ მაინც ეკონომიკური ზრდა,თუმცა მიუხედავად ამისა, სიღარიბე და უთანასწორობა არ შემცირებულა. ასეთი ვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ ზრდას აუცილებად შეუშლის ხელს. ეს მოსაზრება, რომ ასე მოხდება უკავშირდება კრედიტის ბაზარს. როგორც წესი ყოველი ეკონომიკური აქტივობა მოითხოვს კრედიტს, კრედიტს კი ესაჭიროება მატერიალური უზრუნველყოფა. ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს საკმარისი აქტივები,ისინი ვერც კრედიტს იღებენ ბიზნესის დასაწყებად და ვერც სპეციალური განათლებას - აი, სწორედ ეს იწვევს ფართო მასების ნაკლებ ჩართულობას ეკონომიკური პროდუქციის შექმნაში და შესაბამისდ ნაკლებ ეკონომიკურ ზრდასაც. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოს გამოცდილებას ამ მხრივ, ყველაზე სწორი სტრატეგია უთანასწორების შესამცირებლად და მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად არის მწარმოებლური აქტივების ზრდა. ეს კი მიიღწევა აქტივების დაგროვებით, როგორიცაა მაგალითად ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში. ინკლუზიური ზრდის მთავარი პოსტულატი სწორედ პროდუქტიული დასაქმების

ᲖᲠᲓᲐᲐ და ასევე ისეთ სოციალური პოლიტიკა, რომლიც ხელს შეუწყობს წარმოების ფაქტორთა ფართო ჩართულობას ზრდაში.[1]

მოდით ახლა გადავხედოთ რა ხდება საქართველოში ამ კუთხით.

1) თუ ვისაუბრებთ დასაქმებაზე - დავინახავთ, რომ სახელმწიფო სამთავრობო სტრუქტურებში,რომლებსაც ევალებათ ქვეყნის მართვა რათა უკეთესი ცხოვრება მოგვიწყონ, ამ ფონზე მცოდნე ადამიანისეული რესურსი გამოუყენებელია და ნეპოტიზმის მაღალი ხარისხის გამო სახელმწიფო სტრუქტურებში ძირითადად დასაქმებულია გამოუცდელი და უცოდინარი ადამიანები.

2) თუ გვინდა ძირითადად თვითდასაქმების ხარჯზე შევქმნათ ეკონომიკური პროდუქცია , შევამციროთ უთანასწორობის ზღვარი და მოვახდინოთ ეკონომიკური ზრდა,როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მივდივართ საკრედიტო რესურსებამდე. გავაშუქოთ რა ხდება ამ კუთხით, და სად ვართ ჩვენი საბანკო სისტემით, სამევახშეო საბანკო ოლიგოპოლიის მიერ არაპროფილური საქმიანობითა და სხვა სეგმენტებში არსებული ოლიგოპოლიური სიტუაციებით.

სანამ ძირითადი საკითხებზე გადავიდოდეთ და დასკვნას ჩამოვაყალიბებდეთ, მოდით მოკლედ გავიაროთ საქართველოს საინვესტიციო გარემო 1990 იან წლებამდე 1990 – 2000 წლებში და 2000 წლის შემდგომი პერიოდში.

1975 წლამდე დაბადებული საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დღემდე იხსენებს 1990 წლებამდე არსებულ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ მაშინ კარგად ცხოვრობდნენ. თუ შევადარებთ მაშინდელ მშპ-ს, რომელიც 37 მილიარდ დოლარამდე იყო, ხოლო მოსახლეობა 5 მილიონზე მეტი, ახლა გვაქვს 14,5 მილიარდამდე და მოსახლეობა 3 720 000 მდე ადამიანი. ცხადია მშპ სადღაც 2,5 ჯერ ნაკლებია. გარდა ამისა 1990 წლამდე პერიოდში დასაქმებული იყო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი და საშუალო ფენაც არსებობდა.

სხვათა შორის ამ პერიოდში საქართველოში, სხვა ყოფილი სსრკ რესპუბლიკების ქვეყნებთან შედარებით ცხოვრების დონე შედარებით მაღალი იყო, თუმცა გარკვეული პოლიტიკურ -ეკონომიკური მოვლენების გამო და არასწორად გადადგმული გადაწყვეტილებების შედეგი სახეზე გვაქვს.

დღეისათვის შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დავეწიოთ თუნდაც ყოფილი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ეკონომიკას, სჭიროა ეკონომიკური ზრდა 5%-იანის ნაცვლად მინიმუმ ორნიშნულიანი ციფრი მაინც უნდა იყოს. (აღნიშნული ქვეყნები შედარებისათვის მოგვყავს იმის გამო, რომ იმ პერიოდში ერთ სივრცეში ვცხოვრობდით, რომელსაც სახელად სსრკ ერქვა და ეროვნულ განმანთავისუფლებელი პირველი ტალღაც ამ ქვეყნებიდან წამოვიდა).[18] [2ბ]

ამ პერიოდში ძირითადი საინვესტიციო აქტივობა უცხოელი ინვესტორის მიერ აისახებოდა ცალკეული დარგებით დაინტერესებაში ,ამ წლებში შემოსული უცხოური ინვესტიციები ძირითადად ტრანსპორტის სექტორზე ნაწილდებოდა, რომელშიც ძირითადი წილი კვლავ ნავთობისა და გაზსადენის მშენებლობაზე მოდიოდა.[2]

საინვესტიციო პროგრამების გააქტიურება საქართველოში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეინიშნება. ეს ის პერიოდია, როდესაც პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფინანსური სიტუაცია მცირედით დასტაბილურდა, ინვესტორები ინტერესი ძირითადად მოდიოდა ისეთ პროექტებზე, სადაც გარანტორადსახელმწიფოგამოდიოდა.ამპერიოდში ხორციელდება ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის ტერმინალის მშენებლობა. 1998 წელს საქართველოში უცხოურმა ინვესტიციებმა იმ დროისათვის მაღალ მაჩვენებელს, 265 მილიონ დოლარს მიაღწია.

საინვესტიციო აქტივობამ საქართველოში ახალი ტემპებით იჩინა თავი 2003-2004 წლებში, ამ დროისათვის კი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 500 მილიონ დოლარს მიაღწია.

ამ პერიოდში საქართველოს საინვესტიციო გარემოს შეფასებას სხვადასხვა უცხოური ორგანიზაცია აწარმოებდა. მათ შორის ამერიკის სავაჭრო პალატის საინვესტიციო და საგადასახადო კომიტეტი .საქართველოს საინვესტიციო რეიტინგის ანალიტიკური შეფასება 2005 წლისათვის, მოცემული აქვს, აგრეთვე, სარეიტინგო სააგენტო Standard poor's , რომელიც თავის ანგარიშებში ქვეყნების საინვესტიციო გარემოს შეფასებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკრედიტო რეიტინგისა და სახელმწიფო ვალის მოცულობას.[2ა]

რეიტინგის მიხედვით საქართველოს იმ პერიოდში მიენიჭა B+ პოზიტიური საკრედიტო რეიტინგი. ცოტა მოგვიანებით 2011 წელს "საერთაშორისო სააგენტო fitch -მა საქართველოს სუვერენული რეიტინგის პროგნოზი „"სტაბილური" დან "პოზიტიურით" შეუცვალა და ისევ B+ ით განსაზღვრა, თან აღნიშნა ,რომ ქართულ ეკონომიკაში შეინიშნება დადებითი ტენდენციები და თუ მომავალშიც ასე გააგრძელა, რეიტინგს მომავალშიც აუცილებლად გაუზრდის" {5}

საერთოდ , საკრედიტო რეიტინგის ორი BB დან სამ BBB მდე გადასვლა საქართველოში ამერიკული და ევროპული საპენსიო ფონდების ინვესტიციების მოზიდვას უზრუნველყოფს. სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესება, ანუ ინვესტორების ნდობის გაზრდა შესაძლებელია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობითა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით. ხოლო BBB+ საკრედიტო რეიტინგი უფრო უკეთეს, ანუ ზომიერ რისკს და საკმარისად კრედიტუნარიან პირველ საფეხურს ნიშნავს. (თუმცა ამ დონის მიღწევამდე კიდევ ბევრია გასაკეთებელი)

ცნობისათვის "2009-2011 წლების განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ევროზონის ქვეყნების სუვერენულ რეიტინგებში. 2000 წლიდან მოყოლებული აღნიშნული საკრედიტო

რეიტინგების ცვლილებები სამ ფაზად შეგვიძლია გავყოთ: პირველი ფაზა, 90-იანი წლებიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე სუვერენული რეიტინგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მეორე ფაზა, 2009 წლამდე სტაბილური პერიოდი მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, მესამე ეტაპი მასიური რეიტინგების დაქვეითება ფინანსური კრიზისის პერიოდში. მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა თანამედროვე ფინანსურ სისტემაში საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. დროთა განმავლობაში, კაპიტალის ბაზრების ზრდასთან ერთად, სააგენტოების სარეიტინგო შეფასებებისადმი ნდობა გაიზარდა და საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები გადაიქცნენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად ინვესტორების მოლოდინების ჩამოყალიბების პროცესში."[20]

2013 წელს შემუშავებული იქნა საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია და იგი მოიცავს 2014-2020 წლებს. აღნიშნული კონცეფციით სტრატეგიის ამოცანაა 2020 წლისათვის მიღწეული იქნას შემდეგი მაჩვენებლები: ა) მშპ ერთ სულ მოსახლეზე 8500$; ბ) მშპ-ს ზრდა 7%; გ) ჯინის კოეფიციენტი 0,4.

აღნიშნული „ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ინკლუზიურ ზრდაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას ისე, რომ პროცესში მონაწილეობას იღებს მაქსიმალურად საზოგადოების ყველა წევრი".{2ა}

დაისახა სტრატეგიული ამოცანები და მათი გადაჭრის გზები, რომლიდანაც გამოვყოფდი შემდეგს:

1) ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, სადაც მითითებულია, რომ მთავრობა ვალდებულია ხელი შეუწყოს ბიზნესს, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

2) ბიზნესგარემოს გაუმჯობესება-აღნიშნული ამოცანის გადაჭრის გზებიდან ყურადღებას გავამახვილებ შემდეგზე;

ა) შენარჩუნდეს მცურავი სავალუტო კურსი;

ბ) სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ამაღლდეს (BB-)-დან (BBB)-მდე. ქვეყნის სუვერენული რეიტინგი განაპირობებს ფინანსური რესურსის ფასს და ასევე ინვესტორების ნდობას ქვეყნის ბიზნეს კლიმატის მიმართ.

გ) მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დახვეწა.

დ) ჩამოყალიბდეს კონკურენციის რეგულირების ეფექტური პოლიტიკა.

ამ პოლიტიკაში ჩაწერილი უნდა იყოს, რომ სახელმწიფომ ეფექტურად უნდა ებრძოლოს კონკურენციის შემზღუდველ ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა კარტელური გარიგებები და დემპინგი, მეორეს მხრივ, მან არ შეუშალოს ხელი ბაზრიდან სუსტი კონკურენტების გაქრობას ან განდევნას, (როდესაც ეს პროცესი მიმდინარეობს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში). თავად პოლიტიკის რეალიზაციის ფარგლებშიც არ უნდა მოხდეს ბაზრის ძლიერი მოთამაშეების წინააღმდეგ რაიმე ტიპის ქმედებების განხორციელება მხოლოდ იმის გამო ,რომ მათ უკავიათ დომინირებული მდგომარეობა.

ე) განვითარდეს კაპიტალის ბაზრი.

დაფინანსების ალტერნატიული წყაროს გაჩენისათვის აუცილებელია კაპიტალის ბაზრის თანმიმდევრული განვითარება. სარეიტინგო კომპანიების მოზიდვა და საფონდო ბირჟის განვითარება, რომლის განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა ,რომელიც კომპანიებს შეუქმნის პირობებს, განათავსონ ფასიანი ქაღალდები ბირჟაზე.[3]

2. საბანკო სექტორი საქართველოში

ვნახოთ ზემოთ მოყვანილი სტრატეგიის მიზნების მისაღწევად რა მდგომარეობაშია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების „ხერხემალი" - საბანკო სექტორი. და რა განაპირობებს საბანკო სექტორის რეკორდულ მოგებას.

საქართველოს საბანკო სექტორი, მომგებიანობის თვალსაზრისით ევროპაში ლიდერთა შორისაა. მომგებიანობის თვალსაზრისით საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქვეყნებს ბანკების ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებს. ეს მაჩვენებლებია: მომგებიანობა აქტივებზე და მომგებიანობა კაპიტალზე. კაპიტალზე მომგებიანობის მიხედვით ჩვენი საბანკო სექტორი მესამე ადგილზეა ევროპაში, ხოლო აქტივების მომგებიანობის მიხედვით ევროპაში მეორე ადგილზე და მსოფლიოში მე 18 ადგილზე.

საბანკო სექტორის მომგებიანობის მატება 2013 წლიდან დაიწყო და იგი 2012 წელთან შედარებით 2,5 ჯერ გაიზარდა.მომგებიანობის ასეთი ზრდა მოხდა არა ბიზნესის დაკრედიტების,არამედ საცალო სექტორისა და შინამეურნეობრივი მაღალ პროცენტიანი დაკრედიტების ხარჯზე. (ტელეფონი, მანქანა, ბინა, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვა ანუ ყველაფერი გარდა საქმისა, ბიზნესისა)

გერმანიის განვითარების ბანკის მიერ წარმოებული კვლევის დოკუმენტში წერია: "საქართველოს საბანკო სექტორს მცირედი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ზრდაში,იგი აფინანსებს მოხმარებას და ივიწყებს მცირე და საშუალო ბიზნესს" (ეს ჯერ კიდევ 2005 წელს აღინიშნა).

საბანკო სექტორის მოგება ძირითად განპირობებულია: სახაზინო ობლიგაციების რეკორდული ზრდით. სახელმწიფო ბიუჯეტი კომერციული ბანკებიდან სესხულობს საკმაოდ ძვირად თანხებს (31 იანვრის მონაცემებით 2 მილიარდ 185 მილიონია) და ბოლო ხანებში ლარის დევალვაციითა და მერყეობის დიდი ამპლიტუდებით შოულობს ასევე კოლოსალურ თანხებს. 2017 წლის პირველი კვარტალში , მარტო კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი 58 000 000 ლარამდე ფიქსირდება.

2017 წლის 1 კვარტლის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მოგება წინა წლის

ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2,3 ჯერ 135% ით გაიზარდა. მარტო ბოლო სამ თვეში ჯარიმების სახით, ბანკებმა მოსახლეობას და კომპანიებს 21 000 000 ლარზე მეტი გამოართვეს.[15]

კომერციული ბანკები ყველაზე დიდ შემოსავალს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან (365 მილიონამდე ლარი) და არაპროცენტული შემოსავლებიდან (424 მილიონი ლარი) იღებენ. ყველაზე მცირე მოგებას ღებულიბენ იურიდიული პირებზე გაცემული სესხებიდან (214 მილიონამდე). [24]

სწორად რეგულირებული საბანკო სისტემის შემთხვევაში ეროვნული ბანკი ძალიან ნაკლებად უნდა ერეოდეს კურსის დადგენაში, რეალურად მთავრობა და ეროვნული ბანკი მძევალია რამოდენიმე კომერციული ბანკის და ბლუმბერგის ტერმინალში 2-3 ბანკის მხრიდან ბუნდოვანი ლოტებით ვაჭრობისას, სადაც მეტწილად მათ ნება სურვილზეა დამოკიდებული ვალუტის კურსის დიდ დიაპაზონში მერყეობა - ალბათობა იმისა, რომ კურსის დადგენაში სპეკულაციური მომენტებია , ძალიან მაღალია. ასეთ შემთხვევაში ნამდვილად ვერ ვიტყვით ეროვნულ ბანკზე ,რომ ის ხელს უწყობს მცურავი სავალუტო კურსის შენარჩუნებას.

აქტუალური განსჯის თემა ხდება დღეს, ბანკების არაპროფილური სქმიანობის შესახებ საკითხიც.

აქ საუბარი გვაქვს ბანკების მიერ ისეთ ბიზნესში შესვლასთან როგორებიცაა: საამშენებლო ბიზნესი და დეველოპმენტი, სადაზღვევო ბიზნესი,მიკროსაფინანსო სექტორი, საცალო სავაჭრო ქსელები, სამედიცინო ბიზნესი, საბროკერო საქმე და ქიმიური მრეწველობის საწარმოები.

ფორმალურად უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბანკებისათვის არაპროფილური საქმიანობა შეზღუდულია, "სებ" ის წერილის საფუძველზე, მათ არაპროფილური საქმიანობისათვის მკაცრი რეგლამენტიზაცია აქვთ დადგენილი და ეს წერილობითი მითითება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ბანკისათვის.

ამ წერილით ფაქტიურად, უშულოდ ბანკებს აეკრძალათ ბიზნესის სხვადასხვა სფეროში შესვლა და რაიმე მარკეტინგული ნაბიჯების გადადგმა. თუმცა ჯერ ეს შესწორება კანონში „კომერციული ბანკების შესახებ" არ შესულა.

ფორმალურად თითქოს ეს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ არავის არ შეუზღუდავს ამ კუთხით და აკრძალვა არ გავრცელდა საბანკო ჯგუფებზე და ბანკთან აფილირებულ პირებზე ისეთებზე როგორებიცაა: ბანკის მფლობელები, ტოპ მენეჯერები ან ბანკის ბორდის სხვა წევრები.ამით მოინახა გამოსავალი თუ როგორ შეენარჩუნებინათ სხვა არაპროფილურ ბიზნესზე თავიანთი გავლენები და შესაბამისად ბიზნესები გადაფორმდა ბანკებთან აფილირებულ პირებზე.[4]

3. საბანკო და არასაბანკო ბიზნეს ელიტა

არასაბანკო ბიზნესელიტა, ბანკების ბიზნეს ელიტისაგან განსხვავებით საკმაოდ სუსტია და დაქსაქსულია, საბანკო ბიზნეს ელიტას აქვს საკმაოდ კოორდინირებული მოქმედების უნარი,საერთო ინტერესების შემთხვევაში გააკეთონ მობილიზაცია, მათ შეწევთ უნარი თავიანთი ლობის საშუალებით სახელმწიფო სტრუქტურებში და საკანონმდებლო ორგანოებში მიიღონ მათთთვის ხელსაყრელი კანონპროექტი და სხვა პრივილეგიები. საბანკო სფეროში მოქცეული დიდძალი ფინანსები, ბანკებთან აფილირებული პირების საშუალებით მიემართება არაპროფილურ ბიზნესში,იშორებენ კონკურენტებს და ხდებიან მონოპოლისტები ბაზარზე.[4] სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი წინააღმდეგი ვართ იმ საკადრო პოლიტიკით,რასაც საბანკო სფეროდან კადრების სახელწიფო სამსახურში გადმოდინება ქვია. ასეთ კადრებს სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გააჩნია, მათი გონება მიმართულია საბანკო სისტემა ამყოფოს პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მიაღებინოს ზე მოგებები, რომლებსაც შემდგომ გარკვეული ხილული თუ ფარული ხერხებით გადაინაწილებენ. სწორედ ასეთი მდგომარეობაა დღეს საქართველოს საბანკო სფეროში.

ბანკების არაპროფილური საქმიანობის შედეგად შექმნილი კომპანიების საქმიანობის შედეგი, მათ მიერ დაწესებული მონოპოლიური ფასები სახეზეა, მაგალითისათვის გინდათ ავიღოთ სააფთიაქო ქსელი და საცალო გაყიდვებში წამლების ფასები. საქართველოში უმეტესობა წამალის ფასისა, რომ შევადარეთ რეგიონული ეკონომიკის სამეზობლო ქვეყნებში (უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი, სომხეთი) ანალოგიური მედიკამენტის ფასთან, ჩვენთან ფასი 80% დან 120% მდე უფრო მეტია ვიდრე მის ანალოგთან მეზობელ ქვეყნებში. ასეთ დროს წამლების მწარმოებელი კომპანია ერთი და იგივეა და განბაჟების მხრივ საქართველოში მედიკამენტებზე გადასახადი 0 % ია, იმ ქვეყნებს კი ასეთი პროცედურების ჩატარებისას, გარკვეული ბარიერები გააჩნიათ. მიუხედავად ამისა ფასები ჩვენთან კატასტროფულად მაღალია. გარდა არარეალური მაღალი ფასებისა, ასეთი ქმედება, ქვეყნიდან რაოდენობრივად 30% მდე მეტი ვალუტის გადინებას უწყობს ხელს.

ბანკების არაპროფილური საქმიანობის შედეგად გამოვლენილი უარყოფითი შედეგების გამოსწორებისათვის აუცილებელია სასწრაფოდ შევიდეს "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონში ცვლილება, რომელიც ბანკის ბორდის წევრებს, ტოპ-მენეჯერებსა და ყველა იმ ადამიანს თუ ჯგუფებს, აფილირებულ კომპანიებს, რომლებიც ამ საბანკო ინდუსტრიას მართავენ აეკრძალოთ ყველა სხვა არაპროფილური საქმიანობა გარდა საბანკოსი. ანუ, უნდა ამოივსოს ყველა ის ხვრელი, რომლითაც საბანკო სექტორი არასაბანკო სექტორში საქმიანობს.

ბანკების მხრიდან არაპროფილური საქმიანობის შედეგად პრობლემები ქონდათ დასავლეთის ქვეყნებსაც, მაგრამ იქ ასე თუ ისე მოგვარდა ეს საკითხები. მაგალითად აშშ ში 1928 წელს ასეთი

შეზღუდვების არქონამ გამოიწვია საყოველთაოდ ცნობილი კრიზისი. (სხვათა შორის მინდა ავღნიშნო ,რომ იმ პერიოდში აშშ- სათავეში პრეზიდენტიც რესპუბლიკელი იყო, სენატშიც რესპუბლიკელები იყვნენ უმრავლესობაში და გუბერნატორების უმრავლესობა რესპუბლიკელი იყო, როგორც ამჟამადაა აშშ , თანაც მაშინ სამჯერ მოახდინეს საპროცენტო განაკვეთის აწევა, იგივე დაანონსა ფსს-მ 2017 წლისათვის) ანუ ბანკებმა, რომელშიც შევიდა დეპოზიტების სახით მოსახლეობდან დიდძალი ფული, გადაწყვიტა ეს თანხა ჩაედო რისკიან აქტივებში, როგორებიცაა აქციები, უძრავი ქონება და სხვა. მაგრამ აქციებზე და კერძო საკუთრებაზე ფასების დაწევამ ეს თანხა გააქრო ,რომელმაც გამოიწვია უამრავი ბანკის გაკოტრება. ცოტა მოგვინებით 1933 წლიდან ამოქმედდა გლას- ტიგალის კანონი, რომელმაც გაამკაცრა საბანკო სფეროს რეგულირება და საბანკო სექტორს სასტიკად აეკრძალა არაპროფილური ბიზნეს საქმიანობები. მაგრამ ეს კანონი 1999 წელს ბილ კლინტონმა გააუქმა ,რის შედეგადაც სულ რაღაც 7 წელიწადში ამერიკა ახალმა ცნობილმა კრიზისმა მოიცვა. განმეორდა იგივე, ისევ დაიკარგა მეანაბრეების ფული, რის გამოც კომერციულ ბანკებს კვლავ აეკრძალათ არაპროფილური ბიზნესებისა და აქტივების ქონა.

90-იან წლებში საქართველოშიც იყო ამ კუთხით გარკვეული შეზღუდვები კომერციული ბანკების მიმართ,მაგრამ ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტენდენციის გაგრძელებამ გააუქმდა ეს შეზღუდვები და გარკვეული რეგულაციები. მოყოლებული ამ პერიოდიდან დღემდე ბანკები ცდილობენ თავიანთი ლობების დახმარებით თავს მოგვახვიონ , თავიანთ საკეთილდღეოდ მიღებული ახალ -ახალი კანონები და კანონებში ცვლილებები .

საბანკო სისტემის ასეთი გაფეტიშებული მდგომარეობა , მისი ოლიგოპოლიური სიტუაცია და არაპროფილური საქმიანობა, ხელს უშლის საქართველოში ეკონომიკის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას.

საერთოდ ოლიგოპოლია ეს ისეთი ეკონომიკური სიტუაციაა, როდესაც ბაზარზე მრავალი მომხმარებლის მოთხოვნას აკმაყოფილებს რამდენიმე სუბიექტი. ისინი აწარმოებენ ერთგვაროვან ან დიფერენცირებულ პროდუქტს;{7} საბანკო სისტმის ოლიგოპოლია გამოიხატება იმაში , რომ კანონის ძალით მხოლოდ მათ აქვთ ლიცენზია მოიზიდონ მოსახლეობიდან იაფად დეპოზიტებზე თანხები, პლიუს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდანაც ასევე მოიზიდონ იაფად ფულადი რესურსები და მერე ეს ძვირად გასცენ მოსახლეობაზე სესხებად. ისინი აკონტროლებან ყველა სესხის გამცემ საფინანსო დაწესებულებას. ამას ემატება ისიც,რომ თავად ერთვებიან არაპროფილურ ბიზნეს საქმიანობებში აფილირებული პირების საშუალებით, იქნება ეს სამშენებლო და სადაზღვევო კომპანიები. ფარმაცევტული ბიზნესი, ნავთობის იმპორტიორი კომპანიები, სარეკლამო ბიზნესი, მრეწველობის დარგები თუ სხვა ბიზნესი.[10]

4. საბანკო სექტორი და მათი არაპროფილური საქმიანობა - ეკონომიკის მუხრუჭი

საბანკო სისტემის ასეთი გაფეტიშებული მდგომარეობა როგორც უკვე ავღნიშნეთ , რეალურად არ უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას. იმის ნაცვლად, რომ მიიღონ მოსახლეობისაგან შეუზღუდავი რაოდენობის დეპოზიტი და შემდეგ ის გაცეს კრედიტის სახით ბიზნესზე და ამით ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, დასაქმებას, ამის ნაცვლად კომერციული ბანკები აფილირებული კომპანიების საშუალებით თავად შედიან სხვადასხვა არაპროფილურ ბიზნესში, აკოტრებენ კონკურენტებს რითაც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი არ იზრდება საქართველოს ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 2% - 4 % პროცენტია ბანკების მოგება კი წლიურად საშუალოდ 40 %-ით იზრდება. (გლობლური შიმშილის მიხედვით კი მსოფლიოში მე-18 ადგილზე ვართ.)

ბანკების არაპროფილური საქმიანობით, აფილირებული კომპანიების მართვის სტილი, რომელთა ტოპ მენეჯმენტში უმეტესად ბანკებიდან წამოსული კადრები არიან, მათი დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ არის საკმაოდ ცივი და ცალმხრივი, დაახლოებით ისეთი როგორც ბანკი ექცევა კლიენტს სასესხო კონტრაქტის გაფორმებისას. შეინიშნება სამსახურიდან თანამშრომლების დათხოვნები. ფორმალური ტენდერების ფონზე, საწარმოო ნედლეულის შესყიდვებს ახორციელებენ ნეპოტიზმის პრინციპებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ დაბალი ფასით შეთავაზებულ ნედლეულის შესყიდვას, მაინც მაღალ ფასებში ახორციელებს სხვა კომპანიიდან. კარგად აამოქმედეს „ქართული მენტალობით“ ბიზნესის კეთების სისტემა- “ქარხანა ჩემია და ვისაც მინდა იმას ვამუშავებ და რა ფასშიც მინდა იმ ფასში მოვახდენ შესყიდვებს“. [30]

არაკონკურენტუნარიანი, მაღალი ფასებით შეძენილი ნედლეულის შედეგად, წარმოებული პროდუქტის თვითღირებულება იზრდება და შემდეგ სახელმწიფოს თხოვენ დახმარებას, საწარმოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, გაზის ან ელექტროენერგიის ტარიფების დაწევაში უშუამდგომლონ შესაბამის კომპანიებთან. ცხადია ასეთი მიდგომებით მცირდება სამუშაო ადგილები და შესყიდვების პროცესიც ბუნდოვანი და გაუმჭირველეა.

კონკურენციის არ არსებობის სიტუაციაა ასევე სახელმწიფო ტენდერებსა და შესყიდვებშიც, შესყიდვების ძალიან დიდი წილი ხდება უტენდეროდ ყოველგვარი კონკურენციის გარეშე. 2015 წლის 1 ნოემბრიდან, მას შემდეგ რაც „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ“ შემოიღო გამარტივებული შესყიდვების წესი, გამარტივებული შესყიდვების წილი მთლიან შესყიდვებთან მიმართებაში 2014 წლიდან 32% დან 2016 წელს 37 % მდე გაიზარდა. სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა 4 (ოთხი) მილიარდ ლარზე მეტია და იგი დაახლოებით მთლიანი ბიუჯეტის 40%-ს შეადგენს. ანუ შეგვიძლია

ვთქვათ, რომ მთლიანი ბიუჯეტის ნახევარი მოდის სახელმწიფო შესყიდვებზე, სადაც კონკურენციული გარემო პრაქტიკულად არ არსებობს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სწორედ,რომ ნეპოტიზმის წყალობით გარკვეული ჯგუფების ,არსაიდან მოსული ადამიანების უცებ მილიონრებად გახდომა ესაა საფუძველი იმისა, რომ რეალურად მოსახლეობის 70% იმყოფება სიღარიბის ზღვარზე და მილიონზე მეტმა რეალურად დატოვა საქართველო და გადახვეწილია ემიგრაციაში.[26]

ყველაფერი ამის შემხედვარე სებ-ი, რომელსაც ევალება ამ მხრივ გაატაროს ქმედითი რეგულაციები, თუნდაც შეიტანოს " კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონში ცვლილება, რომ ბანკის ბორდის წევრებს, ტოპ მენეჯერებს აუკრძალოს არაპროფილური ბიზნესების ფლობა, იგი ჯერჯერობით ამ მხრივ რეალურ ნაბიჯებს არ დგავს ,პირიქით თავადაცაა ხელშემწყობი და/ან მსხვერპლი დომინანტი ბანკების.

მათი დომინანტობა თუ ოლიგონოპოლია გამოიხატება იმ დამდგარ შედეგებში როგორიცაა:

ა) მოსახლეობას არ აქვს სხვა ალტერნატივა, გარდა იმისსა, რომ თავისი დანაზოგი განათავსოს ანაბრის სახით ბანკში;

ბ) მცირე და საშუალო ბიზნესი მოკლებულია საშუალებებს დაკრეტიდება მიიღონ სხვა ფინანსური ინტიტუტებიდან გარდა საბანკო ოლიგოპოლიისა და თავად განსაჯეთ წლიური სავახშო 10-15 % იანი საპროცენტო განაკვეთის სესხებით რა ბიზნესი უნდა განვითარდეს?

გ) სახელმწიფო ფასიან ქაღალდების პირველად ბაზარზე პრივილეგირებული წვდომა კანონით აქვს საბანკო სექტორს, რასაც წარმატებით იყენებენ და დეპოზიტების სახით მოსახლეობიდან წლიურ 5-6 (% იან) მოზიდულ სახსრებს, თავად მინიმუმ 8-11 %-ში აბანდებენ სახელმწიფო ობლიგაციებსა და მოკლევადიან სახაზინო ვალდებულებებში.

დ) კომერციული ბანკები ხელს უშლიან კაპიტალის ბაზრის განვითარებას, სახაზინო სახლის ფუნქციები პრაქტიკულად შეთვსებული აქვს თავად ეროვნული ბანკს;

ასევე აღსანიშნავია საფონდო ბაზრის განუვითარებლობა,რომელიც კომპანიათა აქციებისა და კორპორაციული ობლიგაციების სიმცირითაა განპირობებული. ამას ემატება დანაზოგების მფლობელთა მხრიდან აღნიშნული ტიპის ფასიანი ქაღალდების არამიმზიდველობაც. დანაზოგის მფლობელს ურჩევნია, ფული ბანკში შეინახოს დეპოზიტის სახით, ან სხვა აქტივში ჩადოს, (მაგალითად – უძრავ ქონებაში).

იგივე ითქმის იურიდიულ პირებზეც. საქართველოში ხშირ შემთვევაში კომპანიებს აქციების გამოშვება-გაყიდვით ფინანსების მოზიდვას, ბანკთან ურთიერთობა ურჩევნია შემდეგ გარემოებათა გამო:

- საფონდო ბაზარზე შესვლა მოითხოვს გამჭვირვალობას და აღრიცხვიანობის მაღალ სტანდარტებს, აღნიშნული კი კომპანიისაგან მოითხოვს ფინანსურ და დროის დანახარჯებს.

- კომპანიებს საფონდო ბირჟის საქმიანობაზე აქვთ ცოდნის დეფიციტი;

- უმნიშვნელო მცირე წილის მფლობელი აქციონერების უფლებების დასაცავად საქართველოში არ არის სათანადო ინსტიტუციური ბაზა,(რომლის გაუმჯობესების აუცილებლობა ბიზნესის კეთების ინდექსის ბოლო ანგარიშშიც (Doing Business 2016) არის აღნიშნული." [19])

ე) მთავრობა, ფინანსთა სამინისტროს სხვადახსვა რეგულაციებით, გვიწესებს შეზღუდვებს ,უცხოური კომპანიიდან სესხის სახით მოზიდული რესურსის წლიური პროცენტის რაოდენობაზე.

მიუხედავათ ამ უპირატესობებისა, ვფიქრობთ მთავრობა და ეროვნული ბანკი კვლავ მზადაა საბანკო სისტემისა და მათი არაპროფილური საქმიანობის შედეგად შექმნილ კომპანიებს დამატებითი შემოსავლები გაუჩინოს და მოგება გაუზარდოს. აქ ვგულისხმობთ ესტონური მოდელს, რომელიც ეხება კომპანიების მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას, თუ ეს უკანასკნელი მოახდენს ამ თანხით რეინვესტირებას. აღნიშნული უკვე კანონის სახით მოქმედებაშია შესული.

როგორც მოგეხსენებათ, წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში, საშუალოდ მოგების გადასახადიდან დაახლოებით 600 მილიონ ლარამდე შედიოდა. ესტონური მოდელის შემოტანით ბიუჯეტმა ერთი შეხედვით დაკარგა ეს თანხა, თუმცა მთავრობის განმარტებით, ეს ყველაფერი გაკეთდა ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის კერძოდ იმისათვის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ფეხზე დადგეს და გაჩნდეს სამუშაო ადგილები.

იმის გამო, რომ ამ გადაწყვეტილებით ბიუჯეტი კარგავდა 600 მილიონ ლარს და მსოფლიო სავალუტო ფონდისათვის ვალი გასასტუმრებელი იყო, მთავრობამ აქციზი გაზარდა სიგარეტზე , საწვავზე და ავტომობილების იმპორტზე დააწესა აქციზი.

მოდით ვნახოთ ახლა ,ვინ ისარგებლებს ამ კანონით და ძირითადად რომელ კომპანიებში დაილექება ის თანხები ,რომელიც მოგების გადასახადის არსებობის შემთხვევაში უნდა ბიუჯეტში წასულიყო.

კომპანიები რომლებიც კოლოსალურ მოგებებზე არიან ესენია:

1) საფინანსო სექტორი (წარმოდგენილი 90% ბანკებით),2) სადაზღვევო კომპანიები, 3) ფარმაცევტული და ჰოსპიტალური ბიზნესი, 4)მიკროსაფინანსო ორგანიზაციები,5) საამშენებლო კომპანიები და დეველოპმენტი; 6) წყალგამანაწილებელი და ენერგოგამანაწილებელი კომპანიები და სხვა

ამ ჩამონათვალიდან 1-5 -ის ჩათვლით ,არიან ბანკები და ბაკების არაპროფილური ბიზნეს საქმიანობით შექმნილი ოლიგოპოლიური გიგანტი კომპანიები, რომელთაც წლის ბოლოს საშუალოდ ბიუჯეტში შექონდათ მთლიანი მოგების გადასახადის 50% ზე მეტი. რაც შეეხება წყალგამანაწილებელ და ელექტროგამანაწილებელი კომპანიების გათავისუფლებას მოგების

გადასახადიდან ეს კიდევ ერთი ნონსესია, რადგან ისინი ბუნებრივად იმყოფებიან მონოპოლიურ პოზიციებზე, მათკონკურენტი არა ყავთ.

ანუ რეალურად მთავრობამ , საბანკო სისტემასა და მის არაპროფილური ბიზნეს საქმიანობით შექმნილ კომპანიებს ჩაუტოვა მოგების გადასახადიდან ბიუჯეტში შესატანი მილიონები, რეალურად რა შეღავათიც დარჩება ამით მცირე და საშუალო მეწარმეობას ის ზღვაში წვეთია (მათი წილი მთლიან მოგების გადასახადში 25 % საც ვერ აღწევს) იმასთან შედარებით რაც დარჩება ბაზარზე არსებულ ოლიგოპოლიურ დაჯგუფებებს. მთავრობას, რეალურად მართლა რომ ნდომოდა მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარება მარტივად შეეძლო კომპანიების წლიური ბრუნვების მოცულობების მიხედვით, დაედგინა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გარკვეული საზღვრები და სწორედ ისინი გაეთავისუფლებინა გადასახადისაგან (ან წაეხალისებინა სხვა რაიმე ღონისძიებებით) და არ მოეცვა მთლიანად საფინანსო სექტორი, მისი არაპროფილური საქმიანობით შექმნილი ბიზნესი და თუნდაც ბუნებრივად მონოპოლიურ პირობებში მყოფი კომპანიები ,როგორებიცაა თელასი, წყლისა და გაზის გამანაწილებელი კომპანიები.

შედეგი ასეთი გადაწყვეტილების არის ის, რომ აღნიშნული კანონის მიღებამ გამოიწვია შემდეგი:

1) ბანკებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, მიკროსაფინანსოებმა და ბანკების მიერ არაპროფილური საქმიანობით შექმნილმა გოიგანტურმა საამშენებლო, ფარმაცევტულმა და სხვა ოლიგოპოლიურმა დაჯგუფებებმა ბიუჯეტში შესატანი თანხები, რეალურად ჩაიდეს ჯიბეში.

2)საწვავზე აქციზის მომატებით მოსახლეობას, გაგვიძვირდა საწვავი, რასაც მოყვა 15-25 % -ით პროდუქტების გაძვირება.

3) ინფლაციის მაჩვენებელი გაცდა თარგეთს და მასთან საბრძოლველად მარტო საპროცენტო განაკვეთების ზრდის ინსტრუმენტის გამოყენებით სასესხო კაპიტალის კვლავ გაძვირებას გამოიწვევს.

4) ყველაფერ ამას მოყვება ფასების ზრდა ტარიფებზე, გაზსა და ელექროენერგოაზე.

მოუხედავად იმისა, რომ 2017 წელის ბოლო 4 თვის მონაცემებით ფიქსირდება ეკონომიკის მცირე ,მაგრამ 5% იანი ზრდა, საქართველოს მოსახლეობა ამას ვერ იგრძნობს იმიტომ, რომ ეს დოვლათი მათზე არ ნაწილდება. ეკონომიკის ზრდის ლომის წილი, 60% ზე მეტი სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიებზე მოდის. ამის ძირითადი მიზეზი არის საქართველოს ბაზარზე სხვადასხვა სფეროში არსებული ოლიგოპოლიური სიტუაცია, სადაც დავიწყებასაა მიცემული კონკურენტუნარიანი გარემოსა და კონკურენციის ცნება. ამიტომ ეკონომიკური ზრდით შექმნილი დოვლათით სარგებლობს ერთეულები და მიედინება მხოლოდ მათ ჯიბეში. იგი არ ნაწილდება უმრავლესობისაკენ იმიტომ, რომ მატერიალური დოვლათის შემქმნელი და გადამანაწილებელი ბაზარზე არის არა ბაზრის უხილავი ხელი, არამედ იგი არსებული ოლიგოპოლიური სუბიექტების ხელშია მოქცეული.

დღეისათვის ნათლად შესამჩნევია, რომ ძირითადი სამუშაო ადგილების უმეტესობა, სადაც ბიზნესი და ფული კეთდება ხელში აქვს ჩაგდებული ოლიგოპოლიურ დაჯგუფებებს, ეს ისეთი დაჯგუფებებია, რომელთაც ბაზარზე ამა თუ იმ სექტორში, ხელეწიფებათ აწიონ ან დაწიონ ფასები ისე როგორც მათ სურს და აწყობთ .[27]

რეალური ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღებად საჭიროა რესურსების მოზიდვა და მოსახლეობის რეალური დასაქმება. სასიცოცხლოდ აუცილებელია ასი ათასობით სამუშაო ადგილის შექმნა და არა ის, რომ სებ ის მხრიდან კომერციული ბანკების ასეთ გაფეტიშებული მდგომარეობა და ხელშეწყობა. მთავრობამ, რომ გადაეფარა შექმნილი მდგომარეობა ბიზნესს, სასესხო კაპიტალის სხვა ალტერნატიული წყარო შეთავაზა და დაუპირისპირა პროექტი“ აწარმოე საქართველოში“ (50 მილიონიანი ბიუჯეტით რაც ჩვენი აზრით ძალიან ცოტაა, მაშინ როდესაც ბანკების მიერ შექმნილი აფილირებულ კომპანიებს სესხად გაცილებით მეტი სახსრები ეძლევა). „აწარმოე საქართველოში“ პროექტით გახსნილ საწარმოებში, მეტწილად ვხედავთ პოპულისტურ დასაქმებებს, რომლებიც რამდენიმე დღეში ან თვეებში იხურება. აღნიშნული პროექტი დაფინანსების მხრივ უპირატესობას აძლევს ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებას.

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი სავაჭრო სალდო არის უარყოფითი,მაქსიმალურად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ,რომ ასევე ვაწარმოოთ იმპორტშემცვლელი პროდუქცია და არ ვიყოთ გადართული, მხოლოდ საექსპორტოდ მოთხოვნადი პროდუქციის წარმოებაზე.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ეკონომიკურ კეთილდღეობას, საჭიროა იაფი ფულადი რესურსები, ამისათვის კი ქვეყანამ უნდა მიიღოს სარეიტინგო საინვესტიციო ქულა BBB+, ამ ეტაპზე კი, ბოლო მონაცემებით – “საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი “BB-“-ზე შეუნარჩუნა პროგნოზი – “სტაბილური”. სააგენტომ უცხოური და ადგილობრივი ვალუტის ბონდების რეიტინგი ასევე დაადასტურა BB- დონეზე. მოკლევადიანი რეიტინგი დადასტურდა „B” დონეზე“.[9][27]

5. ვალუტის კურსის მდგომარეობა (2017 წლის 16 ივნისის მდგომარეობით)

ვალუტის კურსის დროებით სტაბილიზაციაზე ,ამ ეტაპზე შიდა ფაქტორებიდან კარგად მოქმედებს 2017 წლის ბოლო ოთხ თვეში ემიგრანტების მხრიდან გადმორიცხული 400 მილიონამდე დოლარი, გასულ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ექსპორტის ზრდის დინამიკა და ასევე ბიუჯეტში თანხების მობილიზება სახეზე არსებული მისი სოლიდური ნაშთით. ლარის კურსზე დადებითად მოქმედებს გადაწყვეტილება 100000 დოლარამდე სესხები გაიცეს ლარებში. 2017 წლის აპრილის თვეში ლარში გაცემულმა სესხებმა მოიმატა, უცხოურ

ვალუტაში კი მოიკლო, აპრილის თვეში ასევე 139 მილიონი ლარით გაიზარდა ლარში განთავსებული დეპოზიტებიც. [17,18]

საგარეო ფაქტორებიდან გამოვყოფდი დოლარის ინდექსის დაცემას (14.06.2017 წლამდე მონაცემით იგი 97.50 იანი ნიშნულის ქვემოთ მდებარეობს) და იმ მშვიდ სიტუაციას რომელიც შეიქმნა ; საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, კერძოდ: VIX ინდექსის სწრაფი ზრდა მალევე შენელდა, ფუნდამენტალური ფაქტორები კვლავ ყურადღების ცენტრში ექცევა. როგორც წესი ,როდესაც "შიშის ინდექსის" მერყეობა შემცირებულია, ეს ბაზრებს გარკვეული დაძაბულობის რეჟიმში აყენებს ,დაწეული ინდექსი ინვესტორებისათვის ნიშნავს ,რომ ყველა დადებითი მოლოდინი რომელიც მოხდა ან შეიძლება მოხდეს მომავალში, უკვე შესულია მიმდინარე საბაზრო ფასებში. ხშირად ასეთ მდგომარეობას მალევე მოსდევს ხოლმე მერყეობის სწრაფი ზრდა. ამიტომ არ გაგვიკვირდეს, რომ ახლო მომავალში საფონდო და სავალუტო ბაზრებზე უნდა ველოდოთ სიტუაციის შეცვლას და ეს ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს.

ენერგომატარებლებზე ფასები დაეცა, მისი მაღალი ფასები ევროპაში ინფლაციის მაჩვენებლის ზრდის მიზეზად მიიჩნეოდა, ამიტომაც ეცბ-მ არ ჩათვალა საჭიროდ საპროცენტო განაკვეთის აწევა.ყურადღების ცენტრში უნდა გვქონდეს ასევე ყატარის მოვლენები, რომლებიც ნავთობის ფასებზე ზეგავლენას აუცილებლად მოახდენს, ნავთობზე ფასები დაეცა. არ გამოვრიცხავ თუ მისი ფასი ბარელზე თუ 43$ ჩამოცდა, იგი შეიძლება 38$ მდეც ჩამოვიდეს. ამიტომ დროის ნებისმიერი მომენტიდან მოსალოდნელია დოლარის მოულოდნელი გამყარება. სავალუტო ბაზრებზე ტრეიდერთა უმრავლესობა მზადაა დოლარის მასიური შესყიდვები ნებისმიერი მომენტიდან დაიწყონ.

აქვე ავღნიშნავ, რომ თუ ბიუჯეტის არათანაბარი ხარჯვა მოხდება და თან ამას ზემოთაღნიშნული სიმშვიდის დარღვევაც დაემატება, ასეთ შემთხვევაში ლარის კურსის მერყეობის საზღვრები საგრძნობლად გაიზრდება. თუმცა დროის გარკვეულ ერთეულში ლარის კურსის სწრაფი ცვლილების გამო, "თვით "ბლუმბერგის" სისტემაშიც, საერთაშორისო კლასიფიკაციით მიღებული სიმყარის ინდექსის მიხედვით, ლარი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ვალუტაა და მას ამ თვალსაზრისით სჯობნის როგორც თურქული ლირა, რუსული რუბლი, ისე აზერბაიჯანული მანათი, სომხური დრამი და უკრაინული გრივნაც კი". [6]

დომინანტი ბანკების მიერ, რომლებიც ბლუმბერგის დახურულ ტერმინალში ვაჭრობენ და კურსს ზემოთ-ქვემოთ დაარბენინებენ, ასეთი ქმედებით (და რომელიც ძალიან დიდ ეჭვს ბადებს სპეკულაციისას) საბანკო სისტემა, საკმაოდ კარგ მოგებას ნახულობს. ბოლო 3 თვის განმავლობაში მხოლოდ სპრედზე გაკეთებულმა მოგებამ 58 000 000 ლარს გადააჭარბა.{14} ეს თანხა პირდაპირ ამოცლილია როგორც მოსახლეობის ჯიბიდან ასევე საშუალო და მცირე ბიზნესს საბრუნავი კაპიტალიდან. ყველაფერ ამაზე კი სებ-ი როგორც რეგულატორი დუმს.

ლარის კურსის სტაბილიზაციისათვის, ასევე კარგი იქნება თუ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შესყიდვებს მოახდენს ტენდერებით და გამჭირვალედ, მაშინ როდესაც მთლიანი ბიუჯეტის თითქმის ნახევარი მოდის სახელმწიფო შესყიდვებზე სადაც კონკურენტული გარემო პრაქტიკულად არ არსებობს, ამას ემატება დომინანტი ბანკების ზემოთაღნიშნული ბუნდოვანი სავალუტო ვაჭრობები ბლუმბერგის დახურულ სისტემაში ამით მთავრობა და „სებ"-ი ორივე ერთად ხელს უწყობენ ლარის კურსის დიდ რყევებს, რომელიც მოსახლეობას და საშუალო ბიზნესს ნელ-ნელა აცლის საბრუნავ კაპიტალს.

ლარის კურსთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით იმ გერემოებას ,რაც საფინანსო ბაზრებზე 14 ივნისის შემდეგ განვითარდა, ვგულისხმობთ ფსს-ს მხრიდან მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას და საპროცენტო განაკვეთის 0,25 % -ით გაზრდას. ასევე მნიშვნელოვანია ის განცხადებებიც რაც ფსს-ს ხელმძღვანელობამ გააკეთა. მოკლედ მიმოვიხილოდ 14 ივნისამდე ბაზრებზე არსებული მდგომარეობა:

კერძოდ ფსს სხდომამდე აშშ დან საცალო გაყიდვათა მოცულობების, სამომხმარებლო და სამეწარმეო ფასთა ინდექსების სუსტი მაჩვენებლების გამოსვლამ , დოლარის შესუსტება გამოიწვია. საპროცენტო განაკვეთის ზრდას , ფსს ხელმძღვანელის მხრიდან მოყვა განხადებები, კერძოდ ფსს- მ დღის წესრიგიდან არ მოხსნა 2017 წელს საპროცენტო განაკვეთის გაზრდის საკითხი. ჯანეტ იელენმა ასევე გამოთქვა ვარაუდები: მშპ ს ზრდის, უმუშევართა რაოდენობისა და ინფლაციის შემცირების შესახებ. ამ განცხადებებიდან გამომდინარე, დოლარმა გამყარება დაიწყო თუმცა ტემპი მალევე შეაჩერა.

ამ ქმედების დაფიქსირება, უკვე ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ინვესტორები ბოლომდე მაინც არ ენდვნენ ფსს ხელმძღვანელის განცხადებას და ისინი კვლავ ყურადღებით დააკვირდებიან აშშ-დან ეკონომიკური მაჩვენებლების გამოსვლას.

რაც შეეხება ქართულ ლარს, სავარაუდოდ 2,40 იანი ნიშნული მხარდაჭერის დონეს ივნისის ბოლომდე შეინარჩუნებს. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ვალუტის შემოდინება გარდა ემიგრანტებისა ამ პერიოდში ასევე ტურისტების მხრიდანაც აქტიურად ხდება, ბიუჯეტი სანიმუშოდ სრულდება, ექსპორტი წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მატულობს, საგარეო ფაქტორების მხრიდან ზეწოლის ზემოთაღნიშნული ფაქტორი ჯერჯერობით ლარის კურსის საგრძნობ შესუსტებას ვერ მოახერხებს. თუმცა ტექნიკური ანალიზის გათვალისწინებით, თვის ბოლომდე ლარის მაქსიმალური რყევისათვის განვიხილავთ [2.4100-2.4500] შუალედს.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ,რომ საყურადრებოა ასევე ის გარემოებაც ,რომ ფსს-მ გადაწყვეტილება

მიიღო სარეზერვო ბალანსის შემცირების შესახებაც, რითაც ბაზრებზე სიმშვიდე დაირღვა და ტუბულენტობა გაზარდა. ცნობილი ინდექსები როგორებიცაა: DOW30, SP500(F), DAX,FTSE100, PTC, MMBБ დაცემა დაიწყო.

ფსს-მ მიიღო გადაწყვეტილება რეზერვების ბალანსის შემცირებაზე 4,2 ტრილიონიდან 2,5 ტრილიონ დოლარამდე, რაც საკმარისად ჩათვალა საბანკო სისტემის ლიკვიდურობის შეასანარჩუნებლად. ბალანსის შემცირება მოხდება გადახდებზე რეფინანსირების შეწყვეტით ანუ ის ინსტრუმენტები რაც ფსს-ს ბალანსზე აქვს ნელ-ნელა დაიფარება რეინვესტირების გარეშე, თვეში 10 მილიარდის ოდენობით.

დოლარის მოცულობის შემცირება საფონდო ბაზრებისათვის ერთგვარ გამოწვევად რჩება. საფონდო ინდექსების კლების გაგრძელდებას ,მოკლევადიან პერიოდში სავარაუდოდ ევროს კურსის ზრდა მოყვება.

აღნიშნული ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ 25 მაისიდან მოყოლებული, თუ დააკვირდებოდით ფიუჩერსულ კონტრაქტებზე, მსხვილი ინვესტორები გრძელ პოზიციებს ხურავდნენ. სწორედ ეს მსხვილი ინვესტორები იყვნენ ბოლო 2 თვის განმავლობაში ევროს შემსყიდველები. აღნიშნული პროცესები დაიწყო მარტის ფსს-ს სხდომის შემდეგ.

ვინაიდან ამ პერიოდში ევრომ ფონდირების ფუნქცია შეასრულა,ის შეიძლება ოდნავადაც გამყარდეს, თუმცა იმ ფონზე როდესაც დოლარის მოცულობაში შემცირება უკვე გადაწყდა და დაიწყება კიდეც, იგი როგორც ფონდირების ძირითადი ვალლუტა ევროსთან და იაპონურ იენასთან მიმართებაში აუცილებლად გამყარდება.(ანალოგიური მოხდა 2015 წლის ოქტომბერში),როდესაც საფონდო ინდექსების ვარდნის ფონზე აშშ დოლარი სწრაფად გამყარდა, როგორც ფონდირების ვალუტა.

თუ კი საფონდო ინდექსების დაცემა ამ მოკლევადიან პერიოდში არ შეჩერდა, სავარაუდოდ DX 99 დონიან ნიშნულს გადაკვეთს ,ეს უკვე ლარის კურსზე ძლიერ ზეწოლას გამოიწვევს და სტაბილიზაციის ნაცვლად მისი მორიგი დევალვაციის მხილველიც შეიძლება გავხდეთ.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც ინკლუზიურ ზრდაზეა ორიენტირებული და რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას ისე, რომ პროცესში მონაწილეობას იღებდეს მაქსიმალურად საზოგადოების ყველა წევრი, ასეთი საბანკო სისტემით, მისი სამევახშეო კაპიტალით, ბანკების არაპროფილური საქმიანობით, სხვადასხვა დარგებში და ოლიგოპოლიური ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობით ჯერ-ჯერობით, სტარტიდან 3 წლისა და 5 თვის თავზე მიყვანილია შემდეგ მდგომარეობამდე :

ა) რეალურად სამუშაო ადგილების ზრდა არ შეინიშნება. ამას ადასტურებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია, რომ "2016 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 16 700 კაცით (1%-ით) შემცირდა და 1 763 ათასი შეადგინა. თუმცა, 6500 კაცით შემცირდა უმუშევართა რაოდენობაც. შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა) შემცირებითაა განპირობებული.

დასაქმებულებს შორის შემცირდა, როგორც დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა (8 100 კაცით), ასევე თვითდასაქმებულთა რაოდენობა (7 200 კაცით). 2016 წელს დაქირავებით 745.4 ათასი კაცი იყო დასაქმებული, ხოლო თვითდასაქმებული 1 011 ათასი იყო.

უმუშევრობის დონემ 11.8% შეადგინა. 2016 წელს უმუშევრობის დონე 12% იყო. დასაქმების დონე 59.7%-დან 59.5%-მდე შემცირდა.

დაახლოებით 5 000 კაცით გაიზარდა სამუშაო ძალის გარეთ არსებული მოსახლეობა და 963 ათაში შეადგინა. ეს არის მოსახლეობა, რომელიც სტატისტიკური მეთოდოლოგიის თანახმად არც დასაქმებულად ითვლება და არც უმუშევრად." [16]

ამ ოფიციალური სტატისტიკის იქით კარგად ვიცით, რომ ამ მხრივ რეალურად უფრო მძიმე მდგომარეობაა.

ბ) ჯერჯერობით ისევ არ ჩანს მთავრობის თვალსაჩინო მზაობა, ხელი შეუწყოს ბიზნესს და მის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. არის შემთხვევები, როდესაც ახლად დაარსებული ერთი თვემდე ისტორიის მქონე კომპანიები მილიონობით სესხებს იღებენ ბანკებიდან, სწორედ ასეთი კომპანიები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ ბანკების აფილირებულ პირებს.

გ) შენარჩუნდეს რეალური მცურავი სავალუტო კურსი- ამ მხრივ ვხედავთ, რომ ბლუმბერგის დახურულ სავაჭრო ტერმინალში ერთმანეთთან ძირითადად ვაჭრობს ორი დომინანტი ბანკი, გაურკვეველი ლოტებით. ვაჭრობის შედეგად დღის განმავლობაში ვხედავთ საკმაოდ საგრძნობ რყევებს, რის შედეგადაც დოლარის ყიდვა -გაყიდვის კურსთა შორის სხვაობით, ბოლო სამი თვის მონაცემებით მოსახლეობასა და საშუალო ბიზნესს ამოაცალეს 58 000 000 ლარზე მეტი. და ყველაფერ ამაზე როგორც ავღნიშნეთ კიდეც რეგულატორი „სებ"-ი დუმს. მაგალითისა და შედარებისთვის "რამდენიმე თვის წინ ამერიკაში ბანკებს 110 მილიარდი ჯარიმა გადაახდევინეს იპოთეკაზე მანიპულაციისთვის. ამასთან, 5.6 მილიარდი დოლარით დააჯარიმეს უდიდესი ბანკები ვალუტის კურსით მანიპულაციების გამო. საქართველოში კი, რეგულატორი ეროვნული ბანკი ლარის კურსით მანიპულაციას თითქოს ვერ ამჩნევს და აცხადებს, რომ ქვეყანაში მცურავი კურსი მოქმედებს." ცნობისათვის, ამერიკაში რეგულატორი არა მხოლოდ "დამსჯელი" ორგანოა, არამედ დაზარალებულ მომხმარებლებს ეხმარება ზიანის ანაზღაურებაში.[21] [22]

ასევე გვინდა ავღნიშნოთ, რომ "1998-2012 წლებში კომერციული ბანკების 15 წლიანი ჯამური წმინდა მოგება 780 მილიონი ლარია, 2013-2016 წლებში და 2017 წლის პირველ მესამედში საქართველოს ბანკების ჯამური წმინდა მოგება 2 მილიარდ 376 მილიონი ლარია".[29]

ამ გასამმაგებულ მოგებაში რომელსაც ბანკებმა მოყოლებული 2012 წლიდან მიაღწიეს ლომის წილი არასაპროცენტო შემოსავლებს უჭირავს, არასაპროცენტო შემოსავლების 60%-ზე მეტი კი სავალუტო სპეკულაციით მიღებული თანხებია, ის თანხები, რომელიც მევახშე ბანკებმა ვალუტის კურსის მანიპულირებით, სპრედის (სხვაობა ვალუტის ყიდვა-გაყიდვას შორის) სახით მოსახლეობას და მცირე და საშუალო ბიზნესს ამოაცალეს ჯიბიდან. ამის შემდეგ შეიძლება გვიკვირს თუ რატომაა უმუშევრობა ან რატომ ვერ ვითარდება საშუალო და მცირე ბიზნესი საქართველოში?

დ) სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დახვეწის კუთხით არის ბუნდოვანება და ნეპოტიზმი.

ყურადსაღებია „შესყიდვების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრის" მონაცემები, რომლის მიხედვით "არა გვაქს კარგი სიტუაცია. ძალიან დიდი წილი შესყიდვებისა ხორციელდება უტენდეროდ და ყოველგვარი კონკურენციის გარეშე. ამას ხელს უწყობს 2015 წლის 1 ნოემბრიდან "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" მიერ შემოღებული გამარტივებული შესყიდვების წესი.[26][30]

ამის შემხედვარე, საბანკო არაპროფილური საქმიანობით შექმნილ საწარმოებშიც, რომელთაც მართავენ აფილირებული პირები შესყიდვების პროცესში მაღალია ნეპოტიზმის გავლენა. ამის მაგალითები უამრავია, თუნდაც ამ ეტაპზე ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ დახარჯა ერთი მანქანის შეკეთებაზე სს "საპარტნიორო ფონდმა" 236 000 ლარი.[26]

ე) ნაკლებად შეინიშნება კონკურენციის რეგულირების პოლიტიკაში სახელმწიფოს ეფექტური როლი - კონკურენციის შემზღუდველ ისეთ ქმედებებში, როგორებიცაა: კარტელური გარიგებები, დემპინგი, მონოპოლიებისა და ბაზრებზე ოლიგოპოლიური სიტუაციების ჩამოყალიბებაში. ბაზარზე შექმნილია ვითარება, სადაც ცნება კონკურენცია ან კონკურენტული გარემოს არსებობა დავიწყებასაა მიცემული. ამ მხრივ შემაშფოთებელიცაა თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის ხელმძღვანელ პირთა განცხადება, რომელითაც სურთ საბანკო სექტორი შემცირდეს 5-6 ბანკამდე.[25]

ვ) ჯერჯერობით რეალურად და თვალსაჩინოდ არაფერი კეთდება დაფინანსების ალტერნატიული წყაროს გაჩენისათვის, კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის, რომელიც არის ერთადერთი საშუალება კომპანიების მხრიდან მოიზიდონ საჭირო ფულადი რესურსი გამოშვებული ობლიგაციებით ან აქციებით ,რომლებიც უნდა სწორედ კაპიტალის ბაზარმა გაიწოვოს და მოხდეს იქ მათი რეალიზაცია, თუმცა როგორც მოგეხსენებათ 2008 წლიდან მოყოლებული საფინანსო ბაზარის საკითხი საკანონმდებლო ორგანომ ბანკებს გადასცა. [10,19]

დღეისათვის ევროპასთან ასოცირებს ხელშეკრულება გვაძლევს შანსს" დავიხუროთ ევროპული ქუდი". ვიზალიბერალიზაცია ნიშნავს ,რომ ვართ კანდიდატები შემდგომი ინტეგრაციის. უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვაგვაროთ საფონდო ბაზრის განვითარების საკითხი საქართველოში. ვგულისხმობ იმას, რომ

"ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, მაქსიმუმ 7 წლის ვადაში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა ევროკავშირის დირექტივებს მიუსადაგოს. დირექტივების ძირითადი მოთხოვნები გარიგებებისა და ფასის გამჭვირვალობის ზრდას, ემიტენტების ფინანსურ ანგარიშგებასა და ინფორმაციის ღიაობას, ინვესტორთა თანაბარ პირობებში ჩაყენებას გულისხმობს". [19]

ზ) ოლიგოპოლიურმა საბანკო სისტემამ მიგვიყვანა იქამდე , რომ საქართველო ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის მიხედვით მსოფლიოში თურქეთის შემდეგ მეორე ადგილზეა{8},მთლიანი მოსახლეობის 64,8% სესხით სარგებლობს,[23] საქართველოს ეკონომიკური ზრდა ყოველწლიურად მცირდება ხოლო საბანკო სექტორისა და მისგან არაპროფილური საქმიანობით შობილი გიგანტი კომპანიების მოგება ყოველწლიურად 30%-40 % იზრდება და არნახულ მასშტაბებს აღწევს.

ასეთი საბანკო სისტემის შემთხვევაში, ეკონომიკის ზრდა 5 % ზე მეტიც, რომ იყოს, ეკონომიკაში წარმოებული დოვლათი მოსახლეობაზე ვერ გადანაწილდება ანუ ეკონომიკაში არ ჩაბრუნდება, მეტი წილი კვლავ მოექცევა ბანკების სამევახშეო კაპიტალად ან გადავა უცხოეთში მეპატრონე დამფუძნებლებთან, ისევე როგორც გადის მაგალითად ათეულობით მილიონო დოლარი უცხოეთში რეგისტრირებული კომპანიებზე, როგორებიცაა: ჯეოსელი, მაგთიკომი, ბილაინი, სილქნეტი, კავკასუსი, ონლაინ სესხის უცხოური კომპანიები და სხვა, ამიტომაც ვერ განვითარდებით სანამ არ იქნება რეალური, სახელმწიფო ნება დაათმობინოს ბანკებს არაპროფილური ბიზნესი და დაიშალოს ოლიგოპოლიური სიტუაციები ბაზარზე და ასევე მოაწესრიგოს და გამჭირვალე გახადოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა. [11]

ინკლუზიურად ზრდადი ეკონომიკის პირობებში მატერიალური დოვლათის გადანაწილების მექანიზმი უნდა იყოს სამართლიანი ,რაც საქართველოში ნამდვილად არა გვაქვს. რეალური სურათი ასეთია: ეკონომიკური ზრდის პარალელურად იზრდება ღატაკი მოსახლეობის რაოდენობაც. დიდია სხვაობა საარსებო მინიმუმსა და მინიმალურ შემოსავალს შორის. [28]

მსოფლიო ბანკის ბოლო ანალიზის საფუძველზე სიღარიბის საფრთხე გარდა მოხუცებულებისა 15-29 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებსაც

ემუქრება. არაფერს ვამბობთ ბავშვების მდგომარეობაზე, გაეროს ბავშვთა ფონდის იუნისეფის კვლევებით ბავშვები ისედაც სიღარიბეში ცხოვრობენ. 15-29 წლამდე მოზარდების 31% არის უმუშევარი, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების 51% ითვლება დასაქმებულად, ესეც იმ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რომ "თუ ერთი ქათამი მაინც ყავთ ოჯახში ითვლები დასაქმებულად", იმის გავითვალისწინებით ,რომ 15-29 ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდობის რიცხოვნება მთლიანი მოსახლეობის 25% შეადგენს და რეალურად მისი 31% დაუსაქმებელია, და 51% ზემოთაღნიშნული მეთოდოლოგიით დასაქმებულად თვლიან, ვღებულობთ სურათს რომ მთლიანი შრომისუნარიანი მოსახლეობიდან რეალურად დასასაქმებელია 33% მდე ადამიანი.(ეს მარტო ახალგაზრდები).

ამრიგად საქართველოში სიღარიბე არის დინამიური, ანუ იზრდება. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2015 წელს იყო 20,8% ხოლო 2016 წელს 21,3% ტი. მსოფლიო ბანკი წინა წელს პროგნოზირებდა, რომ იქნება ინფლაცია ,სიღარიბის ზრდა, მაგრამ ასევე იმედოვნებდა, რომ მოხდებოდა აგრომეურნეობის ზრდა, რომელიც ამ პროცესს შეეწინააღმდეგებოდა .მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუ გადავხედავთ ინვესტიციებს რაც ჩაიდო სოფლის მეურნეობაში, სურათი ასეთია, 2015 წელს ჩაიდო 15 მილიონი დოლარი,2016 წელს ჩაიდო 10 მილიონი დოლარი და 2017 წლის 4 თვის მონაცემებით ინვესტიციათა ჩადება არ ფიქსირდება. [18][30]

საერთოდ მთელ მსოფლიოში მიღებულია და ასეცაა, რომ საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხერხემალია, ამას ქართულ საბანკო სექტორზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. ვფიქრობთ, რომ ასეთი საბანკო სისტემითა და ბაზარზე ჩამოყალიბებული ოლიგოპოლიური სიტუაციებით, საქართველო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით, რომელიც მოიცავს 2014-2020 წლებს, დასახულ მიზნამდე ვერ მივალთ, პირიქით შეიძლება მივიდეთ სოციალურ აფეთქებამდე. არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, გლობალური შიმშილის ინდექსის მიხედვით - პირველ ადგილზე გადმოვედით[36] და თან ღატაკი მოსახლეობის რაოდენობა შემცირების ნაცვლად დღითი-დღე იზრდება.

რეკომენდაციები

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სასწრაფოდ განსახორციელებლად მიგვაჩნია შემდეგი საკითხების მოგვარება:

1) კაპიტალისბაზრისგანვითარება. სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა გაატაროს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც შეზღუდავს კომერციული ბანკების მონოპოლიურ როლს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვაში, პირველ რიგში აუცილებელია დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა. კანონპროექტის მომზადებაში საბანკო სექტორიდან კადრები ნაკლებად უნდა იყვნენ ჩართულნი, კანონზე მომუშავე კომისია მაქსიმალურად სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებით უნდა დაკომპლექტდეს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მოქალაქეს არა აქვს შესაძლებლობა პირდაპირ, უშუალოდ ქონდეს შეხება სახელმწიფო ორგანოსთან, შეიძინოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი პირდაპირ და არა კომერციული ბანკის შუამდგომლობით. ამ ეტაპზე,სანამ დაიხვეწება საკანონმდებლო ბაზა, საჭიროა სახელმწოფო ფასიანი ქაღალდის ნომინალური არაკონკურენტული განაცხადის ღირებულება ნაცვლად 1000 ლარისა, განისაზღვროს 100 ლარიდან (უმჯობესია 50 ლარიც). ასევე ვფიქრობთ,რომ არ უნდა იწყებოდეს კონკურენტული ფასიანი ქაღალდის ღირებულება მინიმუმ 50 000 ლარიდან. სებ ის მხრიდან თუ მოხდება აღნიშნული ნომინალური ღირებულებების საგრძნობი დაწევა,ეს საქართველოს მოქალაქეებს და კომპანიებს მიცემს შესაძლებლობას გახდეს ინვესტორი თავის ქვეყანაში, ანუ კაპიტალის პირვალადი ბაზარი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვისაც. რაც შეეხება კაპიტალის მეორად ბაზარს, რომელიც დღეს ფაქტიურად არის მკვდარი ორგანიზმი - ისიც რეალურად უნდა ამუშავდეს. ყველაფერი ეს კი გაზრდის მონეტარული პოლიტიკის საჯაროობას. (რა თქმა უნდა 50 ლარიანი ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდი საინვესტიციოდ ნაკლებად მიმზიდველია, თუმცა იგი ძალიან დიდ როლს შეასრულებს საზოგადოებაში,კერძოდ ხელს შეუწყობს შესაბამის სფეროში ამაღლდეს საზოგადოებრივი განათლება) {12}

2) ლარის კურსის სტაბილიზაციისათვის მიგვაჩნია, რომ საქართველოს ის რამოდენიმე ბანკი, რომელებიც ვაჭრობენ ბლუმბერგის "დახურულ" ტერმინალში და ლარის კურსის შესამჩნევი რყევების ლომის წილი მათ ნება სურვილზეა დამოკიდებული, მთავრობის მხრიდან რადიკალური ღონისძიებების გატარებით უნდა მოეღოს ბოლო დასრულდეს. ამის შესასრულებლად სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ქართული სავაჭრო ტერმინალი, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველა ბანკი, მიკროსაფინანსო კომპანიები და სურვილისამებრ სხვა საბროკერო თუ საინვესტიციო კომპანიებიც. აღნიშნული ქმედება დომინანტ ბანკებს სპეკულაციის საშუალებას არ მიცემს.

3) დროებითი ღონისძიების ფარგლებში, ბანკებმა უნდა მოითხოვონ და მოახდინონ თავისი კლიენტებიდან , საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვების (ან მომსახურების) კონტრაქტების რეგისტრაცია, რომელშიც ნათლად იქნება ასახული კონტრაგენტებისთვის გადასახდელი ან/და მისაღები უცხოური ვალუტის მოცულობები და ვადები.

აღნიშნული ღონისძიება:

ა) მოგვცემს საშუალებას, ზუსტად განვსაზღვროთ სავალუტო მოცულობები იმ ტრანზაქციებისა, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს

ბანკების ბენეფიციარების მხრიდან.

ბ) იგი ასევე დაგვეხმარება მოვახდინოთ ლარის კურსის პროგნოზი მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკებს უნდა შეეზღუდოს იმაზე მეტი უცხოური ვალუტის მოცულობის შეძენა , ვიდრე ეს წინასწარ გაცხადებული და რეგისტრირებული იყო თავიანთი ბენეფიციარების მხრიდან , ანუ იმ მოცულობაზე მეტი, რაც აუცილებელია კონტრაგენტებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.

4) უნდა დადგინდეს და გაკონტროლდეს, ბანკების მხრიდან უცხოური ვალუტის იმ მოცულობის შესყიდვა, რომელიც აუცილებელად ჭირდებათ რეზერვისათვის.

5) რეკომენდაციის სახით ასევე გამოვთქვავდი აზრს დროულად შემოღებული იყოს საშემოსავლო გადასახადის(პროგრესული გადასახადი) დიფერენცირებული განაკვეთი, ანუ ვისაც მეტი აქვს შემოსავალი შესაბამისად დაიბეგროს მეტი განაკვეთით. აღნიშნული ქმედება ხელს შეუწყობს ბიუჯეტში დამატებითი თანხების აკუმლაციას რაც ასევე დადებითად იმოქმედებს ლარის კურსზე.

6) გვინდა შევეხოთ ესტონურ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს მოგების გადასახადის ჩატოვებას მეწარმე სუბიექტებისათვის. იმისათვის, რომ ამ კანონმა იმუშავოს ანუ ეფექტი მივიღოთ, აუცილებელია მასში სასწრაფოდ იქნას ცვლილებები შეტანილი. კერძოდ ისეთი კომპანიებზე, რომლებიც ეწევიან მომსახურეობას და არ იხდიან დღგ ან არიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ვგულისხმობ იმას, რომ ბაზარზე არა ყავს კონკურენტი არ უნდა ვრცელდებოდეს აღნიშნული კანონის მოქმედება. მხედველობაში მაქვს საფინანსო ორგანიზაციებზე ,როგორებიცაა: ბანკები, მიკროსაფინანსო კომპანიები, საბროკერო კომპანიები, ასევე სადაზღვევო ბიზნესი. თელასი, წყლისა და გაზის გამანაწილებელი კომპანიები და სხვა.

7) საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ აღკვეთოს კომერციული ბანკების პრივილეგირებული მდგომარეობა, ყველა ღონე გამოიყენოს და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მინიმუმ ორი საინვესტიციო ბანკის შემოყვანას მაინც, რომელებიც ორიენტირებული იქნებიან მცირე და საშუალო ბიზნესის როგორც სტარტაპების განვითარების დაფინანსებაზე.

8) მთავრობამ, ყველა ღონე უნდა გამოიყენოს რათა დაიშალოს ისეთი ოლიგოპოლიური მდგომარეობები, როგორებიცაა: პოსპიტალური კლინიკების მიერ აფთიაქების ფლობა ,ასევე სადაზღვევო კომპანიების მხრიდან, კლინიკებისა და აფთიაქების ქონა და სხვა ანალოგიები.

8) „სებ“-მა სასწრაფოდ უნდა შეიმუშავოს კანონპროექტი, სადაც არა მარტო თავად ბანკებს, არამედ ბანკის აქციების მფლობელებს, ბორდის წევრებს და ტოპ მენეჯერებსაც - აეკრძალოთ სხვა ბიზნესის ქონა. ასეთი ბიზნესების გამოსავლენად და აღნიშნული კანონის კონტროლისათვის ალბად საჭირო იქნება სპეციალური ორგანოს შექმნაც.

9) როგორც ლარის კურსის სტაბილიზაციას, ასევე სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციული გარემოს აღდგენისა და გაუმჯობესების მიზნით ,ასევე მიგვაჩნია ცვლილებები მოხდეს „საქართველოს შესყიდვების კანონში 10’(პრიმა) მესამე (დ) მუხლში ისე, რომ იგი მეტად გამჭვირვალე იყოს და ამ კანონის ძალით ვეღარ ხდებოდეს უტენდეროდ არაკონკურენტუნარიანი გარიგებების დადება და შემდგომ მისი “გაპრავება.“[26]

ასევე უნდა აიკრძალოს საბანკო სფეროდან კადრების გადმოდინება სახელმწიფო ორგანოებში. თუნდაც კომერციული ბანკის ტოპ-მენეჯერის გადმოყვანა ეროვნული ბანკის სტრუქტურაში მაღალ თანამდებობაზე საერთოდ გაუგებარი ქმედებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ლაშა არევაძე „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება“

2) ა) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.1&d=HASH014a344347d12d1526bbe3a0.5 ეროვნული ბანკის ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1988 წელს სტატისტიკური წელიდწლეული [გვ 11, გვ 348.]

3) “საქართველოს გრძელვადიანი განვითარების ეკონომიკური კონცეფცია 2013 „
საქართველოს ბიზნეს ასოცოაცია 2013 წელი

4) ლევან კალანდაძე - ბანკების არაპროფილური საქმიანობის ფორმალური და არაფორმალური „ანატომია“ ჟურნალი ფორბსი N 63

5) http://www.interpressnews.ge/ge/politika/161593-fitch-ma-saqarthvelos-suverenuli-reitingis-prognozi-qsta-biluriq-qpozitiurithq-sheucvala.html?ar=A

6) https://bpn.ge/finansebi/33792-lari-zemoth-qvemoth-ar-unda-dafrinavdes.html?lang=ka-GE

7) http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5529

8) http://bfm.ge/?p=29642

9) http://bpi.ge/index.php/fitch-ma-saqartvelos-suverenuli-reitingi-bb-ze-daudastura/

10) https://www.facebook.com/david.aslanishvili?fref=ts

11) "ბანკები და ფინანსები" გაზეთი 19.04.2017 წელი
12) https://www.nbg.gov.ge/index.php?m=573
13) http://ru.tradingeconomics.com/country-list/rating
14) http://commersant.ge/?m=5&news_id=51392&cat_id=8&lng=geo
15) http://commersant.ge/?m=5&news_id=51072&lng=geo&cat_id=20
16) http://forbes.ge/news/2199/saqarTveloSi-dasaqmebulTa-raodenoba-Semcirda
17) www.forbes.ge
18) www.statistic.ge
19) http://forbes.ge/news/999/ra-uSlis-xels-safondo-birJis-ganviTarebas%3F
20) http://forbes.ge/blog/219/sareitingo-saagentoebis-roli-evrozonis-krizisSi
21) http://commersant.ge/?m=5&news_id=51678&lng=geo&cat_id=8
22) http://commersant.ge/?m=5&news_id=51392&cat_id=8&lng=geo
23) http://commersant.ge/?m=5&news_id=51793&cat_id=8
24) http://commersant.ge/?m=5&news_id=50666&lng=geo&cat_id=8
25) http://commersant.ge/index.php?m=5&news_id=51185&cat_id=8&lng=geo
26) http://www.myvideo.ge/tv/pirvelitv/2017-06-01/10:24:58
27) https://www.youtube.com/watch?v=S_oSkdWBzv0
28) http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=36458
29) http://bfm.ge/?p=29923
30) http://www.myvideo.ge/tv/rustavi2/2017-06-10/12:30
31) http://pmtc.org.ge/lang/en/2017/05/17/456/
32) http://telegraph.ge
33) http://www.standardandpoors.com
34) http://www.abg.org.ge/Admin1214910131.php?nid=1154&
35) http://timesnews.ge/index.php/news/news_details/7255
36)http://geworld.ge/ge/%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5/

Labyrinths of inclusive-oriented economics

NIKA SHENGELIA
Doctor of Economics

In the article the issue of economic growth of Georgia with the general involvement of the population is given. The article discusses some of its constituents, namely:

1. The strategy of development of Georgia , focused on inclusive growth – Georgia 2020
2. Banking sector in Georgia.
3. Banking and non-banking business elite.
4. Non-specialized activities of the banking sector, as a brake for development of economics.
5. Currency exchange rate.
6. Conclusions and recommendations.

For each issue, the author discusses the situation of Georgia and gives suggestions for its improvement. The author criticizes especially speculative activities of commercial banks and inactivity of the National Bank and the government of the country in this field generally.

Keywords: inclusive growth, speculation, financial sector, dominant position, non-specialized activity.

* ბლუმბერგის ტერმინალით სარგებლობის შეზღუდულობის გამო, მკვლევარები იქ მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას ღებულობენ სახვადასხვა წყაროებიდან. ჩვენი ჟურნალის ავტორის ეკონომიკის დოქტორის ნიკა შენგელიას სტატიებში გამოყენებული იყო ეკონომიკიკურ მეცნიერებათა დოქტორის ბატონ დავით ასლანიშვილის მიერ სოციალურ ქსელში (facebook-ში) გამოქვეყნებული მასალებიდან მონაცემები, რომლის მითითებაც ავტორს გამორჩა. აღნიშნულის გამო იგი ბოდიშს უხდის წყაროს ავტორს, ბატონ დავითს.

ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲛ-ᲗᲝ-ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲛᲐᲚᲐᲨᲮᲘᲐ
ტექნიკის აკადემიური დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიურ სამეცნიერო კვლევითი განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.
ელ.ფოსტა: Shalvamalashkhia@mail.ru
Tel: 5 99 26 77 05

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასარგებლო წიაღისეულის მინერალური რესურსების დაძიების, მოპოვების და გადამუშავების ინტენსივობასთან. ნაშრომში განხილულია სასარგებლო წიაღისეულის რესურსების ათვისების თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში. აღნიშნულია თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების დაბალეფექტიანობის გამო მარაგების გამოყენების მცირე მარგი ქმედების კოეფიციენტების შესახებ, რომლებიც იწვევენ მაღალკონდიციური საბადოების მილევადობას, ამასთან ტექნოლოგიური (ნარჩენი) საბადოების მასივების წარმოქმნას. წარმოჩინებულია ახალი მიდგომების აუცილებლობა ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემუშავების მიმართულებით. მაღალკონდიციური საბადოების სულ უფრო შემცირების ფონზე აქტუალური ხდება წარმოქმნილი ტექნოგენური ნარჩენების ხელმეორედ გადამუშავების აუცილებლობა. დასახულია ზოგიერთი ახალი მიდგომები და ინოვაციური გადაწყვეტილების გზები რაც ხელ შეუწყობს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების რესტრუქტურიზაციას და ექსპლუატაციის დროის გაზრდას, მარაგების სასარგებლო კომპონენტების რაოდენობრივ ზრდას.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲝᲓᲘᲗᲒᲐᲜᲕᲔ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲕᲝᲑᲘᲗ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲛᲗᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐ ᲒᲐᲜᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲗ.

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ ᲜᲔᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲖᲔ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜᲔᲠᲗᲐᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲤᲣᲭᲘᲛᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲝ-ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲫᲚᲔᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲠᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲖᲘᲐᲜᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲑᲘᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲛᲗᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲥᲘᲗᲙᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲛᲔᲢᲘᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲓᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲖᲔ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲕᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ. ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲚᲘᲧᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲨᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲣᲚᲐᲓ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲚᲘᲗᲝᲜᲗᲐ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲒᲐᲛᲝᲢᲣᲢᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲓᲜᲝᲑᲐ. ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ, ᲮᲡᲜᲐᲓᲘ ᲛᲐᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.

ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲖᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲔᲚᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲡᲣᲚ 19 ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲡ, XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ-28-Ს, XIX-ᲨᲘ -50-Ს, XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ 60, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ 89 ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲔᲠᲥᲨᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ᲗᲣ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲕᲚᲔᲑᲗ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐᲡ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲖᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ 15-20 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲝᲠᲙᲔᲪᲓᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔ, ᲛᲐ�გ: ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲐ ᲗᲣ 1941-60 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ

შეადგენდა 35.5 მილ. ტონას, 1961-80 წლებში ის 58.5 მილ.ტ. ნავთობის მოპოვება იგივე პერიოდში გაიზარდა 11.5 მილიარდი ტონიდან 44.5 მილიარდ ტონამდე. ურანის 144 ათასი ტონიდან 497 ათას ტონამდე, სპილენძის მადნების 49.2 მილ. ტონიდან 100.3 მილ. ტონამდე. ნიკელის მადნები 3.1 მილ. ტონდან 8.4 მილ. ტონამდე, ვოლფრამის 223 ათასი ტონიდან 520 ათას ტონამდე, ალმასები 242 მილ. კარატიდან 659 მილ კარატამდე, რკინის მადნების 5.9 მილიარდი ტონიდან 14.5 მილიარდ ტონამდე და ა.შ.

პრაქტიკულად უმეტესობა სასარგებლო წიაღისეულის მდიდარი და ადვილად მოსაპოვებელი საბადოების მარაგებით ამოწურულია ან მილევის პირასაა და დღის წესრიგში დგება დაბალიშემცველი ან რთულად დასამუშავებელი მარაგების ათვისების აუცილებლობა. ასე მაგალითად უკანასკნელი 35-40 წლის განმავლობაში რკინის მადნების საბადოებში ლითონის შემცველობა ორჯერ არის შემცირებული, სპილენძის საბადოებში სპილენძის-2.5 ჯერ, ტყვიის- 4.5-ჯერ, ხოლო ზოგიერთი იშვიათი და კეთილშობილი ლითონების შემცველობა 6-8-ჯერ. ამასთან ერთად, იმის გათვალისწინებით, რომ მოპოვების ტემპები მუდმივად ზრდადია ადგილი აქვს მყარი და თხევადი ნარჩენების მოცულობის პერმანენტულ ზრდას. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნარჩენების მოცულობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის სახეობისაგან დამოკიდებულებით. თუ ქვანახშირის მოპოვებისას ქვანახშირის ნარჩენის ოდენობა 1 ტონა ნახშირზე 3 ტონაა, რკინის მადნების დამუშავებისას ის ორჯერ მეტია, ნარჩენების ოდენობა ფერადი ლითონებისა საბადოებზე აღწევს 100-150 ტონას ერთ ტონა სასარგებლო კომპონენტზე. ხოლო იშვიათი, კეთილშობილი და რადიოაქტიული კომპონენტების მოპოვებისას 10 დან 100 ათას ტონამდე აღწევს.

მოცემული მაჩვენებლები მიუთითებენ იმაზე თუ რამდენად იზრდება გარემოზე ანტროპოგენური დატვირთვის დონე და უბიძგებს მეცნიერებას შეიმუშავოს ახალი კარდინალურად ნოვატორული ტექნიკა და ტექნოლოგიები რაც მოახდენს ზემო მოყვანილი უარყოფითი ფაქტორების ნიველირებას.

არსებული ტექნოლოგიების მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ საბადოს ექსპლუტაციისას ადგილი აქვს სასარგებლო კომპონენტებით მდიდარი მადნის გადამუშავებას, ხოლო შედარებით დაბალშემცველიანი მადნები, რომელშიც სასარგებლო ელემენტების ჯამური შემცველობა შეიძლება აჭარბებდეს გადამუშავებული მდიდარი მადნის აბსოლიტურ შემცველობას, იგზავნება სანაყარაზე ან სპეციალურ საცავებში. რითაც იკავებენ მნიშვნელოვან ფართებს და ხშირად ხდებიან სხვადასხვა ხასიათის ეკოლოგიური გართულებების მიზეზი. აღნიშნული ნარჩენების გამოყენების (უტილიზაციის) დონე თანამედროვე პირობებში დაბალია და მერყეობს 5-10%-ის ფარგლებში.

ყოველივე ეს მოითხოვს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების ახალი კონცეპტუალური მიდგომების შემუშავებას. რაც უნდა ითვალისწინებდეს საბადოს სრულყოფილ გეოქიმიურ გამოკვლევას. კერძოდ განხილულ უნდა იქნას არა მარტო ამა თუ იმ საბადოს ათვისების თავისებურებანი არამედ ნედლეულის კვლავწარმოების შესაძლებლობები, ანუ ხელოვნური (ტექნოგენური) წიაღისეულის წარმოქმნას. ე.ი. დღემდე და შემდგომში წარმოქმნილი ნარჩენები უნდა გადავაქციოთ შემოსავლის წყაროდ. ამაში მთავარ როლს ის ახალი გეოტექნოლოგიები შეასრულებენ რომლებიც მუშავდება ან უნდა შემუშავდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრინციპულად ახალი გეოტექნოლოგიების დანერგვა ხანგრძლივი პროცესია და მათ რეალიზაციას ხელს უშლის ჯერ კიდევ არსებული და ახლადგამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის საბადოები, რომლებიც მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან. მიუხედავად ამისა ვინაიდან საბოლოო ანგარიშში რესურსები ყველა შემთხვევაში ამოწურვადია უკვე უნდა დაგვეწყო ზრუნვა იმაზე, თუ როგორ იქნას ათვისებული ის მარაგები რომლებიც თავის დროზე გვერდზე გადაიდო როგორც არაკონდიციური და ისინიც რომლებიც ხელოვნურად წარმოქმნა როგორც ტექნოგენური საბადოები მსოფლიოში ბევრია ოქროშემცველი საბადოები, რომლებიც ძირითად გამადნებაში წარმოდგენილნი არიან წვრილდისპერსიულად ჩაწინწკლული მადნებით, რომელთა გადამუშავების ეფექტური ტექნოლოგიები თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს და ისინი ითვლებიან როგორც სარეზერვო საბადოები.

არსებობს მოსაზრებები[3], რომ ამ ტიპის საბადოები მიზანშეწონილია ნაწილობრივ გადახსნილ იქნას და მივცეთ საშუალება ბუნებრივ პირობებს (მოვლენებს) მოახდინონ ნედლეულის წინასწარი დამუშავება. ამასთან არსებობს საბადოები, რომლებიც შეიცავენ დიდი რაოდენობით ორგანულ ნაერთებს: ნახშირს, დარიშხანს, სპილენძს, სურმას და სხვა. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ამ მინარევების კონცენტრაციის დაწევა მოხდეს თვით წიაღში მათი მოპოვების დაწყებამდე.

მოწოდებული სტრატეგია ითვალისწინებს სასარგებლო კომპონენტების ისეთ გადანაწილებას სამთო მასივში, რომ წარმოიქმნას კონდიციური მადნების დანაგროვებები. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი ვინაიდან მადნის გამდიდრების ასეთი პროცესი შეიძლება გაგრძელდეს ათეული

წლებით. ამ შემთხვევაში ხელოვნურად ჩარევა ორთქლის, გაზების, რეაგენტების გამოყენებით არარენტაბელურია. უფრო ეფექტურია გამოყენებულ იქნას ბუნებრივი ნაერთები, რომლებიც წარმოიქმნებიან უშუალოდ სამთო მასივში, მაგ: სულფიდების დაჟანგვისას.

ტექნოლოგიური დანაგროვების პირობებში დიდი მნიშნელობა ენიჭება ე.წ. გეოქიმიურ ბარიერებს. გეოქიმიური ბარიერების თეორია ჩამოყალიბებული იქნა XX საუკუნის მეორე ნახევარში პროფ. ა. პერელმანის მიერ. ამ თეორიის მიხედვით დედამიწის ქერქში არსებობენ ზონები სადაც მკვეთრად იცვლება ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, რის შედეგადაც ადგილი აქვს სასარგებლო კომპონენტების დალექვას. ასეთი ბარიერები შეიძლება იყოს ჰიდროდინამიური, სორბციული, დაჟანგვითი, აღდგენითი, ტუტე, აორთქლებითი და სხვა. ბუნებრივ პირობებში ეს ბარიერები რეალიზდებიან სხვადასხვა კომბინაციაში და განაპირობებენ პროცესების მთელ კომპლექსს.

ჰიდროდინამიურ ბარიერის შემთხვევა ძლიერ ეფექტურია უხსნადი კეთილშობილი (ვერცხლი, ოქრო, პლატინა), ასევე ადვილადხსნადი (სპილენძი, ცინკი, ტყვია, ურანი და სხვა) ლითონების გადანაწილებისას. ამ ბარიერის ინიცირებისათვის აფეთქებით ქმნიან ფილტრაციულ არაერთგვაროვნებას, რითაც გამოტუტვის ზონაში ქმნიან გამტარ გარემოს ფილტრაციის სიჩქარით 30სმ/სთ და მეტი, ხოლო სასარგებლო კომპონენტის კონცენტრაციის ზონაში შენარჩუნებულ იქნება მაჩვენებელი 5 სმ/სთ და უფრო ნაკლებ დონეზე. გარდა ლითონმატარებელი წყლების სიჩქარეების მკვეთრი ცვლილებებისა, მნიშვნელოვნად იცვლება ხსნარების მჟავე-ტუტიანობის (pH) მაჩვენებელი და ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი (Eh). ამის გამო გეოქიმიური რეაქციები უფრო აქტიურად ვითარდებიან, რითაც იწვევენ სასარგებლო წიაღისეულის ტექნოგენურ დაგროვებებს. ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს წლობით და ათეული წლებითაც. ახალი გეოტექნოლოგიების გამოყენებისას გათავლისწინებულ უნდა იყოს დროის ფაქტორი.

სამთო მასივებში შეიძლება შეიქმნას ან გაძლიერდეს გეოქიმიური ბარიერები. მაგალითად ჭაბურღილებით შესაძლებელია დაჭირხნულ იქნას გარკვეული ხსნარები სხვადასხვა ნივთიერებების და მიკროორგანიზმებით. შესაძლებელია ზონაში გატარებული ხსნარების რეგულაცია, იმის გათვალისწინებით თუ როგორი სირთულისაა საბადო და რა ელემენტის კონცენტრირებაა საჭირო, სულფიდების და კარბონატების, მჟავებისა თუ ფუძეების და ა.შ.

გეოქიმიურ ბარიერებზე ტოქსიკური და ფერადი ლითონების დალექვისას ადგილი აქვს პირველადი მინერალური ფორმების ტრანსფორმირებას [3]. მაგალითად თუ წყლის ნაკადებში სპილენძი წარმოდგენილია დადებითად დამუხტული ნაწილაკებით (კათიონებით) 300-600 მ-ის მანძილზე ბარიერიდან მათი რაოდენობა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს (შემცირდეს) და ამასთან გაიზარდოს სპილენძის შემცველი კომპლექსური ნაერთები რაც გამოწვეულია ძირითადად pH-ისა და Eh-ის მნიშვნელობით ცვლილებების ხსნარებში. პირველ ფაზაში ძირითადი არსებობის ფორმა შეიძლება იყოს კარბონატული, შემდეგ ამორფული, ორანული, სილიკატური. სპილენძის ესა თუ ის ფორმები დაილექებიან ასევე გეოქიმიური ბარიერის მახასიათებლებისაგან დამოუკიდებლად. ასე მაგალითად სორბციულ ბარიერზე ჭარბობს ორგანული ფორმა, ტუტე ბარიერზე-ამორფული. ზემოთმოყვანილი კანონზომიერეების ცოდნა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ის საშუალებას გვაძლეს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გახანგრძლივების და რეგელირებისათვის, ჩამოვაყალიბოთ სასარგებლო წიაღისეულის ტექნოგენური საბადოები.

ახალ გეოტექნოლოგიებზე გადასვლა აუცილებელია წინასწარ, მოსამზადებელი სამუშაოების საფუძველზე. სამთო და მამდიდრებელ საწარმოების პროექტირებისას ჩადებული უნდა იყოს გეოლოგიური და ლანდშაფტურ-გეოქიმიური პირობები არა მარტო დასამუშავებელი საადოებოს არამედ მიმდებარე ტერიტორიების და აკვატორიების. ეს შექმნის პირობებს გაკონტროლებულ იქნას რაიონში, როგორც მოპოვებითი ასევე გეოქიმიური, ეკოლოგიური და ტექნოგენური პროცესები.

ზემოთმოყვანილი პრობლემა ზოგადია მსოფლიოსამთო-მოპოვებითიმრეწველობისათვისა და მათ რიცხვშია საქართველოც. საქართველო მიეკუთვნება სასარგებლო წიაღისეულის მხრივ არც თუ ისე მდიდარ ქვეყანას, ამდენად არსებული რესურსების ეფექტური გამოყენების პრობლემა უფრო მწვავედ დგას. სასარგებლო წიაღისეულის სხვადასხვა სახეობებიდან ქვეყნის მრეწველობისათვის ტრადიციული და სტრატეგიულია მარგანეცი, სპილენძი, ნიკელი, დარიშხანი, ოქრო, ქვანახშირი, ნავთობი, ბარიტი, ბენტონიტური თიხები ცეოლითები და სხვა. აქედან რესურსული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ქვანახშირი (1104 მლნ. ტონა), სპილენძი (3.5 მლნ. ტონა), მარგანეცი (398 მილ. ტონა), ბარიტი (471. მილ. ტონა), ბენტონიტური თიხები (194 მილ. ტონა), ცეოლიტი (≈120 მლნ.ტოონა). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული უმეტესობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას და გადამუშავებას თან დევს ნარჩენების წარმოქმნის პროცესი და მათი მოცულობა გამოყენებული ტექნოლოგიების დონისაგან

დამოკიდებულებით რამოდენიმეჯერ აჭარბებს თვით მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობას. ამ მიმართულებით საქართველოში ნარჩენების ბაზაზე წარმოქმნილია რამოდენიმე ტექნოგენური ტიპის საბადო. მათ შორისაა ჩორდის ბარიტის, ტყიბულის ქვანახშირის, მადნეულის ბარიტ-პოლიმეტალური, რაჭის და ცანის (სვანეთი) დარიშხანის მადნის ნარჩენები და სხვა. ასევე ყურადსაღებია სხვა მცირე ზომის და რთულად დასამუშავებელი საბადოები თუ გამოვლინებები, რომელთა ექსპლუატაცია მოითხოვს ახლებურ მიდგომებს ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი სისტემების შემუშავების და გამოყენების თვალსაზრისით.

თანამედროვე პირობებში აქტუალური ხდება ბიოტექნოლოგიური და ნანოტექნოლოგიების გამოყენება სამთო მოპოვებით და გადამამუშავებელ ტექნოლოგიებში, რომლებიც ხასიათდებიან მარტივი ტექნოლოგიური გაფორმებებით, სიიაფით და გარემოზე ატროპოგენური დატვირთვის მხრივ თავისი სიმსუბუქით. აღნიშნული მეთოდი ხელმისაწვდომს ხდის ისეთი საბადოების ათვისებას, რომლებიც ითვლებიან ტექნოგენურ (ნარჩენ) დანაგროვებად, ასევე არაკონდიციური ბუნებრივ საბადოებს. საქართველოში მრავალი საბადოა. მაგალითად სპილენძის შემცველი ღარიბი ბალანსგარეშე და მცირე მოცულობის საბადოები, რომლებშიც სულფიდური მადნებიდან სპილენძის ამოღება გროვითი ბაქტერიული გამოტუტვის მეთოდით მეტად ეფექტურია, შესაძლებელია ბიოტექნოლოგიის გამოყენება საქართველოს ფერადი და კეთილშობილი ლითონების შემცველი სულფიდური მადნების წარმოების ნარჩენებიდან სასარგებლო ელემენტების (ოქრო, ვერცხი, სპილენძი) ამოსაღებად, ასევე მანგანუმის ღარიბი მადნებიდან და გამამდიდრებელი წარმოების კუდებიდან და შლამებიდან მანგანუმის მიღება, სხვადასხვა აგრომინერალური ორგანული და არაორგანული ნედლეულის სახეობების გადამუშავებით სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ორგანული, ორგანომინერალური და ბიოორგანომინერალური სასუქების წარმოება და ა.შ.

ზემოაღნიშნული პერსპექტივა და სხვა ახალი პრინციპიალურად ინოვაციური მიდგომები წარმოადგენენ საფუძველს მინერალური ნედლეულის რესურსების დაზოგვისა და გაზრდის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. კვატაშიძე, შ. მალაშხია, ჯ. კაკულია და სხვა. „საქართველოს მინერალური რესურსების გამოყენების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელი სასუქების წარმოებაში“ სამთო ჟურნალი № 2 (23) 2009, გვ. 9-12.
2. А.Е. Воробьев, Т.В. Чекушина. „Кризис минерального сырья, как преодолоть Интернет издание“ 2015.
3. А.И. Перельман „Геохимия“ М. Выешая школа 1989.
4. В.А. Лось. Человек и природа М 1978.

Resorsce crisis of mineral raw materials in the modern mining and finising industri and some directions of its studion

Shalva Malashkhia
Cavkasion A. Tvalchrelidze Institute Minerals rav materials,
Loading Researcher, Head of Department of scientificresearch
geotechnological, acedemicaly geotechical engineering Doctor.

Educational level of development of the state economy associated with exploration extraction and processing of mineral resources.

Consideration of the work associated with the problem of the development of mineral resources and indicate that low Educational level of engineering and technology in the past and currently determines satisfactory that promises more effective extraction with seed of the fled, which part implies exhaustion conditional fled a decrease of their share of higher losses as a component in the bosom so on the surface.

Owing to all increases reserve formed owner large areas of waste negative surface with all phenomena in terms of Ecology.

Indication of the need to develop new precitant relation of innovative technologies to the development of useful resources capable of extraction provide useful component from both the educated and the technologikal field of substandard deposits that were previously mixed unprofitable.

Indicating some point change technology policy principles.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მონაცემთა ბაზის სრულყოფა და ინვენტარიზაციის შედეგების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

თეიმურაზ გოგნაძე
ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი
e-mail: teimuraz.gognadze@tsu.ge
Tel.: 577244545

სტატიაში განხილულია საკითხი ინვენტარიზაციისათვის საჭირო მონაცემთა ბაზაში "მატერიალურ-ტექნიკური რესურსები" ცვლილების შეტანის აუცილებლობის შესახებ. მოცემულია განახლებული ბაზის საფუძველზე დამატებით მიღებული საშედეგო ინფორმაციის მიღების ტექნოლოგია და მიღებული ანგარიშგებითი ფორმები. განხილულია საკითხი ინფორმატიზაციის შედეგების ელექტრონულ და ჩვეულებრივ ქაღალდის დოკუმენტების სახით წარმოდგენილ ინფორმაციის დაცვაზე.

ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის სრულყოფილი მართვა შეუძლებელია ზუსტი აღრიცხვის გარეშე და საერთოდ შეუძლებელია დადებითი ფინანსური აღრიცხვის უზრუნველყოფა. ადრეულ ცივილიზაციაში ადამიანები მხოლოდ გონებაში ასახავდნენ და ანგარიშობდნენ სამეურნეო საქმიანობის შედეგებს[6]. დამწერლობისა და მათემატიკის წარმოშობით საფუძველი ჩაეყარა ახალ პროფესიას ე.წ. "მოანგარიშე მუშაკები", რომლებსაც შეეძლოთ ინვენტარის, ქონების, მუშახელის, გასამრჯელოს, ვალების აღრიცხვა, ფულის დათვლა. ისინი მარტივი მეთოდებითა და ხერხებით უზრუნველყოფდნენ ანგარიშსწორების პროცესებს. პირველი ორმაგი ჩანაწერის სისტემა გაჩნდა იტალიაში. ეს იყო აღრიცხვის, კონტროლისა და მართვის ერთიანი მწყობრი სისტემა, რომლის მთავარ მონაპოვარს წარმოადგენდა ანგარიშთა სქემა, რომელიც ეკონომიკური და იურიდიული შინაარსის მიხედვით იყო სამეურნეო ფაქტებისა და შედეგების გააზრება და ადექვატური ასახვა. დღეისათვის თითქმის ყველა (საბიუჯეტო, კერძო) ორგანიზაცია თავიანთი საქმიანობის გასაკონტროლებლად ფართოდ იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადახვა მიღწევებს.

საკვანძო სიტყვები: ინვენტარიზაცია, ფასეულობა, ქონება, ჩამოწერა.

წინამდებარე სტატია არის გაგრძელება სტატიისა "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის პროცესის სრულყოფა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით", რომელიც გამოქვეყნდა: (შრომების კრებული №1, თბილისი 2015, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, გვ. 66-72).

ინვენტარიზაცია ორგანიზაციის ფასეულობათა შესახებ დოკუმენტებში ასახული სააღრიცხვო მონაცემების მათ ფაქტიურ მდგომარეობასთან შედარებაა, რომელსაც ექვემდებარება მთელი მისი ქონება მეტობა-ნაკლებობის გამოვლენის მიზნით. ორგანიზაციის ფასეულობებში შედის ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, ფინანსური ანგარიშები, მზა პროდუქცია, საქონელი და სხვა[7].

ინვენტარიზაციის ძირითადი მიზანია:

- ქონების ფაქტიური მდგომარეობის გამოვლენა მისი შემდგომი შენახვისათვის, ასევე აღუწერელი ქონების გამოვლენა;
- მატერიალური-საწარმოო რესურსების ფაქტიური რაოდენობის განსაზღვრა, რომლებიც გამოყენებული იყო წარმოებაში;
- ქონების რაოდენობის შესახებ ფაქტიური მდგომარეობის საბუღალტრო მონაცემებთან შედარება (დანაკლისის ან მეტობის გამოვლენა);
- ქონების აღრიცხვის სისწორისა და სრულყოფილების შემოწმება, ასევე მატერიალური რესურსების შეფასების შესაძლებლობა საბაზრო ღირებულებისა და ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- ძირითადი საშუალებების შენახვისა და ექსპლუატაციის წესების შემოწმება, მატერიალური აქტივების გამოყენება, მატერიალურ ფასეულებათა, ფასიანი ქაღალდების, ფულადი საშუალებების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება.

უფრო მარტივად, რომ ვთქვათ ინვენტარიზაციის მიზანს ორგანიზაციის ქონების ფაქტიური მდგომარეობის საბუღალტრო მონაცემებთან

შედარებაა. ინვენტარიზაცია ტარდება დათვლის, გაზომვისა და მატერიალურ ფასეულობათა აწონ-ვის გზით:

- საწყობებში;
- საწარმოებში;
- სავაჭრო მოედნებზე;
- სალაროებში.

ამიტომ ინვენტარიზაციას ექვემდებარება საბუღალტრო აღრიცხვის შემდეგი ობიექტები:

- ძირითადი საშუალებები;
- მატერიალური მარაგები;
- მზა პროდუქცია;
- სავაჭრო ქსელის საქონელი;
- ფულადი საშუალებები;
- ფასიანი ქაღალდები და ფულადი დოკუ-მენტები.

ინვენტარიზაციის ჩატარება გვეხმარება რამ-დენიმე მიზნის მიღწევაში:

1. მატერიალურ ფასეულობათა შენახვის წესების შესრულებაზე კონტროლი;
2. მატერიალურ ფასეულობებში გამოვლინ-და ვადაგასულისა და ვადის გასვლის შემთხ-ვევები;
3. გამოუყენებელი მატერიალური რესურსებ-ის აღმოჩენა მათი რეალიზაციის მიზნით.

ინვენტარიზაციის ჩატარების მიმართ არის შემდეგი მოთხოვნები:

- მოულოდნელი (მატერიალური-პასუხ-ისმგებელი პირის მიმართ);
- კომისიური (ატარებს კომისია);
- რეალური (საინვენტარიზაციო ქონების რეალური აღწერა);
- უწყვეტი;
- აუცილებელია მატერიალური-პასუხისმგე-ბელი პირის მონაწილეობა.

ინვენტარიზაციის ჩატარების რაოდენობას წლის განმავლობაში, ვადებსა და ჩატარების წესს განსაზღვრავს წარმოების ხელმძღვანელი სპეციალური ბრძანებით, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც იგი აუცილებლად უნდა ჩატარდეს.

ინვენტარიზაცია აუცილებლად უნდა ჩა-ტარდეს:

- ქონების ფაქტიური მდგომარეობის დასა-დგენად;
- ქონების ყიდვა-გაყიდვისას ან გაქირავებ-ის დროს;
- წლიური ბუღალტრული ნაშთების დასას-მელად;
- მატერიალური პასუხისმგებელი პირის ან ხელმძღვანელის შეცვლისას;
- ბოროტმოქმედების ან ვანდალიზმის ფაქტების გამოვლენისას;
- კომპანიის ლიკვიდაციის ან რეორგანი-ზაციის შემთხვევაში;
- ძირითადი საშუალებების გადაფასების დროს;
- ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორიცაა წყალდიდობა და ხანძარი.

ინვენტარიზაციის ჩატარების პროცედურა მოიცავს რამდენიმე ეტაპს. პირველი ეტაპი არის მოსამზადებელი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს:

- ინვენტარიზაციის ჩასატარებლად ბრ-ძანების მომზადება;
- ინვენტარიზაციის კომისიის ფორმირება;
- ინვენტარიზაციის ჩატარების დროისა და საინვენტარიზაციო ქონების სახის განსაზღვრა;
- მატერიალურ-პასუხისმგებელი პირებისა-გან ხელმოწერების მიღება და ა.შ.

მეორე ეტაპი მოიცავს უკვე ფაქტიური ქონების დადგენის პროცედურას შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებით. მესამე ეტაპზე ხდება ცვლილებების გამოვლენა და მისი მიზეზების დადგენა. ბოლო ეტაპზე კი ხდება ინვენტარიზაციის შედეგების გაფორმება და დამნაშავე პირებისადმი პასუხ-ისმგებლობის დაკისრება.

თითქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია ინ-ვენტარიზაციისათვის იყენებს აპარატურულ, ინ-ფორმაციულ და პროგრამულ უზრუნველყოფას.

შტრიხ-კოდების პრინტერის საშუალებით იბე-ჭდება მარკირებისათვის საჭირო ეტიკეტები უნი-კალური შტრიხკოდებით, რომლებზეც ორგანი-ზაციის დასახელებასთან ერთად მითითებულია ინვენტარის განთავსების ადგილი კორპუსის, სარ-თულის, ოთახისა და საინვენტარიზაციო ნომრის ჩვენებით. ეს შტრიხკოდები ერთჯერადად მოთავს-დება საინვენტარიზაციო ქონების ზედაპირზე[2].

მონაცემთა შეგროვების მობილური ტერმინალი, რომლითაც ვახდენთ შტრიხკოდების სკანირებას და შესაბამის დამუშავებას ინვენტარიზაციის დროს;

პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ხდება ინვენტარიზაციისათვის საჭირო და ინ-ვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ მიღებული მასალის დამუშავება.

მონაცემთა ბაზებში სრულად უნდა იყოს გან-თავსებული ინფორმაცია ორგანიზაციის ქონების შესახებ, რა ძირითად საშუალებებს ფლობს იგი: კორპუსები, სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურე-ბის შენობები, მათში განთავსებული ავეჯი, ხელ-საწყო-დანადგარები, სამეცნიერო, ლაბორატორიუ-ლი აპარატურა, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი

ფონდი, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.

ორგანიზაციის ქონების აღრიცხვა ევალება საფინანსო დეპარტამენტს. ახალი საქონლის შეძენასა და ბაზაში დაფიქსირებას უზრუნველყოფს საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილება და საწყობი. საწყობიდან ორგანიზაციის ქვედანაყოფებისათვის საქონლის გადაცემის შემდეგ ძირითადი საშუალებების აღრიცხვაზე, ცვეთის დარიცხვაზე და ა.შ. პასუხისმგებელია საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება.

სერვერთან ძირითადად წვდომა აქვს ორგანიზაციის საფინანსო დეპარტამენტს, რომლის პერსონალურ კომპიუტერში ჩაიტვირთება საჭირო პროგრამები, ხოლო უშუალოდ მათ მიერ ხდება ინვენტარიზაციისათვის საჭირო მონაცემების მომზადება და ჩატვირთვა ტერმინალში, ასევე ტერმინალიდან უკვე ინვენტარიზაციის მონაცემების მიღება და დამუშავება, რის შემდეგაც მათ შეუძლია ინვენტარიზაციის რეალური შედეგების დაბეჭდვა.

ორგანიზაციებს ძირითადი პროცესების მართვა დაფუძნებული აქვთ კომპიუტერულ სისტემებზე და არ ახორციელებენ ინფორმაციის დაცვას სათანადო დონეზე. შემდეგ როდესაც დადგებიან გარკვეული პრობლემის წინაშე გადაწყვეტილებას ღებულობენ სპეციალისტის გარეშე, რაც ერთის მხრივ მარტივი შეიძლება ჩანდეს, თუმცა ხშირად ვერ ხდება პრობლემის სრულად იდენტიფიცირება და შესაბამისად ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად უწევთ მუდმივად ასეთი ტიპის რისკებთან შეგუება, რაც მათი ხარჯების იძულებით და უკონტროლო ზრდას იწვევს. მხოლოდ გამოუვალ და უკიდურეს შემთხვევაში თუ მიმართავენ შესაბამის კომპანიებს თუ სპეციალისტებს. თუმცა არსებობს მწარე გამოცდილებაც, რომ კომპანიას დაუკარგავს წლების ნაწვალები, კომპანია იძულებით შეჩერებულა, კადრები უმიზეზოდ დაუდანაშაულებია ხელმძღვანელობას და ა.შ.

იმისათვის, რომ ორგანიზაციის მართვა გახდეს სრულყოფილად მართვადი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, არ დადგეთ ისეთი რისკების წინაშე რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მუშაობის შეფერხებას, არ გქონდეთ გაუთვალისწინებელი და უმართავი ხარჯები და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიური საშუალებებით მიიღოთ მაქსიმალური სარგებელი, აუცილებელია შეიმუშავოთ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, დანერგოთ და პერიოდულად გააუმჯობესოთ იგი.

შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ მიმართულებები, რომელსაც აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას. მათ შორის მნიშვნელოვანია ინფორმაციის და ინფორმაციული სისტემების ინვენტარიზაციის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება.

ინფორმაციული უსაფრთხოება არის ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების დაცვა არაავტორიზირებული წვდომისაგან, ჩაწერა, ცვლილება, დაზიანებისა და განადგურებისაგან. დღეისთვის, როდესაც ინფორმაციულ სისტემებს (ინტერნეტი, კომპიუტერი, მობილური, სოციალური ქსელები, საკომუნიკაციო საშუალებები, ინფორმაციის მატარებლები და სხვა) აქვს მნიშვნელოვანი როლი ჩვენ ცხოვრებაში (როგორც პირად ასევე სამსახურეობრივ მხარეს), ისმის მისი და მასში მოთავსებული ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხიც.

ინფორმაციული ფაილების სტრუქტურა ასეთია:

ფაილი Equipment	შიფრი
ანგარიშის კოდი	შეძენის თარიღი
საქონლის კოდი	საბალანსო ღირებულება
ფაკულტეტის კოდი	ვალუტა
ქვედანაყოფის კოდი	ცვეთის კოეფიციენტი
ქვედანაყოფის დასახელება	სტატუსი
მატერიალური პასუხისმგებელი პირის კოდი	დაფინანსების წყარო
საქოლის დასახელება	ბუღალტერი
რაოდენობა	კორპუსი
მომწოდებლის დასახელება	ძირითადი საშუალების გამოშვების თარიღი
მარკა	ძირითადი საშუალების საგარანტიო ვადა
ინვენტარის ნომერი	საწყობში საქონლის მიღების დოკუმენტის №
ანგარიში	ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ვადა

ფაილი Eqstat
სტატუსის კოდი
სტატუსის დასახელება

ფაილი Finckaro
დაფინასების წყაროს კოდი
დაფინასების წყაროს დასახელება

ფაილი InvMdgomareoba
მდგომარეობის კოდი
მდგომარეობის დასახელება

ფაილი Shifri
შიფრი
დასახელება

ფაილი Unit
კლასი
კოდი
დასახელება

ფაილი Valuta
ვალუტის კოდი
ვალუტის დასახელება(ISO)
ვალუტის დასახელება

ფაილი EqGadacema
ქვედანაყოფის კოდი
ქვედანაყოფის დასახელება
მატერიალური პასუხისმგებელი პირის კოდი
საქონლის დასახელება
რაოდენობა
მარკა
თარიღი
საინვენტარო ნომერი
ანგარიში
შიფრი
საბალანსო ღირებულება
დაფინანსების წყარო
ბუღალტერი

ფაილი Depart
ქვედანაყოფის კოდი
ქვედანაყოფის დასახელება

ფაილი Faculty
ფაკულტეტის კოდი
ფაკულტეტის დასახელება

ფაილი Sector
დასახელების კოდი
დასახელება

ფაილი Ok
შიფრი
დასახელება

ფაილი PasPiri
მატერიალური პასუხისმგებელი პირის კოდი
მატერიალური პასუხისმგებელი პირის გვარი
მატერიალური პასუხისმგებელი პირის სახელი
მატერიალური პასუხისმგებელი პირის მამის სახელი
სტრუქტურული ერთეულის კოდი
სტრუქტურული ერთეულის დასახელება
ტელეფონი
აქტივი

ფაილი Firm
ფირმის კოდი
ფირმის საორგანიზაციო კოდი
ფირმის დასახელება
ფირმის მისამართი
ფირმის ტელეფონი
ფირმის ხელმძღვანელის დასახელება
საკონტაქტო

ფაილს C_Class აქვს ასეთი სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Classifikator	Text	8
Class	Text	8
Description	Text	200

Request-ის ფაილის ველების სტრუქტურა

Field Name	Data Type	Field Size
IDNOM	Number	
Class	Text	3
Unit	Text	8
Marka	Text	255
Unitofgoods	Text	15
RequestQuantity	Number	single
BuyQuantity	Number	single
AlreadyBuyQuantity	Number	single
Secode	Text	4
Customer	Text	100
RequestDate	Text	4
IDPasPin	Text	50
OK	Number	single
Cost	Currency	
BuyDate	Date/Time	

ფაილის C_unit სტრუქტურა

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Class	Text	2
Unit	Text	4
Description	Text	200

ფაილი C_Classificator სტრუქტურა

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Classificator	Text	8
Description	Text	100

ცხრილი Depart სტრუქტურა

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Decode	Text	3
Dename	Text	100

ცხრილი Faculty სტრუქტურა

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
FaCode	Text	2
FaName	Text	100

ცხრილი Sector სტრუქტურა

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Secode	Text	4
Sename	Text	100

ცხრილი PasPiri ასეთი ფიზიკისა

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
IDPasPiri	Text	5
Sname	Text	21
Fname	Text	10
Pname	Text	16
Decode	Text	2
Secode	Text	4
Phone	Text	9

ფაილი C_Valuta აქვს ასეთი სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Valuta	Number	single
Discript	Text	10

ფაილი C_OK სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
OK	Number	
Discript	Text	50

ფაილი C_EqStatus სტრუქტურა:

EqStatus	Discription
0	აღრიცხვაზეა
1	გადაეცა ბიუჯეტს სპეცსახსრებიდან
7	გადაეცა ბალანსიდან ბალანსზე
8	ამორჩეულია ჩამოსაწერად
9	ჩამოწერილია
6	გადაეცა ბიბლიოთეკას

ფაილი C_Finckaro ასეთი სახისაა:

ID	Finckaro	Description
1	0	სახელმწიფო ბიუჯეტი (ხაზინა)
2	1	სახელმწიფო ბიუჯეტი (ვაუჩერი)
3	2	თსუ ეკონომიკური შემოსავლები
4	3	გრანტი

ფაილი C_Shifri სტრუქტურა:

Shifri	Description
2110	შენობები-ნაგებობები
2400	მიწა
2120	გადამცემი მოწყობილობები
2121	მანქანები და მოწყობილობები
2122	სატრანსპორტო საშუალებები
2123	ინსტრუმენტები და სამეურნეო ინვენტარი
2124	საბიბლიოთეკო ფონდები
2125	სხვა ძირითადი საშუალებანი
2160	მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
1610	მასალები სასწავლო, სამეცნიერო და სხვა მიზნებისათვის
1620	სამეურნეო მასალები და საკანცელარიო ნივთები

ფაილი C_InvMdgomareoba ასეთი სახისაა:

mdgomareoba	Discrpt
0	მუშა მდგომარეობაშია
1	გასარემონტებელია
2	ამორტიზაციის ვადა გაუვიდა
8	ჩამოსაწერია
9	ჩამოწერილია
7	გადაეცა ბალანსიდან ბალანსზე

ფაილური სტრუქტურა ჩამოწერის უწყისისათვის ასეთია:

რიგითი №	რეკვიზიტის დასახელება	იდენტიფიკატორი	ველის ტიპი	ველის სიგრძე
1	ძირითადი საშუალების დასახელება	zdasaxeleba	Text	255
2	ძირითადი საშუალების შარკა, მოდელი	zmarka,zmodeli	Text	50
3	ინვენტარიზაციის N	InvN	Text	14
4	საქარბრო N	qarnisN	Text	20
5	ძირითადი საშუალების რაოდენობა	zquandry	Number	
6	ძირითადი საშუალების მდებარეობა	Korpusi,otaxi	Text	20
7	ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში	weli	date	
8	მომხმარებელი	momxmarebliskodi	Text	5
9	კონტაქტი მომხმარებელთან	Phone	Text	10
10	მდგომარეობა	mdgomareoba	Text	10
11	მოწესაბერების ვადა	well	Number	
12	საბალანსო ღირებულება	lari	Number	
13	ამორტიზაციის კოეფიციენტი	amk	Number	

შიფრის მიხედვით მოცემული წლისათვის ჩამოსაწერი ქონების ამორჩევის ფორმები:





ძირითადი საშუალებების ჩამოწერის უწყისი

თვე---------- წელი--------

სტრუქტურული ქვეგანყოფილება: კორპუსი, ფაკულტეტი, ქვეგანყოფილება

პასუხისმგებელი პირი		ძირითადი ფონდი		მარკა	ექსპლუატაციაში შეყვანის წელი	ღირებულება	
სახელი	გვარი	კოდი	დასახელება			საბალანსო	ნარჩენი
1	2	3	4	5	6	7	8

თანხა პასუხისმგებლის მიხედვით: * *

მთლიანად თანხა სტრუქტურული ქვეგანყოფილების მიხედვით: * *

ძირითადი საშუალებების ასაკობრივი შედგენილობის უწყისი

თვე---------- წელი--------

სტრუქტურული ქვეგანყოფილება: კორპუსი, ფაკულტეტი, ქვეგანყოფილება

ძირითადი ფონდი		მომსახურების ვადა	ძირითადი ფონდის ასაკი (წელი)									
კოდი	დასახელება		1	2	3	4	5	6-დან 10-წლამდე	11-დან 15-წლამდე	16-დან 20-წლამდე	21-დან 25-წლამდე	25 წელს ზემოთ
1	2		1	2	3	4	5	6	7	8	9	10

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის უწყისი ექსპლუატაციის ადგილის მიხედვით

თვე---------- წელი--------

სტრუქტურული ქვეგანყოფილება: კორპუსი, ფაკულტეტი, ქვეგანყოფილება

ძირითადი ფონდი		მარკა	საინვენტარო №	ექსპლოატაციაში შეყვანის თარიღი	მომსახურების ვადა	საბალანსო ღირებულება	ამორტიზაციის კოეფიციენტი
კოდი	დასახელება						
1	2	3	4	5	6	7	

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგნაძე თ. ონლაინ რეჟიმში სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის ფუნქციონირების საკითხისათვის. ჟურნალი "ეკონომიკა", 2011, №11–12.
2. გოგნაძე თ. სატენდერო დავალების ელექტრონული ფორმირება. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", 2011, №6.
3. შრომების კრებული №1, თბილისი 2015, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, გვ. 66-72
4. მაღრაძე მ. ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავება. (ლექციების კურსი ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1986.
5. http://support.apex.ge/BookstoreFiles/BughaltruliAghritskhva.pdf
6. https://ru.wikipedia.org/wiki/
7. http://apphouse.ge/lang/ge/inventarizacia/
8. http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi da ekonomika/X4.2..htm
9. www.tsu.edu.ge
10. www.oknemi

Perfection of the Material-Technical Resources Database and Safety Provision for Inventarization Results

Teimuraz Gognadze
Academic Doctor of
Business Administration

The article considers the issue concerning changes to be made to the "Material-Technical Resources" database necessary for inventarization. We have shown the result-based additionally received information collection technology based on the renewed base and the reporting forms. We discuss also the issues concerning protection of information about informatisation results, presented on usual paper (as a document) and in electronic version.

ელექტრონული შესყიდვების ეფექტურობა

შალვა ჯულაყიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი
ელ. ფოსტა: sjulakidze@gmail.com
ტელ.: +995 77 00 01 03

თინათინ მეძმარიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
ელ. ფოსტა: tinatinmedzmariashvili@yahoo.com
ტელ. ნომერი: +995 77 97 83 36

სახელმწიფო შესყიდვების სფეროს გამართულ ფუნქციონირებას ხელს უწყობს ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მაქსიმალურ ჩართულობას, შესაბამისად, დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მასშტაბურმა რეფორმამ და ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო ეფექტურობისა და პოტენციურ პრეტენდენტთა შორის კონკურენციის ზრდას. მიუხედავად მნიშვნელოვანი რეფორმებისა, კვლავ უმთავრეს მიზნად გვევლინება სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვა და ამავდროულად, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ხარისხიანი და მაღალი სასიცოცხლო ციკლის მქონე საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოს შესყიდვა, რომელიც უმოკლეს დროში არ გამოიწვევს გაუთვალისწინებელ სახელმწიფო დანახარჯებს.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემას საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია, შესაბამისად, შესყიდვების სფეროს გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნეს სექტორისათვის. სახელმწიფო შესყიდვებში ბიზნესის მაქსიმალური ჩართულობა ხელს უწყობს შემოსავლებისა და დასაქმების სტაბილურ ზრდას, ასევე პირდაპირ ასახვას ჰპოვებს მთლიან შიდა პროდუქტზე, შესაბამისად, დადებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ეფექტურობა ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. სწორედ აღნიშნული მიმართულება დაედო საფუძვლად სახელმწიფო შესყიდვების მასშტაბურ რეფორმას და დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების რადიკალური მოდერნიზება 2010 წლის ბოლოს - 2011 დასაწყისში განხორციელდა და ქვეყანა მთლიანად ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე გადავიდა. საზოგადოებამ გაანალიზა ახალი სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები. ახალი შესყიდვების სისტემის შემოღება უდაოდ დადებითი მოვლენაა, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა ამ სფეროში კორუფციის დონე. ამავდროულად, გაზარდა ეფექტურობა და კონკურენცია. საკანონმდებლო ბაზაც მეტწილად ევროკავშირის რეგულაციებს ემთხვევა და ხშირ შემთხვევებში უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებს, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი სისტემები.

ზოგადად, საქართველოს შესყიდვების სისტემა შეიძლება მისაბაძი მაგალითი გახდეს სხვა, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. თუ არსებულ სისტემაში ცალკეული ცვლილებები მოხდება, ის შეიძლება გახდეს ერთ–ერთი ყველაზე ეფექტური, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი სისტემა საერთაშორისო დონეზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეისათვის

მოქმედმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ ოფიციალურად მოქმედება 2010 წლის 1 დეკემბერს დაიწყო. აღნიშნული შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო მასშტაბით რევოლუციურ ნაბიჯს წარმოადგენდა შესყიდვების სისტემაში. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მანამდეც ჰქონდათ მსგავსი გამოცდილება, მაგრამ არაიდენტური, რადგან რიგ ქვეყნებში, სადაც არსებობს შესყიდვების ელექტრონული სისტემა, არის უპირობოდ სავალდებულო ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ის, როგორც წესი, გარკვეულ სერვისს წარმოადგეს, რომელის გამოყენებაც შემსყიდველ ორგანიზაციებს სურვილისამებრ შეუძლიათ.

დღეისათვის მოქმედებს ელექტრონული შესყიდვების შემდეგი საშუალებები:

- ერთეტაპიანი ელექტრონული და ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA);
- ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT);
- ორეტაპიანი ელექტრონული და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (MEP);
- ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებისათვის(DAP);
- კონკურსი (CNT).

მოცემული შესყიდვების საშუალებები პროცედურების მიხედვით შესაძლებელია განვასხვავოთ და ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ორ ჯგუფად - ღია ტიპის შესყიდვები და დახურული ტიპის შესყიდვები. ღია ტიპის ელექტრონული შესყიდვის განხორციელებისას ადგილი აქვს ელექტრონულ ვაჭრობას, რომლის დროსაც პრეტენდენტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, შეუძლია შეამციროს მის მიერ წარმოდგენილი ფასი შესყიდვის პროცედურაში გამარჯვების მოპოვების მიზნით [4, გვ.6]. ელექტრონული ვაჭრობა მოიცავს ვაჭრობის ძირითად დროსა და ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებს, შესაბამისად, შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტები ვაჭრობის დამატებითი რაუნდების მიმდინარეობის დროს ამცირებენ თავდაპირველ ფასს და ვაჭრობენ ერთმანეთთან. ასეთი ტიპის შესყიდვის საშუალების დროს პრეტენდენტები ხშირ შემთხვევაში ექცევიან ე.წ. „ვაჭრობის აზარტის“ ქვეშ და აფიქსირებენ გაუთვითცნობიერებელ და დემპინგურ ფასზე უფრო დაბალ ფასს, რაც შემდგომში მათი სატენდერო წინადადებას არარელევანტურს ხდის. ასეთი ტიპის შესყიდვებს მიეკუთვნება: ერთეტაპიანი ელექტრონული და ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA).

რაც შეეხება ელექტრონული შესყიდვის დახურულ ტიპს, მას მიეკუთვნება: ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT); ორეტაპიანი ელექტრონული და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (MEP); ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებისათვის (DAP) და კონკურსი (CNT). ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პრეტენდენტებს არ აქვთ საშუალება იხილონ სხვა პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული ფასი და შესაბამისად, ვაჭრობასაც არ აქვს ადგილი. ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე(NAT) მიმდინარეობის დროს, აქცენტი ღია ტიპის ტენდერების მსგავსად, ფასზე კეთდება, თუმცა, პრეტენდენტი შემსყიდველს სთავაზობს იმ ღირებულებას, რაც მისთვის მისაღებია და არ ახდენს „ვაჭრობის აზარტიდან“ გამომდინარე სხვა კონკურენტი პრეტენდენტების ზეგავლენის ქვეშ ფასის ხელოვნურ კლებას.

ორეტაპიანი ელექტრონული და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (MEP) და კონკურსის (CNT) შემთხვევაში ვითარება განსხვავებულია. კონკურსის (CNT) შემთხვევაში ფასის გარდა მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადებების ფასის ხვედრით წონებს, რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. ამასთან, ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს და არ უნდა იყოს 70%-ზე ნაკლები. გარდა ამისა შემსყიდველი ორგანიზაცია განსაზღვრავს ხარისხის კრიტერიუმების ტიპებს: მოთხოვნები, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი ან/და ტექნიკური დოკუმენტაცია უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს, თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს, თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს, არათვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს და კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი

გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას [2, გვ.7].

ორეტაპიანი ელექტრონული და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერების (MEP) შემთხვევაში, კონკურსის მსგავსად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განსაზღვროს სატენდერო წინადადების შეფასების მოთხოვნები და თვლადი კრიტერიუმები, თუმცა არა უთვლადი კრიტერიუმები. ამასთან, სატენდერო წინადადების შეფასების თვლად კრიტერიუმს უნდა ჰქონდეს ციფრობრივად გამოსახული ხვედრითი წონა, რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს, ხოლო სატენდერო წინადადების ფასის ხვედრითი წონა შესაძლებელია შეადგენდეს არანაკლებ 0,3-სა და არაუმეტეს 0,7-ს [3, გვ.3].

რაც შეეხება გამარტივებული ელექტრონული ტენდერს (DAP) და ელექტრონული ტენდერს (DAP), ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის ჩატარების განსხვავებულ წესს, ე.წ. „ორ პაკეტიან“ სისტემას რა დროსაც სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, პრეტენდენტს უფლება აქვს, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ შეამციროს მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით. ამასთან, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები არ იმართება [1, გვ.22]. აღნიშნული პროცედურის დროს, პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა და გადარჩევა სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის მიხედვით. იმ პრეტენდენტებისაგან, რომელთა ტექნიკური დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს მინიმალურ სატენდერო მოთხოვნებს დგება ე.წ. „მოკლე სია“, რომელთაგანაც მინიმალური შეთავაზების ფასის მქონე პრეტენდენტთან ფორმდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

ელექტრონული ტენდერების მრავალფე-როვნების მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შემსყიდველი თავად ირჩევს, რომელი მათგანი გამოიყენოს ამა თუ იმ შესყიდვის განსახორციელებლად. მუხედავად ამისა, 2016 წლის 1 ივლისის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებულ ტენდერებში ე.წ. „ღია ტიპის“ ტენდერების რაოდენობა თითქმის 3-ჯერ აღემატება ე.წ. „დახურული ტიპის“ ტენდერების რაოდენობას. რა თქმა უნდა, ე.წ. „ღია ტიპის“ ტენდერებს გააჩნია თავისი ღირსება - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიიღწევა შეთავაზების მინიმალური ფასი, თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, არც თუ იშვიათ შემთხვევებში უარყოფითად აისახება შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივ მაჩვენებელზე, ან საერთოდ არარელევანტურს ხდის მინიმალური ფასის მქონე პრეტენდენტის შეთავაზებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის მიზეზია ის, რომ პრეტენდენტები ხშირ შემთხვევაში ექცევიან ე.წ. „ვაჭრობის აზარტის“ ქვეშ და აფიქსირებენ გაუთვითცნობიერებელ და დემპინგური ფასზე უფრო დაბალ ფასს, რაც შემდგომში მათი სატენდერო წინადადებას არარელევანტურს ხდის. აღნიშნულიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი საშუალებას სწორედ ე.წ. „დახურული ტიპის“ ტენდერები იძლევა, როდესაც ტენდერში მონაწილე სუბიექტებს არ აქვთ სხვისი, ანუ ტენდერში მონაწილე კონკურენტების მიერ შემოთავაზებული ფასის ხილვის საშუალება, შესაბამისად ისინი ცდილობენ, რომ მათ მიერ დაფიქსირებული ფასი იყოს მინიმალური, ამასთან შესაბამისი მათი შემოთავაზებისა. ყოველივე ეს ერთის მხრივ უზრუნველყოფს მინიმალურ დანახარჯებს სახელმწიფოს მხრიდან და მეორეს მხრივ კი - შემსყიდველი მიერ შემუშავებული ტექნიკური დავალების შესაბამის პროდუქტს.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველისათვის არსებითი მნიშვნელობა შესყიდვის ობიექტის „ხარისხს“ ენიჭება, შესაბამისად შემსყიდველი მზადაა მეტი გადაიხადოს უფრო ხარისხიან პროდუქტში, მაშინ მიზანშეწონილია, რომ შესყიდვის საშუალებად გამოყენებული იქნას ორეტაპიანი ელექტრონული ან ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (MEP). უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში სიტყვა „ხარისხი“ ძალზედ პირობით ხასიათს ატარებს. უფრო „ხარისხიანის“ შესარჩევად შემყიდველი ვალდებულია სატენდერო დოკუმენტაციაში წინასწარ მიუთითოს, თუ რომელი ტექნიკური პარამეტრი ან/და პარამეტრები წარმოადგენენ მისთვის ხარისხის შეფასების კრიტერიუმს და შესაბამისად, თითოეული მათგანისათვის განსაზღვროს ციფრობრივად გამოსახული ხვედრითი წონა.

ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერში (MEP) მონაწილე პრეტენდენტებს, მსგავსად ე.წ. „დახურული ტიპის“ ტენდერებისა, არ აქვთ სხვისი, ანუ ტენდერში მონაწილე კონკურენტების მიერ შემოთავაზებული ფასის ნახვის საშუალება, შესაბამისად, ისინი ცდილობენ, რომ მათ მიერ დაფიქსირებული ფასი იყოს მინიმალური, ხოლო

შეთავაზებული პროდუქტი, იმ ტექნიკური პარამეტრების მიხედვით, რომელიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში - საუკეთესო.

აღნიშნული ტენდერის ჩატარების შედეგად შემსყიდველი უზრუნველყოფს ერთი მხრივ მინიმალურ დანახარჯებს, ხოლო მეორე მხრივ მას ეძლევა საშუალება უფრო მეტი გადაიხადოს შედარებით უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტში.

როგორც ცნობილია, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვა. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ვერ იქნება „რაციონალური“, თუ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები მხოლოდ „იაფიანი“, „უხარისხო“ და შესაბამისად დაბალი სასიცოცხლო ციკლის მქონე საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს გამსაღებლებად იქცევიან, რაც თავისთავად იმავე შესყიდვის ობიექტზე უმოკლეს დროში ხელახალ დანახარჯებს იწვევს. ყველა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციის მიზანს უნდა წარმოადგენდეს, სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ფასისა და ხარისხის ადეკვატური შესაბამისობით შესყიდვა, ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი აქტიურობით გამოიყენონ შესყიდვის ის საშუალებები, სადაც პრეტენდენტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას აზარტული ვაჭრობის შედეგად ხელოვნურად, და რაც მთავარია, არაადეკვატურად შეამცირონ შესყიდვის ობიექტის ფასი. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა შედეგებზე ორიენტირებული შესყიდვის განხორციელება, რაც გულისხმობს შედარებით ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლის მქონე საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვას და შესაბამისად, სახელმწიფოს კუთვნილი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება.
2. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის #7 ბრძანება.
3. „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის #11 ბრძანება.
4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

Efficiency of Electronic Procurement

Shalva Julakidze
David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia
Doctor of Economic Sciences, Associated Professor
Head of State Procurement Service of Roads Department of Georgia

Tinatin Medzmariashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Under-graduate of PhD of the Faculty of Economics and Business
Head of State Procurement Division of Administration Department of the Ministry
of Regional Development and Infrastructure of Georgia

The organized function of state procurement as field assists maximal involvement in state procurements of business and respectively, has positive impact on economic increase of the country. The wide-scaled reform in the system of state procurement in Georgia and the implementation of united e-system assisted the increase of competition between efficiency and potential applicants. Despites significant reforms, still the main aim is the rational expenditures of state means, procurement of service or work of goods of high vital cycle by purchaser organizations which in shortest period does not cause unforeseen state expenditures.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის გზები

ლაშა მგელაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ტელ: (+995) 577229889
ელ.ფოსტა: lmgeladze@gmail.com

სტატია ეხება სახელმწიფო შესყიდვების თემატიკას. განხილულია ქვეყნისა და ბიზნესისათვის უმნიშვნელოვანესი სფეროს - სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ინსტიტუციური მოდელი. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი ერთ-ერთი უმსხვილესია საქართველოში (იგი ქვეყნის ბიუჯეტის 39%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 12%-ს შეადგენს), უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემის ინსტიტუციურ გამართულობას და სფეროში მოქმედი ინსტიტუტის/ინსტიტუტების ეფექტიანად ფუნქციონირებას.

შესაბამისად, მიმოხილულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. განხილულია თითოეული მიმართულება ცალ-ცალკე და გადმოცემულია ავტორის შეფასება მათთან დაკავშირებით. ბოლოს, დასკვნის სახით, წარმოდგენილია ავტორის ხედვა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების/დახვეწის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დღეს მოქმედი ინსტიტუციური მოდელი საჭიროებს შემდგომ სრულყოფას და გაჯანსაღებას, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო გააუმჯობესებს სახელმწიფო შესყიდვების პროცესს, ამაღლდება გამჭვირვალობის ხარისხი, უფრო მოქნილი და ეფექტური გახდება სისტემა - აღნიშნულია დასკვნაში.

სახელმწიფოს სიძლიერე, მისი ეფექტიანობა, ჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სწრაფი განვითარების დონე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ ფუქციონირებაზე. შესაბამისად ისმება კითხვა, არის თუ არა ესა თუ ის ინსტიტუტი შექმნილი რეალური საჭიროებიდან გამომდინარე, რამდენად სწორად არის ფუნქციები გადანაწილებული როგორც ინსტიტუტებს შორის, ისე ამ ინსტიტუტების შიგნით. რამდენად სწრაფად შეუძლია სისტემას (ამა თუ იმ ინსტიტუტს) უცაბედად/მოულოდნელად წამოჭრილ პრობლემებზე რეაგირება და მისი მოკლე დროში გამოსწორება.

ცხადია, ზედმეტი ფუნქციებით და რეგულაციებით დატვირთული, ჭარბი სამუშაო ძალითა და ჭარბი, მოუქნელი, ბიუროკრატიული წესებით გაჯერებული ინსტიტუტები და სისტემა ვერ შეძლებს ეფექტურად/ეფექტიანად ემსახუროს ქვეყანას და დააყენოს განვითარების სწორ გზაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სფეროში მოქმედი ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონირება საერთო ჯამში პირდაპირპროპორციულად აისახება სახელმწიფო სისტემის ეფქტიანობაზე. ერთი კონკრეტული ინსტიტუტის ნამოქმედარმა შეიძლება მკვეთრად შეაფერხოს ან გააუმჯობესოს სისტემის ეფექტურობა და განვითარების დონე.

ამჯერად, თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ინსტიტუციურ მოდელზე, კრიტიკულად განვიხილავთ მას და შევეცდებით წარმოვადგინოთ სისტემის ინსტიტუციური გაუმჯობესების ჩვენეული ხედვა.

რატომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ინსტიტუციური მოდელი? აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი ერთ-ერთი უმსხვილესია საქართველოში: 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე დაიხარჯა 4 მილიარდ ლარზე მეტი; სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი ქვეყნის ბიუჯეტის 39%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 12%-ს შეადგენს; 2016 წელს აღნიშნულ ბაზარზე ჩატარდა 38 000-ზე მეტი ტენდერი. [9; გვ.1]

ზემოაღნიშნული ციფრები ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელწიფო შესყიდვების ბაზარზე კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოს. ასევე ხაზს უსვამს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მოცულობიდან გამომდინარე, რამხელა მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ ბაზარს, როგორც ეკონომიკის, ისე ბიზნესის განვითარების კუთხით. შესაბამისად, სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სფეროს მარეგულირებელ ინსტიტუციურ გარემოს.

მოკლედ მომივიხილავთ, თუ რა როლი

ენიჭება არსებული კანონმდებლობით სისტემის მარეგულირებელ/მონტორინგის განმახორციელებელ უწყებას და რა ფუნქციებით არის იგი აღჭურვილი.

სახელმწიფო შესყიდვების ბაზარს არეგულირებს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (მიღების თარიღი 20.04.2005წ.). კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუქტის მიხედვით სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

„ა) ამ კანონის მოქმედებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და გამოცემა, მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე შესყიდვების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად;

გ) სპეციალური სასწავლო პროგრამების, სასწავლომეთოდიკური მასალებისა და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმების მომზადება, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

დ) შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სრულყოფა და მასზე ზედამხედველობა;

ე) შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;

ვ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებათა შესყიდვების სისტემაში დანერგვისათვის ხელის შეწყობა;

ზ) შესყიდვების საჯაროობისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და სპეციალური სახელმძღვანელო ბიულეტენის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

თ) შესყიდვების დროს წარმოქმნილი დავის განხილვა;

ი) შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა;

კ) შავი სიის წარმოება;

კ1) თეთრი სიის წარმოება; ...

მ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, შემსყიდველის წერილობითი მომართვის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოახდინოს შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირება ან/და კლასიფიკატორში ინტეგრირება;

ნ) სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება. “

ზემოაღნიშნული კანონისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უწყების დებულების (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 პრილის #306 დადგენილება) [5] მიხედვით იკვეთება ამ დაწესებულების საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებებ: 1. იგი პროცედურულ კონტროლს/ მონიტორინგს უწევს კანონის აღსრულებას - ანუ რამდენად კანონის შესაბამისად ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვას (კანონის შესაბამისად ადგენს თუ არა სატენდერო დოკუმენტაციას, დადგენილ ვადებში აცხადებს თუ არა ტენდერს, განათავსებს თუ არა შესყიდვებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას სისტემაში დადგენილ ვადებში და ა.შ.); 2. მონიტორინგს უწევს სახელმიწფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამართულად ფუქციონირებას (ტენდერი ცხადდება ელექტრონულად სისტემაში, შესაბამისად ვაჭრობაც ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით და ყველა ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტი იტვირთება სისტემაში და ა.შ); 3. მონიტორინგს უწევს თეთრი და შავი სიების წარმოებას [2; 3]. „კვალიფიციური“ მიმწოდებლები/კომპანიები შეჰყავს თეთრ სიაში და „არაკეთილსინდისიერი“ მიმწოდებლები/ კომპანიები შავ სიაში და აქვეყნებს); 4. განიხილავს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის წარმოქნილ დავებს და გამოაქვს გადაწყვეტილებები 5. ითანხმებს გამარტივებულ შესყიდვებს [4] (განიხილავს მოთხოვნებს პირდაპირი/ ტენდერის გარეშე შესყიდვის შესახებ და გასცემს დასკვნას/ნებართვას მისი მიზანშეწონილობის/ განხორციელების ან მიზანშეუწონლობის შესახებ; 6. ახორციელებს კონსოლიდირებული ტენდერის მომზადებისა და განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებებს (კონსოლიდირებულ ტენდერს აცხადებს საქართველოს მთავრობა, მისი ტექნიკურად მომზადებისა და განხორციელებისათვის საჭირო თითქმის ყველა სამუშაოს ეწევა მარეგულირებელი ინსტიტუტი. კონსოლიდირებული ტენდერი გულისხმობს - ყველა სახელმწიფო შესმსყიდველი ორგანიზაციის ნაცვლად ერთიანი ტენდერის გამოცხადებას, რომელში გამარჯვებულიც უზრუნველყოფს ყველა უწყებისათვის საჭირო პროდუქტის მიწოდებას პირდაპირი ხელშეკრულებით. ყველა შემსყიდველი გამარჯვებული (ძირითადად ერთი მიმწოდებლისგან) კომპანიისგან ყიდულობს პროდუქტს); 7. ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი, რომელიც ეწევა სახელმწიფო შესყიდვების კუთხით დასაქმებული სახელმწიფო მოსამსახურეების გადამზადებას.

ჩვენ, ამ ეტაპზე არ შევალთ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის დეტალებში. მხოლოდ ზემოაღნიშნული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განვიხილავთ და მოგაწოდებთ ჩვენს მოსაზრებებს მათთან დაკავშირებით.

1. პროცედურული კონტროლი/ მონიტორინგი კანონის აღსრულებაზე - უნდა აღინიშნოს, რომ საშტატო ნუსხის მიხედვით [6]

შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, რომელიც არის პასუხისმგებელი მონტორინგის განხორციელებაზე, დასაქმებულია 16 ადამიანი. 2016 წელს კი ჩატარდა 38072 ტენდერი. ჩვენი აზრით ცალსახაა, რომ 16 ადამიანი, როგორი პროფესიონალებიც არ უნდა იყვნენ ისინი, ვერ შეძლებს 38000 ტენდერის სრულფასოვან კონტროლს (თუნდაც ტექნიკურ/კანონთან შესაბამისობის კუთხით კონტროლს). ანიშნული დასტურდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცემული წლიური Enewsletter-ში მოყვანილი ინფორმაციითაც [9; გვ.10], რომლის მიხედვით 2016 წლის განმავლობაში მოხერხდა 15000-მდე (38000 ტენდერიდან) ტენდერის დამუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ უწყებაში დანერგილია ავტომატური შეტყობინებების სისტემა, რომლის საშუალებითაც ავტომატურად მოდის შეტყობინება შესაძლო დარღვევებზე კანონის გარკვეულ მოთხოვნებთან მიმართებაში, იგი მაინც ვერ მოიცავს სრულად ყველა ტიპის დარღვევას. შესაბამისად მაინც არის საჭირო ტენდერის სრულფასოვანი გავლა. ასევე, გამოვლენილი შესაძლო დარღვევის შეტყობინებაც ხომ ფიზიკურად გადასამოწმებელია. ამასთან, პროგრამა მხოლოდ ტექნიკური ტიპის დარღვევების ალბათობას აფიქსირებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონიტორიგნის განმახორციელებელი უწყების უფლებამოსილებას მხოლოდ ტექნიკური, კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის, კონტროლი წარმოადგენს. ყოველგვარი შინაარსობრივი კუთხით კონტროლი (კორუფციული გარიგეგებების, კონკურენციის შეზღუდვის, დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის და ა.შ. შესაძლო ფაქტების გამოვლენის. ბაზრის სისტემური ანალიზი სხვადასხვა პრობლემების გამოვლენის კუთხით) მის კომპეტენციას სცდება, რაც ჩვენი აზრით არასწორია. მხოლოდ რუტინულ საქმემდე დადის საერთო ჯამში მონიტორინგი, რასაც, ჩვენი აზრით, არსებითი შედეგი ვერ მოჰყვება. შესაძლო გადაცდომის/დანაშაულის პროაქტიულ კონტროლზე ხომ ზედემტია საუბარი. გადაცდომის/დანაშაულის წინასწარ გამოვლენის შესაძლებლობა მინიმუმადეა დასული. 2016 წელს შესაბამისი მაკონტროლებელი უწყების მიერ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სამართლალდარღვევის 98 შემთხვევა გადაგზავნილ იქნა სასამართლოში. ასევე გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 2000-ზე მეტი წერილი. [9; გვ.42]

2. შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირების მონიტორინგი - სახელწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა 2010 წელს დაინერგა. ამავე წელს გამოცხადდა პირველი ელექტრონული ტენდერიც. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული რეფორმა მეტად მნიშვნელოვანი იყო. მან მნიშვნელოვნად გაუმჯობესა სისტემა, შეამცირა კორუფციის რისკები და მკვეთრად აამაღლა სისტემის გამჭვირვალობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული სისტემის/სერვერის გამართული ფუნქციონირების მონიტორინგი სუფთად ტექნიკური საკითხია და იგი შეიძლება ნებისმიერმა ორგანიზაციამ განახორციელოს, რომელსაც შესაბამისი ინფრაქტრუქტურა გააჩნია (მაქსიმუმ 4-5 კვაფიციური პროფესიონალი ალბათ საკმარისია ამისათვის).

3. თეთრი და შავი სიების წარმოების მონიტორინგი - აღნიშნულ საკითხზე ვრცლად აღარ შევჩერდებით, რადგან თემასთან დაკავშირებით უკვე გამოვაქვეყნეთ ვრცელი სტატია 2016 წელს [10]. მხოლოდ განვმარტავთ, რომ აღნიშნული კომპონენტი არაეფექტურია, ზღუდავს კონკურენციას, წნეხად აწევს ბიზნესს, ქმნის ბიუროკრატიულ ბარიერს და კორუფციის რისკს. შესაბამისად, იმისათვის რომ სახელმწიფო შესყიდვების სასაქონლო ბაზრებზე იყოს ჯანსაღი კონკურენტული გარემო, მასში მონაწილე კომპანიებს ჰქონდეს ერთნაირი სასტარტო პირობები და არცერთი კომპანია არ იყოს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებული, საჭიროა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულ იქნას „თეთრი“ და „შავი“ სიის წარმოების უფლებამოსილება.

4. მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის წარმოქნილი დავების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება - ჩვენი აზრით არ არის მართებული, რომ უწყება რომელიც ახორციელებს ამა თუ იმ სისტემის მონიტორინგს, პარალელურად განიხილავდეს სისტემაში წარმოქმნილ დავებს. აღნიშნულის შედეგად იგი ხდება სისტემის უშუალო მონაწილე (იმის მაგივრად, რომ აკვირდებოდეს და შესაბამის რეაგირებებს ახდენდეს გამოვლენილ დარღვევებზე) და კარგავს არბიტრის ფუნქციას. აღნიშნული ასევე ზრდის კორუფციის რისკს.

ამასთან, მონიტორინგის განმახორციელებელი უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების და მოგების შემთხვევაში, არსად არ არის გაწერილი მექანიზმი, ვინ ან როგორ ანაზღაურებს უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მიყენებულ ზიანს.

5. გამარტივებული შესყიდვის შეთანხმება - ვფიქრობთ, რომ მიუხედავად აღნიშნული კომპონენტის აქტუალობისა. საკითხი არ უნდა თანხმდებოდეს სისტემის მაკონტროლებელ უწყებასთან. როგორც ზემოთ აღვნიშნე, შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანო უნდა იყოს არბიტრის როლში. უნდა აკვირდებოდეს სისტემას და გასცემდეს შესაბამის რეკომენდაციებს ან მიუთითებდეს შეცდომებზე. იგი არ უნდა იყოს შესყიდვების პროცესის უშუალო მონაწილე. ეს იგივეა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური (ყოფილი კონტროლის პალატა) წინასწარ ითანხმებდეს საბიუჯეტო დაწესებულებების განსახორციელებელ ღონისძიებებს, ან შემოსავლების სამსახური (ყოფილი საგადასახადო ინსპექცია) წინასწარ ითანხმებდეს, თუ როგორ უნდა განახორციელოს დაბეგვრა კომპანიამ. ამ შემთხვევებში ხომ კონტროლი აზრს კარგავს საერთოდ. ვინ უნდა

აკონტროლოს მსგავს შემთხვევებში სისტემა თუ მაკონტროლებელიც უშუალოდ პროცესის მონაწილე ხდება.

ასევე, მსგავს შემთხვევებში პასუხისმგებლობა ძირითადად გადადის მხოლოდ ერთ, მაკონტროლებელ უწყებაზე, რაც არაეფექტურია და ნეგატიურად აისახება ამა თუ იმ უწყების საქმიანობაზე. შესაბამისად, იზრდება წნეხი მაკონტროლებელი უწყების მიმართ, როგორი დამოუკიდებლობის ხარისხიც არ უნდა ჰქონდეს მას კანონმდებლობით მინიჭებული.

6. კონსოლიდირებული ტენდერის მომზადებისა და განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების აღსრულება - აღნიშნული საკითხი ძალიან სენსიტიურია და დიდ დაკვირვებას მოითხოვს. ჭირდება კი ქვეყანას, რომელიც განვითარებადია, რომლის ეკონომიკა ფაქტობრივად ახლა იდგამს ფეხს და გასაძლიერებელია, კონსოლიდრებული ტენდერი? ტენდერი, რომლის შედეგადაც ათეულობით (გარკვეულ შემთვევებში ასეულობით) მილიონი ლარი კონკრეტულ ბაზარზე მხოლოდ ერთ კომპანიას უნდა ერგოს (უკეთეს, გამონაკლის შემთხვევაში ორს).

ჩვენი აზრით მიზანშეუწონელია ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე, რომელიც განვითარების (ხაზს ვუსვამთ განვითარების და არა გაუმჯობესების ან დახვეწის) ეტაპზეა, უპირატესობა მიანიჭო (თუნდაც ტენდერის საფუძველზე) და საბიუჯეტო ორგანიზაციების მთელი შესყიდვა ერთ კომპანიას დაუკვეთო. ამ კომპნიას ეძლევა გარანტირებული მოგება და უსაზღვროდ დიდი ბრუნვა კონკურენტ კომპანიებთან შედარებით, რის შედეგადაც ბაზარზე სხვა მოთამაშეები შეიძლება უბრალოდ გაქრნენ. ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ სექტორის განვითარებისთვის, ხშირ შემთხვევაში, მომკავდინებლად შეიძლება იმოქმედოს აღნიშნულმა მიდგომამ. ასევე, ხშირ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ხელოვნურობა (საუბარია სატენდერო დოკუმენტაციის პირობების ხელოვნურად, გარკვეული ფაქტორების უგულებელყოფით შეკოწიწებაზე. მაგ. განსაზღვრო საბიუჯეტო ორგანიზაციის საბურავებით მომარაგება ან სამივლინებო ხარჯების, ავია ბილეთების, სასტუმროს და ასე შემდეგ, სტრატეგიულად განაწილება) და ხელი შეუშალოს ბაზარზე ეკონომიკური კანონების მოქმედებას.

აღნიშნულს ემატება ისიც, რომ არსად არ არის დადგენილი/გაწერილი, თუ როგორ უნდა დადგინდეს საწყისი ფასი (საიდანაც დაიწყება ვაჭრობა). არსად არ არის გაწერილი ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია, რა უნდა იქნეს გათვალისწინებული და როგორ საწყისი ფასის დადგენისას. აღნიშნული ქმნის ქაოტურ სიტუაციას და საკითხი სისტემაში დასაქმებული ადამიანების პროფესიონალიზმისა და პატიოსნების იმედად არის დატოვებული.

7. სასწავლო ცენტრი რომელიც ეწევა სახელმწიფო შესყიდვების კუთხით დასაქმებული სახელმწიფო მოსამსახურეების გადამზადებას - ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი კომენტარით შემოვიფარგლებით. საჯარო/სახელმწიფო სისტემაში არსებობს ორი სასწავლო ცენტრი: იუსტიციის სამინისტროს ბაზაზე შექმნილი, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი და ფინანსთა სამინისტროს ბაზაზე შექმნილი ფინანსთა სამინისტროს აკადემია.

უკეთესი ხომ არ იქნება ტრეინინგები ამ ორი სასწავლო ცენტრის საშუალებით განხორციელდეს. ყველა კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელმა დაწესებულებამ თავისი სასწავლო ცენტრი რომ შექმნას, არ იქნება მართებული ჩვენი აზრით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ რამოდენიმე ფაქტზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ნათელს ხდის შესყიდვების სისმტემის ინსტიტუციური ეფექტურობის საკითხს:

ა) ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, სადაც მოცემულია 2015 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება სავარაუდო ღირებულების მიხედვით [7; გვ.15]

დიაგრამა N8: 2015 წელს გამოცხადებული ტენდერების განანილება სავარაუდო ღირებულების მიხედვით



მონაცემები არ მოიცავს „ვაჭრობას პრეისკურანტით".

დიაგრამიდან ირკვევა, რომ 2015 წელს გამოცხადდა 35 421 ელექტრონული ტენდერი, საიდანაც 50 000 ლარამდე გამოცხადებულმა ტენდერებმა 27 822 (78.55%), 10 000 ლარამდე გამოცხადებულმა ტენდერებმა 15 919 (45%), 200 000 ლარამდე გამოცხადებულმა 32 917 (93%), ხოლო 200 000 ზემოთ გამოცხადებულმა ტენდერებმა მხოლოდ 2 504 ერთეული შეადგინა.

ზემოთ მოყვანილი ციფრები ცხადყოფს, რომ გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის 78% მოდის 50 000 ლარს ქვემოთ ტენდერებზე. ანუ, მთელი სახელმწიფო აპარატი, სისტემის მარეგულირებელი, კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყება მომართულია 50 000 ლარამდე ტენდერების კონტროლზე. აღნიშული, ჩვენი აზრით (მსუბუქად რომ ვთქვათ) არაეფექტურია, უფრო მეტ პრობლემას ქმნის (როგორც ადმინისტრაციული, ისე სახელმწიფო აპარატის მოქნილობის კუთხით) ვიდრე აგვარებს. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა იყოს 50 000 ლარს ქვევით შესყიდვები მოქცეული ასეთ მკაცრ რეგულაციაში. ოპონენტები იტყვიან ალბათ, რომ ეს კორუფციული გარიგებების შესაძლებლობების მინიმუმამდე დაყვანის გამოა, რასაც არ ვეთანხებით. რა მასშტაბის კორუფცია შეიძლება მივიღოთ 50 000 ლარიან შესყიდვაზე და იქნება კი ის ტენდერის გამოსაცხადებლად დახარჯული ენერგიის დროის ფინანსური რესურსის ადეკვატური?

ასევე, 2015 წელს შესაბამისმა ორგანოს სტრუქტურულმა ერთეულმა (16 კაციანმა დეპარტამენტმა) მოახერხა 14 600 ტენდერის გაანალიზება სტატუსით „ხელშეკრულება დადებულია“ (გამოცხადებული 35 421-იდან). ეს იმ დროს, როცა 2015 წელს 50 000 ლარს ზემოთ გამოცხადებული ტენდერების რაოდენობამ 7599 ერთეული შეადგინა (50 000 ლარს ქვემოთ გამოცხადებულმა ტენდერებმა კი საერთო რაოდენობის 79%-მდე შეადგინა). უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა მონიტორინგის რესურსი სწორედ ამ ტიპის ტენდერებზე (50 000 ლარს ზემოთ ტენდერები) მიმართულიყო. [7; გვ.41]

ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს ამყარებს 2016 წლის მონაცემებიც, სადაც ანალოგიური ტენდენცია იკვეთება. უფრო მეტიც, 10 000 ლარს ქვემოთ გამოცხადებული ტენდერები 974 ერთეულით (6.12%-ით) არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით, ხოლო 50 000 ლარს ქვემოთ გამოცხადებული ტენდერები გაზრდილია 1 718 ერთეულით (6.17%-ით). ინფომრაცია ასახულია დიაგრამა #7-ზე. [8; გვ.15]



დიაგრამა N7: 2016 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება სავარაუდო ღირებულების მიხედვით

მონაცემები არ მოიცავს GEO და DEP ტენდერებს. ასევე არ მოიცავს „ვაჭრობას პრეისკურანტით“.

დიაგრამიდან ირკვევა, რომ 2016 წელს გამოცხადდა 36 783 ტენდერი, საიდანაც 50 000 ლარამდე გამოცხადებულმა ტენდერებმა 29 540 (80%), 10 000 ლარამდე გამოცხადებულმა ტენდერებმა 16 893 (46%), 200 000 ლარამდე გამოცხადებულმა 34 478 (94%), ხოლო 200 000 ზემოთ გამოცხადებულმა ტენდერებმა მხოლოდ 2 305 (6%) ერთეული შეადგინა.

რეფორმამ და საკანონმდებლო სივრცემ მაქსიმალურად უნდა გაამარტივოს, მოქნილი და წამოჭრილ პრობლემებზე სწრაფად/ეფექტურად რეაგირებადი უნდა გახადოს სახელმწიფო აპარატი. სირთულეების/ბარიერების შემოტანა და სისტემის პროცედუალურად ზედმეტად დატვირთვა კიდევ უფრო აღრმავებს კორუფციული გარიგებების ალბათობას და უფრო გაუმჭვირვალეს ხდის სისტემას (რაც არ უნდა კარგი მიზნებითა და ლოზუნგებით იყოს გაჯერებული რეფორმა).

რაც უფრო რთული და ბიუროკრატიული პროცედურებით დატვირთულია სისტემა, მით უფრო დიდია მისგან თავის არიდების სურვილი.

ბ) ამასთან, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შემდეგ ფაქტზე, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფუქციონირების თითქმის ყველა ანგარიშსა თუ განხორციელებული საქმიანობის პროგრესზე შექმნილ დოკუმენტში საუბარია: თუ რამხელა ეკონომია გაკეთდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასასრგებლოდ ელექტრონული ტენდერების მეშვეობით. მაგ. 2015 წელს დაზოგილმა თანხამ 299 704 216 ლარი [7; გვ.10], ხოლო 2016 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 280 მილიონი ლარი შეადგინა ჯამში 2010 წლიდან 2016 წლის ბოლომდე დაზოგილმა თანხამ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა [9; გვ.1].

ერთის მხრივ, ვსაუბრობთ ეკონომიაზე, მეორეს მხრივ კი ისმის კითხვა, თუ რას მოხმარდა მიღებული ეკონომია, რაზეც პასუხს ვერ მივიღებთ. სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ეკონომია ნიშნავს სახარჯად გამოყოფილი თანხიდან ეკონომიის უკან ბიუჯეტში დაბრუნებას. ზემოაღნიშნული ეკონომიის თანხიდან კი არცერთი თეთრი ბიუჯეტში არ დაბრუნებულა. ანუ სახელმწიფო დაწესებულებები მათთვის გამოყოფილ წლიურ ბიუჯეტს ითვისებდნენ სრულად, მათ შორის შესყიდვების სისტემის საშუალებით დაზოგილ თანხას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომია გამოითვლება გამოცხადებულ ფასსა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ (ტენდერის შემდგომ დაფიქსირებული თანხა, რომელიც კორექტირდება ფაქტობრივად გადახდილი თანხით) თანხებს შორის სხვაობით. აქაც, ზემოთ აღნიშნულ პრობლემასთან მივდივართ (რასაც კონსოლიდირებულ ტენდერებთან დაკავშირებით ვწერდით), არ არის განსაზღვრული საბაზრო ფასის დადგენის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს საწყისი ღირებულება (შესაბამისად არ არის ცნობილი რამდენად ობიექტურად არის გათვლილი საწყისი ფასი).

გ) საყურადღებოა ასევე შემდეგი ფაქტიც: საბიუჯეტო დაწესებულება შეიმუშავებს ფინანსურ გეგმას და შესყიდვების გეგმას ცალ-ცალკე. ერთს წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს და მეორეს სახელმწიფო შესყიდვების მაკონტროლებელ უწყებას. სინამდვილეში, ჩვენი აზრით, ეს ორი დოკუმენტი ხარჯვით ნაწილში ერთმანეთისგან არსებითად არაფრით განსხვავდება. უფრო მეტიც, შესყიდვების გეგმა ფინანსური გეგმის ნაწილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უკეთესია შემუშავდეს ერთი დოკუმენტი, რომელიც წარდგენილი იქნება ერთ უწყებაში.

ამ ეტაპზე აქ შევჩერდებით და უფრო ღრმად, დეტალებში აღარ შევალთ. თავს შევიკავებთ ასევე სახელმწიფო შესყიდვების სისტემის პროცედურული, საკანონმდებლო თუ საკადრო გაუმჯობესების ჩვენეული ხედვის შემოთავაზებისაგან.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე მივიჩნევთ, რომ სისტემა საჭიროებს ინსტიტუციურ დახვეწას.

ზოგიერთი წინადადებები შესყიდვების სისტემის ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით

პრობლემა:

1.მაკონტროლებელ ორგანოს, რიგ შემთხვევებში, არ აქვს არანაირი პასუხისმგებლობა მის გადაწყვეტილებებზე;

2. მონიტორინგი შემოიფარგლება მხოლოდ კანონის დებულებების შესაბამისობის კონტროლით (სწორად არის თუ არა ხელშეკრულება გაფორმებული, სატენდერო დოკუმენტაცია სწორად არის თუ არა დაწერილი, ხომ არ არის დარღვეული მონეტარული ზღვრები და ა. შ);

3. სისტემა შექმნილია ისე, რომ დიდი დოზით ფუჭი რეგულირებით არის დახუნძლული (თეთრი და შავი სიები, ტენდერის გამოცხადებისათვის საჭირო დაბალი მონეტარული ზღვარი და ა. შ.);

4. გაწერილი დებულებების/ფუნქციების, მოცულობითობის/მასშტაბურობის გამო ფაქტიურად შეუძლებელია სისტემის სრულად/სრულყოფილად მონიტორინგი (ფიზიკურად შეუძლებელია წაიკითხო ყველა ხელშეკრულება და გაანალიზო ყველა ტენდერი სრულყოფილად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2016 წელს 38 000-ზე მეტი ტენდერი გამოცხადდა)

ამოცანა:

შეიქმნას ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმი კანონის აღსრულების მიზნიდან გამომდინარე. ფუნქციები გადანაწილდეს შესაბამის ინსტიტუტებში, რათა აღმოიფხვრას/მინიმუმამდე შემცირდეს დუბლირებისა და ზედმეტი ბარიერების/დაბრკოლებების შექმნის შესაძლებლობები. ინსტიტუტს ჰქონდეს მკაფიოდ გაწერილი სწორი მიმართულებით ორიენტირებული ფუნქციები და შესაძლებლობები.

ამოცანის გადაჭრის გზები:

1. მონიტორინგის ფუნქცია მთლიანად უნდა გადაეცეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (ყოფილი კონტროლის პალატა), ეს ისედაც მის ფუნქციებში შედის და დამატებითი რგოლი, ჩვენი აზრით, არ არის საჭირო. მითუმეტეს კონტროლის პალატა პასუხისმგებელია მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ასევე, უფლებამოსილია მონიტორინგი განახორციელოს შინაარსობრივი კუთხითაც (არა მარტო პროცედურული კუთხით).

2. სახელმწიფო შესყიდვების, როგორც ბაზრის ერთ-ერთი სახეობის მუდმივი მონიტორინგი/კვლევა, კომპეტენციის ფარგლებში, უნდა განახორციელოს კონკურენციის სააგენტომ და უნდა მიეცეს ელექტრონულ სისტემასთან დაშვება.

3. ელექტრონული სისტემა (თავის მომსახურე პერსონალით) შესაძლებელია გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს, მითუმეტეს მას სერვისი თითქმის სრულად ავტომატიზებული/ელექტრონული აქვს.

4. შესყიდვების გეგმა გახდეს ფინანსური გეგმის ნაწილი და წარედგინოს ფინანსთა სამინისტროს. მანვე განახორციელოს ელექტრონული სისტემის

(სერვერისა და შესაბამისი პროგრამების) მომსახურება.

5. დავების საბჭოს ფუნქცია (თუ ჩაითვლება, რომ საჭიროა და ეფექტური მექანიზმია) უნდა გადაეცეს სასამართლო სისტემას. განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა წარმოქმნილი დავები საწყის ეტაპზე განიხილებოდეს არსებული წესით, სწრაფად და მოქნილად, სასამრთლოს და არა რომელიმე სახელმწიფო უწყების მიერ.

შესაძლებელია განხილულ იქნას სხვა, ჩვენი აზრით, არსებულზე უკეთესი ვარიანტებიც:

ა) დავების საბჭო შეიძლება გავიდეს ცალკე, შესაბამისი უწყების (მაგალითად მთავრობის ადმინისტრაციის შემადგენლობაში) დაქვემდებარებაში.

ბ) შესაძლებელია დავების განხილვის უფლებამოსილება ისევე, როგორც შვედეთშია, მიეცეს კონკურენციის სააგენტოს.

ჩვენი აზრით, დავების საბჭოს წევრთა საქმიანობა უნდა იყოს ანაზღაურებადი (დღეს არსებული მდგომარეობით საბჭოს წევრები ანაზღაურებას არ იღებენ).

6. შავი და თეთრი სიების წარმოება უნდა გაუქმდეს. ჩვენი აზრით იგი არაეფექტური მექანიზმია და ზღუდავს კონკურენციას (აღნიშნულ საკითხზე უკვე გამოვაქვეყნეთ ჩვენი მოსაზრებები 2016 წელს და ახლა ვრცლად აღარ შევჩერდებით). [10]

7. გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების უფლებამოსილება უნდა გაუქმდეს. როგორც ადრე, იგი უნდა შეითანხმოს უწყების ზემდგომმა (სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელმა უწყებამ). რა თქმა უნდა, მონიტორინგი/კონტროლი სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა განახორციელოს.

8. კონსოლიდირებული ტენდერები უნდა განხორციელდეს იშვიათად, მხოლოდ გარდაუვლად აუცილებელ შემთხვევებში და განხორცილების უზრუნველყოფისათვის გუნდი (რომელიც უშუალოდ მოამზადებს ტენდერს გამოსაცხადებლად) დაკომპლექტდეს თანამდებობრივად სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიხედვით (მაგ. თითო წარმომადგენელი ეკონომიკის, ფინანსთა, მთავრობის ადმინისტრაციის, კონკურენციის სააგენტოსა და სხვა შესაბამისი უწყებიდან - შესყიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დღეს მოქმედი ინსტიტუციური მოდელი საჭიროებს შემდგომ სრულყოფას და გაჯანსაღებას, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო გააუმჯობესებს სახელმწიფო შესყიდვების პროცესს. ამაღლდება გამჭვირვალობის ხარისხი. უფრო მოქნილი და ეფექტური გახდება სისტემა.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ნაშრომში ჩვენი ყურადღება გავამახვილეთ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ინსტიტუციური სრულყოფის საკითხებზე. რაც შეეხება სისტემის სრულყოფის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სისტემის ფუნქციური დახვეწა, ტენდერების გამოცხადებისა და განხორცილების მოქნილობის/ეფექტურობის ამაღლება, მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკურენციის კუთხით ანალიზი და სხვა აქტუალური საკითხები, ჩვენს მოსაზრებებს განვავრცობთ და წარმოვადგენთ მომდევნო კვლევებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი - 23.12.2015
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №19 (2015 წლის 29 ოქტომბერი) „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №2 (2016 წლის 26 თებერვალი) „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.
4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №13 (2015 წლის 17 აგვისტო) „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე
5. საქართველოს მთავრობის 014 წლის 23 პრილის #306 დადგენილება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის–სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“.
6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება #817 (2015 წლის 30 ოქტომბერი) „სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“
7. სახელმწიფო შესყიდვების საგენტო 2015 წლის ანგარიში - თბილისი 2016 წელი http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2015-wlis angarishi.pdf.aspx
8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2016 წლის საქმინობის ანგარიში 2017წ. გვ.15 http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/SPA-Report-2016-geo.pdf.aspx
9. სსიპ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ელექტრონული ჟურნალი „Enewsletter“, 2016 წელი http://procurement.gov.ge/getattachment/CooperationCivilPublic/ENewsletter/SPA-2016-Annual-eNewsletter.pdf.aspx

10. ლაშა მგელაძე - „შავი“ და „თეთრი“ სია სახელმწიფო შსყიდვების სისტემაში კონკურენციის შემზღუდავი თუ წამახალისებელი ფაქტორები, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2016 წ. #4 გვ. 69-76

Ways for Enhancement of State Procurements

Lasha Mgeladze
Doctoral Student at Georgian Technical University

The article covers the topic of state procurements. Institutional model of state procurements system – the most important field for the country and the business is discussed. Considering that the state procurements market is one of the largest in Georgia (constituting 39% of the state budget, and 12% of the gross domestic product), proper institutional functionality of the system and effective functioning of the institute(s) in this field are of great importance.

Correspondingly, main directions of the authority responsible for monitoring of enforcement of the Law of Georgia on State Procurement are reviewed. Each direction is discussed separately and author's assessment regarding them is provided. At last, author's vision regarding improvement/sophistication of the institutional arrangement of state procurements system is given in form of the conclusion.

We believe that the current institutional model of the state procurements system requires further improvement and enhancement which will ultimately improve the state procurement process, increase transparency, ensure more flexibility and effectiveness of the system – the conclusion says.

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲘᲐ ᲤᲘᲠᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲒᲘᲒᲘᲑᲔᲠᲘᲐ
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
ტელ: 5 93 33 32 32
ელ.ფოსტა: iagigiberia@gmail.com

სტატიაში განხილულია პროფესიული განათლება, როგორც უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრის, სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობა. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესწავლილია დასავლური ქვეყნების წარმატებული პრაქტიკა და გამოცდილება კომპეტემციებზე/სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სფეროში. განხილულია ფაქტორები, რომლებიც უცხოეთის ქვეყნის მოდელის პირდაპირ გადმოტანასა და დანერგვაზე ახდენს გავლენას.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013–2020 წწ) მოიცავს რამდენიმე ეტაპისგან შემდგარ ციკლს - შრომის ბაზრის კვლევიდან, სტუდენტის მიღწეული კომპეტენციების შეფასებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებამდე.

ამ ეტაპზე, პროფესიული განათლების სისტემაში ინერგება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (სდს) მოდელი, ე. წ. დუალური სწავლების მიდგომების გათვალისწინებით. ამ მიდგომით, კვალიფიციური კადრებისმოსამზადებლადსასწავლებელიდადამსაქმებელიგაინაწილებენპროგრამითგათვალისწინებულ კომპეტენციებს.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის უმთავრესი უპირატესობადანახარჯების შემცირებაა. პროფესიული კადრების მომზადების პროცესში დამსაქმებელთა ჩართულობა და პასუხისმგებლობათა გადანაწილებამნიშვნელოვნადამცირებს სახელმწიფოს მიერ ერთი სტუდენტის მომზადებაზე გაწეულ ხარჯს;ზრდის ეფექტიანობის მაჩვენებელს; უზრუნველყოფსსამუშაო ძალაზე მოთხოვნას და მიწოდებას შორის შესაბამისობას;ამცირებს უმუშევრობის დონეს, რაც ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარების გარანტიაა.

პროფესიული განათლება უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრის, სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა[4,8]. პროფესიული განათლების პროგრამა სტუდენტს უნდა დაეხმაროს სხვადასხვა გამოწვევის დაძლევაში და შეუქმნას თანამედროვე სამყაროს შესაფერი შესაძლებლობები, რათა მან უფრო სწრაფად და წარმატებით შეძლოს პირად, პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება.

ამ პროცესის ფარგლებში გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილება ,თუმცა პროფესიული განათლების დანერგვა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ რეალობაზე. ეროვნული სტრუქტურები, წინაპირობები და ტრადიციები ყოველთვის საფუძველია პროფესიული განათლების კომპონენტების წარმატებით დასანერგად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაანალიზებული და გათვალისწინებული იყოს ის წინარე გამოცდილება, რაც პროფესიულ განათლებაში უკვე არსებობს.

ჩვენს ქვეყანაში პროფესიულ განათლებას დიდი ტრადიცია აქვს. არაერთი ხელობა, რომელიც დღეს პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, საქართველოს შორეული წარსულიდან იღებს სათავეს.ხელოსნობა საქართველოში თავდაპირველად ოჯახურ მეურნეობებში ვითარდებოდა, ხოლო ტექნოლოგიების დახვეწასთან ერთად შეკვეთით და საფასო მოხელეობაში გადაიზარდა, საბოლოოდ კი ცალკე პროფესიებად ჩამოყალიბდა.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა პროფესიულ განათლებაში არის ის, რომ სწავლება უნდა შეესაბამებოდეს შრომითი ბაზრის საჭიროებებს სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით[4,13]. ერთ-ერთი საუკეთესო გზა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალების შესაბამისობას შრომითი ბაზრის საჭიროებასთან, არის მექანიზმების შემუშავება, რომლებიც დააკავშირებენ დამსაქმებელთა ინტერესებს

სასწავლო დაწესებულებებთან და ამგვარად, გამოიყენებენ სამუშაო ადგილებს ეფექტიანად, როგორც ძლიერ სასწავლო გარემოს[6,6].

შრომის ბაზრის კვლევა აუცილებელი საფუძველია იმისათვის, რათა პროფესიულმა განათლებამ დროულად უპასუხოს ტექნიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების პროცესს. თანამედროვე სამუშაო ბაზრის დინამიკა გამოიხატება არა მხოლოდ თვისებრივად ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნაში, არამედ არსებულ სამუშაო ადგილებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცვლილებაშიც.პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მრავალი ინიციატივა ხორციელდება, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სისტემასთან გათანაბრებას უწყობს ხელს.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარების 2013-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2013 წლიდან ახორციელებს „პროფესიული კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამას“, რომლის მიზანია ეკონომიკური განვითარებისა და პიროვნული კარიერული ზრდის ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტრანსფერული უნარების გადაცემაზე ორიენტირებული ეფექტიანი და მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის გზით. რეფორმა მოიცავს რამდენიმე ეტაპისგან შემდგარ ციკლს - შრომის ბაზრის კვლევიდან, სტუდენტის მიღწეული კომპეტენციების შეფასებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებამდე. [5,3].

იმისათვის, რომ პროფესიულმა განათლებამ დააკმაყოფილოს როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნები, ასევე დამსაქმებელთა მოლოდინები, მნიშვნელოვანია მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარება და კვალიფიკაციების შესაბამისობა აპლიკანტების უნარებთან. კვალიფიკაციები ასევე მნიშვნელოვანია თვითდასაქმებულებისათვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და ბიზნესის განვითარებისათვის. საჭიროა პროფესიული კვალიფიკაციების უწყვეტი განხილვა/გადახედვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კვალიფიკაციების შრომის ბაზართან შესაბამისობას, კურსდამთავრებულების პიროვნულ განვითარებას ან სწავლების გაგრძელების შესაძლებლობას.

პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭებას და შესაბამისობას მჭიდროდ უკავშირდება წინმსწრები განათლების, არაფორმალური პროფესიული განათლების, სამუშაოზე ან/და ნებისმიერ ადგილას მიღებული გამოცდილების აღიარება. საკანონმდებლო საფუძველი მეტ-ნაკლებად მომზადებულია, თუმცა სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამგვარი ცოდნის თუ უნარების აღიარების ვალიდური მიდგომების დანერგვას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომპეტენციების გაუმჯობესებას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებას. ეს განსაკუთრებით ეხება დაბალკვალიფიკაციურ კადრებს, უმუშევარ მოსახლეობას და პირებს, რომელთაც მოუწიათ სწავლის მიტოვება კვალიფიკაციის მიღების გარეშე. მნიშვნელოვანი საკითხია სამუშაოზე მიღებული გამოცდილების თუ საზღვარგარეთ მიღებული პროფესიული განათლების აღიარება.

რეფორმის განხორციელება 2013 წელს დაიწყო სხვადასხვა მიმართულებების პროფესიული სტანდარტების შემუშავებით, დაკუმის (DACUM International Training Centre) მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტანდარტის მომზადებას/ გადამუშავებას დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობით[7,17].

გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ამ ეტაპზე საქართველოში კრედიტების სისტემა არის არასტანდარტიზებული - ერთსა და იმავე პროფესიაზე სხვადასხვა კოლეჯებში განსხვავებული კრედიტების სისტემაა. შედეგად ვიღებთ არასათანადო კვალიფიკაციის კადრებს და მიღებული კვალიფიკაციის ხარისხი საგრძნობლად განსხვავებულია. არასტანდარტიზებული სისტემის გამო შეუძლებელია დაგროვილი კრედიტების სხვაგან გამოყენება, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის მოქნილობას და თანაბარი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას, ასევე, შეუძლებელს ხდის სწავლის დროებით შეწყვეტასა და შემდგომ გაგრძელებას (ე.წ. აკადემიური), უარყოფით გავლენას ახდენს მობილობაზე, რაც თავის მხრივ ზღუდავს პროფესიულ კოლეჯებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.[6,57]

სწორედ ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიით შემუშავებული სტანდარტები ერთი მხრივხელს შეუწყობს კრედიტების ერთიანი სისტემის დანერგვას, რაც წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ გაადვილდება კრედიტების დაგროვება და ტრანსფერი ევროპის ქვეყნებში. გარდა ამისა, სტანდარტები უზრუნველყოფს თანაბარი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას.

დღეს არსებული მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი, დამსაქმებლებს უჭირს საჭირო

კადრის მოძიება. დამსაქმებელი, დიდ რესურსს ხარჯავს პერსონალის მომზადება - გადამზადებაში, რადგან საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა, კვლავ თეორიული მასალის მიწოდებაზეა ორიენტირებული. ახალგაზრდა სპეციალისტებს არ აქვთ წარმოებებში სავალდებულო პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა[8,1]. იშვიათია შემთხვევა, როდესაც სტუდენტებს ეძლევათ სწავლის პროცესშივე პრაქტიკულ სამუშაოებში ჩართვა, ისიცმხოლოდ დამატებითი გადასახადის გადახდის შემთხვევაში, რის საშუალებაც, მეტწილად მათ არ გააჩნიათ.

ამ პროცესის ფარგლებში გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილება.ჩვენ შევეცადეთ შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეგვესწავლა დასავლური ქვეყნების გამოცდილება კომპეტემციებზე/ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სფეროში, განგვეხილა წარმატებული მოდელები. აგრეთვე, გამოგვეკვეთა ფაქტორები, რომელიც რომელიმე ქვეყნის მოდელის პირდაპირ გადმოტანისას შეიძლება წარმოიშვას. ამიტომ,პირველ რიგში მნიშვნელოვანია, გაანალიზებული და გასათვალისწინებელი იყოს ის წინარე გამოცდილება, რაც პროფესიულ განათლებაში წლების მანძილზე არსებობს ჩვენს ქვეყანაში.

ასევე, განსაკუთრებული საფრთხის შემცველია იმგვარი სრულყოფილი მოდელების გადმოტანა, როგორებიცაა მაგალითად, გერმანია-შვეიცარია-ავსტრიაში არსებული ე.წ. დუალური, ასევე დანიასა და დიდ ბრიტანეთში მოქმედი შეგირდობის ტიპის და სხვა ისეთი მოდელები, რომლებიც მყარ ეკონომიკურ ტრადიციას ეფუძნებიან და განხორციელებისთვის უმთავრეს წინაპირობად, ეკონომიკურ სტაბილურობას მოითხოვენ[1,7].

ისეთი ეკონომიკური გარემოს პირობებში კი, როგორიც საქართველოშია, ამგვარი სტაბილურობის მიღწევა კომპანიებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად ამ ეტაპზე მათ დიდ ნაწილს უჭირს უახლოესი სამი ან თუნდაც ერთი წლის პერსპექტივით პერსონალის პოლიტიკის დაგეგმვა და სტუდენტთათვის სწავლის დასრულების შემდეგ გარანტირებული სამუშაო ადგილების შეთავაზება[1,7].

ეს გარემოება თავის მხრივ შეუძლებელს ხდის დუალური სწავლების მიდგომის- უმთავრესი პრინციპის დანერგვას, რომელიც კომპანიაში სწავლებისას სტუდენტისთვის სპეციალური, მოსწავლე-დასაქმებულის სტატუსის მინიჭებასა და მისთვის სწავლის დასრულების შემდეგ გარანტირებული სამუშაოს შეთავაზებას გულისხმობს.

მაგალითად, დუალური პროფესიული განათლება გერმანიაში, როგორც წესი, მიმდინარეობს საწარმო გარემოში. განათლების პროგრამის პრაქტიკასთან სიახლოვე დიდწილად განაპირობებს საწარმოს კონკურენტუნარიანობას და ამცირებს ახალგაზრდების უმუშევრობის რაოდენობას. დუალური პროფესიული განათლება აძლევს ახალგაზრდებს შესაძლებლობას, იყვნენ კვალიფიცირებულნი შრომის ბაზარზე. ხოლო საწარმოები და კომპანიები ამ გზით უზრუნველყოფენ თავიანთ სამუშაო ძალას და ინარჩუნებენ დარგის სპეციალისტების მაღალ ხარისხს. სწორედ აღნიშნულის გამო წარმოადგენს განათლების სისტემის ეს მოდელი მაგალითს სხვა განვითარებული ეკონომიკებისთვის[2,5].

იმისათვის, რომ საქართველოში, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელი გახდეს მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკის მაგალითის მიხედვით, დუალური მოდელის ყველა პრინციპის სრულყოფილად ამოქმედება, მიზანშეწონილია ახლავე დაიწყოს საგანმანათლებლო სისტემისა და შრომით-სამართლებრივი სივრცის მომზადება, რაც გარკვეულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს გულისხმობს[1,7].

ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ე.წ. 4-პუნქტიანი გეგმა (სამთავრობო პროგრამა 2016-2020), რომლის ერთ-ერთი პუნქტს წარმოადგენს განათლების რეფორმა.

გეგმის მიხედვით, პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგება დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომით, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სასწავლებელი და დამსაქმებელი გაინაწილებენ პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებს. შესაბამისად, სტუდენტი თეორიულ ცოდნას სასწავლებელში, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს კი პარალელურად, რეალურ სამუშაო გარემოში დამსაქმებლისგან მიიღებენ. ასევე გაგრძელდება მოქნილი მოდულური სწავლების მიდგომის დანერგვა, რაც ახალგაზრდებს სრული მოდულური-კომპეტენციაზე დაფუძნებული პროგრამის, ზრდასრულებს კი ცალკეული მოდულების გავლის შესაძლებლობას სთავაზობს შედარებით მოკლე დროში და სწავლის დასრულების შემდეგ გაძლიერებულ საწარმოო პრაქტიკას გულისხმობს. შედეგად, გაიზრდება სტუდენტებისა და მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისთვის მზაობის ხარისხი.[3,35]

შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე,

სახელმწიფო განსაზღვრავს პროფესიული განათლების ცალკეულ პრიორიტეტულ მიმართულებებს და უზრუნველყოფს დამსაქმებლების სრულფასოვან ჩართვას პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, ასევე სტუდენტების შერჩევისა და შეფასების პროცესებში.

ამოქმედდება პროფესიული მომზადება-გადამზადების მრავალფეროვანი პროგრამები. პარალელურად, შეიქმნება პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში გადასვლის მოქნილი მექანიზმები, სისტემა გახდება უფრო ღია და ინკლუზიური[4,21].

სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისა და კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე პრიორიტეტი იქნება სამეწარმეო განათლებაც. პროფესიის დაუფლებასთან ერთად, სტუდენტები ისწავლიან მეწარმეობას. ასეთ კადრს შესაძლებლობა ექნება მოგვიანებით საკუთარი ბიზნესიც წამოიწყოს. [3,35]

ევროკავშირის ქვეყნებში პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები, რომელთაც გავლენის მოხდენა შეუძლიათ საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმაზე, ასახულია ევროპის 2020 სტრატეგიაში, ბრიუგეს კომუნიკეში (ევროპა 2020).

ბრიუგეს კომუნიკეს მიხედვით, 2020 წლისთვის ევროპის პროფესიული განათლების სისტემა უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი, რელევანტური, კარიერაზე ორიენტირებული, ინოვაციური, ხელმისაწვდომი და მოქნილი, ვიდრე ის 2010 წელს იყო. სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის განათლების მიღებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ბრიუგეს კომუნიკეს ამოცანაა პროფესიული განათლების სისტემაში პარტნიორების უფრო მეტი ჩართულობა და ევროპული პარტნიორების გამოცდილების გაზიარება, ევროპული და ეროვნული ინსტრუმენტების კოორდინირებული მმართველობა გამჭვირვალეობის, აღიარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და მობილობის თვალსაზრისით.[4,9]

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელი შეეწყობათ, რომ განახორციელონ ერთობლივი პროგრამები ევროპულ და სხვა წარმატებულ სასწავლებლებთან თანამშრომლობით და მოამზადონ კადრები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ამ პროცესში საერთაშორისოდონორი ორგანიზაციების: გაეროს განვითარების ფონდის - UNDP და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების - GIZ ჩართულობა.

გაეროსგანვითარებისპროგრამის „საქართველო შისოფლისმეურნეობისმიმართულებისპროფესიულიგანათლებისადაექსტენციისსერვისებისმოდერნიზაციისპროექტი"ფარგლებში,შემუშავდაკონცეფცია.

კონცეფცია გვთავაზობს მიდგომას, რომელიც პროფესიული განათლების განხორციელების პროცესში ჩართვით დამსაქმებლის დაინტერესებას ემყარება, საწარმოს სასწავლო გარემოდ გამოყენების შესაძლებლობას აჩენს და პროფესიული განათლებას შრომის ბაზარზე ორიენტირებულ, მიმზიდველ ალტერნატივად აქცევს.

გაეროს განვითარების ფონდმა - UNDP დუალური სწავლების პრინციპის გათვალისწინებით გადაამუშავა მესაქონლეობის და მეხილეობის მოდულური პროგრამები, რომელთა დანერგვაც დაიწყო[5,28].

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (სდს) მოდელი ,ე. წ. დუალური მიდგომების გათვალისწინებით, სტუდენტს სთავაზობს დამსაქმებლისა და კოლეჯის ერთობლივი ძალისხმევით მოდერნიზებულ მოდულურ პროგრამას, რომლის მიხედვითაც მოდულების/ სწავლის შედეგების მინიმუმ50 % (პრაქტიკული ნაწილი) მიღწეულ იქნება უშუალოდ კომპანიაში, ხოლო მეორე ნახევარი კი შესაბამისად, კოლეჯში. პროგრამის სრულყოფილად დაძლევის შემდეგ, დარგის წარმომადგენლების მონაწილეობით, სტუდენტს მიენიჭება სახელმწიფოს მიერ აღიარებული, ფორმალური კვალიფიკაცია[1,7].

ზემოაღნიშნული მოდელი კომპანიას შესაძლებლობას აძლევს ნაკლები დანახარჯებით, კოლეჯთან პარტნიორობის საფუძველზე მოამზადოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე, კვალიფიციური პერსონალი. კომპანიაში სწავლება განხორციელდება ინსტრუქტორ-მასწავლებელთა მეშვეობით, რომლებიც კომპანიის თანამშრომლებს წარმოადგენენ. ინსტრუქტორ-მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე დარგობრივ ჭრილში კომპანია იზრუნებს, ხოლო პედაგოგიკის კუთხით კი - სახელმწიფო. სტუდენტები ჩართულნი იქნებიან საწარმოო პროცესებში და ამავდროულად ისწავლიან. ამგვარი მიდგომით დაიზოგება ხარჯი სასწალო მასალებზე, რომლებიც კოლეჯში არსებულ სახელოსნოებში სწავლების შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ, ვაუჩერით უნდა დაფინანსებულიყო. სწორედ ეს ხარჯი

წარმოადგენს კომპანიის მთავარ თანამონაწილეობას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში. სტუდენტების მიერ სწავლების დროს შექმნილი სიკეთე კი, პროცესების სწორად მართვის შემთხვევაში, კომპანიისთვის სარგებლის მომტანი იქნება. ამასთან, კომპანია მუდმივ კავშირშია საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რაც მისი უკვე არსებული პერსონალის განვითარებაზე დადებითად აისახება. ჩართვა დამსაქმებლებს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლონ გარკვეული საგადასახადო შეღავათებით.

ამ მოდელის დანერგვისას კოლეჯი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამას ქმნის დამსაქმებელთან ერთად და პროგრამის ავტორიზაციის პროცესშიც შესაბამისად, კომპანიასთან ერთად მონაწილეობს.

ზემოაღნიშნული მოდელის (სდს) დანერგვა ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის განვითარებას ქვევიდან ზევით პრინციპით, ვინაიდან კოლეჯებსა და კომპანიებს შორის თანამშრომლობა რეალურ ფუნქციებს შესძენს და გააქტიურებს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოებს, ასევე ხელს შეუწყობს დარგობრივი გაერთიანებების განვითარებას როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეებზე, და ბოლოს დამატებით, სამეთვალყურეო ფუნქციას შესძენს და ამით გააძლიერებს ეროვნულ პროფესიულ საბჭოს.

გასათვალისწინებელიადონორისრეკომენდაციები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციები ძირითადად ამ მხრივ საკანონმდებლო ბაზის, მათ შორის შრომის და საგადასახადო კანონმდებლობისგადახედვას,ხარისხის უზრუნველყოფას, პროფესიული განათლების მქონე პირთა ბაზისშექმნას, საინფორმაციო კამპანიისა და კომუნიკაციის სტრატეგიის უზრუნველყოფას წარმოადგენს[1,25].

რაც შეეხება განათლების რეფორმის კიდევ ერთ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციას: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის ბოლო წლების განმავლობაში მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების სფეროში. GIZ-ის პროექტის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში წარმატებით განხორციელდა მრავალი ინიციატივა[2,2].ამ ეტაპზე, წარმატებით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები გერმანული დუალური პროფესიული განათლების მოდელის დანერგვისთვის მეღვინეობის მიმართულებით, რაც პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოებით, ქვეყნის ისტორიულ/ ტრადიციული ტექნოლოგიების სიღრმისეული შესწავლით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, ინოვაციური მიდგომების დანერგვით და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობით არის შესაძლებელი[5,28]. საქართველოს ღვინის სექტორი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში და სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან უმნიშვნელოვანესი საექიპორტო პროდუქტია. ამიტომ მნიშვნელოვანია, ამ ყურძნისა და ღვინის წარმოების სფეროში პროფესიული კადრების ყოლა, რომლის დეფიციტსაც ქვეყანა განიცდის.

მაგალითისთვის, საქართველოში ამეტაპზე იქმნება ბევრი პატარა და საშუალო ღვინის საწარმო. განსაკუთრებით მეღვინეთა ოჯახები ეძებენ გზას, თუ როგორ დაამზადონ მაღალი ხარისხის ღვინო და საკუთარი ძალებით ცდილობენ ბაზარზე პროდუქტის რეალიზაციას. სწორედ აქ ხედავენ ისინი შესაძლებლობას, საკუთარი ოჯახებისთვის შექმნან საარსებო წყარო და შესაბამისად, მათთვის და/ან მათი ოჯახებისთვის ჰქონდეთ უზრუნველყოფილი სიბერე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტურისტული მრავალფეროვნების გაზრდის თვალსაზრისით ამ ყოველივეს გარკვეული წვლილი შეაქვს.[2,4]

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ სამხრეთ კავკასიში კერძო სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ღვინის სექტორის მხარდაჭერის პროექტი შეიმუშავა.

მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სხვა სარგებელთან ერთად, სამწლიანი სწავლების დასრულების შემდეგ, გარდა იმისა, რომ პირსშეეძლება პირდაპირ შეუდგეს პროფესიულ საქმიანობას, მას ასევე შესაძლებლობა მიეცემა, სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში[2,10].

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დუალურ სწავლებას უპირატესობებთან ერთად ნაკლოვანებებიც აქვს. სწავლების ასეთი მეთოდის სუსტ მხარედ მიიჩნევა შემდეგი გარემოებები: სწავლების პროცესში საწარმოო ტრავმების რისკი, სტუდენტის მიერ სასწავლებელშიც და საწარმოშიცდროის სათანადოდ გადანაწილება და ა.შ.[2,8]

ცნობისათვის, ახალგაზრდების

დაინტერესება პროფესიული სასწავლებლებისა და კვალიფიკაციებისადმი ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა. საქართველოში პროფესიული განათლების მქონე სტუდენტთა რაოდენობას ზრდის დინამიკა აქვს. მაგალითად, 2014 წელს სახელობო პროგრამებზე 9 603 სტუდენტი სწავლობდა, 2015 წლისთვის მათმა რაოდენობამ 10 405-ს მიაღწია[9,26]. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2016 წლის საშემოდგომო მიღებისას სახელმწიფო სასწავლებლებში ჩაირიცხა 1936 სტუდენტი, ხოლო კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში176 სტუდენტი.სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით კი განხორციელებულ პროგრამებზე 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში - 60-მდე სტუდენტიჩაირიცხა.[5,26]

რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს იმ ქვეყანაში, რომლის მაგალითსაც საქართველოში ყველაზე ხშირად განიხილავენ: დუალურმა განათლებამ გერმანიაში ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში შეაღწია. იგი 346 ძირითად და 46 ახალ, მოთხოვნად პროფესიას მოიცავს და დღეს გერმანია მთელს ევროპაში ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე მაღალია დასაქმებული ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი.[2,5]

დასკვნა, განათლების ეს მოდელი, გზას უხსნის დამსაქმებლის ჩართულობას პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში; პასუხისმგებლობათა გადანაწილების გზით ცალსახად და არსებითად ამცირებს სახელმწიფოს ერთი სტუდენტის პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისთვის;ეხმარება და ზრდის სერვისის მიწოდების ეფექტიანობის მაჩვენებელს, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობას[1,8]. შედეგად ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე მცირდება, რაც ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.დამაიმედებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყნებში, რომლებმაც თავის დროზე განათლების ეს მოდელი გერმანიისგანგადაიღეს, უფრო ადვილად დაძლიეს ეკონომიკური კრიზისი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის კონცეფცია (Work-Based Learning in agriculture, as a new concept in vocational education and training, was discussed at a conference in Tbilisi on 28 September 2016)
2. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის მიერ განხორციელებული პროგრამა: კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში(http://www.tiflis.diplo.de/contentblob/4685912/Daten/6164762/DD_Uebersicht_Broschre_EZGeorgien_deu.pdf); პროექტი: ღვინის სექტორის მხარდაჭერა საქართველოში.დუალური განათლების სისტემის დანერგვა ღვინის სექტორში
3. სამთავრობო პროგრამა-თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთიდღეობა (2016-2020), ნოემბერი 2016, 3. სოციალური განვითარება; 3.2 განათლება; 3.2.3 პროფესიული განათლება
4. საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013–2020 წწ)http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf
5. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“ 2016 წლის ანგარიში
6. სიტუაციის ანალიზი / ანგარიში: პროფესიული განათლების სამუშაოზე დაფუძნებილი სწავლება საქართველოში.ანასტასია ქიტიაშვილი, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროექტის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელი.; დეკემბერი,2015წწ
7. 2015 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
8. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ტექსტი (http://eugeorgia.info/ka/article/384/giz-ma-megvineobis-mimartulebit-dualuri-profesiuli-ganatlebis-modeli-ukve-sheimushava/)
9. Torino Process2016 .Georgia 16 July 2016.

THE ROLE OF THE INTRODUCTION OF WORK-BASED EDUCATION MODEL FOR THE ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

Piranishvili-Gigiberia I.,
Doctoral Student

The Vocational education is discussed in this article as one of the prerequisites of eradication of the problem of unemployment, overcoming the poverty and a rise of socio-economic in the country. On the comparative basis, the successful practice and experience of the western countries is studied on the competencies/work based on the teaching sphere. The factors which can be impacted upon the direct transfer and introduction of the foreign country's model are discussed.

Georgian Professional Education Strategy (years 2013-2020) consists of several stages of cycle – from research on labour market and evaluation of competencies achieved by students to arrangement of assisting employability.

At this stage, the work-based learning (WBL) model is being implemented in professional education system, so-called approach of considering the dual teaching. From this approach, the institute and the employer will split the competencies foreseen by the programme for the preparation of qualified personnel.

A main advantage of the work-based learning (WBL) model is to reduce expenses. The involvement and dividing up the responsibility of employers in preparation of professional personnel significantly reduces the money spent by the government on preparing one student; increases an indicator of effectiveness; ensures the demand for a work force and adjusts the supply; decreases the rate of unemployment, which is a guarantee of development of a stable economy in the country.

ელექტრონული მმართველობის გავლენა ელექტრონული კომერციის განვითარებაზე



ქეთევან სიჭინავა
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის,
ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: ketsichinava@gmail.com
ტელეფონი: 577005500

სტატიაში განხილულია ელექტრონული მთავრობის მნიშვნელობა და მისი გავლენა ელექტრონული კომერციის განვითარებაზე. ონლაინ ვაჭრობას შეუძლია გამოიყენოს ახალი ინფორმაცია ახალი ინფორმაციული ასიმეტრიის განვიტარებისათვის, პროდუქტის ბრენდის სეშაძლებლობის გაზრდისათვის, მაღალი ხარისხის მომსახურებისთვის პრემიუმ ფასის დადების მიზნით და ბაზრის სეგმენტაციისათვის.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ტრანსაქციები ორ მხარეს შორის გადაიქცა კომპლექსურ ქსელურ კომერციულ აქტივობად, რომელიც მოიცავს დიდი რაოდენობით ინდივიდებს რომლებიც შეიძლება არც არასოდეს შეხვდნენ ერთმანეთს. ელ-მთავრობის სისტემის სრულად იმპლემენტაცია მოითხოვს მძლავრ ტექნოლოგიურ ინფრასტუქტურას. ელ-მთავრობის სერვისების მიწოდების მიზნით, სახელმწიფომ უნდა განავითაროს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, განახორციელოს ქვეყნის სრული ინტერნეტიზაცია და კომპიუტერიზაცია. ჯამში, ელ-მთავრობის იმპლემენტაცია დაფუძნებულია ინფრასტრუქტურების შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიებთან ინტეგრირებაზე.

მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციფრულ ეკონომიკის განვითარების პროცესში. უკანასკნელი ათასწლეულის ციფრული ტრანსფორმაცია, განპირობებული იყო დინამიური, კონკურენტული ბაზრებითა და ინოვაციური მეწარმეებით.

კომერციას განიხილავენ როგორც ვაჭრობის კონცეფციას, მხარეებს შორის საქონლის გაცვლას დიდ მასშტაბებში. ფართო გაგებით, ელექტრონული კომერცია საქონლის (მატერიალური და არამატერიალური) ასეთი გაცვლისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, კერძოდ ინტერნეტს. ელექტრონული კომერცია წარმოადგენს კომპიუტერული ქსელის გამოყენებით შესრულებულ ნებისმიერ ტრანსაქციას, რომელის მოიცავს საქონელსა და მომსახურებაზე საკუთრების უბლების ან უფლებების გადაცემას. ასევე, ტრანსაქცია მოიცავს უფასო პროგრამების ჩამოტვირთვას. ელექტრონული კომერცია მოიცავს ინტერნეტით, ინტრანეტით, www ელექტრონული ფოსტითა და ასევე ფაქსით შესრულებულ ტრანსაქციებს [1].

ელექტრონული კომერციის განსხვავება ტრადიციულ გაყიდვებთან მიმართებაში მდგომარეობს ინფორმაციასთან მომხმარებლის უშუალო კავშირში. ასევე, განსხვავება განპირობებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების როლით, რომელიც წარმოადგენს შუამავალ ინსტრუმენტსა და საშუალებას, რაც ეხლამრება ბაზრების გლობალიზებასა და ინტეგრაციას[2].

ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიები მოვაჭრეებისათვის ქმნის შესაძლებლობას გაიგოს მეტი ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ, რომელიც შეიძლება ეფექტურად გამოიყენო. პოტენციურად ონლაინ ვაჭრობას შეუძლია გამოიყენოს ახალი ინფორმაცია ასიმეტრიის განვითარებისათვის, პროდუქტის ბრენდის შესაძლებლობის გაზრდისათვის, მაღალი ხარისხის მომსახურებისათვის პრემიუმ ფასის დადების მიზნით და ბაზრის სეგმენტაციისათვის. მოვაჭრეებისათვის ელექტრონული კომერციის ტექნოლოგია ქმნის შესაძლებლობას გაიგოს მეტი წარსული ვაჭრობის შესახებ [3].

დღეს, ელექტრონული ვაჭრობა წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობაში დინამიურად განვითარებად სფეროს. ბიზნესის აღნიშნული სახე ახდენს გასაღების ვირტუალური არხების ფორმირებას. რაც არსებითად ამცირებს სავაჭრო დანახარჯებს.

ელექტრონული ვაჭრობა ინტერნეტის საშუალებით არის ახალი გზა ბიზნესის განხორციელებისათვის. მაგრამ აქვს პოტენციალი რადიკალურად შეარყიოს ეკონომიკური აქტივობები და სოციალური გარემო. უკვე გავლენა აქვს ისეთ დიდ სექტორზე როგორიცაა კომუნიკაცია, ფინანსები და ვაჭრობა რომელიც ყველა ერთად შეადგენს 30% მშპ - ის. ასევე დიდი მოლოდინია საგანმანათლებლო და სამედიცინო სფეროში რომელიც 20% შადგენს. ყველაზე დიდი ეფექტი ასოცირებულია არა იმ ძალაზე რომელიც იპყრობს ყურადღებას (მორგებული პროდუქტი, შუამავლის შეკვეცა) არამედ ნაკლებად უხილავ მაგრამ პოტენციურად უფრო გავრცელებულ ეფექტებზე ბიზნეს აქტივობებში (მაგალითად: ოფისის მარაგის შეკვეთა, გადასახადების გადახდა, მოთხოვნის შეფასება,) ამგვარად ხდება ბიზნესის

ინტერაქცია[4].

მარეგულირებელი რეფორმების კომბინაციამ და ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა ელექტრონულ კომერციას განვითარების შესაძლებლობა მისცა. თუმცა, ინტერნეტის წინამორბედი, 1960 წლების ბოლოს გაჩენილი ინტერნეტ ელექტრონული ვაჭრობა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსოფლიო ქსელი და ბრაუზერი შემოვიდა მოხმარებაში 90 იანების დასაწყსში. ასევე ტელეკომუნიკაციების სექტორის ლიბერალიზაცია და ინოვაციების გაფართოება კომუნიკაციების მხრივ იყო მთავარი ხელშემწყობი.

შედეგად ბარიერები ელექტრონულ ვაჭრობაში ნელ-ნელა შემცირდა ორივე მხარისთვის, მყიდველისთვისაც და გამყიდველისთვის. ადრინდელი ფორმა ელ-ვაჭრობის იყო შეკვეთით დამზადებული, რთული, ძვირი და დიდი ფირმების პროვინცია. დღეს, რამდენიმე ათას დოლარად ნებისმიერს შეუძლია დაიწყოს ინტერნეტ ვაჭრობა და შეიძინოს მილიონობით მომხმარებელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული ტრანსაქციები ორ მხარეს შორის გადაიქცა კომპლექსურ ქსელურ კომერციულ აქტივობად, რომელიც მოიცავს დიდი რაოდენობით ინდივიდებს რომლებიც შეიძლება არც არასოდეს შეხვდნენ ერთმანეთს. ამ მხრივ ინტერნეტმა იგივე გაუკეთა ელექტრონულ ვაჭრობას რაც ჰენრი ფორდმა გააკეთა ავტომობილისთვის: ფუფუნების საგანი ბევრისათვის გარდაქმნა შედარებით მარტივ იაფ ხელსაწყოდ.

ელექტრონული ვაჭრობა ცვლის სავაჭრო ბაზარს, ასევე შეცვლის ბიზნესის მოქმედებებს: ტრადიციული საშუამავლო ფუნქციები ჩანაცვლდება; ახალი პროდუქტები და ბაზრები განვითარდება; ახალი და ბევრად ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდება ბიზნესსა და მომხმარებელს შორის. ის შეცვლის ორგანიზაციების მუშაობის წესს: ახალი ცოდნის წყაროები და ადამიანის ინტერაქტიულობა სამუშაო პროცესში იქნება უფრო გახსნილი, მოქნილი და ადაპტირებული, თანამშრომლების ფუნქციები და შესაძლებლობები იქნება ახლიდან განმარტებული.

ელექტრონულ ვაჭრობას აქვს კატალიზატორის ეფექტი. ელ-ვაჭრობა უფრო დააჩქარებს იმ ცვლილებებს რომელიც მოსალოდნელია ეკონომიკაში: რეგულაციების რეფორმა, ელექტრონული ლინკების ჩამოყალიბება ბიზნესებს შორის, ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია, და მოთხოვნა მაღალ კვალიფიკაციურ კადრებზე. შესაბამისად, ბევრი დარგობრივი ტენდენციები ვითარდება, როგორიცაა ელექტრონული ბანკინგი, მგზავრობის პირდაპირი დაჯავშნა, პირისპირ მარკეტინგი, აჩქარდება ელექტრონული კომერციის გამო.

ელ-ვაჭრობა ინტერნეტის საშუალებით ზრდის ეკონომიკას. ინტერნეტ ლინკები ფორმირდება მცირე და მიკრო ბიზნესებად, რომლებიც გლობალურ ქსელს მოიცავენ. ინტენნეტ-წვდომამ ძვირიანი კომპიუტერებიდან გადაინაცვლა იაფფასიან, ადვილად მოხმარებად ტექნოლოგიებზე. გაიზარდა ბიზნეს ტრანსაქციების განხორციელების შესაძლებლობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და ნებისმიერ დროს. ელექტრონულმა კომერციამ წაშალა ეკონიმიკური და გეოგრაფიული საზღვრები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პოზიციის თანახმად, ელექტრონული კომერცია მოიცავს არამხოლოდ ვაჭრობას, არამედ მისი უზრუნველყოფის საშუალებებს, საერთაშორისო სტანდარტების სისტემას, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის თავსებადობას, ხელმოწერას და ა.შ.[5]

ფიზიკური სახით სავაჭრო ობიექტებისაგან განსხვავებით, ელექტრონული კომერციის არეალი გლობალური საბაზრო სივრცეა. ელექტრონული ბაზრების მეშვეობით, ამ სივრცეში ჩართული გამყიდველები თავიანთ პროდუქციას გაცილებით ფართო აუდიტორიას სთავაზობენ, ხოლო მომხმარებლები ელექტრონული ბაზრებიდან იღებენ საქონელსა და მომსახურებაზე მათთვის საინტერესო ინფორმაციას, აფორმებენ შეკვეთებს და ახდენენ ანგარიშსწორებას ონლაინ რეჟიმში.

რიგ შემთხვევებში, ელექტრონული ვაჭრობა მხოლოდ ონლაინ პირობებში სრულდება, ზოგჯერ კი, ტრადიციულ ვაჭრობასთან ერთან ხორციელდება. ვაჭრობის ტრადიციული და ახალი მეთოდების შერწყმა სავსებით ბუნებრივია, რადგან საბაზრო სივრცეში ყოველი ახალი მოვლენა თავის ადგილს თანდათან იმკვიდრებს. ელექტრონული ვაჭრობა მოითხოვს განსხვავებულ მარკეტინგულ მიდგომას, ანუ ინტერნეტის დახმარებით მარკეტინგული ღონისძიებების (რეკლამა, კვლევა, ბაზარზე ვინ წაიწია, გაყიდვა , ანგარიშწორება და სხვა.) გატარებას, რასაც ინტერნეტ- მარკეტინგი ასრულებს [6].

გახსნილობა არის ტექნიკური ფუძე და ფილოსოფიური მიდგობა ელექტრონული ვაჭრობის გაფართოებისთვის. ინტერნეტის აღქმა, როგორც ბიზნესის პლატფორმა არის განპირობებული გახსნილი ბუნებით. ასევე, ბიზნესის მნიშვნელოვანი ინტერესებით. ეკონომიპური ძალა, რომელიც გლობალურ ქსელში შეერთებით წარმოიქმნა, უზრუნველყოფს ახალი სტანდარტების გახსნილობას. უფრო მეტიც, ღიაობა ჩამოყალიბდა, როგორც სტრატეგია, ბევრი წარმატებული დამწყები ბიზნეს პარტნიორებისთვის და მომხმარებლისათვის რომელიც უკავშირდება უპრობლემოდ შიდა მონაცემთა ბაზას და პერსონალს. ამან შეცვალა მომხმარებლის როლი, ის გახდა პარტნიორი და ექსპერტი პროდუქტის დიზაინის დაგეგმვასა და შექმნაში.

ღიობის მოლოდინი შენდება მომხმარებელზე, მოქალაქეზე, რომელიც საზოგადოებასა და ეკონომიკას ცვლის უკეთესობისკენ.

ელექტრონული ვაჭრობა ცვლის დროის ფარდობით მნიშვნელობას. ბევრი რუტინა რომელიც გვეხმარება განსაზღვროს შეხედულება და შგრძნება ეკონომიკისა და საზოგადოებისა არის დროის ფუნქცია: მასიური პროდუქცია არის უსწრაფესი

გზა წარმოებისა დაბალ ფასად. ზოგიერთი საზოგადოება გეოგრაფიულადაა განსაზღვრული, რადგან დრო არის გამსაზღვრელი სიახლოვის. ელ-ვაჭრობა ამცირებს დროის მნიშვნელობას წარმოების ციკლის აჩქარებით, აძლევს საშუალებას ფირმებს იმუშაონ ახლო კოორდინაციაში და მომხმარებლებმა გააკეთონ ტრანზაქცია ნებისმიერ დროს. დროის როლის ცვლილებასთან ერთან ბიზნესის სტრუქტურაც იცვლება და სოციალური აქტივობები რომელსაც თან ახლავს პოტენციურად დიდი გავლენები[7].

ელექტრონული მმართველობა ხელს უწყობს ინდივიდუალურ სისტემებსა და მთავრობის ფუნქციებს დაკავშირებას, საჯარო სერვისების თანმიმდევრულ სისტემაში მოქცევას, სოციალურ-ეკონომიკური აქტვობის გაძლიერებას, სერვისების ინტეგრაციას, სინერგიასა და არასასურველი გავლენის თავიდან აცილებას[8].

ელექტრონული მთავრობის ტექნოლოგიებით შესაძლებელია სხვადასხვა სააგენტოებიდან სამომხმარელო სერვისების შეთავაზება (ე.წ. “one stop shop”- ში). აღნიშნული სისტემის ფორმირებისათვის საჭიროა ინტეგრირებული მექანიზმი, ტექნოლოგიურიპლატფორმაბექოფისის შეუფერხებელი მუშაობისათვის, ინტეგრირებული სისტემები, ელექტრონული იდენფიცირებისა და ელექტრონული ხელმოწერის ინფრასტრუქტურა, one stop shop სერვის პლატფორმა, გაუმჯობესებული საძიებო შესაძლებლობები, ციფრული ID ფუნქციები სისტემებში ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ონლაინ ძიებისა და ონლაინ ტრანზაქციის სისტემები[9].

ციფრული პროცესები განაპირობებს სახელმწიფოების ტრასფორმაციას, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყანას წვდება , მოაქვს დიდი ცვლილებები როგორც საჯარო სფეროსთვის ისე ყველა ინდუსტრიისათვის: ორგანიზაციისათვის, პროცესისათვის და ხალხისთვის.

ეკონომიკის ციფროვიზაცია ჩვენი დროის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. დღეს, ციფრული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ბიზნესის და საზოგადოების სწრაფ გარდაქმნას, წარმოადგენს ეკონომიკის ინტეგრალურ ნაწილს და დიდი ეკონომიკური პარადოქსის მამოძრავებელ ძალას[10].

ციფრული გარემოსა და ციფრული ინფრასტრუქტურის ფორმირებაში მნიშვნელოვან მოთამაშეს წარმოადგენს: მთავრობა, პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი ორგანოები, მობილური ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ პროვაიდერები, არასამთავრობო ორგანოები, სტანდარტიზაციის უწყებები, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები. ასევე, ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: World Wide Web Consortium (W3C), the Internet Corporation for Assigned Names and Numbers (ICANN) , the International Telecommunication Union (ITU), United Nations (UN) და სხვა. აღნიშნული მონაწილეები პასუხისმგებელია ელექტრონული მთავრობის სისტემის, ფიქსირებულ და მობილურ ქსელების, მონაცემთა ცენტრების, მოწყობილობებისა და ქსელური აპარატურის, პლატფორმებისა და პროტოკოლების გამართულ ფუნქციონირებაზე (იხ. ნახაზი 1)[11].

ნახაზი 1. ციფრული ინფრასტრუქტურის ფორმირებაში მონაწილე მხარეები

ელექტრონული მმართველობის მიერ, ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობით იზრდება ქვეყნის საგადასახადო კონკურენტუნარიანობა, კომპანიების მიერ იურისდიქციის თავისუფალი არჩევანი, საგადასახადო კლიმატის მიმზიდველობა.

ელექტრონული მმართველობის იმპლემენტაცია დაკავშირებულია ისეთ ტექნოლოგიურ სირთულეებთან, როგორიცაა: საერთო სტანდარტების და თავსებადი ინფრასტრუქტურის

არქონა სახელმწიფო დეპარტამენტებსა და სააგენტოებში; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტუქტურის არსებული მდგომარეობა, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სირთულეა ელ-მთავრობის პლატფორმის მოხმარებისათვის; ინტერნეტ-გარემოსა და სერვისის მიწოდების სისტემის განვითარებაზე მუშაობა, ინფორმაციის გაზიარებისა და ახალი საკომუნიკაციო არხების შექმნის პროცესი (Ndou, 2004); ელ-მთავრობის არქიტექტურის წესების, მოდელებისა და სტანდარტების არსებობა; ელ-მთავრობის სისტემის სრულად იმპლემენტაცია მოითხოვს მძლავრ ტექნოლოგიურ ინფრასტუქტურას. ელ-მთავრობის სერვისების მიწოდების მიზნით, სახელმწიფომ უნდა განავითაროს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, განახორციელოს ქვეყნის სრული ინტერნეტიზაცია და კომპიუტერიზაცია. ჯამში, ელ-მთავრობის იმპლემენტაცია დაფუძნებულია ინფრასტრუქტურების შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიებთან ინტეგრირებაზე.

მომავალ ტექნოლოგიების პროგნოზირება ქმნის ფართო ჰორიზონტების მიღმა წარმოსახვას. არავინ იცის როგორი იქნება ათი წლის შემდეგ სახელმწიფო. ერთადერთი რაც ცხადია , ის იქნება ძალიან განსხვავებული. ტექნოლოგია ძალიან სწრაფად ცვლის თამაშს და ასევე გააგრძელებს. ასე რომ უდიდესი გამოწვევა იქნება არა სიახლის მიმართ უნდობლობა, არამედ უზრუნველყოფა რომ სახელმწიფო მზადაა ამ ცვლილებებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე რ. „ე-კომერციისა და ე-ბიზნესის ურთიერთობის დეფინიცია, მნიშვნელობა და განსაზღვრულობა“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი, #5, სექტემბერ-ოქტომბერი, 2012. გვ. 66-69.

2. აბულაძე რ. „ე-კომერციისა და ე-ბიზნესის ურთიერთობის დეფინიცია, მნიშვნელობა და განსაზღვრულობა“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი, #5, სექტემბერ-ოქტომბერი, 2012. გვ. 66-69.

3. აბულაძე რ. ელექტრონული მთავრობა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2013.

4. eGovernment Benchmark 2016 . Recommendations for accelerating the digital transformation of the public sector.

5. 8 Перечень терминов, краткое описание процедур и договоренностей, принятых в рамках ВТО [Электронный ресурс]//Всемирная торговая организация: документы и комментарии. Под ред. С.А. Смирнова. М.: Гарант-Сервис, 2001, (05.05.2013).

6. ჯოლია გ.სეხნიაშვილი დ. ინტერნეტ-მარკეტინგი. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2010.

7. OECD (1999), “Economic and Social Impact of E- commerce: Preliminary Findings and Research Agenda”, OECD Digital Economy Papers, No. 40, OECD Publishing. http://dx.doi.org/10.1787/236588526334.

8. გაეროს ელექტრონული მთავრობის კვლევა (2016) ელ-მთავრობა მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად. 1.2. Whole-of-Government service delivery and the three dimensions of sustainable development.

9. გაეროს ელექტრონული მთავრობის კვლევა (2016) ელ-მთავრობა მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

10. http://digital.mit.edu/ide/initiative/init.v2.pdf.

11. World Economic Forum. Prepared in Collaboration with The Boston Consulting Group. Delivering Digital Infrastructure Advancing the Internet Economy April 2014. http://www3.weforum.org/docs/WEF_TC_DeliveringDigitalInfrastructure_InternetEconomy_Report_2014.pdf.

The impact of e-government on development of e-commerce

Ketevan Sichinava
Ph.D. candidate
St. Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Article discusses importance of e-Governance and its impact on e-commerce development. E-commerce can utilize new information to develop a new informational asymmetry, to enhance potential of a product’s brand (by setting premium price for high quality service), and for market segmentation.

According to the article, transactions between two actors have transformed into a complex commercial activity, encompassing vast number of individuals that may never meet each other.

Full implementation of e-Governance requires solid technological infrastructure. State must advance telecommunication infrastructure and ensure country’s full computerization and access to internet in order to provide e-Governance services to public. Thus, success of e-Governance implementation relies upon infrastructural capacities and integration of technologies.

საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი არამატერიალური აქტივების აღიარების საკითხები



გურგენ კალაშიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, ბუღალტერი.
ელ.ფოსტა: g.kalashiani@gmail.com
მობ: 555 340981

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 "საწარმოთა გაერთიანება" მოითხოვს, რომ ინვესტორმა განხორციელებული შეძენა აღრიცხოს შეძენის მეთოდის გამოყენებით. შეძენის მეთოდი გულისხმობს, რომ მყიდველმა საწარმომ უნდა აღიაროს და შეაფასოს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები.

შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების აღიარების პროცესში სპეციალისტები ყველაზე დიდ სირთულეებს არამატერიალური აქტივების აღიარების დროს აწყდებიან, რადგან საწარმოთა გაერთიანება წარმოშობს რამოდენიმე ისეთ სპეციფიურ არამატერიალურ აქტივს, რომელთა იდენტიფიცირება და აღიარება რთულია. ამის გამო, ბევრი კომპანია თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თავს არიდებს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) აღიარებას. სტატიაში განხილული იქნება საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი არამატერიალური აქტივების აღიარების პროცედურები, ამ კუთხით არსებული სირთულეები, გაკეთდება რეკომენდაციები აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით და განხილული იქნება მსოფლიოში წამყვანი აუდიტორული კომპანიების პრაქტიკული მაგალითები.

საწარმოთა გაერთიანებები თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვანი რგოლია. მათი სიმრავლე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, განპირობებულია საწარმოთა გაერთიანების მნიშვნელოვანი უპირატესობებით, როგორიცაა სინერგიის ეფექტის მიღწევა, ბაზრის წილის ზრდა, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება და სხვ. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოში, მხოლოდ 2016 წელს განხორციელდა რამოდენიმე მსხვილი საწარმოთა გაერთიანება – "თიბისი ბანკის" მიერ "ბანკ რესპუბლიკის" შეძენა, კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთიკომის" მიერ ინტერნეტ პროვაიდერ "კავკასუს ონლაინის" შეძენა, ასევე სს "საქართველოს ბანკის" მიერ ფარმაცევტული კომპანია "ჯიპისის" ყიდვა. გამომდინარე აქედან, საწარმოთა გაერთიანებების სრულყოფილი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური აღრიცხვა აქტუალური ამოცანაა.

ფასს 3 "საწარმოთა გაერთიანება" არამატერიალურ აქტივს განმარტავს როგორც იდენტიფიცირებად არაფულად აქტივს, ფიზიკური ფორმის გარეშე. იმისათვის, რომ არამატერიალური აქტივი გუდვილისგან განცალკევებით აღიარდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი ორი კრიტერიუმიდან ერთ-ერთი მაინც:

- საკონტრაქტო-იურიდიული კრიტერიუმი. წარმოიშობასახელშეკრულებოანსხვაიურიდიული უფლებებიდან, იმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა ამ უფლებების გადაცემა, ან საწარმოსგან ან სხვა უფლებებიდან თუ ვალდებულებებიდან მისი განცალკევება;
- განცალკევების კრიტერიუმი. არამატერიალური აქტივი განცალკევებადია, თუ შესაძლებელია მისი განცალკევება ან გამოყოფა სამეურნეო ერთეულისგან და გაყიდვა, გადაცემა, იჯარით გაცემა, მასზე ლიცენზიის გაცემა ან გაცვლა, ცალკე, ან შესაბამის ხელშეკრულებასთან, იდენტიფიცირებად აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად, იმის მიუხედავად, აპირებს თუ არა ამის გაკეთებას სამეურნეო ერთეული.

შეძენილი არამატერიალური აქტივი განცალკევების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს მაშინაც, თუ არსებობს ამ ტიპის ან მსგავსი ტიპის აქტივის გაცვლის გარიგების ფაქტი, თუნდაც ასეთი გარიგებები ხშირი არ იყოს და იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა მასში მყიდველი საწარმო. მაგალითად, კლიენტთა და აბონენტთა სიებზე ხშირად გაიცემა ლიცენზია. შესაბამისად, ისინი აკმაყოფილებენ განცალკევების კრიტერიუმებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეძენილ საწარმოს

ესჯერა, რომ მისი კლიენტთა სია განსხვავდება სხვა კლიენტთა სიისგან, ის ფაქტი, რომ კლიენტთა სიის გადაცემა ხშირად ხდება ლიცენზიით, საზოგადოდ, იმას ნიშნავს, რომ შეძენილი კლიენტთა სია აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს. თუმცა, საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი კლიენტთა სია არ დააკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს, თუ კონფიდენციალობის ან სხვა შეთანხმებები სამეურნეო ერთეულს უკრძალავს მისი კლიენტების შესახებ ინფორმაციის გაყიდვას, იჯარით გაცემას ან სხვაგვარად გაცვლას.

პრაქტიკაში, საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი ბევრი არამატერიალური აქტივის გუდვილისგან განცალკევებით აღიარება სირთულეებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, მოითხოვს დიდ დანახარჯებს (რადგან ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება კომპეტენტური გარე შემფასებლების მომსახურება), საკმაოდ სუბიექტურია და ასევე, შესაძლოა გამოიწვიოს მყიდველი საწარმოს მიერ მონაცემებით მანიპულირება. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ჩატარებული, ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანების“ დანერგვის შემდგომი მიმოხილვის პროექტში მონაწილე გარკვეულმა სუბიექტებმა გამოთქვეს აზრი, რომ უმჯობესი იქნება ის არამატერიალური აქტივები, რომელთა განცალკევებით აღიარება განსაკუთრებით რთულია (კლიენტებთან ურთიერთობა, არასახელშეკრულებო არამატერიალური აქტივები) გუდვილთან ერთად აღიარდეს. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ბასს-ის საბჭომ შეიყვანა ეს წინადადება განსახილველი საკითხების ნუსხაში. ჩვენი აზრით, მიუხედავად დაკავშირებული სირთულეებისა, კარგი იქნება ფასს 3-ის ამჟამინდელი მოთხოვნები ყველა იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივის გუდვილისგან განცალკევებით აღიარებასთან დაკავშირებით, შენარჩუებულ იქნეს, რადგან ეს პრინციპი უზრუნველყოფს საწარმოთა გაერთიანების მოტივების საუკეთესო ახსნას. სხვა სიტყვებით, თუ საწარმოს გააჩნია კლიენტებთან ურთიერთობის არამატერიალური აქტივი, აქვს კარგი ბრენდი ან ფლობს საიდუმლო რეცეპტს, რომელიც მას უნიკალურს ხდის, ეს არის სხვა საწარმოსთვის ერთ-ერთი მთავარი მოტივი შეიძინოს ეს კომპანია. აღნიშნული არამატერიალური აქტივების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განცალკევებით აღიარება იქნება საუკეთესო გზა განხორციელებული საწარმოთა გაერთიანების მოტივების და, ზოგადად, გამჭვირვალობის დასაფიქსირებლად, რაც გლობალიზაციის და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ინვესტორებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

აუდიტორული კომპანია “Price Waterhouse Coopers” გვთავაზობს შემდეგ სქემას საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების და აღიარებისთვის:



არამატერიალური აქტივი, რომელიც სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, იდენტიფიცირებადად მიიჩნევა მაშინაც კი, თუ შეუძლებელია მისი გადაცემა ან გამოცალკევება შეძენილი საწარმოდან, ან სხვა უფლებებიდან და ვალდებულებებიდან. მაგალითად:

- შეძენილი საწარმო საოპერაციო იჯარით იღებს საწარმოო მოწყობილობას. საოპერაციო იჯარის პირობები მისაღებია საბაზრო პირობებთან შედარებით. იჯარის პირობები აშკარად კრძალავს იჯარის გადაცემას (გაყიდვის ან ქვეიჯარის საშუალებით). თანხა, რის გამოც საიჯარო პირობები მისაღებად ითვლება იმავე ან მსგავსი საბაზრო გარიგებების პირობებთან შედარებით, არის არამატერიალური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს გუდვილისგან განცალკევებით აღიარების სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს, თუმცა მყიდველ საწარმოს არ შეუძლია მისი გაყიდვა ან საიჯარო ხელშეკრულების რაიმე გზით სხვაზე გადაცემა;
- შეძენილი საწარმო ფლობს ტექნოლოგიურ პატენტს და ამ პატენტის გამოყენების უფლება (ლიცენზია) გადასცა სხვებს, საგარეო ბაზარზე გამოსაყენებლად, რომლის სანაცვლოდ იღებს გარკვეულ პროცენტს ამონაგებიდან. როგორც ტექნოლოგიური პატენტი, ასევე შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულება აკმაყოფილებს გუდვილისგან განცალკევებით აღიარების სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ პატენტისა და შესაბამისი სალიცენზიო შეთანხმების გაყიდვა ან გაცვლა ერთმანეთისაგან განცალკევებით არ იქნებოდა შესაძლებელი.

სახელშეკრულებო-იურიდიული კრიტერიუმი

არამატერიალური აქტივები, რომლებიც წარმოიშობა სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან აღიარდება გუდვილისგან განცალკევებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქტივის გადაცემა ან შეძენილი საწარმოსგან ან სხვა უფლებებისგან/ვალდებულებებისგან გამოცალკევება შეუძლებელია.

ფასს 3-ში არ არის განმარტებული ტერმინი "სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებები" საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების მიზნებისთვის. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილი იქნება, თუ მოცემულ ტერმინთან დაკავშირებით სტანდარტში განმარტებები გაკეთდება.

თუ სამეურნეო ერთეული თავის კლიენტურასთან ურთიერთობას კონტრაქტის საშუალებით ამყარებს, ამგვარი ურთიერთობები კლიენტურასთან სახელშეკრულებო უფლებებიდან წარმოიშობა. ამიტომ, საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი კლიენტების კონტრაქტები და შესაბამისი ურთიერთობები კლიენტურასთან პასუხობს სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონფიდენციალობის ან სხვა სახელშეკრულებო პირობა კრძალავს კონტრაქტის გაყიდვას ან გადაცემას შეძენილი საწარმოსგან განცალკევებით.

ზოგ შემთხვევებში შეძენილი საწარმოს კონტრაქტში აღნიშნულია, რომ უფლება აქტივზე (მაგალითად, ლიცენზიაზე ან ნებართვაზე) არ გადადის სხვა მხარეზე, როდესაც ხდება საწარმოს შეძენა და აღნიშნული აქტივი ასეთ შემთხვევაში უბრუნდება მის თავდაპირველ მფლობელს. სათავო საწარმომ თავდაპირველ მფლობელთან უნდა გააფორმოს ახალი ხელშეკრულება იმისათვის, რომ შეიძინოს მისგან აქტივით სარგებლობის უფლება. ამრიგად, ასეთ შემთხვევებში სახელშეკრულებო აქტივი არ წარმოადგენს შეძენილი საწარმოს აქტივს, რომელიც უნდა აღიარდეს საწარმოთა გაერთიანებაში შეძენის მეთოდის გამოყენებით.

ასევე, ნებისმიერ მხარეს შესაძლოა ჰქონდეს კონტრაქტის გაუქმების უფლება. ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ საწარმოთა გაერთიანების შედეგად ამ კონტრაქტთან დაკავშირებული განცალკევებული არამატერიალური აქტივის აღიარება არ არის შესაძლებელი.

განცალკევების კრიტერიუმი

იმის განსაზღვრა, აკმაყოფილებს თუ არა არამატერიალური აქტივი განცალკევების კრიტერიუმს, შესაძლოა სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. მყიდველმა საწარმომ უნდა დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა აქტივის გამოცალკევება შეძენილი ბიზნესისგან, მიუხედავად მყიდველის სამომავლო გეგმებისა მოცემულ აქტივთან დაკავშირებით. მაგალითად, ბრენდის გამოყოფა შეძენილი ბიზნესისგან შესაძლებელია. შესაბამისად, ის აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმს, მიუხედავად იმისა, რომ მყიდველი მის გაყიდვას არ აპირებს.

შეძენილი არამატერიალური აქტივი განცალკევების კრიტერიუმს აკმაყოფილებს, თუ არსებობს ამ ტიპის ან მსგავსი ტიპის აქტივის გაცვლის გარიგების ფაქტი, თუნდაც ასეთი გარიგებები ხშირი არ იყოს და იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა მასში მყიდველი

საწარმო. არამატერიალური აქტივი, რომელიც ინდივიდუალურად არ განცალკევდება შეძენილი საწარმოსგან, ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულისგან, აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს, თუ შეიძლება მისი განცალკევება შესაბამის ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად. მაგალითად:

- ბაზრის მონაწილეები ცვლიან სადეპოზიტო ვალდებულებებს და შესაბამისი სადეპოზიტო ურთიერთობის არამატერიალურ აქტივებს ბაზარზე დაკვირვებად გაცვლის გარიგებებში. ამიტომ, მყიდველმა საწარმომ სადეპოზიტო ურთიერთობის არამატერიალური აქტივები უნდა აღიაროს გუდვილისგან განცალკევებით;
- შეძენილი საწარმო ფლობს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს და დოკუმენტირებულ, მაგრამ უპატენტო ტექნიკურ ცოდნას, რომელიც გამოიყენება ამ სავაჭრო ნიშნით პროდუქციის საწარმოებლად. სავაჭრო ნიშანზე საკუთრების გადასაცემად, მესაკუთრემ ასევე უნდა გადასცეს ყველაფერი, რაც ახალ მესაკუთრეს დასჭირდება გარკვეული პროდუქტის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად, რომელიც არ განსხვავდება ყოფილი მესაკუთრის მიერ წარმოებული იმავე პროდუქტისა და მომსახურებისაგან. იმის გამო, რომ უპატენტო ტექნიკური ცოდნა უნდა განცალკევდეს შეძენილი საწარმოსაგან ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულისაგან და გაიყიდოს, თუ ეს სავაჭრო ნიშანი გაიყიდება, იგი აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს.

განვიხილოთ აუდიტორული კომპანია "Price Waterhouse Coopers"-ის მაგალითი იდენტიფიცირების კრიტერიუმების გამოყენებასთან დაკავშირებით :

2016 წლის 31 დეკემბერს მყიდველი იძენს საწარმო A-ს საწარმოთა გაერთიანების შედეგად. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის, საწარმო A-ს კლიენტების 60%-ის მიმართ გააჩნია შეუსრულებელი შეკვეთების დავალიანება. ყველა მათგანი არის მუდმივი კლიენტი. A საწარმოს კლიენტთა დანარჩენი 40% ასევე მუდმივი კლიენტებია, თუმცა, 2016 წლის 31 დეკემბრისათვის საწარმოს არ გააჩნია არანაირი შეუსრულებელი შეკვეთა ან სხვა კონტრაქტი ამ კლიენტებთან.

ანალიზი

მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს შეკვეთები გაუქმებადი, საწარმო A-ს კლიენტთა 60%-გან მიღებული შესყიდვის შეკვეთები აკმაყოფილებს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს. გარდა ამისა, ვინაიდან საწარმომ კლიენტთა 60 პროცენტთან ურთიერთობა კონტრაქტების საშუალებით დაამყარა, არა მარტო შესყიდვის შეკვეთა, არამედ სამიზნე საწარმოს სამომხმარებლო ურთიერთობებიც აკმაყოფილებს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს. რადგან საწარმო A-ს გააჩნია კონტრაქტების დადების პრაქტიკა კლიენტთა დანარჩენ 40 პროცენტთან, მისი ურთიერთობები ამ კლიენტებთანაც ასევე სახელშეკრულებო უფლებებიდან წარმოიშობა და ამიტომ, აკმაყოფილებს სახელშეკრულებო იურიდიულ კრიტერიუმს, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს 2016 წლის 31 დეკემბრისთვის არ გააჩნია კონტრაქტები ამ კლიენტებთან.

აუდიტორული კომპანია "Deloitte & Touche"-ს მოჰყავს შემდეგი პრაქტიკული მაგალითები არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირების კრიტერიუმების გამოყენებასთან დაკავშირებით :

მყიდველმა საწარმომ შეიძინა საფინანსო დაწესებულება, რომელიც ფლობს დეპოზიტებს თავისი კლიენტების სახელით. სადეპოზიტო ვალდებულებების და შესაბამისი სადეპოზიტო ურთიერთობების გაყიდვაზე არანაირი შეზღუდვა დაწესებული არ არის.

ანალიზი

სადეპოზიტო ვალდებულებების და შესაბამისი დეპოზიტარული ურთიერთობების არამატერიალური აქტივები შესაძლოა გაიცვალოს დაკვირვებადი გაცვლითი ოპერაციების შედეგად. როგორც წესი, სადეპოზიტო ურთიერთობების არამატერიალური აქტივი მიიჩნევა იდენტიფიცირებადად, რადგან განცალკევების კრიტერიუმი სრულდება სადეპოზიტო ურთიერთობების არამატერიალური აქტივის სადეპოზიტო ვალდებულებასთან ერთად გაყიდვის შედეგად.

შეძენილი საწარმო (რესტორნების ქსელი) ყიდის თავის საფირმო კერძს, რომელსაც ამზადებს სპეციალური რეცეპტით. შეძენილი საწარმო ფლობს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს, საიდუმლო რეცეპტს და არაპატენტირებულ ტექნიკურ გამოცდილებას, რომელიც გამოიყენება სპეციალური კერძის დასამზადებლად და სარეალიზაციოდ. თუ ხდება სავაჭრო ნიშნის გაყიდვა, გამყიდველმა ასევე მყიდველს უნდა გადასცეს ყველა ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო ნიშანთან, რომელიც მოიცავს საიდუმლო რეცეპტს და არაპატენტირებულ ტექნიკურ გამოცდილებას კერძის მოსამზადებლად.

ანალიზი

მყიდველი საწარმო არამატერიალურ აქტივად აღიარებს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს სახელშეკრულებო იურიდიული კრიტერიუმის დაკმაყოფილებაზე დაყრდნობით. შესაბამისი საიდუმლო რეცეპტი და არაპატენტირებული ტექნიკური გამოცდილება ასევე აღიარდება ცალკე არამატერიალურ აქტივებად, რადგან სრულდება განცალკევების კრიტერიუმი. განცალკევების კრიტერიუმი სრულდება, რადგან საიდუმლო რეცეპტი და არაპატენტირებული ტექნიკური ცოდნა შესაძლოა გადაცემულ იქნეს სავაჭრო ნიშანთან ერთად.

ფასს 3 "საწარმოთა გაერთიანება" სამეურნეო ერთეულს არ უკრძალავს, რომ მან გუდვილისაგან განცალკევებით, ცალკე აქტივის სახით აღიაროს დამატებითი არამატერიალური აქტივების ჯგუფი, რომელთა საერთო სახელწოდებაა საფირმო ნიშანი, თუ აქტივებს, რომლებიც ქმნიან ამ ჯგუფს, მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადები გააჩნიათ.

ტერმინი "საფირმო ნიშანი" და "საფირმო სახელწოდება", რომლებიც ხშირად გამოიყენება სავაჭრო ნიშნებისა და სხვა ნიშნების სინონიმად, წარმოადგენს მარკეტინგულ ტერმინს და, როგორც წესი, გამოიყენება დამატებითი აქტივების ჯგუფთან მიმართებაში, როგორიცაა სავაჭრო ნიშანი (ან მომსახურების ნიშანი) და მასთან დაკავშირებული სავაჭრო სახელწოდება, ფორმულები, რეცეპტები და ტექნოლოგიური ცოდნა.

ამრიგად, იმისათვის, რომ არამატერიალური აქტივი გუდვილისგან განცალკევებით აღიარდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი ორი კრიტერიუმიდან ერთ-ერთი მაინც: სახელშეკრულებო-იურიდიული ან/და განცალკევების კრიტერიუმი. რაც შეეხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ წამოყენებულ წინადადებას საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი ზოგიერთი არამატერიალური აქტივის გიდვილთან ერთად აღიარების შესახებ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, თუ ფასს 3-ის ამჟამინდელი მოთხოვნები ყველა იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივის გუდვილისგან განცალკევებით აღიარებასთან დაკავშირებით შენარჩუნდება, რადგან ეს პრინციპი უზრუნველყოფს საწარმოთა გაერთიანების მოტივების საუკეთესო ახსნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. IFRS 3 Business Combinations
http://www.ifrs.org/IFRSs/Pages/IFRS.aspx
2. Pricewaterhouse Coopers LLP. Business Combinations and Noncontrolling Interests. 2014.
https://www.pwc.com/us/en/cfodirect/assets/pdf/accounting-guides/pwc-business-combinations-noncontrolling-interests.pdf
3. Deloitte & Touche LLP. Business Combinations and Changes in Ownership Interests. 2008
http://www.iasplus.com/en/publications/global/guides/pub2690
4. Post-implementation Review: IFRS 3 Business Combinations. 2015
http://www.ifrs.org/Alerts/PressRelease/Pages/IASB-completes-Post-implementation-Review-of-Business-Combinations-Standard.aspx

The Issues of Recognizing of Intangible Assets Acquired in Business Combinations

Gurgen Kalashyan
Accountant, PhD Candidate at the Faculty of Economics and Busuness of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

International Financial Reporting Standard 3 Business Combinations requires an investor to account for an acquisition using the Acquisition Method. The Acquisition Method implies that acquiring entity has to recognize and measure identifiable assets acquired and liabilities assumed.

When identifying acqiured assets, specialists face the problems in recognizing intangible assets, as business combinations originate some intangible assets that are difficult to identify and measure. This is why many companies avoid presenting such intangible assets in their consolidated financial statements. The procedures of identifying intangible assets acquired in business combinations and practical examples of leading audit companies will be considered in the Article. Also we will discuss the challenges in this sphere and give recommendations regarding actual issues.

მიწის ნაკვეთის შეფასების მეთოდების ანალიზი

ლევან კალანდაძე
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი
ტელ.: (+995) 557 447 997
ელ. ფოსტა: levanikala130187@gmail.com

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე, უძრავი ქონებაში ინვესტირების მსურველი ინვესტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები, მსოფლიო უძრავი ქონების კრიზისისა და დოლარის კურსის ლართან მერყეობის გათვალისწინებით, თვალნათლივ გვანახებს უძრავ ქონებაში საინვესტიციო საქმიანობის დროს პროფესიონალი უძრავი ქონების შემფასებლის ჩართვის აუცილებლობას.

როგორც წესი, მიწის ნაკვეთზე შენობის აშენების შემდეგ ცალკე მიწის ნაკვეთის შეფასება გაუმჯობესებების გარეშე საკმაოდ რთულია, მაგრამ პრაქტიკაში არსებობს არაერთი მიზეზი, რის გამოც აუცილებელია მხოლოდ მიწის ნაკვეთის შეფასება. მიწის ნაკვეთის შეფასება აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში: დაბეგვრის მიზნით; სპეციალური საზოგადოებრივი საჭიროებისათვის; სასამართლო დავების დროს და ა.შ.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და შედეგები ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთის შეფასების მეთოდების, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პრაქტიკაში დანერგვას, რაც, თავის მხრივ, გაადვილებს კონკრეტული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დადგენის საკითხს.

საკვანძო სიტყვები. უძრავი ქონება, საბაზრო ღირებულება, შემფასებელი, დისკონტირება, ტრანზაქცია, კაპიტალიზაცია.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე, უძრავი ქონებაში ინვესტირების მსურველი ინვესტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები, მსოფლიო უძრავი ქონების კრიზისისა და დოლარის კურსის ლართან მერყეობის გათვალისწინებით, თვალნათლივ გვანახებს უძრავ ქონებაში საინვესტიციო საქმიანობის დროს პროფესიონალი უძრავი ქონების შემფასებლის ჩართვის აუცილებლობას.

როგორც წესი, მიწის ნაკვეთზე შენობის აშენების შემდეგ ცალკე მიწის ნაკვეთის შეფასება გაუმჯობესებების გარეშე საკმაოდ რთულია, მაგრამ პრაქტიკაში არსებობს არაერთი მიზეზი, რაც განაპირობებს მხოლოდ მიწის ნაკვეთის შეფასების აუცილებლობას. უშუალოდ მიწის ნაკვეთის შეფასების საჭიროება შესაძლებელია წარმოჩინდეს შემდეგ შემთხვევებში: დაბეგვრის მიზნით; სპეციალური შეფასებები საზოგადოებრივი საჭიროებისათვის; სასამართლო დავების დროს და ა.შ.

მიწის ნაკვეთები გამოყენების მიხედვით იყოფა: საცხოვრებელ, კომერციულ, ინდუსტრიულ, სასოფლო–სამეურნეო და სპეციალურ–მიზნობრივ ნაკვეთებად.

მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება მისი საუკეთესო და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების პრინციპიდან გამომდინარე. ამასთან, მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დადგენისას შემფასებელი ითვალისწინებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- გამოსადეგობის პრინციპი, რაც გულისხმობს რომ საბაზრო ღირებულება გააჩნიათ იმ მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნები განსაზღვრული დროის მონაკვეთში;
- მოთხოვნა–მიწოდების პრინციპის მიხედვით მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება დამოკიდებულია ბაზარზე მის მოთხოვნა–მიწოდებაზე და მყიდველსა და გამყიდველს შორის კონკურენციის დონეზე;
- ჩანაცვლების პრინციპი გულისხმობს შემდეგს: მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს იმ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ანალოგიური ან მსგავსი უძრავი ქონების შეძენაზე;
- მოლოდინის პრინციპი, რაც გულისხმობს რომ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება დამოკიდებულია ამ მიწის ნაკვეთისაგან შემოსავ-

ლის მიღების სიდიდეზე განსაზღვრულ პერიოდში, მისი საუკეთესო და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისას. ამასთან, შემოსავალში იგულისხმება მხოლოდ მიწის ნაკვეთის გაქირავებიდან მისაღები შემოსავალი;

- ცვალებადობის პრინციპის მიხედვით მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება იცვლება დროში და დგინდება კონკრეტული თარიღისათვის;
- გარე ზეგავლენის პრინციპი კი გულისხმობს შემდეგს: მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება დამოკიდებულია მის ადგილმდებარეობაზე და გარე ფაქტორების ზეგავლენაზე.

ამასთან, მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დადგენისას, აღნიშნული პრინციპების გარდა, აგრეთვე გასათვალისწინებელია მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენების შეცვლის, ნებადართული გამოყენების და ქონებრივი უფლებების გაყოფის შესაძლებლობები. აგრეთვე, მიწის ნაკვეთზე სხვა პირების კუთვნილი უფლებების არსებობის საკითხი.

შეფასების თანამედროვე პრაქტიკაში არსებობს მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შეფასების სხვადასხვა მეთოდები. შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულია მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფასების შემდეგი მეთოდები:[4]

გაყიდვების შედარების მეთოდი. აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოიყენება მიწის განვითარებული ბაზრის მქონე ქვეყნებში. გაყიდვების შედარების მეთოდი დაფუძნებულია შესაფასებელი ობიექტის გაყიდული ანალოგიური მიწის ნაკვეთების ფასების შედარებაზე და არის ყველაზე პოპულარული და მიღებული მიწის ნაკვეთის შეფასებისას. გაყიდვებზე მონაცემების არარსებობის შემთხვევაში შემფასებელს შეუძლია ანალიზი გაუკეთოს შეთავაზებებს, ან სხვა საბაზრო ინფორმაციას.

მეთოდს საფუძვლად უდევს ჩანაცვლების პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ბაზარზე ინვესტორი (მყიდველი) არ გადაიხდის კონკრეტულ ობიექტში იმაზე მეტს, რაც ღირს იმავე სარგებლის მქონე ანალოგიური მიწის ნაკვეთი. ამასთან, სარგებლის ქვეშ იგულისხმება ობიექტის მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ მის დანიშნულებას, შესაძლებლობებს და გამოყენების პირობებს, ასევე მიღებული შემოსავლის სიდიდეს და ვადებს. მეთოდის გამოყენების შედეგს წარმოადგენს გაყიდული შესადარისი ობიექტების ფასების ტრანსფორმაციის გზით შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულების დადგენა.

გაყიდვების შედარების მეთოდის გამოყენების აუცილებელი პირობაა მომხდარი გარიგებების ან არსებული შეთავაზებების შესახებ ისეთი მონაცემების არსებობა, როგორიცაა: გარიგების ან შეთავაზების ფასი; გარიგების ან შეთავაზების პირობები; მონაცემები ქონების ფიზიკურ და იურიდიულ მახასიათებლებზე; მონაცემები ტრანზაქციის მონაწილე მხარის (მხარეების) შესახებ. ამასთან, გარიგებების ან შეთავაზებების საბაზრო მონაცემები, მათი შეგროვების, ანალიზის და შეთანხმების შემდეგ, ჩვეულებრივ წარმოადგენს შესაფასებელი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის საუკეთესო საშუალებას.

გაყიდვების შედარებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისას, შემფასებელი უნდა ახორციელებდეს სისტემატიურ პროცედურას. შემფასებელმა უნდა: გამოიკვლიოს ბაზარი; დაადგინოს ინფორმაციის სისწორე; შეარჩიოს შედარების ადეკვატური ერთეულები; შეადაროს გაყიდვადი ქონების ობიექტები განსახილველ ქონებას შედარების ელემენტების გამოყენებით; მოახდინოს რეზულტატების შეთანხმება, ღირებულების მაჩვენებელთან მათი დაყვანის მიზნით.[5]

ქვედანაყოფების განვითარების (ათვისების) მეთოდი. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შეფასება ქვედანაყოფების განვითარების (ათვისების) მეთოდის გამოყენებით დაკავშირებულია კონკრეტული მიწის ნაკვეთის მცირე ზომის მიწის ნაკვეთებად დაყოფის და მათი შემდგომი გაყიდვის პროექტირებასთან. აღნიშნული მეთოდი ძირითადად გამოიყენება დიდი ფართობის მქონე ვაკანტური მიწის ნაკვეთების შეფასებისას და იგი მოიცავს: შეფასების ობიექტიდან ინდივიდუალური ნაკვეთების რიცხვის და ზომების გაანგარიშებას; ათვისებისა და მოსალოდნელი გაყიდვების გრაფიკის შეფასებას; ათვისების პირდაპირი და ირიბი დანახარჯების, ასევე გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯების შეფასებას; მოსალოდნელი გაყიდვების ფასების შეფასებას; ვაკანტური მიწის ნაკვეთის სუფთა შემოსავლის გაანგარიშებას; დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრას; ცალკეულ ნაკვეთებად დაყოფილი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების გაანგარიშებას მოსალოდნელი გაყიდვებიდან სუფთა შემოსავლების დისკონტირების გზით.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ზოგიერთ სიტუაციაში, მაგრამ ის დაკავშირებულია რიგ ისეთ დაშვებებთან, რომელთა დაკავშირება საბაზრო ღირებულების კონცეფციასთან ძალიან

ძნელია. შესაბამისი დაშვებების მიღებისას შემფასებელმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე და ზედმიწევნით ახსნას და გადმოსცეს ისინი.

განაწილების მეთოდი. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შეფასების განაწილების მეთოდი წარმოადგენს ირიბი შედარების მეთოდს, რომლის დროსაც ფასდება მიწის ნაკვეთის და გაუმჯობესებების საბაზრო ღირებულებას შორის დამოკიდებულება. განაწილების მეთოდი გამოიყენება განაშენიანებული მიწის ნაკვეთების შეფასებისათვის, იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული განაშენიანება წარმოადგენს ამ ნაკვეთის უმაღლესს და საუკეთესო გამოყენებას. ამასთან, აღნიშნული მეთოდის გამოყენების პირობაა შესაფასებელ რაიონში (სეგმენტში) უძრავი ქონების მთლიან საბაზრო ფასში მიწის ნაკვეთსა და გაუმჯობესებებზე ცალ-ცალკე წილის შესახებ მონაცემების არსებობა.

განაწილების მეთოდი ითვალისწინებს ქმედების შემდეგ თანმიმდევრობას: შესაფასებელი უძრავი ქონების სეგმენტში შესადარის ობიექტებზე გაყიდვების ან შეთავაზებების შესახებ მონაცემების მოპოვებას; შედარების ტექნიკის გამოყენებით უძრავი ქონების მთლიან ფასში მიწის ნაკვეთის წილობრივი მონაწილეობის შეფასებას (გაანგარიშებას); შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულების დადგენას შესადარისი გაყიდვების შედარების მიდგომის გამოყენებით; შესაფასებელი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შეფასებას, შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულების მიწის ნაკვეთის წილზე გამრავლებით.

განაწილების მეთოდის გამოყენების სირთულეს წარმოადგენს მთლიან საბაზრო ფასში მიწასა და გაუმჯობესებებს შორის დამოკიდებულების დადგენა.

ამოღების (ექსტრაქციის) მეთოდი. ამოღების (ექსტრაქციის) მეთოდი დაფუძნებულია ნარჩენი ღირებულების ტექნიკაზე და ადგენს მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, როგორც სხვაობას უძრავი ქონების მთლიან საბაზრო ღირებულებასა და გაუმჯობესებების ღირებულებას შორის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეთოდი გამოიყენება განაშენიანებული მიწის ნაკვეთებისათვის და მისი გამოყენების მთავარი პირობაა ვაკანტური მიწის ნაკვეთების გაყიდვების ინფორმაციის არ არსებობა.

მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფასების ამოღების (ექსტრაქციის) მეთოდი ითვალისწინებს მოქმედების შემდეგ თანმიმდევრობას: შესაფასებელი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასება შესადარისი გაყიდვების შედარების მიდგომის გამოყენებით; შესაფასებელი გაუმჯობესებების საბაზრო ღირებულების შეფასება დანახარჯების მიდგომის გამოყენებით; შესაფასებელი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შეფასება უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებიდან გაუმჯობესებების საბაზრო ღირებულების გამოკლების გზით.

ამასთან, აღნიშნული მეთოდის გამოყენების სირთულეს რიგ შემთხვევებში წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელია საჭირო გახდეს პროფესიონალი მშენებლების, არქიტექტორების, ხარჯთაღმრიცხველების, კონსტრუქტორების და სხვათა დაქირავება.

ნარჩენი ღირებულების მეთოდი. მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფასების ნარჩენი ღირებულების მეთოდი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური პრინციპის თანახმად საერთო შემოსავალი, პირველ რიგში, დამოკიდებულია შრომასთან, შემდეგ კაპიტალთან, კოორდინაციასთან და ბოლოს მიწასთან, ანუ შენობა–ნაგებობებს, რომლებიც აშენებულია მიწაზე შემოსავლების განაწილებისას ენიჭება პრიორიტეტი. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება კომერციული განაშენიანების (შემოსავლის მქონე) მიწის ნაკვეთების შეფასებისათვის. ამასთან, აღნიშნული მეთოდის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შესაფასებელი ბაზრის სეგმენტში ანალოგიური უძრავი ქონების შესახებ მონაცემების არსებობა, ისეთი როგორიცაა: შემოსავლები, გაყიდვები, შეთავაზებები და სხვა.

მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფასების ნარჩენი ღირებულების მეთოდი ითვალისწინებს მოქმედების შემდეგ თანმიმდევრობას: ქონების ექსპლუატაციიდან მისაღები სუფთა შემოსავლის შეფასებას; გაუმჯობესების სუფთა შემოსავლის შეფასებას; მიწის ნაკვეთის სუფთა შემოსავლის გაანგარიშებას: ქონების ექსპლუატაციიდან მისაღები სუფთა შემოსავლის შეფასებას გამოკლებული გაუმჯობესების სუფთა შემოსავლის შეფასება; ღირებულების შეფასება მიწის ნაკვეთის კაპიტალიზაციის გზით.

აღნიშნული მეთოდის გამოყენება შედარებით ადვილია ახალაშენებული ქონების ობიექტებისათვის, რადგანაც ასეთი ქონების შეფასებისათვის აუცილებელი დაშვებების რიცხვი შედარებით ნაკლებია.

მიწის ნაკვეთის ქირის კაპიტალიზაციის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება შემდეგ დაშვებას, რომ არსებობს კავშირი ვაკანტური მი-

წის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა და მის წლიურ საიჯარო მთლიან შემოსავალს შორის. მიწის ნაკვეთის ქირის კაპიტალიზაციის მეთოდი გამოიყენება ვაკანტური მიწის ნაკვეთებისათვის და მისი გამოყენების აუცილებელი პირობაა შესადარისი მიწის ნაკვეთების საბაზრო საიჯარო ქირის და გაყიდვების ან შეთავაზებების მონაცემების არსებობა. აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს მოქმედების შემდეგ თანმიმდევრობას: შესაფასებელი ვაკანტური მიწის ნაკვეთის საბაზრო საიჯარო ქირის გაანგარიშება; შესაფასებელი ვაკანტური მიწის ნაკვეთის საბაზრო საიჯარო ქირიდან მთლიანი შემოსავლის დადგენა; შესაფასებელი ვაკანტური მიწის ნაკვეთის კაპიტალიზაციის კოეფიციენტის დადგენა; შესაფასებელი ვაკანტური მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შეფასება, მთლიანი შემოსავლების და კაპიტალიზაციის განაკვეთის გამოყენებით.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ქირის ოდენობისა და კაპიტალიზაციის კოეფიციენტების დადგენისას დროის სხვადასხვა მონაკვეთებისათვის.

უძრავი ქონების ბაზარი, მარადიული მეტალების და ტელეკომუნიკაციების ბაზართან ერთად, კაპიტალდაბანდების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველად ითვლება. მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ, როგორც შიდა ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებადაა გამოცხადებული და ინვესტორთა დაინტერესება უძრავი ქონების სექტორის მიმართ საკმაოდ მაღალია, უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრა განსაკუთრებით აქტუალურობას იძენს. უძრავი ქონების ღირებულების შეუფასელობა განსაკუთრებით საფრთხის შემცველია საინვესტიციო პროექტების განხორციელების მომენტში. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ინვესტირების პროცესი მოითხოვს მრავალმხრივ ანალიზს და გამოცდილებას, ხოლო უძრავ ქონებაში წარმატებული, ეფექტიანი ინვესტიციის განსახორციელებლად საჭიროა აღნიშნული ქონების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქოქიაური ლ., ინვესტიციების თეორიული გენეზისი, თბ., 2007;
2. გიტმანი ლ., ჯონკი მ., ბირმანი ჰ., შმიდტი ს., გადმოქართულებული და შევსებული ლამარა ქოქიაურის მიერ, თბ., 2001;
3. Куликов А.С. Оценка стоимости недвижимости как инвестиционного ресурса, Москва, 2001;
4. პროფესიული მომზადება უძრავი ქონების შეფასებაში, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია, 2011;
5. შეფასების საერთაშორისო სტანდარტები, მეცხრე გამოცემა, შეფასების საერთაშირისო სტანდარტების საბჭოს (შსსს) მიერ გამოცემული სტანდარტების (IVშ 2011) ნაბეჭდი ინგლისურენოვანი ორიგინალის აუტენტური ქართული თარგმანი, თბ., 2012

Analysis of Land Plot Assessment Methods

Levan Kalandadze
PhD student of
PhD Program in Business Administration
of the Faculty of Economics and Business, TSU

The investor willing to invest in real estate is facing many challenges at the present stage in Georgia. The recent developments, taking into consideration the world real estate crisis and GEL fluctuations against the USD, clearly show the need to involve a professional real estate appraiser in investment activities in real estate.

As a rule, after the construction of building on the land plot, the assessment of a separate land plot is quite difficult without improvement, but there are a number of reasons in practice, why it is necessary to evaluate only the land plot. The assessment of the land plot is necessary in the following cases: For tax purposes; For special public needs ; During the litigation etc.

The conclusions and results obtained in the course of the study will contribute to the implementation of land plot assessment methods in practice in accordance with international standards, which, in turn, will facilitate the issue of determining the market value of a specific land plot.

Keywords. Real Estate, Market Value, Appraiser, Discounting, Transaction, Capitalization.

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების საჭიროება

ლანა სულაკაძე
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი
ტელ.: (+995) 593 213 222
ელ. ფოსტა: lanasulakadze@gmail.com

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს და მამოძრავებელ საშუალებას წარმოადგენს ინვესტიციები. სახელმწიფოს საიმედო და მდგრადი ენერგოუზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა.

ენერგეტიკულ სექტორში გატარებული გრძელვადიანი პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს, ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. სრულყოფილი სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება, მიწოდების საიმედოობის უზრუნველყოფა და ამ გზით ენერგეტიკის სექტორში მდგრადი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვისა და სექტორის განვითარების წინაპირობაა.

სტატიაში განხილულია სექტორში განხორციელებული პრივატიზებისა და ინვესტიციების საჭიროება, მისი გამომწვევი მიზეზები, მასთან დაკავშირებული გამოწვევები და რისკები, ასევე საინვესტიციო შესაძლებლობები. ჩატარებული ანალიზი დაგვეხმარება ელექტროენერგეტიკული სექტორის მიმზიდველი და საიმედო საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში.

საკვანძო სიტყვები. ელექტროენერგეტიკული სექტორი, ელექტროენერგიის მოხმარება, პრივატიზაცია, ინვესტიცია, დანაკარგები.

დღეს აშკარაა საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების გამოყენების აქტუალურობა. ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მსოფლიო ბაზარზე ნდობის მოპოვების, საერთაშორისო საფინანსო გაცვლაში მონაწილეობის ინტერესები, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის პირობების შექმნის აუცილებლობას განაპირობებს [4].

საქართელოში ენერგეტიკის სექტორს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაში დიდი წილი უჭირავს, 2011 წელს - 18%, 2012 წელს - 20%, 2013 წელს - 26%, 2014 წელს - 11%, 2015 წელს - 8% და 2016 წელს – 12% [7].

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა ელექტროენერგეტიკის დარგის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით. სწორედ დარგის განვითარებისთვის 1993-1994 წლებში განხორციელდა ე.წ. მცირე პრივატიზაცია, რომელსაც 1998 წლიდან მოჰყვა ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესი [5]: სს „თელასი“, თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები, „ხრამი-1“ და „ხრამი-2“, შპს „ვარციხე-2005“, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ აქტივები, გენერაციის 6 ობიექტი (სს „ენერგო-პრო ჯორჯია“), „ჟინვალ-ჰესი“ წყალმომარაგების კომპანიებთან ერთად, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ [1. გვ., 340].

საქართველოში პრივატიზაციის ძირითად მიზანს შეადგენს სისტემის აღდგენა, მისი შემდგომი სრულყოფა და საიმედო და ეკოლოგიურად სუფთა ენერგომომარაგება უმცირესი დანახარჯებით. პრივატიზებით შესაძლებელია სექტორის მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ქვეყანამ ენერგეტიკაში პრივატიზაციის მხარდამჭერი პოლიტიკა გაატარა, რითაც მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შედეგები, კერძოდ:

- მინიმუმამდე დავიდა ისეთი მანკიერი მოვლენები, როგორიცაა: დატაცება, გაფლანგვა, შემოსავლების დამალვა, არაკომპეტენტურობა და სხვა;
- ხელი შეუწყო ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას;
- კომერციული ოპერაციების სრულყოფას, გადასახადების ამოღების გაუმჯობესებას;
- მმართველობითი ტექნოლოგიების დან-

ერგვას;

- დარგის რეაბილიტაციას ანხორციელებს ინვესტორი;
- გაიზარდა შესაძლებლობა დარგის საექსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის.

განვიხილოთ ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც სექტორში პრივატიზაციის განხორციელების საჭიროება იდგა.

პირველი და ძირითადი მიზეზი არის ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა,რომელსაც ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებდა. ბაზარი დღესაც ვერ ახდენს ქვეყნის შიგნით არსებული მოთხოვნის სრულ დაფარვას, შესაბამისად საჭირო ხდება იმპორტის განხორციელება. ხოლო ზაფხულის თვეებში უხვი ჰიდრორესურსების გამო წარმოების გაზრდის შესაბამისად, ხდება ელექტროენერგიის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში.

ბაზარზე მუდმივად ფიქსირება მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის ზრდა. საერთო ჯამში წლიური მოხმარების 6%-იანი ზრდა დაფიქსირდა 2016 წელს 2015 წელთან შედარებით [6].

2016 წელს ქსელში ჯამურად მიწოდებულმა ელექტროენერგიამ შეადგინა 11,844 მლნ.კვტ.სთ (2015 წელი - 11,291.7 მლნ.კვტ.სთ), ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის გამომუშავებამ – 9,329 მლნ.კვტ.სთ (2015 წელი - 8,453.8 მლნ.კვტ.სთ), რაც ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის 78.8%-ია (2015 წელი - 74.8%), თბოელექტროსადგურებიდან - 2,236 მლნ.კვტ.სთ (18.88%) (2015 წელი - 2,378.7 მლნ.კვტ.სთ (21.1%)), ხოლო ქართლის ქარის სადგურის გამომუშავება, რომელიც 2016 წლიდან დაიწყო - 9 მლნ.კვტ.სთ (0,08%). მთლიანობაში საქართველოში წარმოებულმა ელექტროენერგიამ შეადგინა ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის 97.72% (2015 წელი – 93.8%), ხოლო ელექტროსადგურების სასადგურე დანაკარგებმა და საკუთარმა მოხმარებამ 1.76% (2015 წელი – 2.1%). რაც შეეხება იმპორტს, 2016 წელს განხორციელდა 479 მლნ.კვტ.სთ-ის იმპორტი, რომელიც ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის 4.04%-ია (2015 წელი - 6.2%). 2015 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია საკუთარი რესურსებით ენერგო უზრუნველყოფა, მაგრამ შემცირებულია ელექტროენერგიის ექსპორტიც [6].

დიაგრამა №1 ასახავს 2007-2015 წლებში თბოელექტროსადგურების და ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობას. ხოლო დიაგრამა №2 წარმოადგენს იმპორტის წილის მთლიან მიწოდებაში, რომელიც მცირდება წლიდან წლამდე (თითქმის განახევრდა 2016 წელს 2014 წელთან შედარებით).

გამომუშავებული ელექტროენერგიის სტრუქტურას თუ გავაანალიზებთ,იკვეთება,რომ საკმაოდ დიდია თბოელექტროსადგურების (წარმოებისთვის ძირითადი ნედლეული არის იმპორტირებული ბუნებრივი აირი, რომელიც შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც იმპორტირებული – ძვირი ელექტროენერგია, ვინაიდან ბუნებრივი აირის ფასი დაფიქსირებულია აშშ დოლარში და ანგარიშსწორება ხდება ეკვივალენტ ლარში) წილი, ამიტომ აუცილებელია წარმოების ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ზოგადად ინვესტირება, რათა მიღწეულ იქნეს ენერგო დამოუკიდებლობა.

დიაგრამა №1

ჯამური გამომუშავება მლნკვტსთ [წყარო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი]

დიაგრამა №2.

იმპორტის წილი მთლიან რესურსში (მლნ.კვტ.სთ)
[წყარო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი]



მეორე მიზეზი სექტორში ინვესტიციების განხორციელების საჭიროებისა არის დანაკარგების დიდი მოცულობა. ელექტროენერგიის დანაკარგების რეგულირება გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებში კომისიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს. კომისია ახდენს დანაკარგების ნორმირებას, ვინაიდან ტარიფების დადგენისას ქსელური კომპანიების მიერ მოთხოვნილი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ქსელში დაკარგული ენერგიის შესყიდვაზე მოდის. დიაგრამა №3 ასახავს ელექტროენერგეტიკული სისტემის ფაქტობრივ დანაკარგებს ჯამურად გამანაწილებელ და გადამცემ ქსელში 2009-2016 წლებში. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგი, რომლის სიდიდეც საწარმოსათვის დგინდება კომისიის მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით, მოქმედებს სატარიფო რეგულირების პერიოდში [2]. მაგალითად, სს "ენერგო-პრო ჯორჯიასთვის" აღნიშნული დანაკარგის ნორმა შეადგენს – 7.5% (მათ შორის მაღალი ძაბვა 1.5%, საშუალო ძაბვა 1.1% და დაბალი ძაბვა 4.9%), ხოლო სს "თელასისთვის" – 5.34% [5].

დიაგრამა №3.

ელექტროენერგეტიკული სისტემის ჯამური ფაქტობრივი დანაკარგები
[წყარო მარეგულირებელი კომისია]



იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიების საფუძველზე დადგენილი ტარიფები ითვალისწინებს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და განაწილების ლიცენზიატების მიერ განხორციელებულ ან/და განსახორციელებელ ინვესტიციებზე ამონაგებისა და ცვეთა/ამორტიზაციის გონივრულ და სამართლიან დონეს, კომისია განსაკუთრებული ყურადღებით ახორციელებს ინვესტიციების მონიტორინგს.

მიმდინარე პერიოდისათვის ელექტროენერგეტიკული სექტორი ძირითადად საჭიროებს ინვესტიციებს ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების საიმედოობის, უსაფრთხოების და ელექტროენერგიის სათანადო ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიმართულებით, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას ელექტროენერგეტიკული სექტორის თითოეული ლიცენზიატის მიერ განხორციელებული მიზანმიმართული ინვესტიციის შედეგად.

ელექტროენერგეტიკულ სექტორში ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზიატების მიერ 2014 წელს ფაქტობრივად განხორციელებულმა ინვესტიციამ ჯამში შეადგინა 158 966 764 ლარი, 2015 წელს - 125 983 641 ლარი, ხოლო 2016 წელს – 280 322 110 ლარი, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყარო იყო სესხი [3].

დღეისათვის საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის და ქვეყნის ენერგოპოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მიზნით პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზებულია მთელი რიგი შედავათები, კერძოდ:

- ახალაშენებული ჰესებისათვის არ ხდება ტარიფის დადგენა, ინვესტორები თავად ირჩევენ ფასს და ბაზარს;
- მთავრობა ინვესტორს სთავაზობს გარანტირებულ შესყიდვას ზამთრის პერიოდში;
- ახალ ჰესებს ენიჭებათ თურქეთ-საქართველოს 500 კვ ხაზით სარგებლობის პრიორიტეტი;
- გარდა ამისა 46 ჰესი გადავიდა კერძო მფლობელობაში;
- საგრძნობლად გამარტივდა ენერგეტიკის სექტორში ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვების პროცესი;
- გაუქმდა 13 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის ჰესებისათვის წარმოების ლიცენზია.

დღეის მდგომარეობით საქართველოს ენერგო სექტორში საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზები არსებობს ინვესტიციების განსახორციელებლად, კერძოდ ექსპერტული გათვლებით, ქვეყანას გააჩნია ეკონომიკურად ხელსაყრელი დიდი ჰიდრო პოტენციალი; ბაზარი ნაწილობრივ დარეგულირებულია; პრივატიზებულია განაწილების კომპანიები და რაც მთავარია საკუთარი საქმიანობით მოგებას იღებენ; გამარტივებულია ფორმალური პროცედურები ენერგეტიკის სექტორში და არსებობს სახელწიფოს მხარდაჭერა ენერგო სექტორის გაძლიერებისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბ., 2003;
2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილება ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ;
3. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წლიური ანგარიშები, 1999-2016 წლების დინამიკაში;
4. www.energy.gov.ge
5. www.gnerc.org
6. www.esco.ge
7. www.geostat.ge

The Need of Investments in Georgian electricity sector

Abstract

Lana Sulakadze
PhD student of
PhD Program in Business Administration
of the Faculty of Economics and Business, TSU

The most important factor and driving opportunity for economic is investments. Reliable and sustainable energy supply is one of the state's most actually issue.

One of the goals of long-term policy in the energy sector is attracting investment for construction of new power plants. There are some prerequisites to develop energy sector and attract investments, for instance: Work out the complete tariff methodology, ensuring the reliability of supply and formatting the sustainable investment climate in the country.

The article focuses on privatization of the sector and the need for investment, its causes, related challenges and risks, also investment opportunities. The analysis of the energy sector will help us to develop a reliable and attractive investment environment.

Keywords: Energy Sector, Electricity Consumption, Privatization, Investment, Losses

ქართული საქმიანი კულტურა ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში



თამარ ლაგვილავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ტელ: (+995)598 238672
ელ. ფოსტა: t.lagvilava@gmail.com

საქართველოს საქმიანი კულტურისა და მართვის ქართული სტილის შესწავლას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომელიც მდგომარეობს "სუსტი" ადგილების გამოვლენაში, მართვის ეფექტიანობის ფაქტორების შესწავლაში, სხვა, უპირველესად, ევროკავშირის ქვეყნების კულტურებთან ქართული მმართველობითი კულტურის შედარებაში. დასავლეთის ქვეყნების,პრიორიტეტულად ანგლო-საქსონური მოდელი, დღეს ყველაზე ხშირად გამოიყენება ქართული კომპანიების მიერ.

ქართული საქმიანი კულტურის თავისებურებების გარკვევის შედეგად, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

- *ქართულ ბიზნესს გააჩნია რიგი თავისებურებებისა, რომელთა უდიდესი ნაწილი აიხსნება ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარებით;*
- *საგაზარო ურთიერთობებზე გადასვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართულ მმართველობით ქცევაში, მაგრამამავდროულად ინსტიტუციური სფეროს ნელი განვითარება საქართველოში არ შეესაბამებოდა პრიპციპულ ცვლილებებს ფასეულობათა სისტემაში, რაც ხსნის თანამედროვე საქმიანი კულტურის ბევრ ნეგატიურ ნიშან-თვისებას;*
- *მენეჯერმა, რომელიც საქმიანობს საქართველოში, უნდა გაიგოს ეს თავისებურებები და გამოიყენოს ისინი მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად.*

ნაციონალური კულტურული სხვაობები გავლენას ახდენს მენეჯერების ქცევაზე, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ მმართველობითი სიტუაციის ელემენტებს. ხელმძღვანელის სტილზე გავლენას ახდენენ ღირებულებათა სისტემა, მოთხოვნილების სხვადასხვატიპისინტენსიურობა,სამყაროსსურათი, შემეცნების პროცესის თავისბურება, რისკის აღქმა, მენეჯმენტისა და პიროვნებათაშორისი კავშირების ხელოვნების ფორმირების გზები.

დამოკიდებულებასიმდიდრის,ფულის,მოგების მიმართ ტრადიციულად ითვლება ნებისმიერი საზოგადოების საქმიანი კულტურის ერთერთ ყველაზე ნათელ მაჩვენებლად. სწრაფვა მოგების მიღებისაკენ და დაგროვებისაკენ ითვლება ერთერთ აუცილებელ პოსტულატად კაპიტალისტური საზოგადოების ასაშენებლად. ევროკავშირის ქვეყნებში სიმდიდრე ტრადიციულად ითვლება ადამიანის საქმიანობის, მისი საქმის უნარიანობის, ენერგიისა და შრომისმოყვარეობის შედეგი, იქმნება თაობათა შრომით და გადაიცემა მემკვიდრეობით.

ძალაუფლებასთან დამოკიდებულება ბევრი მკვლევარისათვის წარმოადგენს ერთერთ მთავარ კრიტერიუმს საქმიანი კულტურის დასახასიათებლად (ჰოფსტედე, ტრომპენაარსი, ლიუისი და სხვ.). ქართული ისტორიისთვის სახასიათოა რეჟიმების ავტორიტარიზმი, პიროვნების თავისუფლების, ინიციატივის, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებისა ქმედებების დათრგუნვა. ისტორიულად ეს წარმოშობდა პასიურობას და ხელისუფლებისადმი შინაგან წინააღმდეგობას. ამასთან, საქართველოში, სიმდიდრე დამოკიდებული იყო მმართველზე ან ხელისუფლებაზე, რომლებიც განსაზღვრავდნენ პრივილეგიებსა და პირდაპირ შემოსავლებს. მოგვიანებით, ქართული მენტალიტეტის ეს მდგენელი უარყოფითად მოქმედებდა საწარმოო გარიგების სახეზე, უბიძგებდა მეწარმეს უპატიოსნო საშუალებებისაკენ, სიცრუისაკენ, რაც უნებურად აყალიბებდა საზოგადოებაში ბიზნესისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. სახელმწიფო ხელისუფალთა მხრიდან ამას, ბუნებრივია, არავინ ეწინააღმდეგებოდა, ამდენად ჩამოყალიბდა სისტემა, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: ხელისუფალნი საწარმოო ობიექტს თვლიან პრაქტიკულად პირად საკუთრებად, რომელსაც შეიძლება მოექცე საკუთარი ნებისა და სურვილისამებრ. საქართველოს უახლესი ისტორიის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ძალაუფლების ასეთი განვითარება საზოგადოებაში წარმოშობდა ნიჰილიზმს, ყველაფრის დაშვებულობის შეგრძნებასა და მორჩილებას.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მოაზროვნეები მიუთითებდნენ, რომ ქართული კულტურისათვის ტიპურია მისწრაფება კოლექტივიზმისაკენ და ის ძირფესვიანად განსხვავდება დასავლური კულტურების ინდივიდუალიზმისაკენ მისწრაფებისაგან. ინდივიდუალიზმის ინდექსი ასახავს პიროვნებაზე კოლექტივის გავლენის დონეს. შესაბამისად, კოლექტივიზმის დაბალი მნიშვნელობა ნიშნავს ორიენტაციას ინდივიდზე

და მის ინტერესებზე, კოლექტივის სუსტ გავლენას, ხოლო მაღალი - კოლექტივისტურ ღირებულებებზე ორიენტაციას, კოლექტივის მნიშვნელოვან გავლენას ინდივიდის ცხოვრებაზე. კოლექტივიზმი მოითხოვს ორგანიზაციაზე ადამიანის მეტ დამოკიდებულებას და ორგანიზაციის მეტ პასუხისმგებლობას საკუთარ თანამშრომლებზე.ჩვენი აზრით, ამ მხრივ საქართველო წარმოადგენს კოლექტივისტურ ქვეყანას და კოლექტივიზმის გაგება არსებითია როგორც საწარმოს, ისე ქვეყნის მასშტაბითაც. ამას გააჩნია როგორცდადებითი,ასევეუარყოფითიმნიშვნელობაც: ერთის მხრივ, ეს კარგია, რადგან განვითარებულია ურთიერთდახმარება და ერთიანობა, ხოლო მეორე მხრივ, ამის შედეგია ჭკუით, სიმდიდრით, გარეგნობით ან სხვა ნიშნით უფრო შესამჩნევი ადამიანების მიუღებლობა. მართვის პროცესში ეს შეიძლება გამოვლინდეს იმაში, რომ ადამიანები ვერ ეჩვევიან გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. ამიტომ კოლექტივიზმი გათვალისწინებულ უნდა იქნას სხვადასხვა პროცესებში, მათ შორის თანამშრომელთა დაქირავებისა და გათავისუფლებისას, ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებისას, მოტივაციისა და სტიმულირების სისტემის შექმნისას და ა. შ.

საქართველო წარმოადგენს ქვეყანას ამ მაჩვენებლის მაღალი დონით, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობაღელავს საკუთარ მომავალზე, უპირატესობას ანიჭებს სტრუქტურირებულ ოპერაციებს, მისთვის მნიშვნელოვანია რეგლამენტაცია და მითითებული წესები. პროექტის GLOBE თანახმად საქართველოში გაურკვევლობისგან თავის არიდების ინდექსი შეადგენს 77 ქულას. გაურკვევლობის თავიდან არიდების დონის მაჩვენებელი დიდ როლს თამაშობს თანამშრომელთა მოტივაციის პროცესშიც. ამ ფაქტორის დაბალი მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში, მაგალითად,უჩვენებს თანამშრომლისათვისმაქსიმალურითავისუფლების მიცემისაუცილებლობას,მაშინროცასაქართველოში ამ მონაცემის მაღალი მაჩვენებელი აღიქმება, როგორც მეტი გარკვეულობის აუცილებლობა. მოტივაციისსაშუალება, რომელმაც გაამართლა ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, ქართველ მენეჯერთა შორის ძლიერ შინაგან წინააღმდეგობას და ეფექტიანობის დაცემას იწვევს.

სოციოლოგების მონაცემებით, ქართველებს არ ახასიათებს გრძელვადიანი გეგმების დასახვა, და მენტალობიდან გამომდინარე და ზოგ შემთხვევაში ეს გასაგებიცაა. მნიშვნელოვანია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ მოკლევადიანი ორიენტაციის დამატებითი მახასიათებლებია „მზერა წარსულისაკენ“, ტრადიციების პატივისცემა და სოციალური ვალდებულებების შესრულება. გაურკვევლობის თავიდან აცილების ძლიერი სურვილი იწვევს კონსერვატიზმს, ცხოვრების ჩვეული წყობისა სტილის შეცვლისადმი შინაგანი პროტესტის გრძნობას, რაც ვერ მოახდენს ბიზნესზე დადებით გავლენას.

ითვლება, რომ მამაკაცურ (გ.ჰოფსტედეს კვლევების მიხედვით) კულტურებში მანეჯერები მომართულნი არიან მიზნის მისაღწევად, მზად არიან მკაცრი კონკურენციისათვის, აგრესიულად მართავენ ბიზნესს. ქართული საქმიანი კულტურა კი საკმაოდ "ქალურია", ეს გულისხმობს, რომ იგი ორიენტირებულია არა მიზანზე "ცხოვრება მუშაობისათვის", არამედ მიზანზე "მუშაობა ცხოვრებისათვის". ე.წ. ქალურ კულტურებში ფასდება მუდმივი ყურადღება თანამშრომელთა მიმართ, კარგი ურთიერთობები შრომითი კოლექტივის შიგნით, კონკურირების სურვილის არქონა, სუსტების მხარდაჭერა. მენეჯერები ძირითად ყურადღებას უთმობენ ადამიანურ ურთიერთობებს, ჰუმანურობას, მიდრეკილნი არიან კომპრომისებისაკენ. სულიერი ფასეულობები ჭარბობენ მატერიალურს, სამუშაო განიხილება არა როგორც მიზანი, არამედ კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფის საშუალება.ქართული სოციალურობის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული კოლექტივიზმის ცნებასთან და წარმოადგენს მისწრაფებას მდგრადი სოციალური მდგომარეობისაკენ. გარდა ამისა, საქართველოში ტრადიციულად არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება მდიდრებისადმი, რის გათვალისწინებაც აუცილებელია. საკმაოდ მტკივნეულად აღიქმება "სოციალური უთანასწორობა", მით უმეტეს, რომ მთლიანობაში ქართველები აფასებენ სოციალურ სიკეთეებს. საქართველოში სხვისი "წარმატება" მაინცდამაინც არ არის მოწონებული, ხოლო მათ, ვინც წარმატებულია ბიზნესში, ეჭვის თვალით უყურებენ.

ამავე ჩარჩოებში შეიძლება განვიხილოთ ქართული ბიზნესის "ურთიერთობითი" და არა საგნობრივად ორიენტირებული ხასიათი. ისტორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული კულტურა მთლიანობაში და კერძოდ საქმიანი კულტურა, წარმოადგენს ურთიერთობითს. ეს გვაახლოებს ესპანურ, იტალიურ კულტურებთან, რომლებშიც პირველ ადგილზე პიროვნული ურთიერთობები დგას. როგორც ურთიერთობითი კულტურის შედეგი, საწარმოები საქართველოში ტრადიციულად ორიენტირებულია არა შედეგის, ანუ მოგების მიღებაზე, არამედ პიროვნებათშორისი ურთიერთობების გარკვეული ტიპის მხარდაჭერაზე.

„ურთიერთობითი" კულტურის მქონე ხალხები ნაკლებად არიან დაინტერესებული ფულით, ვინაიდან მეტად არიან ორიენტირებული ადამიანებზე, ვიდრე ბიზნესზე. პირადი კონტაქტები ყოველთვის წინ უსწრებს საქმეს, რაც დამახასიათებელია აზიური ქვეყნებისათვის.

საქართველოს, ჩვეულებრივ, პოლიაქტიურ კულტურებს მიაკუთვნებენ, რომელთათვისაც დამახასიათებელია ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება, როცა იცვლება ადრე დადგენილი განრიგები და ამიტომ მუშაობის ინტენსივობაც არათანაბარია. უნდა აღინიშნოს, რომ შრომასთან დამოკიდებულება და სამუშაო პროცესის ინტენსივობა გამომდინარეობს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების წესიდან. ქართველმა გლეხმა, რომელიც იძულებული იყო წელიწადში დიდი ხნის განმავლობაში ყოფილიყო უქმად, ხოლო შემდეგ მოკლე დროში შეესრულებინა ფაქტიურად მთელი წლის საქმე, გამოიმუშავა საკუთარ თავში მუშაობის თავისებური

არარეგულარული მეთოდები.

ზემოთ ჩამოთვილი თვისებებიდან გამომდინარეობს ქართველი კაცის დამოკიდებულება დროსთან, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული "კრიზისულ-სამობილიზაციო" ცხოვრების წესი. ანუ ქართველს ახასიათებს ზემობილიზაცია და დემობილიზაცია ჩვეულებრივ სიტუაციებში, რაც ნაკარნახევი იყო არასტაბილურ პირობებში თვითგადარჩენისათვის დამღლელი ბრძოლით.დროსთან დამოკიდებულება და მუშაობის თავისებური რითმი განსაზღვრავს დაგეგმვისადმი დამოკიდებულებასაც. მთლიანობაში დაგეგმვის ცხოვრებაში გადატანა, გათვალისწინებული გეგმების მიყოლა არ არის დამახასიათებელი ქართული კომპანიებისათვის. მოქმედებებში ხშირად გამოიყენება ცნება "ალბათ", ასევე სურვილი და ჩვევა, ქმედება განხორციელდეს სიტუაციისა და ვითარების მიხედვით და არა ადრე განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე. ყოველივე ეს ამუხრუჭებს ბიზნესის განვითარებას და ჩვენთვის არასასურველად გამოარჩევს ქართულ ბიზნესს დასავლეთში მიღებული სტანდარტებისაგან. მაშინ, როდესაც ბიზნესის დასავლური ფილოსოფიის თანახმად, საჭიროა შეთანხმება დეტალებზე, ქართველი მენეჯერებისათვის მთავარია საერთო კონცეფცია, მიდგომა, პრინციპები. საწყის ეტაპზე მტკიცე გეგმების სურვილის არქონა, უპირატესობის მინიჭება ზოგადი გეგმებისათვის, რომელიც შეიძლება შორს აღმოჩნდეს იმისგან, რისი მიღებაც გვსურს. აღსანიშნავია ქართველების მყარი ინსტრუქციებისადმი და კონტრაქტების შესრულების აუცილებლობისადმი სიყვარულის არარსებობაც.

მკვლევართა აზრით, საქართველო იკავებს შუალედურ პოზიციას პოლიაქტიურ და რეაქტიულ კულტურებს შორის. ასე, მაგალითად, ერთი კვირის შემდეგ დანიშნულ შეხვედრაზე ქართველი მენეჯერები ჩვეულებრივ ამბობენ: "მოდი, წინასწარ გადავურეკოთ ერთმანეთს...". ეს კი ნიშნავს, რომ შეიძლება ისეთი მოვლენები მოხდეს, რომლებიც გააუქმებს დანიშნულ შეხვედრას.

საქართველოს საქმიანი კულტურისა და მართვის ქართული სტილის შესწავლას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომელიც მდგომარეობს "სუსტი" ადგილების გამოვლენაში, მართვის ეფექტიანობის ფაქტორების შესწავლაში, სხვა, უპირველესად, ევროკავშირის ქვეყნების კულტურებთან ქართული მმართველობითი კულტურის შედარებაში. დასავლეთის ქვეყნების,პრიორიტეტულად ანგლო-საქსონური მოდელი, დღეს ყველაზე ხშირად გამოიყენება ქართული კომპანიების მიერ.

ქართული საქმიანი კულტურის თავისებურებების გარკვევის შედეგად, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

- ქართულ ბიზნესს გააჩნია რიგი თავისებურებებისა, რომელთა უდიდესი ნაწილი აიხსნება ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარებით;
- საბაზარო ურთიერთობებზე გადასვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართულ მმართველობით ქცევაში, მაგრამამავდროულად ინსტიტუციური სფეროს ნელი განვითარება საქართველოში არ შეესაბამებოდა პრიპციპულ ცვლილებებს ფასეულობათა სისტემაში, რაც ხსნის თანამედროვე საქმიანი კულტურის ბევრ ნეგატიურ ნიშან-თვისებას;
- მენეჯერმა, რომელიც საქმიანობს საქართველოში, უნდა გაიგოს ეს თავისებურებები და გამოიყენოს ისინი მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ჩეჩელაშვილი მ., ზარანდია ჯ..., „შედარებითი მენეჯმნეტი", თბილისი, 2016.

2. ბარათაშვილი ე., ჩეჩელაშვილი მ., მენეჯმენტის პარადიგმები და მათი მონაცვლეობა, ჟურნალი ,,სოციალური ეკონომიკა'' №4, 2014.

3. Ronen, S.Flexible Working Hours: An Innovation in the Quality of Work Life. — New York: McGraw-Hill, 1981.

Georgian Business Culture with Respect to EU Countries

Tamar Lagvilava
PHD Student at Georgian Technical University
E-mail: t.lagvilava@gmail.com

Studying Georgian business culture and Georgian management style, first of all has a practical importance, which lies in revealing '"weaknesses", management efficiency factors, other, firstly when comparing the cultures of EU countries with Georgian management culture. Frequently, Georgian companies are using the Western, in priority Anglo-Saxon model.

As a result of determining Georgian business culture features, we reach the following conclusion:

- Georgian business has a list of features, which mostly is reflected by historical and cultural development of the country.
- Transferring to market relations has caused important changes in Georgian management behavior, but at the same time a low development of institutive field in Georgia did not correspond to principle chances in value system, that explains most of negative features of contemporary business culture.
- A manager, having business in Georgia, has to understand these features and use them for increasing management efficiency.

რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ომარ შუდრას

პროფესიული განათლების „ბარიერები“ საქართველოში

ლეილა გიორგობიანი
გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის პედაგოგი
leilagiorgobiani58@gmail.com
ტელ: 591 28 07 78
577 44 37 07

პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე დღეს ბევრს საუბრობენ. გლობალური კრიზისის პირობებში ამ კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი მექანიზმი შრომის ბაზრის კვალიფიციური სამუშაო ძალით უზრუნველყოფაა. აკადემიურისაგან განსხვავებით, პროფესიული განათლება პრაქტიკული უნარების გამომუშავების და ამ უნარის გამოსამუშავებლად საჭირო ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული, ანუ სწორედ პროფესიული განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისათვის საჭირო სამუშაო ძალის ძირითადი ბირთვის მომზადება, რომელიც, ფაქტობრივადაა ჩართული ტექნოლოგიურ პროცესში.

იცვლება რა საქონლისა და მომსახურების ბაზრის მოთხოვნები და ვითარდება ტექნოლოგიები, ბევრი ადამიანი სამუშაოს გარეშე რჩება. მათი გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ფუნქციაც პროფესიულმა განათლების სისტემამ უნდა შეასრულოს. პროფესიული განათლების გამართული სისტემა ნორმალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

სწორედ ამ მიზნით, 2016 წლის 18 ივლისს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ინიციატივით პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში, გაიმართა პირველი, ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „პროფესიული განათლების როლი ეკონომიკის განვითარებისთვის”, რომელიც საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით ჩატარდა.

კონფერენციაზე განიხილეს გზები, თუ როგორ შეიძლება ადამიანური კაპიტალის განვითარება და პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს ქვეყნის წინაშე არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებთან გამკლავება. პარალელური სემინარები დაეთმო თემატურ დისკუსიებს თემებზე: საჯარო-კერძო პარტნიორობა, პროფესიული განათლებაში ჩართულობის გაზრდა და სამუშაოზე-დაფუძნებული სწავლების მოდელები.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 250-მდე უცხოელმა და ქართველმა დელეგატმა სახელმწიფო უწყებებიდან, ასევე ბიზნეს სექტორის მაღალი რგოლის მენეჯერებმა, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშიროსო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საერთაშორისო ექსპერტებმა გერმანიის, დიდი საჯარო-კერძო პარტნიორობის კუთხით ბრიტანეთის,ირლანდიისა და ავსტრალიის გამოცდილებები წარმოადგინეს, რაც დაეხმარება მთავრობას, ასევე კერძო სექტორს, შეიმუშაონ თანამშრომლობის ისეთი მოდელები, რომელიც გაითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას და მორგებული იქნება ადგილობრივ გარემოზე.

როგორც ვიცით, დღეს ევროპის ქვეყნებში და არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება პროფესიული განათლების სისტემის გამართულობასა და ეკონომიკის განვითარების დონეს შორის. ევროპაში მოთხოვნა პროფე-სიულ განათლებაზე ზოგადად საკმაოდ მაღალია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, და-საქმებულთა 60%-ზე მეტი სწორედ პროფესიული განათლებითაა. ბიზნესმა იცის, რომ ფულს კონკრეტული მიზნისათვის იხდის. სტუდენტმაც იცის, რომ ამ განათლებით მას სამუშაო გარ-ანტირებული აქვს. პროფესიული განათლების ევროპული სისტემა ძალიან მოქნილია და ურთიერთობებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ბიზნესს შორის რეალურად პარტნიორული.

ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული განათლების სისტემა მთლიანად ბიზნესს აქვს გად-აბარებული. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილშიც კი ამ სისტემას შრომის და ეკონომიკის სამინისტროები კურირებდნენ.

აქვს თუ არა ჩვენთან საზოგადოებას, მათ შორის დამსაქმებლებს, გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა - შემიძლია დამაჯერებლად ვთქვა რომ არა.

ჩვენს საზოგადოებაში კვლავ არსებობს სტერეოტიპი, მათ ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული ის სიკეთეები და უპირატესობები, რასაც პროფესიული განათლება სთავაზობს ახალგაზრდებს. პროფესიული განათლება არის უმოკლესი გზა დასაქმებისკენ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების გაზრდას, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ჩვენ დღეს გვყავს ძალიან ბევრი უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქე, რომლებსაც რეალურად პროფესია არ აქვთ, შესაბამისად, შრომის ბაზარზე ვერ საქმდებიან. ჩვენმა საზოგა-

დოებამ უნდა გაიაზროს, რომ მთავარია, ღირსეულად დასაქმდე და შენი საქმის პროფესიონალი იყო. ამის მისაღწევად კი ერთადერთი გზა უმაღლესი განათლება არ არის. თუმცა, თუკი პროფესიული განათლების მქონე ადამიანი გადაწყვეტს, რომ უმაღლესი განათლება მიიღოს, მას ბარიერი არ უნდა ხვდებოდეს, ამგვარი ბარიერები სკეპტიკურად განაწყობს საზოგადოებას.

და მაინც, დღეისათვის დამსაქმებლები, აბიტურიენტები და მშობლები უმაღლეს განათლებას უფრო მიმზიდველ და სასურველ საგანმანათლებლო ალტერნატივად განიხილავენ, ვიდრე პროფესიულ განათლებას. სპეციალისტების შეფასებით, ამგვარი დამოკიდებულება პროფესიული განათლების სისტემაში არსებულმა უარყოფითმა განწყობამ და ბარიერებმა განაპირობა. პროფესიული კოლეჯების სტუდენტებისთვის, ვისაც მხოლოდ საბაზო განათლება აქვს მიღებული როგორც უმაღლესი განათლების მიმართულებით სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში ისე დასაქმების დროს ექმნებათ ბარიერი.

პროფესიული განათლება ეს ახალი შესაძლებლობაა, გახდე იმ საქმის პროფესიონალი, რომლის კეთებაც მოგწონს. ამ შესაძლებლობას სკოლის დამთავრებისას ვერ იაზრებდი, თითქოს პროფესიის მიღების მხოლოდ ერთი გზა არსებობდა - უმაღლესი განათლება“,

ბოლო დროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ თანდათან პოზიტიურისკენ იცვლება. პროფესიული კოლეჯების სტუდენ-ტები, უმეტესად 19-23 წლის ახალგაზრდები არიან, რომელთა უმეტესობას ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დასრულებული აქვს და ხშირ შემთხვევაში უმაღლესი განათლებაც აქვს მიღებული.

თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, ეს საკმაოდ ნელი პროცესია; დღევანდელი ქართუ-ლი პროფესიული განათლების სისტემა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, - უზრუნველყოს მაღალი ხარისხი, ხელმისაწვდომობა, მოამზადოს კვალიფიციური კადრები.

სასურველი იქნებოდა მეცხრეკლასელი, რომელიც გადაწყვეტს პროფესიული განათლების მიღებას, პროფესიის მიღებასთან ერთად შეძლოს ზოგადი განათლების სრული საფეხურის გავლა. უფრო კონკრეტულად კი, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სტუდენტს უნდა შესთავაზოს X, XI, XII კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალა, იმისათვის, რომ მან პარალელურ რეჟიმში შეძლოს ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის აღება. ამრიგად, სტუდენტები, რომლებიც პროფესიული განათლების მიღების შემდგომ მოინდომებენ სწავლის გაგრძელებას, უმაღლესი განათლების მიმართულებით აღარ იარსებებს „ბარიერები“.

კიდევ ერთი „ბარიერი“, სამხედრო სავალდებულო სამსახურს ეხება. თუკი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან თავისუფლდებიან, პროფესიული განათლების მიღებისას ასე არ ხდება.

ხშირად სტუდენტებს რამდენიმეთვიანი სწავლის შემდგომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში იწვევენ, - სტუდენტს თვეობით შრომა და სწავლა წყალში ეყრება, რადგან უმეტეს შემთხვევაში, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სწავლას აღარ უბრუნდება. იკარგება სტუდენტის შრომაც და მათი სწავლისთვის გაღებული სახელმწიფო ფინანსებიც. ამგვარი ბარიერი, ცხადია, აფრთხობს სტუდენტს. ეს საკითხიც დასარეგულირებელია.

2013 წლიდან ქვეყანაში პროფესიული განათლების რეფორმა დაიწყო. სწორედ აღნიშნულ რეფორმის ფარგლებში სხვა აქტივობებთან ერთად პროფესიულ კოლეჯებში მოდულური პრო-გრამებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა დაიწყო. ამჟამად საგნობრივ სწავლებასთან ერთად პროფესიული სასწავლებლებში მიმდინარეობს მოდულური სწავლების პროგრამა.

მოდულური სწავლებისას საგნების ნაცვლად პროგრამა მოდულებისგან შედგება. მოდუ-ლი კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად საჭირო ცოდნასა და უნარებს აერთიანებს. ის კონკრეტული კომპეტენციების გამომუშავებაზეა ორიენტირებული და შეიძლება ცალკე ერ-თეულის სახით დიფერენცირდეს პროგრამიდან, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, კონკრეტული მოდული ისწავლოს, ამის მიხედვით შეფასდეს და მიენიჭოს შესაბამისი კრედიტი. მოდულური სწავლების 40%-ზე მეტი პრაქტიკაზე მოდის. ასეთი პროგრამები შრომის ბაზრის ცვლილებისადმი უფრო მოქნილია. შრომის ბაზრის ცვლილებისას მთელი პროგრამის ნაცვლად კონკრეტული მოდულის განახლებაა შესაძლებელი, გაადვილებულია სამუშაო ბაზარზე გასვლა და სწავლის გასაგრძელებლად საგანმანათლებლო სისტემაში ხელახლა დაბრუნება.

2015 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფცია მომზადდა, 2016 წელს კი აღნიშნული მოდელის პროექტის პილოტირება საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) ერთად ორ სფეროში, მეხილეობასა და მეცხოველეობაში დაიწყო.

რას გულისხმობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება?

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ეს არის სწავლა მუშაობის პროცესში. ამ დროს სტუდენ-ტი რეალურ პროდუქტს ქმნის. დამსაქმებელი ჩართულია სწავლების პროცესში.

შრომის ბაზარი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს განათლების სისტემას, თუ როგორი კადრები სჭირდება მას. როგორც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სიტუაციურმა ანალიზმა აჩვენა, დამსაქმებლები ხშირად არ არიან კმაყოფილები პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების უნარებით. სამუშაოზე დაფუძნებული განათლება კი სრულად აკმაყოფილებს დამსაქმებლების მოთხოვნას. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება აადვილებს სტუდენტების დასაქმებასაც უშუალოდ პრაქტიკის გავლის პროცესში.

უნდა ვიმედოვნოთ, ბარიერების მოხსნის შემდეგ კვლავაც იმატებს კოლეჯებში სტუ-დენტთა რაოდენობა და შესაბამისად იმატებს მათი დასაქმების რიცხოვნობაც და მერე პროფესიული განათლების მიღება ეს არა მარტო პროფესიის შეძენა იქნება, არამედ ადამიანებისთვის იმედი და ბედნიერება.

ვახსოვდეს, პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა ბიზნესმა უნდა შექმნას, რადგანაც ისაა საბოლოო “პროდუქტის” მომხმარებელი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) როლი მეწარმეობაში

შალვა ფოფხაძე
გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის
სტუდენტი

დღეს პიარი აუცილებელი პირობაა ნებისმიერი ფირმის, ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, რადგან პიარის უმთავრესი ამოცანაა შეუქმნას ორგანიზაციას დადებითი იმიჯი, რეპუტაცია და დაამყაროს საზოგადოებასთან ჰარმონიული ურთიერთობა. დასაწყისში უმჯობესი იქნება განვიხილოთ პიარის დაარსების ისტორია.

„ყოველი დასაწყისი ძნელია, ყოველი მეცნიერებისათვის“ გვეუბნება იმანუელ კანტი. პიარი, როგორც მეცნიერება ძალიან რთული, საინტერესო და შრომატევადი საქმიანობაა.

პიარის სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია. იგი ჩაისახა ამერიკაში ინდუსტრიული ბუმის დროს, როდესაც მწარმოებლებმა მართვის ახლებური მეთოდების საჭიროება გააცნობიერეს. სწორედ ამ დროს გაჩნდა პიარის ძირითადი კონტურები. PR ესაა შემოკლებული ფორმა და განიმარტება შემდეგნაირად: public-საჯარო, relations-ურთიერთობა.

პიარის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიჩნეულია აივი ლი, რომელიც წლების განმავლობაში ჰენრი ფორდისა და ჯონ როკფელერის საზოგადოებასთან დიალოგს მართავდა. ამ სფეროში პიონერად შეგვიძლია დავასახელოთ ედუარდ ბერნეისი. აივი ლი პრაქტიკოსი იყო და ამ პერიოდისთვის პიარის ზუსტი დეფინიცია მას არ ჩამოუყალიბებია.

1923 წელს ედუარდ ბერნეისმა ნიუ-იორკის სტუდენტთა ჯგუფი შეკრიბა და პიარის პირველი კურსები ჩამოაყალიბა. სწორედ ამ დროიდან აშშ-ში პიარის სწავლება ყოველწლიურად იხვეწება და ფართო მასშტაბებს იღებს. 40-იან წლებში რეგულარული კურსების ორგანიზება დაიწყო.

პიარის ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმის საქმიანობისათვის, ეფექტური მართვის განუყრელ ნაწილად იქცა. დღეისათვის პიარის გარეშე წარმოუდგენელია წამყვანი კერძო ფირმების არსებობა. გამოდის უამრავი ლიტერატურა ამ სფეროში, თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს ამ სფეროს სპეციალისტთა მოსამზადებელი ცენტრები, რომ არაფერი ვთქვათ საუნივერსიტეტო სწავლებაზე. ფუნქციონირებს როგორც ნაციონალური, ასევე საერთაშორისო პიარ პროფესიული ასოციაციები და უამრავი საკონსულტაციო ფირმები.

პირველი ფაქტი, რომლის დროსაც სიტყვა პიარი გამოიყენეს იყო: აშშ-ში სარკინიგზო კატასტროფების სერიის შემდეგ, მკვეთრად შემცირდა სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენება, რის გამოც ამერიკის რკინიგზის დეპარტამენტმა რამდენიმე სპეციალობის თანამშრომელს დაავალა, რომ მომხმარებელი რკინიგზის უსაფრთხოებაში დაერწმუნებინათ. მაშინ ფსიქოლოგების, სოციოლოგების, მარკეტოლოგებისა და ჟურნალისტების ჯგუფის წევრებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები უწოდეს.

უნდა ითქვას, რომ პიარი მეცნიერების მსგავსად ზუსტი არ არის, რაგდან პიარის ძირითადი მეთოდები, სტრატეგიები, ტაქტიკები, შეიძლება შეიცვალოს დროისა და სივრცის მიხედვით.

პიარ მენეჯერს უნდა ახასიათებდეს: ლოგიკური აზროვნება, ძლიერი ხასიათი, კრეატიულობა, ანალიტიკური აზროვნება, ადვილად ადაპტირებისა და რამდენიმე პრობლემასთან ერთდროულად გამკლავების უნარი, აუცილებელია სოციალური მეცნიერებების ცოდნა, მოქნილობა, იუმორი და დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის უნარი.

ცნობილი სპეციალისტი სემ ბლეკი პიარის შედარებით საუკეთესო განმარტებას გვთვაზობს: „საზოგადოებასთან ურთიერთობა-ეს ჰარმონიის მიღწევის ხელოვნება და მეცნიერებაა, ურთიერთგაგების საშუალებით, რომელიც სიმართლესა და მაქსიმალურ ინფორმირებულობას იძლევა” .მართლაც პიარი ეს არის კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა, ორმხრივი ურთიერთობა, რომლის დროსაც მოსაუბრეები ცვლიან ინფორმაციას და უზიარებენ აზრებს ერთმანეთს. პიარის მიზანია-შექმნას გარე და შიდა სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო, ორგანიზაციის წარმატებისთვის. პიარის ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება:

- ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის შეფასება.
- ორგანიზაციისა და საზოგადოების ინ-

ტერესების შეთავსება-შეთანხმების გამოვლენა.

• საზოგადოების სანდო ურთიერთობის ჩამოყალიბება ორგანიზაციის საქმიანობასთან.

პიარ კამპანიას გააჩნია მართვის რამდენიმე ეტაპი, რომელიც შესაძლებელია მეწარეებმაც გამოიყენონ მსგავსი რაციონალური მიდგომა ნებისმიერ განსახორციელებელ საკითხებთან მიმართებაში, ეს ეტაპებია.

1.ანალიზი

2.დაგეგმვა

3.განხორციელება

4.შეფასება.

მეწარმეობა არც ისე მარტივი საქმეა,დღეს არსებობენ მეწარმეები,რომლებიც ბევრი ფაქტორის გათვალისწინების გარეშე იწყებენ ბიზნეს საქმიანობას, რასაც სავალალო მდგომარეობამდე მიჰყავს მათი ბიზნესი. პიარი მეწარმეებს დაეხმარება, რომ სწორად ჩამოაყალიბოს ორგანიზაციის შიდა სტრუქტურა, იზრუნოს თანამშრომლებზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პიარი ზრუნავს შექმნას ორგანიზაციის შიდა კულტურა, რაც ერთ-ერთი უპირატესი და მნიშვნელოვანია დღევანდელი საზოგადოებისათვის.

მეწარმემ საკუთარი ბიზნესის დაწყებამდე უნდა გაითვალისწინოს და განსაზღვროს შემდეგი.

• რა პროდუქტი უნდა გაყიდოს;

• პროდუქტის ფასი;

• შეისწავლოს კონკურენტები;

• ამის შემდგომ გაარკვიოს გასაყიდი პროდუქტის სუსტი და ძლიერი მხარეები;

• არის თუ არა მოთხოვნა მსგავს პროდუქტზე;

• განსაზღვროს ადგილმდებარეობა ბიზნესის დაწყებისათვის;

• განსაზღვროს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები(მშპ), პოლიტიკურ-სამართლებრივი, კულტურული გარემო;

• განსაზღვროს სეგმენტი;

• მიზნობრივი საკვანძო ჯგუფების, მათი მოლოდინების მოთხოვნების გარკვევით;

• ბაზარზე გარკვეული ადგილის მოფიქრებით;

• საკომუნიკაციო არხებისა და კომუნიკაციის ფორმების გარკვევით.

საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობა პროცესია და პირველი ნაბიჯი ამ პროცესში სწორედ კვლევაა, რომელიც დღეს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალების მიერ აღიარებულია, როგორც დაგეგმვის, პროგრამის განვითარებისა და შეფასების განუყოფელი ნაწილი.

ამდენად ზემოთ ხსენებული ფაქტორების გასარკვევად პიარმა უნდა ჩაატაროს კვლევა, რომელიც არის იგივე -„მოსმენის ფორმა“. სწორედ ამ გზით გაიგებს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც დაეხმარება ბიზნესის გეგმისა თუ საკუთარი პროექტის სწორად ფორმირებაში.

კვლევის დაწყებამდე მეწარმემ, პიარმა უნდა განსაზღვროს

• რა არის პრობლემა? ან რისი მიღწევა სურს კვლევის ჩატარებით?

• რა სახის ინფორმაციაა საჭირო (აქ საუბარია რომელი სახის კვლევას გამოიყენებს თვისებრივსა თუ რაოდენობრივს)?

• როგორ შეიძლება კვლევის შედეგების გამოყენება?

• რომელი საზოგადოებრივი ჯგუფი უნდა გამოიკითხოს?

• რა დრო დასჭირდება კვლევის ჩატარებას? და ბოლოს რა თანხა დაუჯდება კვლევის ჩატარება?

კვლევის ჩატარება დაგვეხმარება:

• მოვიპოვოთ ნდობა საზოგადოების წინაშე

• აუდიტორიისა და სეგმენტური საზოგადოების ჯგუფის სწორად განსაზღვრაში

• გეგმის ჩამოყალიბება

• კრიზისის წინასწარ პრევენცია

• კონკურენციის მონიტორინგი

• საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში.

ვფიქრობ მეწარმეს ძალიან დაეხმარება თუ გაწერს დროში სამოქმედო გეგმას. უჯობესი იქნება სამოქმედო გეგმა იყოს მაქსიმუმ ერთ თვიანი, რა თქმა უნდა გააჩნია სიტუაციას, მაგრამ რაც უფრო მოკლე დროშია გაწერილი გეგმა,მით უფრო სწრაფად განვითარდება ბიზნესი.

დღეს საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს და რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია მომსახურება. მეწარმემ უნდა იცოდეს,რომ „საუკეთესო მომსახურება ,მაღალი გაყიდვების წინაპირობაა“

ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება თუ ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, პიარის კომპლექსური მიდგომით დაიწყებს მეწარმე ბიზნეს გეგმის განხორციელებას.

აქედან გამომდინარე პიარის ძირითადი ფუნქციაა, გაითვალისწინოს ძირითადი დეტალები, განსაზღვროს მნიშვნელოვანი პიარსვლები. მეწარმეს პიარ ელემენტების გამოყენება დაეხმარება, რომ საკუთარი ბიზნესი არ შეიყვანოს ჩიხში, დაეხმარება კრიზისული სტუაციის დროულად მოგვარებასა და ცნობადობის გაზრდაში.

რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ომარ შუდრას

ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲨᲩᲝᲚᲙᲘᲜᲘ – ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲙᲚᲘ

ჩემი თაობის თბილისელებს ალბათ ახსოვთ, რომ 1982 წლის მარტში, თითქმის მეოთხედი საუკუნის დაგვიანებით, ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ პროსპექტზე, ფიზიკის ინსტიტუტის წინ დადგეს სამგზის სოციალისტური შრომის გმირის – კირილე შჩოლკინის ბიუსტი (ავტორი გ. თოიძე, არქიტექტორი – გ. ჩიჩუა).

ორგზის შრომის გმირებს მაშინ ხელისუფლება ძეგლს უხსნიდა იმ ქალაქებში, სადაც დაიბადნენ. კირილე „თბილისელი ბიჭი“ იყო (მამადავითთან ცხოვრობდა), ამიტომ ძეგლი დედაქალაქში დაიდგა. მის გახსნას დაესწრნენ სტუმრები: ოჯახის წევრები, რამდენიმე აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ქალაქის და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. როგორც მიღებულია ამ დონეზე იყო ბანკეტიც.

ძეგლის გახსნას მოსახლეობა გულგრილად შეხვდა. მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის გამოცოცხლების წლებში ტელევიზიაში რამდენჯერმე გაიჟღერა სიუჟეტმა, სადაც კორესპონდენტი ეკითხება გამვლელებს: „იქნებ იცით, ვისი ძეგლია?“ პასუხად კი ისმოდა: „არ ვიცით, ალბათ ვინმე სამხედროსი“... ამ სიუჟეტის „ლოგიკური გაგრძელება“ იყო 2009 წლის ნოემბერში ძეგლის გაუჩინარება დაუდგენელ ვითარებაში...

მაინც, ვინ იყო კ. შჩოლკინი? ის დაიბადა თბილისში (როგორც ადრე უწოდებდნენ – ტიფლისში) 1911 წლის 17 მაისს, მიწათმზომის (ტოპოგრაფის) ოჯახში. მამა სმოლენსკის გუბერნიიდან იყო. მალე ოჯახი გადავიდა სმოლენსკში, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ (მამის ავადმყოფობის გამო) – ყირიმში.

1932 წელს კირილე ამთავრებს სიმფეროპოლის პედაგოგიურ ინსტიტუტს და, როგორც ნიჭიერ სტუდენტს, ნიშნავენ საშუალო სკოლის დირექტორად. მაგრამ ის უპირატესობას აძლევს ლენინგრადის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობას, ნ. სემიონოვის (მომავალში ნობელის პრემიის ლაურეატის) ხელმძღვანელობით.

1945 წლის აგვისტოში, აშშ მიერ იაპონური ქალაქების ატომური დაბომბვიდან ორიოდე კვირის შემდეგ, მოსკოვში შეიქმნა სპეცკომიტეტი ლ. ბერიას თავმჯდომარეობით, საბჭოური ბომბის შესაქმნელად. სპეცკომიტეტი იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა... თავდაცვისა და საგარეო საქმის მინისტრებსაც კი.

აკადემიკოს ი. კურჩატოვის წინადადებით და ი. სტალინის რეკომენდაციით, 35 წლის შჩოლკინი, როგორც წვის და დეტონაციის სპეციალისტი, შევიდა მეცნიერთა იმ თორმეტკაციან ჯგუფში, რომელმაც დაიწყო მუშაობა ატომურ ბომბზე. კ. შჩოლკინის დამსახურებაა, ბომბი რომ 1949 წელს შეიქმნა, დაგეგმილზე რამდენიმე თვით ადრე. მისმა გამოცდამ 29 აგვისტოს მსოფლიო პოლიტიკაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა.

„ცივი ომის“ საწყის ეტაპზე ქვეყანა გადაარჩინა დეზინფორმაციამ, რომ საბჭოთა კავშირს დიდი ხანია აქვს ატომური მუხტები. სინამდვილეში კი ჩვენ გვქონდა ერთი ბომბი, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს – 150...

1953 წელს ატომური და წყალბადის იარაღის შექმნისათვის კ. შჩოლკინი, ა. სახაროვი და სხვები ხელმეორედ დაჯილდოვდნენ შრომის გმირე-

ბის წოდებით. შემდგომში, ამ იარაღის გაუმჯობესებისათვის შჩოლკინი ამ წოდებით მესამედ დააჯილდოვეს.

1958 წელს მეცნიერთა ჯგუფმა (სადაც შედიოდა კ. შჩოლკინი და მისი ვაჟი) მიიღო ქვეყნის ყველაზე საპატიო, ლენინური პრემია. წარდგენილთა შორის იყო მათი მინისტრის მოადგილე, რომელიც შჩოლკინმა ამოიღო სიიდან. მალე მოადგილე გახდა მინისტრი... 30 წლით. ეს თამამი, პრინციპული ნაბიჯი შჩოლკინს ორმოცდაოთხწლიან შერისხვად დაუჯდა.

საერთოდ მას, საქმით გატაცებულს, ბიუროკრატიისადმი უცერემონიო დამოკიდებულება ახასიათებდა. თავისი ქცევის მანერით, პრიმიტიული ჩაცმის სტილით, ის ხშირად ადამიანებში უარყოფით ემოციებს იწვევდა...

კ. შჩოლკინს გულის შეტევები დაეწყო. მას აუკრძალეს მის მიერვე შექმნილი ჩელიაბინსკის ბირთვულ-სარაკეტო ცენტრში შესვლა (სხვათა შორის, იქ 1956-1958 წლებში მეუღლესთან ერთად მუშაობდა ჯუმბერ ლომინაძე, მომავალში აკადემიკოსი. ეს მან შეარჩია თბილისში ბიუსტის ადგილი, მისი მეუღლე კი წლობით უვლიდა იქვე მდებარე სკვერს).

შჩოლკინი გადავიდა მოსკოვში და დაიწყო იქ ლექციების კითხვა. მას არ მიანიჭეს აკადემიკოსის წოდება, დაუნიშნეს მინიმალური პენსია, არ აღუნიშნავთ მისი არც ერთი იუბილე, ხოლო მისი ბიუსტის გახსნა გააჭიანურეს ოცი წლით.

სულ რამდენიმე წელია, შჩოლკინის შრომებმა ღირსეული შეფასება დაიმსახურა. მისმა ვაჟმა გამოსცა წიგნი მამაზე, რამდენიმე ქალაქში დაიდგა მისი ძეგლი, ყირიმში ქ. შჩოლკინოში მისი სახელი მიანიჭეს ატომურ ელსადგურს. აღინიშნა მისი 90 და 100 წლის იუბილეები.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (შვეიცარიის დახმარებით) მოითხოვა თბილისში ძეგლის დანერგვის მიზეზების გარკვევა.

ორიოდე წლის წინ ქ.შჩოლკინის ხელმძღვანელობამ მოითხოვა ქალაქის სახელის შეცვლა... კაზანტიპით. თბილისში დაბადებულ და მონათლულ, ამ პრინციპული და ზნეობრივი ადამიანის ირგვლივ, რომელმაც კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომისაგან იხსნა, საოცარ მოვლენებს ბოლო არ უჩანს.

ომარ შუდრა

რუბრიკა მიჰყავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. ვახტანგ ბურულს

ჟურნალის ამ ნომრიდან, წმინდა ეკონომიკური შინაარსის სტატიების გარდა, დაიბეჭდება ფართო პროფილის მასალები, დაემატება ახალი რუბრიკები.

ერთ-ერთი ასეთი რუბრიკაა „საბჭოთა ისტორიის ლაბირინთებში“, რომელ შიც სისტემატურად გამოქვეყნდება ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრის, ომარ შუდრას სტატიები. ამ მასალას ავტორი მრავალი წელია აგროვებს, მე კარგად ვიცნობ, რადგან ჩვენ ათიოდე წელია ვთანამშრომლობთ.

რუბრიკის მიზანია, მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანოთ პოლიტიზებული, „აკრძალული ისტორიის“ სფეროში და საერთოდ, იქნებ დროა, XXI საუკუნეში, ისტორიული მეცნიერება ტრადიციული, აღწერითი, ჰუმანიტარული რელსებიდან გადავიყვანოთ ზუსტი მეცნიერების (ლოგიკა, მათემატიკა, სისტემური ანალიზი, კომპიუტერული მოდელირება და სხვ.) ფორმატში.

ჩვენი საზოგადოება იმსახურებს, რომ იცოდეს ისტორია და დღემდე არ იკვებებოდეს ტყუილ-მართალით...

ვახტანგ ბურული

1953 წლის ზაფხული

ჩვენი თანამემამულის, ლავრენტი ბერიას საქმე (№ 29-53, 43 ტომი), [1] დღემდე გასაიდუმლოებულია. ამ საქმის გატაცება ბევრჯერ უნდოდათ (ბოლოს – 2003 წელს). ლ. ბერიას სასამართლო პროცესის ფალსიფიკაცია ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ბევრ ცნობილ, ავტორიტეტულ ისტორიკოსს ეჭვი ეპარება, რომ ის 26 ივნისს, როცა ცკ პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი სხდომა უნდა გამართულიყო, ცოცხალი იყო, და არავითარ მის დაპატიმრებას ადგილი არ ჰქონია.

სტატიაში ჩამოთვლილია ამ ვერსიის საწინააღმდეგო არგუმენტები. ამასთან, ჩემი გამოცდილებით, მბეჭდავ-მემანქანემ, მძღოლმა და დაცვის წევრმა ყოველთვის ყველაზე მეტი იცის. მათი ინფორმაცია უტყუარია, რადგან შორს არიან პოლიტიკური კონიუნქტურისგან. ყოველ შემთხვევაში, არ იძლევიან ისეთ ყალბ ინფორმაციას, როგორიცაა, თუნდაც რუსულ ენაზე გამოსული ღვარძლიანი სტატიების კრებული: Берия: конец карьеры. Москва, 1999 г.

ამ ისტორიის დეტალებს რუსეთში ბევრი მკვლევარი იკვლევდა, მათ შორის ა. სტოლიაროვი, ვ. პოპოვი, ფ. ნეკრასოვი, ა. ტოპტიგინი, ა. სუხომლინოვი, ვ. ნაუმოვი, ნ. რუბანი. სოლიდური ავტორები, სოლიდური გამოცემები... მიუხედავად ამისა, შეცდომები წყაროს ნომრებში, თარიღებში, წოდებებში და გვარებშიც კი.

სტატიის მიზანია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საბუთი დაკარგულია, ამ საქმეში მცირე წვლილის შეტანა, ამასთან, ქართველი მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით.

სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შინაგან საქმეთა მინისტრი ლ. ბერია ახალი ჩამოსული იყო გერმანიიდან [2]. 23 ივნისს მან თანაშემწეებთან თათბირი ჩაატარა (ბ. ლიუდვიგოვის ჩვენება). 25 ივნისს, გვიან საღამოს, გ. მალენკოვი მან მიიყვანა შინ, გრანოვსკის ქუჩაზე. მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ ისაუბრეს კიდევ 10 წუთი (მძღოლი). ლ. ბერიას უნდოდა უშიშროების ყოფილი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა. მან 25 ივნისს სკკპ ცკ პრეზიდიუმს წერილი გაუგზავნა (მინისტრის მოადგილის დაკითხვის ოქმით).

25-26 ივნისს ძალიან ცხელოდა. ბერიამ დამე თავის აგარაკზე, ცოლ-შვილთან ერთად გაატარა (სერგო ბერია).

26 ივნისს, პარასკევს, ის დილით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითქმის დასრულებულ მშენებლობაზე იყო (1 სექტემბერს აქ სწავლა დაიწყო). ლ. ბერია ამ გრანდიოზულ მშენებლობას კურირებდა და საერთოდ, საკმაოდ დიდი შემოქმედებითი წვლილი აქვს მის დაპროექტებაში, მას მშენებელ-არქიტექტორის დიპლომი ჰქონდა (დოკ. ფილმი).

შინაგან საქმეთა სამინისტროში ის არ გამოჩენილა. ბერიას ალყაშემორტყმულ ერთსართულიან ბინაში, სადაც შვილიც ცხოვრობდა (კაჩალოვის ქუჩა № 28, ამჟამად მალაია ნიკიტსკაია), სროლა დაახლოებით 12.30 საათზე დაიწყო (ამას ბევრი მოწმე ადასტურებს), მაგრამ ბრეზენტგადაფარული საკაცით ვინ გამოიყვანეს, ამის მოწმე შვილმაც კი ვერ მოძებნა. ამ დროისთვის ბერიას სამდივნოს, აგარაკის და ბინის ტელეფონი უკვე გათიშული იყო. მინისტრთა საბჭოს მბეჭდავ-მემანქანეებს კი აუკრძალეს დერეფანში გასვლა.

26 ივნისის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა სკკპ ცკ პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დაამთხვია მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების ზაფხულის მანევრებს (ქ. კალინინში). რამდენიმე სანდო დივიზია, ყოველი შემთხვევისათვის, ციმბირიდანაც ჩამოიყვანეს. მოსკოვი, ფაქტობრივად, 23 ივნისიდან ჯარით იყო გარშემორტმული (ა. სკოროხოდოვის სტატია). ამიტომ სხდომაზე (სტალინის ყოფილ კაბინეტში) მოწვეულთა შორის ბევრი იყო სამხედრო. ნიკოლოზ ბულგანინთან (თავდაცვის მინისტრი) ერთად მოწვეული იყო გ. ჟუკოვიც (მარშალი, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ბულგანინის მოადგილე). [3]. თავის დაზღვევისთვის, მოიწვიეს შსს-ში ბერიას მოადგილეები სეროვი და კრუგლოვი (მათ მინისტრის თანამდებობებს შეპირდნენ). დღის წესრიგში

რუტინული საკითხები ეწერა. მოსაცდელ ოთახში მინისტრებთან ერთად სამხედროები ისხდნენ და ელოდნენ მათი საკითხის სხდომაზე განხილვას. ჟუკოვი ცალკე ოთახში იყო თავის ჯგუფთან ერთად (კ. მოსკალენკო, პ. ბატიცკი, მ. ნედელინი და მოსკალენკოს ადიუტანტი პ. იუფერევი) და ელოდა ზარს.

ვიდრე ბერია მოვიდოდა, გადადეს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა და ცკ პრეზიდიუმის სხდომა გახსნილად გამოაცხადეს.

სამხედროები 13.30 საათამდე ელოდებოდნენ გ. მალენკოვის მდივნის – სუხანოვის ზარს, რადგან სხდომის ზოგიერთი მონაწილე (მაგ. ა. მიქოიანი), ორდერის გარეშე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგი იყო. ახლახანს გამოქვეყნებულ გ. მალენკოვის სიტყვის (შავად მომზადებულ) თეზისებში დაპატიმრების ნაცვლად, განზრახული იყო ბერიას გადაყვანა... ნავთობის მრეწველობის მინისტრად (მალენკოვის არქივის № 179 ანაწერი).

დარბაზში შეიარაღებული სამხედროების შემოსვლის შემდეგ, კენჭისყრა ხელმეორედ ჩატარდა. ალბათ, ამ კამათის გამო, 14 საათზე გაიცა ბულგანინის მოულოდნელი ბრძანება, კრემლთან საბრძოლო ჭურვებით ტანკების შემოყვანაზე (ა. სკოროხოდოვის სტატია) 15 საათზე ტანკები წითელ მოედანზე იდგა, კრემლისკენ მიშვერილი ლულებით. უფრო მეტიც, მეორე დღემდე, მოსკოვის ცენტრალური მოედნების გარდა, სამხედრო ტექნიკა (სულ – 3 სატანკო პოლკი) ქალაქის ირგვლივაც განალაგეს, რკინიგზის სადგურებთან კი მსროლელთა დივიზია ჩააყენეს. საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება მიიღო ავიაციამაც (ი. კროტკოვის, ა. სკოროხოდოვის სტატიები).

მისაღების მხრიდან კარს ამ დროს იცავდნენ გენერლები ლ. ბრეჟნევი, მ. ნედელიანი, ა. გეტმანი, ვ. შატალოვი, ა. პრონინი (პ. სუდოპლატოვის მოგონებების წიგნი, კ. მოსკალენკოს სტატია).

შეიარაღებული ჯგუფი (ძირითადად, უკრაინელები), ნ. ხრუშჩოვმა გააფრთხილა, რომ თუ ოპერაცია ჩაიშლებოდა, ისინი ხალხის მტრად გამოცხადდებოდნენ [4]. . .

გ. ჟუკოვის მონაწილეობა ამ ოპერაციაში ეჭვგარეშეა (მისი სტატია), გარდა ამისა, მან ეს ეპიზოდი ჩართო თავის გამოუქვეყნებელ მემუარებში. კიდევ ერთი არგუმენტი: 60-იან წლებში მე მოსკოვის ოლქში ერთ-ერთ ატომურ ცენტრში ვმუშაობდი. ჩემმა კოლეგებმა (მეზობელი კვლევითი ინსტიტუტიდან) დარბაზში გ. ჟუკოვთან შეხვედრისას ჰკითხეს: „რა იყო თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი? მან, მოსკოვის და ბერლინის ბრძოლების გმირმა, უპასუხა: „ბერიას დაპატიმრება“...

26 ივნისს, საღამოს, ყოველთვის ხუმარა ჟუკოვი ძალზე სერიოზული და „ჩაკეტილი“ იყო (მძღოლი). ერთი კვირის შემდეგ კი, ცკ პლენუმზე, ის ცკ წევრი გახდა...

27 ივნისს სხდომის მონაწილეები ოპერაში, პრემიერაზე წავიდნენ (რატომ აღარ ეშინოდათ ბერიას ერთგული ძალების?). იმ საღამოსვე მოსკოვში გავრცელდა ხმა, რომ ბერია საეჭვოდ „გაქრა“...

ბერიას პირად არქივს უკვე 26 ივნისიდან ეძებდნენ (დოსიეს ქვეყნის პირველ პირებზე). მისი სეიფებიდან ამოღებული ათიოდე ტომარა ქაღალდი ოქმის გარეშე დაწვეს.

კრემლიდან ის მოსკოვის სამხედრო ოლქის გარნიზონში გადაიყვანეს (კ. მოსკალენკოს სტატია, ა. ხოლოპოვი), სადაც ბერია პენსნეს დაბრუნებას ითხოვდა, ხმაურობდა და გატეხა ტაბურეტი (ა. ხოლოპოვი). ერთი დღის შემდეგ ის გადაიყვანეს მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის მიწისქვეშა საკომანდო პუნქტში (ბუნკერში), ოსიპენკოს ქუჩაზე № 29.

ამ დღეებში ბერიამ ცკ პრეზიდიუმის წევრებს ოთხი წერილი გაუგზავნა, რომელიც მათ მიიღეს 28 ივნისს, 1 (2 წერილი) და 2 ივლისს (ნ. ხრუშჩოვის სტატია, პ. ბატიცკის პირადი არქივი). ბოლო წლებში ჩატარებულმა გრაფიკულმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ის გაყალბებულია (ვიდეოფილმი). თუმცა, მაშინ, ლოგიკურად ეჭვს იწვევს წერილების შინაარსი: რაში აწყობდათ პრეზიდიუმის წევრებს მათი ვერსიის წინააღმდეგ დაწერილი ფრაზები (რომ მის ლიკვიდაციას აპირებენ დაკითხვის გარეშე და სხვ.), და საერთოდ, წერილის გაურკვეველი, ბუნდოვანი ადგილები.

27 ივნისის დადგენილების თანახმად, 2 ივლისს (საღამოს 8 საათზე) დაიწყო კპ ცკ საგანგებო პლენუმი 5 სხდომით. 5 და 6 ივლისს კომისია ამზადებდა რეზოლუციის ტექსტს, ამიტომ, ბოლო სხდომა ჩატარდა 7 ივლისს. ცკ წევრების გარდა, პლენუმს ესწრებოდნენ მინისტრები, საოლქო კომიტეტის მდივნები, რესპუბლიკების ცკ მდივნები (სულ 268 კაცი). კამათში (ბერიას ლანძღვაში) ჩაეწერა 46 კაცი, თუმცა სიტყვა მისცეს მხოლოდ ოცდაოთხს.

საქართველოდან ესწრებოდნენ ვ. ბაქრაძე, ა. მირცხულავა, ვ. ცხოვრებაშვილი, ზ. კეცხოველი. ბაქრაძემ და მირცხულავამ კამათშიც კი მიიღეს მონაწილეობა.

როცა კითხულობ ამ ტექსტებს, უსიამოვნო შთაბეჭდილება გრჩება, უნიჭო, მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებით მოაზროვნე გაუნათლებელი პარტიული ჩინოვნიკები (თუნდაც, ლოთი, მექალთანე ბულგანინი), როგორ ედავებიან წვრილმანებში ნიჭიერი ორგანიზატორის მუშაობის სტილს.

გამომსვლელთა რიტორიკა საეჭვოდ იყო წარსულ დროში მიმართული: „სული ამოუშვა“, „ლიკვიდირებულია“, „მოვსპეთ“... და ა.შ.

დადგენილება ბერიას დაპატიმრებაზე მხოლოდ 3 ივლისს დაიწერა, ხოლო პატიმარს ის 8 ივლისს აჩვენეს (პირველი ოფიციალური დაკითხვით და ბრალის წაყენებით).

ახალი დოკუმენტების თანახმად, ის ამ პლენუმამდე დახვრიტეს (ნ. ხრუშჩოვის ვიზა). ხრუშჩოვს ეს თავის ემოციურ გამოსვლებში რამდენჯერმე წამოცდა. უფრო მეტიც, უცხოეთში, სუფრაზე მოლხენისას, ამბობდა, რომ მან ბერიას პირადად ესროლა...

„პლენუმის დროს ბერია ცოცხალი არ იყო“ – ნავთობის მრეწველობის ცნობილი მინისტრის, ცკ წევრის, პლენუმის მონაწილის ნ. ბაიბაკოვის ინტერვიუ.

„კრემლიდან სატელეფონო ზარების ზეგავლენით, ბუნკერში ჩაყვანისას, სტიქიურად, რამდენიმე გენერალმა ერთად ვესროლეთ. გვამი ისე დამახინჯდა, აღარ გადავეცით დასაწვავად... (მარშალი კ. მოსკალენკო).

„ბუნკერში კიბეზე ჩასვლისას, ალბათ შიშისგან ... ყარდა, ამიტომ ვესროლე, როგორც ძაღლს“ (მარშალი პ. ბატიცკი). მას და მოსკალენკოს „ზევიდან“ ჰქონდათ ზოგადი (როგორც ეს მიღებულია) მითითება, რომ ცოცხალი ბერია ყველას პრობლემებს შეუქმნიდა...

„ბერია სასამართლომდე ლიკვიდირებული იყო“

(ლ. კაგანოვიჩის მოგონებების წიგნი).

აკადემიკოსი, გენერალი (რამდენიმე წელი ბერასთან მუშაობდა) ბაქტერიოლოგიური იარაღის შემქმნელი, ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე (ხრუშჩოვის პერიოდში), პ. ბურგასოვი [6], რომელიც 26 ივნისს კრემლში საქმეზე იყო მისული, თვლის რომ (მინისტრთა საბჭოში ბერიას მოადგილის ბ. ვანიკოვის ინფორმაციით), 12.30 საათზე, სროლების შემდეგ (მისი სეიფი სჭირდებოდათ), ბერია შინ მოკლეს (პ. ბურგასოვის მოგონებების წიგნი).

ბერიას საქმის გამოძიება, რომელიც 5,5 თვეს გრძელდებოდა, იგივე ბუნკერში მიმდინარეობდა. შტაბის შენობის ორივე სართულის ფანჯრები ეზოს მხრიდან თეთრი საღებავით შეღებეს. ყურებამდე ჩამოწეული შლაპით (მექსიკური ფილმის გმირის მიბაძვით, ზაფხულშიც შლაპით დადიოდა), კაშნეთი, ბერია ვ. იუფერევს ყოველდღე დაკითხვაზე დაჰყავდა (მემანქანე კოზლოვა). სადილი პატიმართან არჩევითი მენიუთი მიჰქონდათ (ერთ-ერთი ოფიცერი). ოქტომბრის თვეშიც კი, პროჟექტორებით განათებული ეზოს კუთხეებში ეკიპაჟიანი ტანკები იდგა. შტაბის საშვთა ბიუროს კი ავტომატიანი სამხედროების ჯგუფი აკონტროლებდა (ა. სკოროხოდოვის სტატია).

საქმეში არაა არც ერთი ექსპერტიზა, პატიმრის თითის ანაბეჭდები, არ არსებობს სასამართლოს არც ერთი ფოტო. არაა ფოტო პროფილში (როგორც წესია), არსებულ ფოტოზე კი, არა 54 წლის, არამედ 10 წლით ახალგაზრდა ბერიაა (ალბათ, საოჯახო ალბომიდან).

ეჭვს იწვევს, რომ დაკითხვის ოქმებში არაა ბერიას ხელმოწერა, რომ ოცდაათივე ოქმი ახლადდანიშნული გენერალური პროკურორის, რ. რუდენკოს შედგენილია. რუდენკომ შეითავსა გამომძიებლის და პროკურორის როლი. ვინ ახორციელებდა გამოძიების ზედამხედველობას?

საქმეში ზოგიერთი დოკუმენტი ყალბია. მაგალითად,,,ბერიას საყვარლების" სია (200 ქალი) ზუსტად ემთხვევა დაპატიმრებულ სტალინის დაცვის უფროსის მ. ვლასიკის საყვარლების სიას. საქმეში დედნების ნაცვლად, 90% მანქანაზე გადაბეჭდილი (ალბათ, მეექვსე) პირია, რომელიც გამადიდებელი შუშითაც კი ძლივს იკითხება. ეჭვს იწვევს ოქმების შინაარსი აგვისტოს მეორე ნახევრიდან [7].

ბერია გაასამართლეს იმავე ბუნკერის ეზოში, მეორე სართულზე, მთავარი პოლიტმუშაკის, გენერალლეიტენანტ ა. პრონინის სასამართლოსთვის მოუხერხე-ბელ კაბინეტში, სადაც კედელთან 7 სკამი დადგეს.

სასამართლოს თავმჯდომარე მარშალი ი. კონევი იყო. მოწმედ მიწვეული იყო ბერიაზე განაწყენებული 9 გენერალი [8]. ყველა ბრალდებულს მიეცა საბოლოო სიტყვის უფლება (ბერიას – 23 დეკ. 14 საათზე). სასამართლოს 8 წევრიდან, 6 ამ საქმეში გამოუცდელი, შემთხვევითი პირი იყო. დაკითხვა დაიწყო 21 დეკემბერს 17 საათზე. 22 დეკემბერს (მოწმეებამდე) შვიდივე ბრალდებულს ერთმანეთთან საუბრის ნება დართეს. აქ ბერია დუმდა, თუმცა, ერთ-ერთი ბრალდებულის შეკითხვას მოკლედ უპასუხა. თუმცა მოწმეს მან რამდენიმე შეკითხვა მისცა (ერთ-ერთს კი შვიდჯერ). ბერიამ (ორეულმა) კარგად იცოდა კანონები, ამიტომ მან მოულოდნელად, ეშმაკურად, აღიარა „ღალატი" სამოქალაქო ომის დროს, რაც მხოლოდ 3 წლიანი პატიმრობით ისჯებოდა.

სასამართლოს წევრი, საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე მ. კუჭავა (რომელმაც ბერიას 3 შეკითხვა მისცა), 1954 წლის იანვარში დააწინაურეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს პირველ მოადგილედ, საგარეო საქმეთა მინისტრად. ის გარდაცვალების წინ ამბობდა (ცხადია, ვიწრო წრეში), რომ „მას იქ ბერია არ უნახავს"...

სასამართლოს წევრები ნ. შვერნიკი (საკავშირო პროფკავშირების თავმჯდომარე) და ნ. მიხაილოვი (კპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი) ბერიას შვილს არწმუნებდნენ, რომ „დარბაზში სხვა კაცი იჯდა"... (ს. ბერიას მოგონებების წიგნი).

ბერიას დახვრეტის მოწმეების სხვადასხვა სია არსებობს (მაიორ მ. ხიჟნიაკის სტატიები), თუმცა, აქტს (№ 3, 23 დეკ. 19.50 სთ), ხელს მხოლოდ 3 კაცი აწერს: ბატიცკი (სასამართლოს კომენდანტი), მოსკალენკო და რ. რუდენკო (სამივე უკრაინელია). ექიმის ხელმოწერა არაა (თუმცა, საუწყებო პოლიკლინიკა იმავე შენობაში იყო, სამსახურის უფროსი კი საეჭვოდ გაათავისუფლეს). არაა არც კრემაციის აქტი, თუმცა, ბერიას ექვსივე თანამოაზრეზე (რომლებიც ბუტირკის ციხეში დახვრიტეს), ექიმის ხელმოწერა არის (მართალია, გვარის გარეშე) და კრემაციის აქტიც [9].

ინფორმაცია ბერიას დახვრეტაზე პრესაში მეორე დღესვე გამოქვეყნდა.

არსებობს საბუთები, რომ 1985 წელს მ. გორბაჩოვს, ანტისტალინურ ტალღაზე, ბაკსოვმა (80 წლის ასაკში), ზუბმა და იუფერევმა წერილი მისწერეს, სადაც მოითხოვდნენ ბერიას დაპატიმრებაში მათთვის საბჭოთა კავშირის გმირობის მინიჭებას, რასაც მათ 1954 წლის იანვარში, თავდაცვის მინისტრი შეპირდა (ბაკსოვის ინტერვიუ).

ამრიგად, საკმარისი არგუმენტები და ფაქტები გვაქვს, რომ ბერია ნამდვილად დააპატიმრეს, და არ დაუხვრეტიათ დაპატიმრების გარეშე.

ყოველივე ეს საინტერესო და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბევრმა არ იცის (მით უმეტეს, ახალმა თაობამ) ლავრენტი ბერიას დამსახურება ჩვენი საზოგადოების წინაშე:

- მას ჰქონდა დიდი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ნიჭი. ლ. ბერიამ რენტაბელური გახადა საქართველოს ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა. დიდი რეფორმები გაატარა საქართველოში, თუნდაც მშენებლობები (წყალტუბო, ბორჯომი, კოლხეთის ჭაობები, სანაპირო თბილისში, კანალიზაცია, გმირთა მოედანი, თამარ მეფის (ჩელიუსკინელების) სახელობის ხიდი, წყალსადენის ბოლო ეტაპი, მეტროს პირველი ეტაპი და სხვ.
- 1938 წლიდან, როცა ის სსრკ შინაგან საქმეთა კომისარი გახდა, 2 წელიწადში მან 200 ათასი უკანონოდ დაპატიმრებული გაათავისუფლა, ჩაატარა შსს და სასაზღვრო ჯარების რეფორმა.
- 1939 წლის იანვარში პატიმარი სპეციალისტებისგან ბერიამ შექმნა განსაკუთრებული ტექბიურო [10], – გასაიდუმლოებული კვლევითი ინსტიტუტის (შეიარა ღებისათვის). 1940 წელს კი სპეციალისტები პატიმრობისგან გაათავისუფლა.
- დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში, როცა ქვეყნის ხელმძღვანელობა,სტალინის ჩათვლით, დაიბნა [11], მას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნა შესთავაზა (და სხვა ღონისძიებები), რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გამარჯვებაში.
- 1941 წელს ქვეყნის მრეწველობის ევაკუაცია ურალისკენ მისი დამსახურებაცაა.

• 1942 წლის აგვისტოში კავკასიის დაცვა ლ. ბერიას დაევალა.

• შეიარაღების წარმოებისათვის მას 1943 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირობა.

• ლ. ბერიას კადრების საქმიანი თვისებებით შერჩევა ეხერხებოდა. მაგა-ლითად, დ. უსტინოვი (თავდაცვის მინისტრი, პოლიტბიუროს წევრი), მისი დაწინაურებულია. ბ. ვანიკოვს, მის მოადგილეს ეკონომიკურ საკითხებში დიდი დამსახურება აქვს ქვეყნის გაძლიერებაში და სხვ.

ომის წლებში მან თბილისის „დინამოს“ 11 მოთამაშე, ფრონტის ნაცვლად, სამთავრობოო დაცვაში დაჯავშნა. ომის შემდგომ „დინამოს“ ცნობილ წარმატებებს საფუძველი სწორედ ამან ჩაუყარა (ს. შუდრა, „დინამოს” მეკარე).

• 1944 წელს ლ. ბერია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, სტალინის მოადგილე გახდა. ბიუროკრატიული ბარიერების (რაც დღემდე ყველას გვაწუხებს) წინააღმდეგ მისი მუშაობის სტილი ძალზე ეფექტური იყო.

• ლ. ბერია ქვეყნის ატომური დარგის დამფუძნებელია. მისი კურატორობით შეიქმნა (დაგეგმილზე ადრე) პირველი საბჭოური ატომური ბომბი (1949), მეორე ბომბიც. ამერიკელებზე 1 წლით ადრე შეიქმნა წყალბადის ბომბი (1953). ამ პროექტებში ბერია 500 ათას მეცნიერს ხელმძღვანელობდა [12].

• ომის შემდეგ მოსკოვში აშენებული მაღლივი შენობების, მათ შორის, მოსკოვის უნივერსიტეტის პროექტის ინიციატორი (მიუხედავად არქიტექტურის აკადემიკოსების წინააღმდეგობისა),ბერია იყო. უფრო მეტიც, არსებობს ვერსია, რომ როგორც დიპლომით მშენებელ-არქიტექტორი, უახლესი ტექნოლოგიით ამ მშენებლობის პროექტის რეალური ავტორი ის იყო (დოკ. ფილმი). მოსკოვში, გაგარინის მოედანზე აშენებული ორი ერთნაირი სახლი (კოშკებით), ასევე ბერიას დაპროექტებულია, ისევე, როგორც ატომურ ცენტრებში სამსართულიანი „ბერიას“ სახლები (ეს მისი ჰობი იყო). მისი აგარაკი გაგრაში ასევე მისი გათვლებით და მუშა ნახაზებითაა აგებული.

მისია იმ დროისთვის საუკეთესო, მოსკოვის რესტორან „არაგვის“ გახსნის იდეაც (დოკ. ფილმი).

• 1947 წლიდან ომისგან ფსიქიკაგადაღლილი სტალინი მძიმე ავადმყოფი იყო [13].

მან წამოიწყო რეპრესიები, ძირითადად, ინტელიგენციის წინააღმდეგ: „კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლა“, „ებრაელთა კომიტეტი“, „ექიმების საქმე“, „ავიაციის საქმე“, „ლენინგრადის საქმე“, „მეგრელთა საქმე“, მთელი ხალხების გადასახლება და სხვა სისხლიანი საქმეები.

1951 წლიდან სახელმწიფო უშიშროების სამსახური ლ. ბერიას და მის ნათესავებს უსმენდა.

1953 წელს ი. სტალინს ყველა წარმატება თავისთვის უნდოდა მიეწერა, და თანაგუნდელები აღარ აწყობდა... ამრიგად, ლ. ბერიას საკმაოდ ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა და სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ დიქტატორის გარდაცვალებამ მას ქვეყნის სასიკეთოდ, ხელ-ფეხი გაუხსნა.

• 1953 წლის მარტში ბერიამ შშს-დან იუსტიციის სამინისტროს გადასცა შრომა-გასწორების ბანაკები. უდიდესი საწარმოო სიმძლავრეები გადასცა სხვა სამინისტროებს (მათ შორის ოქროს და ქარვის მოპოვება).

შშს-ს, ყოფილ მონსტრს, დაუტოვა პრაქტიკულად მხოლოდ მილიციის და სახანძრო სამსახურის ფუნქციები. საერთოდ, მ. გორბაჩოვის რეფორმები ლ. ბერიას იდეების გაგრძელება იყო, მაგრამ 1953 წელს საზოგადოება რეფორმებისათვის მზად არ იყო.

მას რომ ივნისში მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება ნდომებოდა (რასაც აბრალებდნენ), ასე არ მოიქცეოდა (ნ. სმირტიუკოვის მოგონებები).

ლ. ბერიას ეკუთვნოდა გერმანიის გაერთიანების იდეა, საქართველოში, კულტურის მუშაკებისთვის შოთა რუსთაველის ორდენის დაწესების იდეა და სხვ.

• განსაკუთრებული დამსახურებისათვის ლავრენტი ბერია იყო სკკპ ცკ პრეზიდიუმის წევრი, უშიშროების გენერალური კომისარი (1941), საბჭოთა კავშირის მარშალი (1945), შინაგან საქმეთა მინისტრი, სოც. შრომის გმირი (1943), უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით (5-ჯერ), წითელი დროშის ორდენით (3-ჯერ), სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით, მრავალი მედლით. იყო ქვეყნის საპატიო მოქალაქე (ეს წოდება, მის გარდა მხოლოდ აკადე მიკოს იგორ კურჩატოვს ჰქონდა). მისი სახელობის იყო უამრავი ქუჩა, მოედანი, დაწესებულება. საზღვარგარეთ ბერია XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მენეჯერად დაასახელეს.

• საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი პ. ბურგასოვი: „მე არ შემხვედრია ასეთი კორექტული, წინდახედული და კომპენტენტური ადამიანი, როგორც იყო ლავრენტი ბერია (პ. ბურგასოვის მოგონებების წიგნი).

• აკადემიკოსი ი. ხარიტონი, ატომური ბომბის მთავარი კონსტრუქტორი: „ბერია უკიდურესად თავაზიანი იყო ჩვენთან“.

• მან იცოდა გერმანული ენა (ბავშვობიდან), ინგლისური, საერთოდ, არ იყო ჯანმრთელი (თირკმელები, ფილტვები), თუმცა, კარგი მოცურავე იყო, არ უყვარდა სპირტიანი სასმელები, არც ნადირობა.

ბერიას სძულდა ფორმა და ჩინ-მედლებით სიარული, არ აქცევდა ყურადღებას გარეგნობას, ჩაცმას. იყო ქვეყნის პატრიოტი.

მისი მეუღლე კარგი მეცნიერი (აგროქიმიკოსი) და სპორტსმენი იყო (სტალინის ქალიშვილი მას ანდეს გასაზრდელად). კარგად აღზარდა ერთადერთი შვილი სერგო (ოთარი), რომელმაც ლენინგრადის კავშირგაბმულობის აკადემია დაამთავრა და 7 ენა იცოდა. 29 წლის ასაკში ტექნ. მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-პოლკოვნიკი, სამამულო ომის მონაწილე, სტალინური პრემიის ლაურეატი, 90-იან წლებში კი სარაკეტო კვლევითი ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი გახდა.

ბერიას დედა და დები კრასნოიარსკის ოლქში, ხოლო მეუღლე და შვილი სვერდლოვსკის ოლქში გადაასახლეს (ნ. მიქოიანის მოგონებების წიგნი).

სტატიაში ბერიას დახვრეტის არც ერთ ვერსიას არ ვაძლევთ უპირატესობას: ჩამოთვლილია მხოლოდ ფაქტები, წყაროები. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს. თუმცა, ისტორიკოსების უმეტესობა თვლის, რომ ლავრენტი ბერია ცოცხალი იყო მხოლოდ ივნისის, მაქსიმუმ, ივლისის ბოლომდე.

1 საქმის 90 პროცენტი დედანი კი არა, გადაბეჭდილი ასლებია, დამოწმებული მაიორი ქალის მიერ.

2 გერმანიის 14 ქალაქში ანტისაბჭოთა გამოსვლების გამო, საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ (17 ივნისი), დაიჭრა 400-მდე და დაიღუპა 30 კაცი.

3 სტალინისგან შერისხული ჟუკოვი, რომელიც წლობით სვერდლოვსკში მუშაობდა, 1952 წლიდან ცკ წევრობის კანდიდატი გახდა, ხოლო სტალინის ავადმყოფობის დღეებში, 3 მარტს, ბერიას ხელშეწყობით, ბულგანინის მოადგილედ დანიშნეს.

4 საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჰაერსაწინააღ მდეგო თავდაცვის სარდალი კ. მოსკალენკო, მისი თანამშრომლები: გენერალ-ლეიტენანტი პ. ბატიცკი, გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ბაკსოვი, პოლკოვნიკი ი. ზუბი, პოდპოლკოვნიკი ვ. იუფერევი, მეექვსე, მარშალი გ. ჟუკოვი, იარაღის გარეშე იყო.

5 მოსკოვის გარშემო ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სარაკეტო კომპლექსის შექმნას 50-იან წლებში ბერია კურირებდა. გამოცდები მიმდინარეობდა ს. კოროლიოვის პოლიგონზე ბაიკონურამდე (კაპუსტინ იარ), კომ-პლექსის ავტორი იყო ბერიას ვაჟი და კუტენკო, ამიტომ მას ეწოდა „ბერკუტ“ (ამჟამად ჩ-25). ბუნებრივია, სამხედროებს (მათ შორის ბატიცკის და მოსკალენკოს), დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ კონსტრუქტორის მამასთან. ამიტომაც შეარჩიეს სწორედ ისინი დაპატიმ რებისათვის.

6 1970 წელს სსრკ რამდენიმე ქალაქში ქოლერა გაჩნდა (საქართველოშიც). ქოლერის ეპიდემიის ლიკვი-დაცია, სამთავრობო კომისიების დახმარებით, ჰ. ბურგასოვის დამსახურებაა.

7 ეს საეჭვოდ ემთხვევა უმაღლესი საბჭოს 5 აგვისტოს რიგგარეშე სესიას და დაპატიმრებაში მონაწილე ჯგუფისათვის 3 აგვისტოს მორიგი წოდებების მინიჭებას: მოსკალენკო – არმიის გენერალი, ბატიცკი – გენ. პოლკოვნიკი, ბაქსოვი – გენ. ლეიტენანტი, ზუბი – გენ. მაიორი, იუფერევი – პოლკოვნიკი, გეტმანი – გენ. პოლკოვნიკი, ნედელინი – მარშალი, ბრეჟნევი – გენ. ლეიტენანტი. მათ 1945 წლის იანვარში გადაეცათ აგრეთვე წითელი დროშის ორდენი (მარშალ ჟუკოვის გარდა).

8 გენერალ-ლეიტენანტი ს. შტემენკო, მაგალითად, ჩვენებას იძლეოდა კედელზე გაკრული კავკა სიის დაცვის რამდენიმე რუკით.

9 სასამართლოს არაობიექტურობის კარგი მაგალითია, უკვე დემოკრატიზაციის წლებში (1955 წელს), თბილისში ბერიას თანამოაზრეების გასამართლება. როცა უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარემ ა. ჩეპცოვმა, ნ. ხრუშჩოვს შეახსენა, რომ კანონიერება ირღვეოდა, ის გააგზავნა ლ. კა-განოვიჩთან, რომელმაც გამოაგდო კაბინეტიდან და ცკ მითითების შესრულება უბრძანა...

10 ცნობილი ავიაკონსტრუქტორი, ა. ტუპოლევი მოსკოვში (რადიოს ქუჩაზე) იხდიდა „სასჯელს“. მისი მოთხოვნით სამზარეულოს შეფ-მზარეული ბერიამ გადმოიყვანა... მოსკოვის ცენტრალური სასტუმრო „მეტროპოლიდან“ (ბ. ჩერტოკის მოგონებების წიგნი).

11 1941 წლის 28 ივნისს სტალინი აგარაკიდან კრემლში მხოლოდ 19 საათზე მოვიდა. ნერვიულობდა, იგი-ნებოდა. 29 და 30 ივნისს არ გამოსულა აგარაკიდან (მოლოტოვის, ხრუშჩოვის და სხვ. მოგონებები), ვიდრე 30-ში საღამოს ლ. ბერიას ინიციატივით, პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი არ მივიდა მასთან სათათბიროდ.

12 ლ. ბერიამ მოახერხა ის, რაც ვერ გააკეთეს ამერიკასა და ინგლისში – იზოტოპების განცალკა ვების წარმოება ცენტრიფუგით (და არა 25-ჯერ ძვირი დიფუზიური მეთოდით), ამასთან, 10 წლით ადრე, ვიდრე უცხოეთში.

მოსკოვის ოლქში, დუბნის ბირთვული კვლევების ცენტრის (ამჟამად, საერთაშორისო) მშენებლობის ად-გილიც მისი შერჩეულია (5 წელი იქ ვმუშაობდი)

ყოველივე ეს ბერიას დიდი გადაღლის, უძილო ღამეების ფასად კეთდებოდა: 1949 წელს პირველი სა-წარმოო რეაქტორის შექმნისას ლ. ბერია ქიმკომბინატში (ჩელიაბინსკ – 40) ჩავიდა. ციმბირის უგზოობით გაწამებულს, პატიმრებმა საღამოთი მანქანიდან ძველი პლაშჩი მოპარეს. დილით კი კოჭლობდა – საწოლის ბადე ჩავარდნილა... არავინ არ დაუსჯიათ. (გ ვასიანინა, კოლეგა ჩელიაბინსკ – 40-დან)

13 თუ ომამდე, კრემლის ჟურნალის თანახმად, ი. სტალინი წელიწადში 2000 კაცს იღებდა, არავინ მიუღია 1950 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე და 1951 წლის აგვისტოდან 1952 წლის თებერვლამდე

14 მეზობელ სოფელში გერმანელები ცხოვრობდნენ. ის ხშირად დადიოდა ლუქსემბურგში (ბოლნისში) გერმანელ ელა-მასწავლებელთან. მან შეაყვარა ბერიას ლიტერატურა, ხელოვნება და ბოლოს, მისი შვილის აღმზრდელიც გახდა.

ომარ შუდრა

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა

გამოვიდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის ახალი წიგნი, სახელმძღვანელო - „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“. როგორც წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, ის წარმოადგენს „საუნივერსიტეტო სწავლებისათვის საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის პირველ სახელმძღვანელოს საქართველოში. იგი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს. მეცნიერების შედარებით ამ ახალი დარგის მთავარი მიზანია საზოგადოებრივი სექტორის როლის წარმოჩენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მისი სოციალურ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნაში, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საქართველოს უნივერსიტეტებში მისის სწავლების დანერგვის აუცილებლობას.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების მაღალი კურსების ბაკალავრებისთვის. მისი გამოყენება მიზანშეწონილია აგრეთვე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. წიგნი საინტერესო იქნება აკადემიური პერსონალისთვისაც. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უმდა იყოს სხვა სპეციალობების სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის“.

წიგნის სარედაქციო კოლეგიაში არიან ცნობილი ქართველი მეცნიერები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები - რამაზ აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ევგენი ბარათაშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, მერაბ კაკულია, რევაზ ლორთქიფანიძე; ეკონომიკის აკადემიური დოქტორები - რუსუდან ქუთათელაძე, იოსებ არჩვაძე, ვახტანგ ჭარაია.

რეცენზენტები: ნოდარ ჭითანავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მერაბ გველესიანი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ რედაქცია წარმატებას უსურვებს წიგნსა და მის ავტორს, ქალბატონ როზეტა ასათიანს, ჭეშმარიტად დიდ მეცნიერსა და პატრიოტს. წიგნიც სწორედ ასეთი წარწერით იწყება: „ვუძღვნი ჩემს საყვარელ სამშობლოს - ჩემს საქართველოს“.

საყურადღებო პუბლიკაცია

წიგნი, რომლის ავტორები არიან ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ჟურნალ „თბილისელების“ პოლიტიკური განყოფილების რედაქტორი ნინო ხაჩიძე და ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი იოსებ არჩვაძე, მოიცავს დასახელებულ ავტორთა მიერ 2011-2017 წლებში შემდგარ დიალოგებს თანამედროვე საქართველოს უაღრესად აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებზე. მასში განხილულია თანამედროვე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებარე ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემათა მთელი სპექტრი, დაწყებული ქართულ-რუსული ურთიერთობებითა და დამთავრებული მოსახლეობის ცხოვრების დონით, საარსებო მინიმუმითა და სიღარიბის პრობლემებით. ავტორთა ყურადღება მიპყრობილია ისეთი საკითხებისადმი, როგორებიცაა ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები და საფრთხეები, საქართველოს მეზობელ და არამეზობელ ქვეყნებთან შედარების მრავალი ასპექტი (ცხოვრების დონე, ენერგეტიკული პროექტები, ფასწარმოქმნა, შრომითი ურთიერთობები, გენდერი და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს არაკონტროლირებად, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) არსებული მდგომარეობის, ამ „სახელმწიფოებრივი“ წარმონაქმნების ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ანალიზი, რუსეთის როლი მათი სახელმწიფოებრივი იმიტაციის უზრუნველყოფასა და ბიუჯეტების ფორმირებებში. მოტანილი უაღრესად საინტერესო და საგულისხმო შედარებები საქართველოს შესაბამის მონაცემებთან ყველა კატეგორიის მკითხველს შორსმიმავალი დასკვნების შესაძლებლობას აძლევს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად განსახილველი საკითხების აქტუალობისა და პრობლემათა არსის მთელი დრამატულობისა, „პოლიტეკონომიკური საუბრები“ შესრულებულია მარტივი, მკითხველთა ფართო წრისთვის ადვილად გასაგებ და ამავე დროს, აკადემიურ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ „საუბრები“ ინტერვიუს ფორმატისაა, თავისი დამაჯერებლობით, პრობლემათა არსში წვდომითა და შეფასების მეცნიერული, ობიექტურობით, ის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკისა და საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის მახასიათებელ თვალსაჩინო მეგზურს წარმოადგენს.

ყველა დიალოგი, ფორმით ინტერვიუ, ხოლო შინაარსობრივად საუბარი აგებულია ისე, რომ ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვებზე ვრცელ პასუხებსა და განმარტებებს იძლევა ეკონომისტი. ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვების შინაარსი ის იმპულსია, რომელიც საშუალებას აძლევს რესპონდენტს სრულად გამოავლინოს თავისი დამოკიდებულება და კომპეტენტურობა მოცემული საკითხისადმი.

იმედს ვიტოვებთ, რომ ნინო ხაჩიძისა და იოსებ არჩვაძის ეს უაღრესად საინტერესო და წარმატებული ტანდემი კვლავაც არაერთი ინტერვიუთი, პოლიტეკონომიკური საუბრებით გაახარებს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკითა და პოლიტიკით დაინტერესებულ მკითხველთა მრავალრიცხოვან არმიას.

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებ-ისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5 GEL (Lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

Smarty
Print House

შპს "Smarty" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ბანერი
სტიკერი
ბადე სტიკერი

ოფსეტური ბეჭდვა

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აგლაძის ქ.83

551 30 33 20

smartyLTD@gmail.com

smarty.ltd

Smarty

www.smarty.ge